



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

გიორგი ჩახვაძე

საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

ხელმძღვანელი: ეკა სირაძე, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შეეხება საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივ ასპექტებს საერთაშორისო საჯარო სამართალში. პირველ რიგში, ვინაიდან თეორიასა და პრაქტიკაში ისევ აქტუალურია საზღვაო ტერორიზმის სხვა საზღვაო დანაშაულებთან ერთგვარი აღრევის ტენდენცია, მასში მოცემულია მკაფიო სამართლებრივი განმარტებები, რის საფუძველზეც წარმოჩენილია მსგავსებები და განსხვავებები საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმს, მეკობრეობასა და საზღვაო შეიარაღებულ ძარცვას შორის. სადოქტორო ნაშრომი განიხილავს საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის ობიექტური (actus reus) და სუბიექტური მხარის (mens rea) ძირითად ასპექტებს არსებული (მწირი) სამეცნიერო ლიტერატურისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში ნაშრომში განხილულია საერთაშორისო საჯარო სამართლის, საერთაშორისო სისხლის სამართლისა და საერთაშორისო საზღვაო სამართლის აქტუალური საკითხები. მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო სამართლის ჭრილში მასში მოცემულია ორიგინალური დაყოფა საზღვაო ზონების არა სამი (რაც დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში), არამედ ორი კატეგორიის საზღვაო ზონებად: ა) ეროვნული სუვერენიტეტის ქვეშ მყოფი საზღვაო ზონები (შიდა წყლები, ტერიტორიული ზღვა და არქიპელაგური წყლები); ბ) ეროვნული სუვერენიტეტის მიღმა მყოფი საზღვაო ზონები (ღია ზღვა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, კონტინენტური შელფი და რაიონი). დისერტაციაში შემოთავაზებული საზღვაო ზონების დაყოფა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ საზღვაო ტერორიზმი არის ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ამდენად, ის სწორედ ნაოსნობის თვალსაზრისით ჰქოფს საზღვაო ზონებს, რაც, ერთი მხრივ, ყველაზე მეტად შეესაბამება სადოქტორო თემის სპეციფიკას, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოაჩენს რომ რიგ საზღვაო ზონებში დროშის სახელმწიფოს (როგორც ექსკლუზიური იურისდიქციის მფლობელს) შესაძლოა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო არ სურდეს ან არ შეეძლოს დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელება, რაც ძალზე აქტუალურს ხდის დანაშაულის შესაძლო დაუსჯელობის პრობლემას საერთაშორისო სამართალში. საერთაშორისო სისხლის სამართლის თვალსაზრისით, ნაშრომში მოცემულია საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოთა პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზი, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნა, რომ საზღვაო ტერორიზმი თანამედროვე ეტაპზე უნდა იქნეს განხილული არა როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო დანაშაული, არამედ საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. ამდენად, ნაშრომი არ შემოიფარგლება მხოლოდ თემის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების განხილვით და მასში საკმაოდ ამომწურავად არის შესწავლილი სახელმწიფოთა შიდა სისხლის სამართლებრივი

კანონმდებლობები და შიდა სასამართლო პრაქტიკა საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებით.

სადოქტორო თემის მთავარ სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს საზღვაო ტერორიზმის შესაძლო დაუსჯელობა საერთაშორისო დონეზე, ვინაიდან დღეისათვის არცერთი საერთაშორისო სასამართლო არ ავრცელებს თავის იურისდიქციას ამ დანაშაულზე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით. არსებული საერთაშორისო მექანიზმები და მათ შორის საერთაშორისო სასამართლო და საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, რიგ უპირატესობებთან ერთად ხასიათდება მთელი რიგი პრობლემებით. სწორედ ამ მიზნით, ნაშრომში მოცემულია დანაშაულთან ბრძოლის ძირითადი მექანიზმების სიღრმისეული ანალიზი და შემოთავაზებულია წინადადებები დანაშაულის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში მოქცევის, ისევე როგორც ახალი შესაძლო მექანიზმების, მათ შორის, ჰიბრიდული ან სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის საჭიროების შესახებ. მასში ასევე შემოთავაზებულია სხვა წინადადებებიც (მაგ. საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით სახელმწიფოთა თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება), რაც ერთგვარად შეავსებს იმ პრობლემებს, რაც შესაძლოა ჰქონდეს საერთაშორისო სასამართლოებს დანაშაულის ეფექტიანი დევნის კუთხით.

მთლიანობაში სადოქტორო დისერტაცია არის საზღვაო ტერორიზმზე და განსაკუთრებით მასთან ბრძოლის მექანიზმებზე პირველი სისტემატური და სიღრმისეული სამეცნიერო ღირებულების ნაშრომი, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აღნიშნული თემის ირგვლივ სამეცნიერო დისკუსიის განვითარების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: საზღვაო ტერორიზმი, ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, დანაშაულის დევნის მექანიზმები, საერთაშორისო სისხლის სამართალი, საერთაშორისო საზღვაო სამართალი.

Abstract

The present dissertation concerns the issues of combating maritime terrorism in public international law. First of all, since the tendency of conflating maritime terrorism with other maritime crimes is still relevant in theory and practice, it provides clear legal definitions, on the basis of which the similarities and differences between these crimes are discussed. In this part, among other issues, the main goal of the dissertation is to discuss the main aspects of the objective (*actus reus*) and subjective side (*mens rea*) of international (maritime) terrorism based on the analysis of the existing (scarce) scientific literature and practice.

Due to the complexity of the topic, the work discusses current issues of public international law, international criminal law and law of the sea in the context of maritime terrorism. For instance, in the context of international law of the sea, it provides an original division of maritime zones into two categories: a) maritime zones under national sovereignty (internal waters, territorial sea, and archipelagic waters); b) high seas. This division is based on the view that maritime terrorism is a crime against the safety of navigation which, on the one hand, most closely corresponds to the specifics of the doctoral thesis, and, on the other hand, shows that in a number of maritime zones, the flag state may not wish or be able to exercise jurisdiction over the crime for certain objective reasons, which makes the problem of possible impunity for maritime terrorism very relevant. From the point of view of international criminal law, the work provides an in-depth analysis of the international and domestic practice of states, based on which the conclusion is drawn that maritime terrorism at the modern stage should be considered not as a discrete international crime, but as a crime of an international character.

The main scientific problem of the doctoral thesis is the possible impunity of maritime terrorism at the international level, since today no international court extends its jurisdiction over the crime in terms of individual criminal responsibility. The existing international mechanisms, including the international court of justice and the international tribunal for the law of the sea, along with a number of advantages, are characterized by a number of problems. For this purpose, the work provides an in-depth analysis of the main mechanisms for combating crime and proposals on the need for the creation of new possible mechanisms, including the international criminal court, a hybrid or special international tribunal. It also provides other proposals (e.g., the development of mechanisms for cooperation between states under the auspices of international organizations), which will somehow complement the problems that international courts may have in terms of effective prosecution of crimes.

Overall, the doctoral dissertation is the first systematic and in-depth work of scientific value on maritime terrorism, and especially on the mechanisms for combating it, which will make a significant contribution to the development of scientific discussion around this topic.

Key words: maritime terrorism, individual criminal liability, prosecutorial mechanisms, international criminal law, law of the sea.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	I
Abstract.....	III
აბრევიატურებისა და უცხოენოვანი ტერმინების ნუსხა	VIII
შესავალი.....	1
1. სამეცნიერო პრობლემის განსაზღვრა და ნაშრომის მიზანი	1
2. მეცნიერული სიახლე.....	2
3. ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია.....	5
4. სადოქტორო დისერტაციის სტრუქტურის აღწერა:	7
თავი 1: საზღვაო ტერორიზმისა და ზღვაზე ჩადენილი სხვა დანაშაულების შედარება	9
1.1. შესავალი	9
1.2. საზღვაო ტერორიზმის ისტორია	11
ცხრილი #1: საზღვაო შესაძლებლობების მქონე ტერორისტული ორგანიზაციები	18
1.3. საზღვაო ტერორიზმის ცნება	19
ცხრილი #2: საზღვაო ტერორიზმის ობიექტური მხარის ძირითადი ელემენტები.	21
1.4. მეკობრეობა.....	24
ცხრილი #3: ტერმინის „მეკობრეობა“ განმარტება ალფრედ რუბინის მიერ.....	24
ცხრილი #4: მეკობრეობის დანაშაულის ძირითადი ელემენტები.....	26
ცხრილი # 5: საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის დანაშაულის გამიჯვნა ...	28
1.5. საზღვაო შეიარაღებული ძარცვა	29
1.6. დასკვნა.....	31
თავი 2: საზღვაო ტერორიზმი, როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაული	32
2.1. საერთაშორისო დანაშაულის ცნება და საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემა	32
2.1.1. საერთაშორისო დანაშაული როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო ან ჩვეულებითი სამართლით აკრძალული ქმედება	34

2.1.2. საერთაშორისო დანაშაული როგორც ქმედება, რომელიც იწვევს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართალში.....	34
2.2. საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხისათვის.....	35
2.2.1. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი.....	35
2.2.2. სახელმწიფოთა შიდა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (საზღვაო) ტერორიზმთან დაკავშირებით	43
2.2.3. ტერორიზმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისდიქციაში	50
2.2.4. სახელმწიფოთა კანონმდებლობებში არსებული ძირითადი ტენდენციები საზღვაო ტერორიზმის კრიმინალიზაციის კუთხით	55
ცხრილი #6: ანტიტერორისტული კანონმდებლობები, რომლებითაც იკრძალება 1988 წლის SUA კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული დანაშაულები	58
2.5 დასკვნა:.....	71
თავი 3: საზღვაო ტერორიზმის მარეგულირებელი ჩარჩო საერთაშორისო სამართალში	72
3.1. შესავალი	72
3.2. გაეროს წესდება	72
3.3. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენცია	75
3.4. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის კონვენცია (SUA კონვენცია).....	80
3.4.1. კონვენციის მოქმედების სფერო	80
3.4.2. იურისდიქცია	81
3.4.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ან ექსტრადიციის ვალდებულება; თანამშრომლობის ვალდებულება	82
3.4.4. 2005 წლის ოქმები	84
3.5. კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ (SOLAS).....	85
ცხრილი #7: საკვანძო მონაცემები LRIT სისტემის შესახებ.....	87
3.6. გემების და ნავსადგურების უშიშროების საერთაშორისო კოდექსი (ISPS Code).....	89
3.7. მეზღვაურთა პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების შესწორებული კონვენცია (2003 SID Convention)	91

3.8. საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის არაფორმალური მექანიზმები: გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივა	92
3.9. დასკვნა	94
თავი 4: საზღვაო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები	96
4.1 საზღვაო ტერორიზმის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) იურისდიქციაში მოქცევის აუცილებლობა.....	96
4.1.1. საერთაშორისო ტერორიზმი და ICC: საკანონმდებლო ისტორია.....	96
4.1.2. საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი და ICC-ის პრაქტიკა	99
4.1.3. წინადადება რომის სტატუტში შესატანი საერთაშორისო ტერორიზმის განმარტების შესახებ.....	102
ცხრილი #8: კონტრტერორისტული კონვენციების ჩამონათვალი	103
4.1.4. საზღვაო ტერორიზმის რომის სტატუტში შეტანის ძირითადი უპირატესობები	104
4.1.5. ICC-ის მიერ საზღვაო ტერორიზმზე იურისდიქციის განხორციელების ძირითადი გამოწვევები	107
4.2. არასახელმწიფო აქტორები და სახელმწიფო და ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა საზღვაო ტერორიზმისთვის	110
4.3. საზღვაო ტერორიზმი და საერთაშორისო სასამართლო (ICJ)	116
4.4. საზღვაო ტერორიზმი და საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ITLOS).....	120
4.5 საზღვაო ტერორიზმის მოქცევის შესაძლებლობა სხვა სპეციალური საერთაშორისო, რეგიონული ან ჰიბრიდული ტრიბუნალების იურისდიქციაში.....	124
4.6. ეროვნული სასამართლოების როლი საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით.....	127
ცხრილი #9: ეროვნული სასამართლოები, რომელთაც SUA კონვენციის შესაბამისად შეუძლიათ საზღვაო ტერორიზმში ბრალდებული პირების დევნა	129
4.6 (1) დასკვნა	129
დასკვნა	133
ბიბლიოგრაფია.....	140

აბრევიატურებისა და უცხოენოვანი ტერმინების ნუსხა

OSCE	Organization for Security and Cooperation in Europe	ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
U.S./US	United States	ამერიკის შეერთებული შტატები
S/RES	United States Security Council Resolution	გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აბრევიატურა
IMO	International Maritime Organization	საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
UNTS	United Nations Treaty Series	გაეროს ხელშეკრულებათასერია
vol.	volume	ტომი
ipso facto	by the fact itself	ფაქტიდან გამომდინარე
inter alia	among other things	სხვა საკითხებთან ერთად
proprio motu	on one's own initiative	საკუთარი ინიციატივით
BCN weapon	Biological, chemical and nuclear weapon	ბიოლოგიური, ქიმიური ან ბირთვული იარაღი
Ad hoc აქტივობა	[(something) made or happening only for a particular purpose]	კონკრეტული მიზნით განხორციელებული აქტივობა
ICC	The International Criminal Court	სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
ICJ	The International Court of Justice (ICJ)	საერთაშორისო სასამართლო
ITLOS	The International Tribunal for the Law of the Sea	საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი
STL	The Special Trinal for Lebanon	ლიბანისთვის შექმნილი სპეციალური ტრიბუნალი
ICTY	The International Criminal Tribunal for the former Yugoslavia	სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი

		იუგოსლავიისთვის
ICTR	The International Criminal Tribunal for Rwanda	სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი რუანდისთვის
FBI	Federal Bureau of Investigation	გამომიების ფედერალური ბიურო
Jurisdiction ratione personae	Personal jurisdiction	პერსონალური იურისდიქცია
Jurisdiction ratione loci	Territorial jurisdiction	ტერიტორიული იურისდიქცია
compromissory clause	სასამართლო დათქმა	
ASEAN	Association of Southeast Asian Nations	სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია
LRIT System	Long-range Identification and Tracking System	შორ მანძილზე იდენტიფიკაციისა და თვალთვალის სისტემა
იხ.	იხილეთ	
ა.შ.	ასე შემდეგ	
მაგ.	მაგალითად	

ცხრილებისა და სხვა ილუსტრაციების ნუსხა

ცხრილი #1: საზღვაო შესაძლებლობების მქონე ტერორისტული ორგანიზაციები.....	18
ცხრილი #2: საზღვაო ტერორიზმის ობიექტური მხარის ძირითადი ელემენტები.	21
ცხრილი #3: ტერმინის „მეკობრეობა“ განმარტება ალფრედ რუბინის მიერ.	24
ცხრილი #4: მეკობრეობის დანაშაულის ძირითადი ელემენტები.	26
ცხრილი # 5: საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის დანაშაულის გამიჯვნა.....	28
დიაგრამა #1: SUA კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ხელშემკვრელ სახელმწიფოთა რაოდენობა.....	56
ცხრილი #6: ანტიტერორისტული კანონმდებლობები, რომლებიც იკრძალება 1988 წლის SUA კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული დანაშაულები.....	58
ცხრილი #7: საკვანძო მონაცემები LRIT სისტემის შესახებ	87
ცხრილი #8: კონტრტერორისტული კონვენციების ჩამონათვალი	103
ცხრილი #9: ეროვნული სასამართლოები, რომელთაც SUA კონვენციის შესაბამისად შეუძლიათ საზღვაო ტერორიზმში ბრალდებული პირების დევნა.....	129

შესავალი

1. სამეცნიერო პრობლემის განსაზღვრა და ნაშრომის მიზანი

სადოქტორო დისერტაციის თემაა „საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“. ამ ჭრილში მთავარ სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს საზღვაო ტერორიზმის შესაძლო დაუსჯელობა საერთაშორისო დონეზე. პრობლემა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დღეისათვის არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება და მათ შორის, არც SUA კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები არ ქმნიან საერთაშორისო სასამართლო ორგანოს, რომელიც პოტენციურად გაავრცელებდა თავის იურისდიქციას აღნიშნულ დანაშაულზე სავარაუდო დამნაშავეთა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით.¹ ხელმისაწვდომი საერთაშორისო მექანიზმები და, მათ შორის, საერთაშორისო სასამართლო (ICJ) და საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ITLOS) კი კონცენტრირებულნი არიან სახელმწიფოთაშორისი დავების გადაწყვეტაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს სავარაუდო დამნაშავეების სისხლისსამართლებრივ დევნას, ისევე როგორც დაზარალებულთა და სხვა პირთა უფლებების დაცვას.² სადოქტორო ნაშრომში წარმოჩენილია, რომ დღეს განსაკუთრებით აქტუალურია არასახელმწიფო აქტორების პასუხისმგებლობა საზღვაო ტერორიზმის დანაშაულისათვის.

თუ ჩვენ გადავხედავთ აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით შექმნილ მთავარ ანტიტერორისტულ ხელშეკრულებას (SUA კონვენცია), ვნახავთ, რომ ის რეალურად ხაზს უსვამს სხვადასხვა ეროვნული სასამართლოების როლს დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, რომლებიც მოიცავს შემდეგ სასამართლოებს: ა) დროშის სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები; ბ) სანაპირო სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები; გ) სავარაუდო დამნაშავეთა სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები; დ) დაზარალებული პირის სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები; ე) იმ სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები, რომლებიც წარმოადგენენ იძულების ობიექტს.³ საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დანაშაულს ახასიათებს ტრანსნაციონალური ელემენტი (რომელიც მოიცავს ორ ან მეტ სახელმწიფოს) და ეროვნულ

¹ Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 25-26.

² იქვე, 21-25.

³ იქვე, 68; ასევე იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 6, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

სასამართლოებს ყოველთვის არ შეუძლიათ უზრუნველყონ სისხლის სამართლის პროცესისთვის აუცილებელი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. ⁴

სადოქტორო კვლევის მიზანია კომპლექსურად განიხილოს საზღვაო ტერორიზმის საკითხი და მასთან ბრძოლის მექანიზმები და შემოგვთავაზოს ეფექტიანი საშუალებები მთავარი სამეცნიერო პრობლემის (დანაშაულის შესაძლო დაუსჯელობა) გადასაჭრელად.

2. მეცნიერული სიახლე

1) აღნიშნული დისერტაცია წარმოადგენს საზღვაო ტერორიზმზე პირველ სისტემატურ და სიღრმისეულ ნაშრომს, სადაც განხილულია დანაშაულთან ბრძოლის საკითხები და მოიცავს საერთაშორისო სამართლის რამდენიმე დარგს, კერძოდ, საერთაშორისო საჯარო სამართალს, საერთაშორისო საზღვაო და საერთაშორისო სისხლის სამართალს. მაგალითად, მაშინ როდესაც არსებულ სამეცნიერო ნაშრომებში, როგორც წესი, მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესწავლილი საზღვაო ტერორიზმის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, ⁵ დისერტაციაში განხილულია ყველა ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს როგორც მყარი, ისე რბილი სამართლის ინსტრუმენტებს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ანალიზი არ შემოიფარგლება მხოლოდ ძირითადი ნორმების ანალიზით და მათ შორის, მოიცავს აღნიშნული ინსტრუმენტების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ანალიზს, ასევე, რაც ნიშანდობლივია, დისერტაცია ეთმობა სხვადასხვა საზღვაო ზონაში სანაპირო სახელმწიფოების უფლება-მოვალეობების შესწავლას და იმ იურისდიქციული და სხვა სამართლებრივი პრობლემების წარმოჩენას, რომლებიც შეიძლება შეიქმნას საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, ვინაიდან საზღვაო ტერორიზმი არის ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, დისერტაციის მიზნებისთვის საზღვაო ზონები დაყოფილია არა სამ (რაც ძალზე დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში), ⁶ არამედ ორ კატეგორიად, კერძოდ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ არსებულ საზღვაო ზონებად და ღია ზღვად.

⁴ Oriolo A, 'Revisiting the Interaction between the ICC and National Jurisdictions as a New Gateway to Strengthening the Effectiveness of International Criminal Justice', (2012) 83 International Review of Penal Law, 197.

⁵ იხ. მაგალითად, Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016); Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is today's maritime security sufficient?* (University of Oslo 2008); ასევე იხ. Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014) 60-70; Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016).

⁶ იხ. ზოგადად, Tanaka Y, *The International Law of the Sea* (Cambridge 2019), 86-292.

დისერტაციაში საინტერესოდ არის განხილული კონკრეტული სიტუაციები, რომლებიც აჩვენებს მარეგულირებელი საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაძლო არაადექვატურობას დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, რომელიც მათ შორის, მოიცავს იმ სიტუაციებს, როდესაც ობიექტური მიზეზების გამო დროშის სახელმწიფო შეიძლება სულაც არ იყოს დაინტერესებული დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელებით. ასევე არსებული მექანიზმების შესაძლო ხარვეზების წარმოსაჩენად მასში საკმაოდ ორიგინალურად არის განხილული ის საკითხი თუ რამდენად დამოკიდებულია ამ ინსტრუმენტების აღსრულება ეფექტიან შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობებზე, რაშიც, როგორც დისერტაციიდან იკვეთება, სახელმწიფოთა პრაქტიკა მართლაც არაერთგვაროვანია.

2) სადოქტორო დისერტაციაში სიღრმისეულად შესწავლილია საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო სასამართლოებსა და ტრიბუნალებს, ეროვნულ სასამართლოებს და სახელმწიფოთა თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სხვა შესაძლო მექანიზმებს, რის საფუძველზეც კეთდება შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული ავსებს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ფრაგმენტულ მიდგომას აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების შესწავლის კუთხით. მაგალითად, მაშინ როდესაც დისერტაციაში განვითარებულია თეზისი რომის სტატუტის შესწორების გზით დანაშაულის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში მოხვედრის შესახებ, მასში განხილულია შესაძლო ალტერნატივებიც. ითვალისწინებს რაოდენ კომპლექსური პრობლემაა მოცემულ დანაშაულთან ბრძოლა, ნაშრომში ასევე განვითარებულია სახელმწიფოთა თანამშრომლობაზე დაფუძნებული მექანიზმების განვითარების შესაძლებლობა, რომლებიც სავსებით შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება არასახელმწიფო აქტორების სამართლებრივი დევნის კუთხით.

3) დისერტაციაში შესწავლილია დანაშაულისათვის რელევანტური საერთაშორისო მექანიზმების სადამფუძნებლო დოკუმენტების საკმაოდ სპეციფიკური პროცედურული ნორმები (მაგალითად, საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი).

4) დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს დავა ტერორიზმის საერთაშორისო დანაშაულად კვალიფიკაციის შესახებ, თუმცა, დისერტაცია წარმოაჩენს, რომ საზღვაო ტერორიზმის სამართლებრივი ბუნების კვლევა საჭიროებს უფრო სპეციფიკური წყაროების სიღრმისეულ შესწავლას. სწორედ ამ წყაროების შესწავლის შედეგად დისერტაციაში განვითარებულია თეზისი, რომ საზღვაო ტერორიზმის კვალიფიკაცია საერთაშორისო დანაშაულად საჭიროებს ერთგვარ გადაფასებას, ვინაიდან საერთაშორისო მექანიზმების განვითარების გარეშე, რომელთაც პოტენციურად შეეძლებათ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელება, ნაადრევია აღნიშნული დანაშაულის საერთაშორისო

დანაშაულად განხილვა. ამდენად, სადოქტორო დისერტაციის მიზნებისთვის საზღვაო ტერორიზმი განიხილება საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად. აღნიშნული თეზისი ეფუძნება წყაროების ძალზე ფართო სპექტრის ანალიზს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და პრაქტიკის, არამედ რეგიონალური და შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკის სიღრმისეულ ანალიზს. ასევე ნიშანდობლივია, რომ დისერტაციაში სისტემატურად შესწავლილია საკმაოდ სპეციფიკური საქმეები, რომლებიც უკავშირდება საზღვაო ტერორიზმის შიდასასამართლო დონეზე დევნას.

დისერტაციაში მოცემულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობების ორიგინალური, სისტემატური ანალიზი, რაც გვიჩვენებს შემდეგ ტენდენციებს:

ა) სახელმწიფოთა მზარდი რაოდენობის მიერ ანტიტერორისტული კანონმდებლობების მიღება, რომლებიც წარმოადგენენ ძალზე ეფექტიან შიდასაიმპლემენტაციო კანონმდებლობებს დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, ახდენენ რა SUA კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ძირითადი ნორმებისა და პრინციპების ინკორპორირებას შიდა კანონმდებლობაში.

ბ) მაშინ, როდესაც დღეისათვის არცერთ საერთაშორისო სასამართლოს არ შეუძლია ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქრილში განიხილოს საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები, შიდა კანონმდებლობების ნაწილს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ დაუსჯელობის პრობლემის გადაჭრის საქმეში ითვალისწინებენ რა კონტრტერორისტული ხელშეკრულებების და მათ შორის, SUA კონვენციის გამოყენებას ექსტრადიციის იურიდიულ საფუძვლად.

გ) სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობების მზარდი რაოდენობა დასჯადად აცხადებს არა მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ ჩადენილ საზღვაო ტერორისტულ აქტებსაც.

დ) ანტიტერორისტული კანონმდებლობების ნაწილი ითვალისწინებს სპეციალური ტრიბუნალის ან/და სხვა სპეციალური სტრუქტურის შექმნას (საზღვაო) ტერორიზმის დანაშაულის დევნისათვის.

ე) სახელმწიფოთა შიდა პრაქტიკაში შეინიშნება ტენდენციები, აღიარონ საერთაშორისო ტერორიზმი უნივერსალურ იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულად, რაც ვრცელდება საზღვაო ტერორიზმზეც.

ვ) სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობების მიერ ხდება არა მხოლოდ SUA კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული დანაშაულების ინკორპორირება შიდა კანონმდებლობაში, არამედ საკმაოდ მკაცრი სასჯელების დაწესება დანაშაულისათვის.

3. ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისათვის შესწავლილია ჯამში 38 წიგნი/მონოგრაფია, 26 კრებულში გამოქვეყნებული თავი/სტატია, 140 სამეცნიერო სტატია, ასევე ეროვნული სასამართლოების (17 საქმე), საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს (1 საქმე), ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის (1 საქმე), სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების (14 საქმე), საერთაშორისო სასამართლოს (4 საქმე), საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (3 საქმე), ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა (2 საქმე), რაც მათ შორის, მოიცავს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ წყაროებსა და სასამართლო პრაქტიკას.⁷

⁷ იხ. მაგალითად, Aishwarya RJ, 'Maritime Terrorism in the Indian Ocean Region', (2021) 2(3) Electronic Journal of Social and Strategic Studies; Dankévyč V, Kovalchuk VB, Melnychenko BB, Slotvinska ND, 'Concept of Global Peace: Military, Terrorist and Informational Threats', (2023) 21(2) Revisita Guillermo de Ocklam; Sliedregt EV, 'One rule for Them – Selectivity in International Criminal Law', (2021) 34(2) Leiden Journal of International Law; Christiano T, 'The Problem of Selective Prosecution and the Legitimacy of the International Criminal Court', (2023) 34 (4) Journal of Social Philosophy; Ba O, 'Exit from Nuremberg to the Hague: The Malabo Protocol and the Pan-African Road to Arusha', (2022) 3(3) Global Studies Quarterly; Владыкина АЮ, 'Африканский уголовный суд: вопросы законности и легитимности', (2022) 3 Международное право и международные организации; Honniball AN, 'One Treaty to Apply Them All? Defining Maritime Terrorism by Cross-References and Reservations: The ASEAN Region Example', (2023) 100 International Law Studies; Papastavridis E, 'Coastal State's (Criminal) Jurisdiction in the Exclusive Economic Zone: Recent Case-Law and State Practice', (2023) 83 ZaöRV; Nilasari N, Steele L, 'UNCLOS Definition of Piracy: Is it Still Relevant for Modern Piracy', 2022 7(2) Mulawarman Law Review; Randhawa SH, 'International Criminalization and the Historical Emergence of International Crimes', (2022) 14(3) International Theory; Zelenkov M, Laamarti Y, Charaeva M, Rogova T, Novoselova O, Mongush A, 'Maritime Terrorism as a Threat to Confidence in Water Transport and Logistics Systems', (2022) 63 Transportation Research Procedia; Nazir, 'Terrorist Threats to Maritime Navigation and Ports: Risk Assessment and Prevention Strategy', (2024) 8 Islamic Military Counter Terrorism Coalition, Monthly Publication; Jin J, Techera J, 'Strengthening Universal Jurisdiction for Maritime Piracy Trials to Enhance a Sustainable Anti-Piracy legal System for Community Interests', (2021) 13 Sustainability; Bahar M, 'Attaining Optimal Deterrence at Sea: A Legal and Strategic Theory for Naval Anti-Piracy Operations', (2021) 40 (1) Vanderbilt Journal of transnational Law; Rajput A, 'Maritime Security and Threat of a Terrorist Attack', (2022) 34(2) Pace International Law Review; Brock SB, 'Stop Giving Pirates a Lifeboat to Escape from their Attack: The Problems in Conflating Maritime Terrorism and Piracy', (2021) 22 Loyola Maritime Law Journal; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law; Lehr A, *Modern History of Maritime Terrorism from the Fenyan Ram to Explosive-Laden Drone Boats* (Edward Elgar Publishing 2023); Shaw M, *International Law* (Cambridge 2021); Schneider P, *Maritime Terrorism and Piracy: The Development of Maritime Security and its Governance* (University of Hamburg 2023); Churchill R, Lowe V, Sander A, *The Law of the Sea* (Manchester University Press 2022); Roach JA, *Excessive Maritime Claims* (Brill 2021); Serita K, *The Territory of Japan Its History and Legal Basis* (Springer 2023); Mystris OD, 'Accountability Before the African Court', Dominique Mystris (ed), *An African Criminal Court The African Union's Rethinking of International Criminal Justice* (Brill 2021); Clark T, 'Amending the ICC to Include Terrorism as a Core Crime', (2021) Seton Hall Law; Mälksoo L, 'Application of the International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism and of International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination (Ukraine v. Russian Federation), Judgment', (2024) 118(3) American Journal of

აღნიშნული მასალების გარდა შესწავლილია სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კოდექსები და ანტიტერორისტული კანონმდებლობები, ასევე შიდა, რეგიონული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა, რომელიც რელევანტურია საზღვაო ტერორიზმის პრობლემისთვის. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია საერთაშორისო ინსტრუმენტების ძალზე ფართო სპექტრი.

მთლიანობაში ეს არის პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია საერთაშორისო სისხლის და საერთაშორისო საზღვაო სამართლის, ისევე როგორც სახელმწიფოთა შიდა სამართლის წყაროთა ასეთი ფართო სპექტრი, რომელიც მიზნად ისახავს განიხილოს სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გადაუჭრელი და მეტწილად შეუსწავლელი საკითხი - საზღვაო ტერორიზმი და მასთან ბრძოლის ძირითადი მექანიზმები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ტერორიზმის პრობლემასთან დაკავშირებით დღეისათვის არსებობს გარკვეული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც განხილულია დანაშაულთან ბრძოლის შესაძლო მექანიზმები, მაგრამ დღემდე ამგვარი სისტემატური ნაშრომი არ მოიპოვება საზღვაო ტერორიზმის საკითხზე, რომელიც, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის ქვეკატეგორია, საჭიროებს უფრო სიღრმისეულ შესწავლას და საკმაოდ სპეციფიკური წყაროების ანალიზს.

დისერტაციაში გამოყენებულია ისტორიული, დოქტრინალური, შედარებით-სამართლებრივი და ანალიტიკური კვლევის მეთოდები. ისტორიული მეთოდის გამოყენების მიზანია საზღვაო ტერორიზმის ძირითადი, მათ შორის, ბოლო წლების ინციდენტების ანალიზი. დოქტრინალური მეთოდი უმთავრესად გამოიყენება, რათა შესწავლილი იქნას დანაშაულის მარეგულირებელი ძირითადი ინსტრუმენტები და შესაბამისი სასამართლო/სახელმწიფო პრაქტიკა. შედარებით-სამართლებრივი მეთოდი გამოყენებულია, რათა განხილულ იქნას სხვადასხვა სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობებისა და პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებით, წარმოჩინდეს მათი სპეციფიკა

International law; Michelini G, 'The International Criminal Court. The Legislation of Italy on the Statute and on Cooperation with the ICC', (2023) *Magistradas y juezas en el mundo en el siglo XXI. Los entresijos de la justicia*; Namamian P, 'Assessing the Jurisdiction of the International Criminal Court Statute in the Criminalization of Terrorism', (2023) 7(7) *CIFILE Journal of International Law*; Nussio E, Bohmelt T, Bove V, 'Do Terrorists Get the Attention They Want? Comparing Effects of Terrorism Across Europe', (2021) 85(3) *Public Opinion Quarterly*; Uma S, 'State Cooperation and the Challenge to International Criminal Justice', (2021) *The Wire*; Wanisaguriya A, 'Sri Lanka and the International Criminal Court: An Uneasy Relationship', (2021) 52 (1) *California Western International Law Journal*; *Situation in Ukraine, Finding under Article 87(7) of the Rome Statute on the Non-Compliance by Mongolia with the Request by the Court to Cooperate in the Arrest and Surrender of Vladimir Vladimirovich Putin and Referral to the Assembly of States Parties*, Case no ICC-01/22, ICC, ICC-01/22, 24 October 2024; *Situation in the State of Palestine, Decision on Israel's Challenge to the Jurisdiction of the Court Pursuant to Article 19(2) of the Rome Statute*, ICC, ICC-01/18, 21 November 2024; *Ukraine v. Russian Federation (Application of the International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism and of the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination)*, Judgment, ICJ Reports 2024.

და არსებული განსხვავებები. ანალიტიკური სამართლებრივი მეთოდის გამოყენება მიზნად ისახავს კრიტიკულ ჭრილში იქნეს განხილული ზოგადად საერთაშორისო სამართლის შესაძლებლობები დანაშაულთან ბრძოლის მხრივ, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს საზღვაო ზონების ორ კატეგორიად კლასიფიკაციასა და სხვადასხვა საზღვაო ზონაში არსებული შესაძლო იურისდიქციული პრობლემების წარმოჩენას საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში, საერთაშორისო სამართლის შესაძლებლობების ანალიზს დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის თვალსაზრისით, ისევე როგორც შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემოთავაზებას.

4. სადოქტორო დისერტაციის სტრუქტურის აღწერა:

სადოქტორო დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან:

1) პირველ თავში, შემოთავაზებულია საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის, მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის განმარტებები, ასევე გაანალიზებულია აღნიშნულ დანაშაულებს შორის არსებული ძირითადი მსგავსება-განსხვავებები. ამავე თავში საუბარია დანაშაულის ისტორიასა და მის უახლეს ინციდენტებზე, რაც ერთგვარად მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვისაც.

2) ნაშრომის მეორე თავი ეთმობა საზღვაო ტერორიზმის სამართლებრივი ბუნების კვლევას. ამ თავში განვითარებულია თეზისი საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად განხილვის შესახებ, რაც ეფუძნება სამართლებრივი წყაროების ძალზე ფართო სპექტრის კვლევას, რომლებიც *inter alia* მოიცავს შემდეგ წყაროებს: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO), საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების, მათ შორის, ჰააგის ტრიბუნალების, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) პრაქტიკა, სახელმწიფოთა შიდა სასამართლო პრაქტიკა შიდა დონეზე SUA კონვენციის გამოყენების შესახებ, შიდა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობები, ასევე საერთაშორისო დონეზე სახელმწიფო პრაქტიკა.

3) ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია საზღვაო ტერორიზმის მარეგულირებელი ჩარჩო საერთაშორისო სამართალში, რაც მოიცავს როგორც მყარი, ისე რბილი სამართლის წყაროებს. აღსანიშნავია, რომ ამ თავის უმთავრესი მიზანია შემოგვთავაზოს საზღვაო ზონების სპეციფიკური, ორ კატეგორიად დაყოფა, რაც მართალია ერთგვარად უხვევს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებას აღნიშნული ზონების სამ კატეგორიად დაყოფის შესახებ, თუმცა უშუალოდ გამომდინარეობს სადოქტორო დისერტაციის სპეციფიკიდან, რამეთუ საზღვაო ტერორიზმი არის ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული

დანაშაული. გარდა ამისა, აღნიშნულ თავში არ არის მხოლოდ „მშრალად“ გაანალიზებული თითოეული საერთაშორისო ინსტრუმენტის უპირატესობები და ნაკლოვანებები დანაშაულის რეგულირების მხრივ, არამედ შესწავლილია თითოეულ საზღვაო ზონაში სანაპირო სახელმწიფოთა უფლებამოსილებათა ფარგლები და ნათლად, პრაქტიკულ ჭრილში არის წარმოჩენილი ის იურისდიქციული პრობლემები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს დანაშაულის აღკვეთის მხრივ.

4) ნაშრომის მეოთხე თავი შეეხება საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმებს საერთაშორისო სამართალში. თავის უმთავრესი მიზანია წარმოაჩინოს არსებული მექანიზმების არაადეკვატურობა დანაშაულთან ბრძოლის კუთხით და შემოგვთავაზოს ახალი მექანიზმები და წინადადებები დანაშაულის შესაძლო დაუსჯელობის პრობლემის გადაჭრისთვის.

თავი 1: საზღვაო ტერორიზმისა და ზღვაზე ჩადენილი სხვა დანაშაულების შედარება

1.1. შესავალი

დღეისათვის, მიმდინარე მოვლენების ფონზე ⁸ საერთაშორისო საჯარო სამართალში ძალზე აქტუალურია საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხი. ვინაიდან დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს დავა ცნებებისა და მათი მიმართების შესახებ, მნიშვნელოვანია შევავსოთ რამდენად მიზანშეწონილია მეკობრეობის სამართლის გავრცელება საზღვაო ტერორიზმზე ან თუნდაც საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე. ⁹ შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1990-იან წლებში არსებობდა დამკვიდრებული პრაქტიკა ტერორისტული აქტების მეკობრეობად კვალიფიკაციისა. ¹⁰ ვფიქრობ, ეს ტენდენცია ნაწილობრივ გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის (შემდგომში 1982 წლის კონვენცია) მიღებამდე მეკობრეობის განმარტება იყო ძალზე ფართო, რაც მოიცავდა საზღვაო ტერორისტულ აქტებსაც. ¹¹ ეს ტენდენცია არსებითად არ შეცვლილა 9/11-ის ტერორისტული აქტების შემდეგაც, ვინაიდან საზღვაო ტერორიზმი რიგ შემთხვევებში დაკვალიფიცირებული იქნა მეკობრეობად და პირიქით. ¹²

⁸ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ რუსეთმა დააზიანა უცხოური დროშის ქვეშ მცურავი კომერციული გემები, რაც სავსებით აკმაყოფილებს ომის დანაშაულის ელემენტებს. აღნიშნული კონფლიქტის ფონზე, არსებობს მრავალი ცნობა რუსეთის საზღვაო ძალების გემების მიერ შავი ზღვის პორტების ბლოკადისა და სავაჭრო მარშრუტებზე ნაღმების მოწყობის შესახებ. მაგალითად, 2022 წლის 24 თებერვლიდან რუსეთმა განახორციელა უკრაინული ქალაქების ბერდიანსკისა და მარიუპოლის ბლოკადა, რომლებიც მდებარეობენ აზოვის ზღვის სანაპიროზე. იხ. Suakchev E, 'Breaches of International Maritime Laws in Russia's War against Ukraine', International Bar Association (14 June 2022) <<https://www.ibanet.org/breaches-international-maritime-law-russia-ukraine>>; Berman N, Ferragamo M, Baumgartner S, 'How Ukraine Overcame Russia's Grain Blockade', Council on Foreign Relations (27 February 2024) <<https://www.cfr.org/article/how-ukraine-overcame-russias-grain-blockade#:~:text=Soon%20after%20sending%20more%20than,own%20shore%20and%20shallow%20waters.>>; Lott A, 'Russia's Blockade in the Sea of Azov: A Call for Relief Shipments for Mariupol', EJIL:Talk! (14 March 2022) <[https://www.ejiltalk.org/russias-blockade-in-the-sea-of-azov-a-call-for-relief-shipments-for-mariupol/#:~:text=Russia%20also%20controls%20the%20airspace,\(see%20the%20map%20above\)>](https://www.ejiltalk.org/russias-blockade-in-the-sea-of-azov-a-call-for-relief-shipments-for-mariupol/#:~:text=Russia%20also%20controls%20the%20airspace,(see%20the%20map%20above)>)>; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 78.

⁹ იხ. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 39.

¹⁰ იხ. Brock SB, 'Stop Giving Pirates a Lifeboat to Escape from their Attack: The Problems in Conflating Maritime Terrorism and piracy', (2021) 22 Loyola Maritime Law Journal, 73; Hong N, Adolf KY, 'The International Legal Instruments in Addressing Piracy and Maritime Terrorism: A Critical Review', (2010) 27(1) Research in Transportation Economics, 55.

¹¹ Rajput A, 'Maritime Security and Threat of a Terrorist Attack', (2022) 34(2) Pace International Law Review, 39.

¹² Singh C, Bedi AS, 'War on Piracy: The Conflation of Somali Piracy with Terrorism in Discourse', (2012) Working Paper No. 543 International Institute of Social Studies, 15.

საზღვაო ტერორიზმსა და მეკობრეობას შორის არსებობს ფუნდამენტური მსგავსებები, რომლებიც, *inter alia*, მოიცავს შემდეგს: ა) ორივე დანაშაულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ღია ზღვაში; ბ) ორივე დანაშაული მიმართულია გემის, მისი ეკიპაჟის, გემის ბორტზე არსებული ქონებისა და ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ; გ) როგორც საზღვაო ტერორიზმი, ისე მეკობრეობა მოიცავს ძალადობას ან ძალადობის მუქარას; დ) ორივე დანაშაული შეიძლება მოიცავდეს ერთი და იგივე საშუალებების გამოყენებას დასახული მიზნების მისაღწევად (მაგ. გემების გატაცება).¹³ საერთაშორისო საჯარო სამართლის ძალზე ავტორიტეტულ პუბლიკაციებში ვხვდებით ავტორთა მცდელობას მოიაქციონ საზღვაო ტერორისტული აქტები მეკობრეობის ქოლგის ქვეშ.¹⁴ თუ გადავხედავთ სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობების ნაწილს, ვნახავთ, რომ მათში მოცემული მეკობრეობის განმარტება იმდენად ფართოა, რომ პოტენციურად მოიცავს საზღვაო ტერორისტულ აქტებსაც.¹⁵

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის ცნებების კონცეპტუალური აღრევის ერთგვარი ტენდენცია. მაგალითად, ადემუნ ოდეკე ძალზე საკამათოდ მიუთითებს, რომ 1982 წლის კონვენციით მოცემული მეკობრეობის განმარტება არის ძალზე ფართო, ანაქრონისტული და პოტენციურად მოიცავს საზღვაო შეიარაღებული ძარცვის აქტებს.¹⁶ ქვემოთ მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული კრიტიკა არის აზრს მოკლებული ვინაიდან 1982 წლის კონვენციაში მოცემული მეკობრეობის განმარტება ცალსახად მიჯნავს ერთმანეთისაგან მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის ცნებებს.

ამდენად, წარმოდგენილი თავი მიზნად ისახავს შემოგვთავაზოს საზღვაო ტერორიზმის, მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის განმარტებები და გასცეს პასუხი კითხვას თუ რამდენად მიზანშეწონილია მეკობრეობის მარეგულირებელი ნორმების გავრცელება საზღვაო ტერორიზმსა და საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე. აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს

¹³ *ib.* Modzhoryan LA, *Terrorism at Sea, The Struggle of the State to Ensure the Safety of Maritime Navigation* (Moscow 1991), 227-230; Knyazeva NA, Korobeev AI, 'Maritime Terrorism and Piracy: The Threat to Maritime Security', (2015) 6(6) *Mediterranean Journal of Social Sciences*, 229; Hong N, Adolf KY, 'The International Legal Instruments in Addressing Piracy and Maritime Terrorism: A Critical Review', (2010) 27(1) *Research in Transportation Economics*, 51; Shah HAR, *A Legal Analysis of Piracy and Armed Robbery at Sea in the Straits of Malacca: The Malaysian Perspective* (Birmingham 2013), 105.

¹⁴ *ib.* მაგალითად, Bahar M, 'Attaining Optimal Deterrence at Sea: A Legal and Strategic Theory for Naval Anti-Piracy Operations', (2021) 40(1) *Vanderbilt Journal of Transnational Law*, 26-40; ასევე *ib.* Schneider P, *Maritime Terrorism and Piracy: The Development of Maritime Security and its Governance* (University of Hamburg 2023), 22.

¹⁵ ამის კარგი მაგალითია იაპონია სადაც მეკობრეობის სამართალი გარკვეულწილად ფარავს საზღვაო ტერორისტულ აქტებს. *ib.* Tantraphol N, Lorenz FM, 'The Applicability of National Anti-Terrorism Laws to Piracy: A Comparative Analysis of Japan, The Philippines, And Singapore', (2012) *Case Western Reserve University School of Law*, 18.

¹⁶ Musto C, *The Elements of Maritime Piracy: Plumbing the Depths for a Legal Solution to an Enduring Global Problem* (ANU College of Law 2012), 16.

წითელ ზღვაში ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუსიტების ჯგუფის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოს გემების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები.¹⁷ აღნიშნული ინციდენტი წარმოაჩენს კიდევ ერთი, პოტენციურად მნიშვნელოვანი კრიტერიუმის გათვალისწინების აუცილებლობას საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის გამიჯვნის თვალსაზრისით, რაც უკავშირდება თავდასხმებიდან მომდინარე საფრთხის სიდიდეს (magnitude of threat).¹⁸

წარმოდგენილი თავი იწყება საზღვაო ტერორიზმის ისტორიული განვითარების მიმოხილვით, რომლის მიზანია ძირითადი საზღვაო ტერორისტული თავდასხმების განხილვა, ბოლოდროინდელი აქტებისა და ძირითადი ტენდენციების, მათ შორის, აღნიშნული აქტების ევროპის კონტინენტზე შეღწევის, ასევე არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რაც წარმოაჩენს თემის აქტუალობას. გარდა ამისა, აღნიშნულ თავში შემოთავაზებულია საზღვაო ტერორიზმის, მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის განმარტებები, ასევე განხილულია მიმართება ცნებებს შორის და არსებული მსგავსება-განსხვავებები.

1.2. საზღვაო ტერორიზმის ისტორია

საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, რამაც სხვა საკითხებთან ერთად წინა პლანზე დააყენა საზღვაო ტერორიზმის საფრთხე ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის.¹⁹ ისრაელზე პალესტინის ჰამასის ჯგუფის უპრეცედენტო და ორკესტრირებულმა თავდასხმამ, ისევე როგორც მხარეებს შორის თანმდევი საომარმა მოქმედებებმა კიდევ ერთხელ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საერთაშორისო საზოგადოების მზაობა ტერორისტულ აქტებთან საპასუხოდ.²⁰ წითელი ზღვა, რომელიც წარმოადგენს, გლობალური ნაოსნობის ერთ-ერთ მთავარ მარშრუტს აკავშირებს რა ერთმანეთთან ევროპასა და აზიას, გახდა საზღვაო უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ეპიცენტრი, ვინაიდან ირანის მიერ მხარდაჭერილმა ჰუსიტების ჯგუფმა განხორციელა თავდასხმები წითელ ზღვაში სხვადასხვა სახელმწიფოს

¹⁷ 'Who are the Houthis and why are they attacking Red Sea ships?', BBC (15.03.2024) <<https://www.bbc.com/news/world-middle-east-67614911>>.

¹⁸ ob. Kraska J, 'Attacks on U.S. Warships Justify Self-Defense Against Houthi Forces Ashore', LAWFARE (2 January 2024) <<https://www.lawfaremedia.org/article/attacks-on-u.s.-warships-justify-self-defense-against-houthi-forces-ashore>>.

¹⁹ ob. ზოგადად, Karim S, 'The Rise and Fall of the International Law of Maritime Terrorism: The Ghost of Piracy is Still Hunting', (2014) 26(1) New Zealand Universities Law Review, 1; Karim S, 'Flag State Responsibility for Maritime Terrorism', (2013) 33(2) SAIS Review of International Affairs, 127.

²⁰ ob. 'On the Unprecedented, Orchestrated Attack by the Palestinian Terrorist Group Hamas against Israel', U.S. Mission to the OSCE (19.10.2023) <<https://osce.usmission.gov/on-the-unprecedented-orchestrated-attack-by-the-palestinian-terrorist-group-hamas-against-israel/>>.

გემების წინააღმდეგ, რომელიც მოიცავდა აშშ-ს სამხედრო გემებსაც.²¹ აღნიშნულმა ინციდენტმა აიძულა შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი დაეწყოთ საპასუხო ოპერაციები წითელ ზღვასა და იემენში ჰუსიტების წინააღმდეგ.²² ინციდენტს ასევე მოჰყვა უშიშროების საბჭოს მიერ რეზოლუციის 2722 (2024) მიღება, სადაც უშიშროების საბჭო გმობს აღნიშნულ თავდასხმებს და მოუწოდებს წევრ-სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დაიცვან თავიანთი გემები.²³ მნიშვნელოვანია გამოვეყნოთ აღნიშნული თავდასხმების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე. თავდასხმებმა გამოიწვია აზიასა და ევროპას შორის ვაჭრობის მნიშვნელოვანი შეფერხება და დამატებითი ხარჯები გადამზიდველთათვის, რომელთაც აქვთ ისრაელთან ეკონომიკური კავშირები.²⁴ აშშ-ს დაზვერვის სამსახურის ინფორმაციით, დეკემბრიდან თებერვლის ჩათვლით პერიოდში, წითელ ზღვაში ჰუსიტების თავდასხმებმა გამოიწვია კონტეინერების გადაზიდვის 90 %-იანი კლება.²⁵ ბრიტანეთის სავაჭრო პალატის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, წითელი ზღვის კრიზისის გამო, ექსპორტიორთა 55 %-მა აღნიშნა უფრო მაღალი გადაზიდვის ხარჯები და შეფერხებები.²⁶ პალატის ინფორმაციით, მსგავს შეფერხებაზე მიუთითებს მწარმოებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა დაახლოებით 53 %.²⁷

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საზღვაო ტერორიზმის ისტორიის სათავედ მიჩნეულია 1930 წელი,²⁸ თუმცა, რეალურად აღნიშნული დანამაჟულის პირველი მცდელობები უკავშირდება ირლანდიელ-ამერიკელ ნაციონალისტებს, რომლებიც იბრძოდნენ ბრიტანეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, რასაც თან ახლდა ტერორის კამპანია, რომელიც მოიცავდა

²¹ ob. 'Red Sea Crisis: US Re-Designates Houthi as 'Terrorist' as Rebels Hit Another US-Operated Ship', mint (18.01.2024) <<https://www.livemint.com/news/world/red-sea-crisis-us-re-designates-houthi-as-terrorist-as-rebels-hit-another-us-operated-ship-11705538673703.html>>; Tucker R, 'Tucker Reals, Who are the Houthi rebels? What to know about the Yemeni militants attacking ships in the Red Sea', CBS News (07.03.2024) <<https://www.cbsnews.com/news/who-are-houthi-rebels-what-to-know-yemen-militants-attack-ships-red-sea>>; 'Maritime Security: Situation in the Red Sea and EU Response', European Parliament (January 2024) <[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2024/757606/EPRS_ATA\(2024\)757606_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2024/757606/EPRS_ATA(2024)757606_EN.pdf)>.

²² იქვე.

²³ ob. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/2722 (2024) (მიღების თარიღი 10/01/2024).

²⁴ Krane J, 'Houthi Red Sea Attacks Have Global Economic Repercussions', Arab Center Washington DC (5 April 2024) <<https://arabcenterdc.org/resource/houthi-red-sea-attacks-have-global-economic-repercussions/#:~:text=The%20selective%20campaign%20has%20created,countries%20with%20links%20to%20Israel>>.

²⁵ Martin P, 'Red Sea Attacks Drove 90% Decline in Container Shipping, US Spies Say', Bloomberg (13 June 2024) <<https://www.bloomberg.com/news/articles/2024-06-13/houthi-attacks-on-red-sea-disrupt-global-trade-us-spies-say>>.

²⁶ 'Half of UK Exporters Say Houthi Attacks in Red Sea Disrupting Business', ALJAZEERA (26.02.2024) <<https://www.aljazeera.com/economy/2024/2/26/half-of-uk-exporters-say-houthi-attacks-in-red-sea-disrupting-business>>.

²⁷ იქვე.

²⁸ ob. Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 10-11.

ბრიტანული გემების წინააღმდეგ წყალქვეშა ნავის, როგორც იარაღის, აფეთქების მცდელობებს.²⁹

1961 წლის 23 იანვარს, პორტუგალიური სამგზავრო გემი „Santa Maria“ იქნა დაკავებული პირთა ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ენრიკე გალვაო, პორტუგალიის მთავრობის მოწინააღმდეგე, რომელსაც სურდა პორტუგალიის მთავრობის დამხობა.³⁰ ინციდენტის შედეგად, „Santa Maria“-ს მეზღვაური, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია გემის დაკავებას, იქნა მოკლული.³¹

1985 წლის 7 ოქტომბერს იტალიის დროშის ქვეშ მცურავი საკრუიზო გემი „Achille Lauro“ შეიპყრეს პალესტინის განმათავისუფლებელი ფრონტის წევრებმა ალექსანდრიიდან საიდის პორტისკენ მიმავალ გზაზე.³² ფრონტის წევრებმა მძევლად აიყვანეს გემის ეკიპაჟის წევრები და მგზავრები და იმუქრებოდნენ მკვლელობებით, თუ ისრაელის მთავრობა არ გაათავისუფლებდა ორმოცდაათ პალესტინელ პატიმარს.³³ ისინი ასევე იმუქრებოდნენ გემის აფეთქებით, თუ ისრაელის მთავრობა გამოიძახებდა სამაშველო მისიას მძევლების გასათავისუფლებლად.³⁴ მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტი არ აკმაყოფილებდა მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივ განმარტებას (ქმედებები არ იქნა ჩადენილი პირადი მოტივით და არ იყო დაკმაყოფილებული ორი გემის მოთხოვნა),³⁵ აშშ-მ და გაეროს წევრმა რამდენიმე სახელმწიფომ იგი მაინც მეკობრეობად შეაფასა, რისი მიზეზიც სავარაუდოდ იყო დანაშაულზე უნივერსალური იურისდიქციის გავრცელების მეშვეობით დამნაშავეთა

²⁹ Lehr P, *Modern History of Maritime Terrorism From the Fenian Ram to Explosive-Laden Drone Boats* (Edward Elgar Publishing 2023), 10.

³⁰ იხ. Edwards J, 'The Santa Maria Hijacking', *Ocean Liners Magazine* <<https://oceanlinersmagazine.com/2021/01/22/1961-portuguese-liner-hijacked/>>; Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 11; Halberstam M, 'Terrorism on the High Seas: The Achille Lauro, Piracy and the IMO Convention on Maritime Safety', (1988) 82(2) *The American Journal of International Law*, 286-287; ასევე იხ. 'IMO and Maritime Security Historic Background', IMO <<https://www.wcdn.imo.org>>.

³¹ იქვე.

³² იხ. Halberstam M, 'Terrorism on the High Seas: The Achille Lauro, Piracy and the IMO Convention on Maritime Safety', (1988) 82(2) *The American Journal of International Law*, 269-270; Tuerk H, 'Combating Terrorism at Sea – The Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) *University of Miami International and Comparative Law Review*, 338; 'Achille Lauro Hijacking: A Tragic Example of Maritime Terrorism', SAFETY4SEA (10.12.2019) <<https://safety4sea.com/cm-achille-lauro-hijacking-a-tragic-example-of-maritime-terrorism/>>.

³³ იქვე. ასევე იხ. ზოგადად, Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 11; Tuerk H, 'Combating Terrorism at Sea – The Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) *University of Miami International and Comparative Law Review*, 338.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე (ვგულისხმობ მეკობრეობის განმარტებას საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის (შემდგომში 1982 წლის კონვენცია) მიხედვით; ასევე იხ. Tuerk H, 'Combating Terrorism at Sea – The Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) *University of Miami International and Comparative Law Review*, 343.

დასჯა.³⁶ „Achille Lauro“-ს ინციდენტმა, რომელსაც თან ახლდა ერთ-ერთი მგზავრის მკვლელობა, უდიდესი როლი ითამაშა საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ 1988 წლის SUA კონვენციის მიღებაში (შემდგომში SUA კონვენცია).³⁷

1988 წელს პალესტინელი ტერორისტები, რომლებიც წარმოადგენდნენ „Abu Nidal“-ის ტერორისტულ ორგანიზაციას, თავს დაესხნენ ბერძნულ საკრუიზო გემს „City of Poros“-ს.³⁸ აღნიშნული ინციდენტის შედეგად დაიღუპა 11 მგზავრი, ხოლო 98 დაიჭრა.³⁹ როგორც ავტორები აღნიშნავენ, „City of Poros“-ზე თავდასხმა იყო სამგზავრო გემზე განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ინციდენტი „Achille Lauro“-ს ინციდენტის შემდეგ.⁴⁰

1994 წელს ჯეჯენის პორტში, დედაქალაქ ალჟირის აღმოსავლეთით 150 მილის მანძილზე, ალჟირელმა ტერორისტებმა დახოცეს იტალიური სავაჭრო გემის „Lucina“-ს ეკიპაჟის წევრები.⁴¹

2000 წლის 12 ოქტომბერს თვითმკვლელმა ტერორისტებმა ააფეთქეს პატარა ნავი აშშ-ს საზღვაო გამანადგურებლის (USS Cole) სიახლოვეს ადენის პორტში, საწვავის შევსების დროს.⁴² ინციდენტის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 17 - დაშავდა.⁴³

³⁶ იხ. Honniball AN, 'Private Political Activists and the International Law Definition of Piracy: Acting for Private Ends', (2015) 36(2) Adelaide Law Review, 307; Tuerk H, 'Combating Terrorism at Sea – The Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) University of Miami International and Comparative Law Review, 341.

³⁷ იხ. Halberstam M, 'Terrorism on the High Seas: The Achille Lauro, Piracy and the IMO Convention on Maritime Safety', (1988) 82(2) The American Journal of International Law, 270; Joyner CC, 'Suppression of Terrorism on the High Seas: The 1988 IMO Convention on the Safety of Maritime Navigation', (1989) 19 Israel Yearbook on Human Rights, 344; McGinley, 'Achille Lauro Affair-Implications for International Law', (1984-1985) 52(4) Tennessee Law Review, 691; ასევე იხ. ზოგადად, Karim S, 'Prosecution of Maritime Pirates: The National Court is Dead – Long Live the National Court?', (2014) 32(1) Wisconsin International Law Journal, 53; Treves T, 'The Rome Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (1988) 2 Singapore Journal of Comparative and International Law, 541-556; Tuerk H, 'Combating Terrorism at Sea – The Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) University of Miami International and Comparative Law Review, 338-341.

³⁸ Zelenkov M, Laamarti Y, Charaeva M, Rogova T, Novoselova O, Mongush A, 'Maritime Terrorism as a Threat to Confidence in Water Transport and Logistics Systems', (2022) 63 Transportation Research Procedia, 2265.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იხ. 'Gunmen Kill 9 on Cruise Ship Off Greek Coast', Los Angeles Times (12.07.1988) <<https://www.latimes.com/archives/la-xpm-1988-07-12-mn-5686-story.html>>.

⁴¹ იხ. Cowell A, 'Seven Italian Seamen Are Found Slain on Vessel Docked in Algeria', The New York Times (08.07.1994) <<https://www.nytimes.com/1994/07/08/world/seven-italian-seamen-are-found-slain-on-vessel-docked-in-algeria.html>>; Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 13.

⁴² იხ. 'USS Cole Bombing', FBI <<https://www.fbi.gov/history/famous-cases/uss-cole-bombing>>; Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 12.

⁴³ იქვე.

2002 წლის 6 ოქტომბერს მოხდა აფეთქება საფრანგეთის დროშის ქვეშ მცურავ „ევრონავის“ საკუთრებაში არსებულ ორმაგ კორპუსიანი სუპერტანკერ „VLCC Limburg“-ზე, როდესაც იგი იემენის სანაპიროებთან ელოდა ლოცმანის გემზე ასვლას.⁴⁴ ამ დროს მოტორიან ნავში მყოფი ტერორისტების მიერ განხორციელდა შეიარაღებული ტერორისტული თავდასხმა, რასაც მოჰყვა ერთი მეზღვაურის სიკვდილი და ათი ათასობით ტონა ნავთობის ადენის ყურეში ჩაღვრა. ⁴⁵ ტერორისტული ჯგუფი იყო იემენიდან, რომელსაც კავშირი ჰქონდა ალ-ქაიდასთან. ⁴⁶ აღნიშნულ ტერორისტულ თავდასხმას ჰქონდა დამანგრეველი გავლენა ეკონომიკაზე - დადგენილია, რომ იემენში ყოველთვიური კონტეინერის გადაზიდვა 43 000-დან 3000 კონტეინერამდე შემცირდა. ⁴⁷ გარდა ამისა, დაახლოებით 3000-მა ნავსადგურის მუშამ დაკარგა სამსახური, ხოლო ეროვნული ეკონომიკა 1 %-ით შემცირდა. ⁴⁸

2004 წლის 27 თებერვალს, 10,192 ტონიანი ბორანი „Superferry“, რომელშიც 899 მგზავრი და ეკიპაჟის წევრები იმყოფებოდა, გაემგზავრა მანილიდან კაგაიან დე ოროში. ⁴⁹ გამგზავრებიდან ერთი საათის შემდეგ, კორეგიდორის კუნძულის მახლობლად, ბორტზე აფეთქების შედეგად გაჩნდა ხანძარი, რომელმაც გემი მოიცვა.⁵⁰ აფეთქებას სულ 116 ადამიანი, მათ შორის 114 მგზავრი და ეკიპაჟის ორი წევრი შეეწირა.⁵¹ ეს ინციდენტი ითვლება ყველაზე სისხლიან ტერაქტად, რაც განხორციელებულა ზღვაზე. ⁵²

2004 წლის 24 აპრილს, განხორციელდა თავდასხმა აშშ-ს სანაპირო საპატრულო ხომალდზე (USS Firebolt). ⁵³ ინციდენტი ერაყის ნავთობტერმინალებთან ახლოს მოხდა, როდესაც ხომალდი ახორციელებდა საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციებს ჩრდილოეთ არაბეთის ყურეში.⁵⁴ ინციდენტმა სამი მეზღვაურის სიცოცხლე იმსხვერპლა. ⁵⁵

⁴⁴ იხ. Hyne L, 'Limburg "Largely Intact" After Attack', TradeWinds (07.10.2002) <<https://www.tradewindsnews.com/daily/limburg-largely-intact-after-attack/1-1-80790>>; Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 12.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იხ. Roell P, 'Maritime Terrorism – A Threat to World Trade?', ISPSW <<https://www.files.ethz.ch/isn/110282/MaritimeTerrorism.pdf>>.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ იხ. 'Superferry 14: The World's Deadliest Terrorist Attack at Sea', SAFETY4SEA (27.02.2019) <<https://safety4sea.com/cm-superferry14-the-worlds-deadliest-terrorist-attack-at-sea/>>.

სხვევ იხ. 'IMO and Maritime Security Historic Background', IMO <<https://www.wcdn.imo.org>>.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე.

⁵³ იხ. 'Firebolt Remembers, Rededicates', Defence Visual Information Distribution Service (dvids) (24.04.2014) <<https://www.dvidshub.net/news/127780/uss-firebolt-remembers-rededicates>>.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე.

2006 წლის 14 ივლისს, ტერორისტული ორგანიზაცია „Hezbollah“-ს სარაკეტო გემმა ლიბანის სანაპიროდან ცეცხლი გაუხსნა ისრაელის „Saar-5“ კლასის კორვეტ „Ahi Hanit“-ს. ⁵⁶ თავდასხმის შედეგად ბორტზე ცეცხლი გაჩნდა. ⁵⁷ ეკიპაჟის წევრებმა მოახერხეს მისი ჩაქრობა და ზიანის მინიმალიზაცია, მაგრამ არსებული მონაცემებით, თავდასხმას ეკიპაჟის ოთხი წევრი ემსხვერპლა. ⁵⁸

სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილია 2008 წლის ინციდენტი, როდესაც ტერორისტებმა გამოიყენეს საზღვაო მარშრუტები მუმბაის სანაპიროსთან გასასვლელად და გემების წინააღმდეგ განურჩეველი თავდასხმების განსახორციელებლად. ⁵⁹ მნიშვნელოვანია ასევე გავიხსენოთ 2010 წლის ინციდენტი, როდესაც იაპონურ სუპერტანკერ „M Star“-ს ჰორმუზის სრუტეში გასვლისას თავს დაესხა ალ-ქაიდას შვილობილი ორგანიზაციის „Abdullah Azzam“-ის ბრიგადები. ⁶⁰ ბრიგადებმა ჯიჰადისტურ ვებგვერდებზე განაცხადეს, რომ მათი თავდასხმის მიზანი იყო შურისძიება აშშ-ს მიერ ბრმა სასულიერო პირის, აბდელ რაჰმანის დაკავების გამო, რომელიც აშშ-ს მიერ გასამართლებული იყო შეთქმულებასა და 1993 წელს მსხვილ სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული თავდასხმისთვის. ⁶¹ გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტული ჯგუფის მიერ განხორციელებულმა აფეთქებამ 260 000 ტონიან გემზე დიდი ჩაღრმავება გამოიწვია და მნიშვნელოვნად დააზიანა მისი კორპუსი. ⁶² აფეთქების შედეგად მსუბუქად დაშავდა ერთი ადამიანი. ⁶³

2014 წელს ალ-ქაიდას დაჯგუფებებმა განახორციელეს თავდასხმა პაკისტანურ ფრეგატ „PNS Zulfiqar“-ზე. აღსანიშნავია, რომ პაკისტანის საზღვაო ძალების დაზვერვამ ვერ შეძლო აღეკვეთა ტერორისტული თავდასხმა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს საზღვაო ტერორიზმის მზარდ საფრთხეს საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის. არსებობს გარკვეული ცნობები, რომ ეს თავდასხმა განხორციელდა პაკისტანის საზღვაო ძალების დახმარებით. ⁶⁴ აღნიშნულ ინციდენტზე მითითებით პაკისტანის თავდაცვის მინისტრის, ხავაჯა ასიფის განცხადებაც პირდაპირ მიუთითებს, რომ თავდასხმა არ შეიძლება

⁵⁶ 'The "Ahi Hanit" Returns to Ashdod Port', Isreal Ministry of Foreign Affairs (15.07.2006) <<https://embassies.gov.il/MFA/FOREIGNPOLICY/Terrorism/Palestinian/Pages/Summary%20of%20attack%20on%20IDF%20missile%20ship%2015-Jul-2006.aspx>>.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ Hong N, Adolf KY, 'The International Legal Instruments in Addressing Piracy and Maritime Terrorism: A Critical Review', (2010) 27(1) Research in Transportation Economics, 51, 55.

⁶⁰ ib. McCurry J, 'Japanese Oil Tanker Hit by Terrorist Bomb, Say Inspectors', Guardian (06.08.2010), <<https://www.theguardian.com/world/2010/aug/06/japanese-oil-tanker-terrorist-explosives>>.

⁶¹ იქვე. ასევე ib. 'IMO and Maritime Security Historic Background', IMO <<https://wwwcdn.imo.org>>

⁶² იქვე.

⁶³ იქვე.

⁶⁴ ib. Sakhuja V, 'Maritime Matters. Maritime Terrorism: Karachi as a Staging Point', IPCS – Institute of Peace and Conflict Studies (6 October 2014) https://www.ipcs.org/comm_select.php?articleNo=4680; ასევე ib. ზოგადად, Nazir, 'Terrorist Threats to Maritime Navigation and Ports: Risk Assessment and Prevention Strategy', (2024) 8 Islamic Military Counter Terrorism Coalition, Monthly Publication.

განხორციელებულიყო „შიგნიდან დახმარების გარეშე“. ⁶⁵ 2018 წლის ნოემბერში გავრცელდა სადაზვერვო ინფორმაცია, რომ პაკისტანში დაფუძნებული მებრძოლთა ჯგუფები „Lashkar-e-Taiba“ და „Jaish-e-Mohammed“ ამზადებდნენ თავიანთ მებრძოლებს ინდოეთის პორტებზე, გემებსა და ნავთობტანკერებზე ტერორისტული თავდასხმების განსახორციელებლად. ⁶⁶ 2019 წლის მაისში მოხდა თავდასხმა საუდის არაბეთის 4 ტანკერზე, ხოლო 23 სექტემბერს ფილიპინებში ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ჯგუფი თავს დაესხა 2 სატუმბ გემს. ⁶⁷ საზღვაო ტერორისტული აქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ეტაპზე აღნიშნულმა აქტებმა ევროპის კონტინენტზეც შეაღწია. ⁶⁸ საზღვაო ტერორისტული აქტები საერთაშორისო ტერორისტული აქტების ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს ⁶⁹ და ოფიციალური მონაცემებით 1970 წლიდან 2014 წლამდე ადგილი ჰქონდა აღნიშნული დანაშაულის 314 შემთხვევას. ⁷⁰ თუმცა, ზოგადად, სპეციალისტები ექვეყნეშ აყენებენ ტერორიზმის მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაციის სიზუსტეს, ვინაიდან ტერორიზმის კონტექსტში ყოველთვის არსებობს ობიექტური პრობლემები ინფორმაციის შეგროვებასა და კატეგორიზაციასთან

⁶⁵ ob. Sakhuja V, 'Maritime Matters. Maritime Terrorism: Karachi as a Staging Point', IPCS – Institute of Peace and Conflict Studies (6 October 2014) https://www.ipcs.org/comm_select.php?articleNo=4680; ასევე ob. ზოგადად, Nazir, 'Terrorist Threats to Maritime Navigation and Ports: Risk Assessment and Prevention Strategy', (2024) 8 Islamic Military Counter Terrorism Coalition, Monthly Publication.

⁶⁶ ob. Gupta S, 'India on Alert Against Possible Lashkar, Jaish Attacks from Aea', The Hindustan Times (10.10.2018) <<https://www.hindustantimes.com/india-news/india-on-alert-for-terror-attacks-from-sea/story-Z3sbBaWORD4X6R0OZqymaN.html>>.

⁶⁷ ob. Perez-Leon-Acevedo JP, 'International Law and Maritime Terrorism', EJIL:Talk! (19 November 2019) <<https://www.ejiltalk.org/international-law-and-maritime-terrorism/>>.

⁶⁸ აღნიშნულს ადასტურებს რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ტერორისტული აქტები, ასევე „City of Poros“ ინციდენტი, რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ. ლიტერატურაში ასევე განხილულია „Fort Vitorias“-ს და „Val De Loires“-ის ინციდენტები. პირველ ინციდენტში ირლანდიის დროებითმა რესპუბლიკურმა არმიამ (provisional Irish Republican Army) განათავსა ორი ბომბი ხომალდ „FORT VICTORIA“-ზე, რომელიც იმყოფებოდა ბელფასტში „ჰარლანდისა და ვულფის“ გემთმშენებელ ქარხანაში. ერთ-ერთი ბომბის აფეთქების შედეგად დაიბორა გემის ძრავის ოთახი, რამაც ორი წლით გადადო გემის მშენებლობის დასრულება. რაც შეეხება მე-2 ინციდენტს, 2002 წლის ივნისში ბასკურმა დაჯგუფება „ETA“-მ სცადა გადაეტანა ბომბი ბორანზე „Val De Loire“, რომელიც ნაოსნობდა ინგლისიდან ესპანეთში. საბედნიეროდ, აღნიშნული შეტევა ვერ განხორციელდა. ob. Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 13; ასევე ob. 'Fort Victoria Sunk by the Provisional IRA in 1990', *alternatethistory* (21.07.2013) <<https://www.alternatethistory.com/forum/threads/fort-victoria-sunk-by-the-provisional-ira-in-1990.543987/>>; Tremlett G, 'Spain foils Eta plot to bomb Plymouth ferry', The Guardian (20.06.2001) <<https://www.theguardian.com/world/2001/jun/20/spain.gilestremlett>>.

⁶⁹ პიტერ ლერის მიერ მოწოდებული ინფორმაციით საზღვაო ტერორისტული აქტები შეადგენს ტერორისტული აქტების დაახლოებით 1-2 %-ს. ob. Lehr A, *Modern History of Maritime Terrorism from the Fenyan Ram to Explosive-Laden Drone Boats* (Edward Elgar Publishing 2023), 2.

⁷⁰ არსებული მონაცემებით, გლობალურად ზღვაზე განხორციელებული ტერორისტული აქტები შეადგენს ტერორისტული აქტების მხოლოდ 0,2-2%-ს. ob. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 8; ასევე ob. Zelenkov M, Laamarti Y, Charaeva M, Rogova T, Novoselova O, Mongush A, 'Maritime Terrorism as a Threat to Confidence in Water Transport and Logistics Systems', (2022) 63 Transportation Research Procedia, 2260 (აღნიშნული ავტორების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2022 წლამდე, ბოლო 40 წლის განმავლობაში განხორციელებული საზღვაო ტერორისტული აქტები შეადგენს ტერორისტული აქტების 0,2 %-ს).

დაკავშირებით. ⁷¹ დღეისათვის შეგვიძლია გამოვყოთ საზღვაო შესაძლებლობების მქონე სულ მცირე 9 ტერორისტული ორგანიზაცია (იხ. ცხრილი #1): ⁷²

ცხრილი #1: საზღვაო შესაძლებლობების მქონე ტერორისტული ორგანიზაციები
1. Al-Qaeda
2. Abu Nidal Organization
3. Abu Sayyaf Group
4. Basque Fatherland and Liberty
5. Hamas
6. Hezbollah
7. Jemaah Islamiya
8. Lashkar e-Tayyiba
9. Palestine Liberation Front – Abu Abbas Faction

⁷¹ Schneider P, *Maritimer Terrorismus: Tätergruppen und Anschlagstypen* (Hamburg 2012), 4.

⁷² იხ. სიაში არ არის შეყვანილი „Liberation Tigers of Tamil Eelam“ ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. Nincic D, ‘Maritime Terrorism: How Real is the Threat?’, Fair Observer (16 July 2012) <https://www.fairobserver.com/region/north_america/maritime-terrorism-how-real-threat/#>.

1.3. საზღვაო ტერორიზმის ცნება

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ არსებობს საერთაშორისო ტერორიზმის ერთიანი, უნივერსალური განმარტება.⁷³ ტერორიზმის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ ჟენევის 1937 წლის კონვენცია საერთაშორისო ტერორიზმს განმარტავდა როგორც დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა ცალკეულ ინდივიდებში, ინდივიდთა ჯგუფებში ან სამოქალაქო მოსახლეობაში შიშის დათესვას, თუმცა, აღნიშნული კონვენცია ძალაში არ შესულა.⁷⁴

1963 წლიდან მოყოლებული გაეროს ეგიდით მიღებული კონვენციები რეალურად გვთავაზობენ **ფრაგმენტულ მიდგომას** (იკრძალება საერთაშორისო ტერორიზმის ცალკეული გამოვლინებები საერთაშორისო ტერორიზმის შეთანხმებული განმარტების შემუშავების ნაცვლად).⁷⁵ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ტერორიზმის ერთგვაროვანი განმარტების შემუშავების წარუმატებლობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ აღნიშნული დანაშაული არის კომპლექსური და ხასიათდება გარკვეული პოლიტიკური ასპექტით.⁷⁶

⁷³ იხ. Stahn C, *An Introduction to International Criminal Law* (Cambridge 2018), 29; ასევე იხ. ზოგადად, Walker C, *Terrorism and the Law* (OUP, 2011), 132; Garmon T, 'International Law of the Sea: Reconciling the Law of Piracy and Terrorism in the wake of September 11', (2002) 27(1) *Tulane Maritime Law Journal*, 271; Alexander DC, 'Maritime Terrorism and Legal Responses', (1991) 19(3) *Denver Journal of International Law*, 259.

⁷⁴ იხ. 'Treaty-based crimes of terrorism – universal counter terrorism instruments', United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) <<https://www.unodc.org/e4j/en/terrorism/module-4/key-issues/treaty-based-crimes-of-terrorism.html>>; ასევე იხ. Karim S, 'The Rise and Fall of the International Law of Maritime Terrorism: The Ghost of Piracy is Still Hunting', (2014) 26(1) *New Zealand Universities Law Review*, 4.

⁷⁵ იხ. მაგალითად, ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია (მიღების თარიღი: 9/12/1999; ძალაში შესვლის თარიღი: 10/10/2002); ტერორისტული აფეთქებების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია (მიღების თარიღი: 15/12/1997; ძალაში შესვლის თარიღი: 23/05/2001); კონვენცია პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების გამოვლენის მიზნით მარკირების შესახებ, UNTS vol. 2122 (მიღების თარიღი: 01/03/1991; ძალაში შესვლის თარიღი: 21/06/1998); საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); კონტინენტურ შელფზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი UNTS vol. 3429 (მიღების თარიღი: 14/10/2005; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010); ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის 2005 წლის ოქმი UNTS vol. 3349 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010); Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 6; ასევე იხ. ზოგადად, Stahn C, *An Introduction to International Criminal Law* (Cambridge 2018), 29.

⁷⁶ იხ. Karim S, 'The Rise and Fall of the International Law of Maritime Terrorism: The Ghost of Piracy is Still Hunting', (2014) 26(1) *New Zealand Universities Law Review*, 4; Becker T, *Terrorism and the State: Rethinking the Rules of State Responsibility* (Hart 2006), 85; ასევე იხ. ზოგადად, Tuerk H, 'Combating Terrorism at Sea – The Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) *University of Miami International and Comparative Law Review*, 343.

შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობების როლი საერთაშორისო ტერორიზმის განმარტების კუთხით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323 (2) მუხლი ახდენს საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობის კრიმინალიზაციას.⁷⁷ „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საერთაშორისო ტერორიზმი არის ტერორისტული საქმიანობა, რომელიც განხორციელდა: ა) ტერორისტების, ტერორისტული ჯგუფების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე), ან თუ ზიანი მიადგა სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს); ბ) ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ; გ) იმ შემთხვევაში, როდესაც როგორც ტერორისტი, ისე ტერორიზმის მსხვერპლი არიან ერთი ან სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, მაგრამ ტერორისტული აქტი ჩადენილია ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების გარეთ“.⁷⁸

აღნიშნული თავის მიზნებისთვის შემოთავაზებულია საერთაშორისო ტერორიზმის შემდეგი სამუშაო განმარტება: საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაული მოიცავს ძალადობას ან ძალადობის მუქარას, როგორც ცალკეულ ჯგუფებსა და ინდივიდებში შიშის დათესვის მეთოდის გამოყენებას პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, რომელიც ხორციელდება სამოქალაქო მოსახლეობის, მთავრობის ან მისი რომელიმე სეგმენტის იძულებით, განახორციელოს ესა თუ ის მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან და რომელიც შეიცავს ტრანსნაციონალურ ელემენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ შემოიფარგლება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიით.⁷⁹

მართალია საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში არ არსებობს საზღვაო ტერორიზმის უნივერსალური განმარტება, თუმცა უდავოა რომ ამ შემთხვევაში საზღვაო სივრცე გამოიყენება ერთგვარ საშუალებად ტერორისტული აქტის განსახორციელებლად.⁸⁰ საერთაშორისო ინსტრუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზღვაო ტერორიზმის ობიექტური მხარე (*actus reus*) მოიცავს შემდეგ დანაშაულებრივ ქმედებებს (იხ. ცხრილი #2):

⁷⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 323 (2), წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 13/08/1999, 122.

⁷⁸ ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 11/07/2007, 1.

⁷⁹ იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 7; Ambos K, Timmermann A, 'Terrorism and Customary International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Cheltenham 2020), 16, 22; Cassese A, Gaeta P, *Cassese's International Criminal Law* (OUP 2013), 148-149; ასევე იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) *Duke Journal of Comparative and International Law*, 46.

⁸⁰ იხ. Aishwarya RJ, 'Maritime Terrorism in the Indian Ocean Region', (2021) 2(3) *Electronic Journal of Social and Strategic Studies*, 386.

ცხრილი #2: საზღვაო ტერორიზმის ობიექტური მხარის ძირითადი ელემენტები.

ა) გემის ან ფიქსირებული პლატფორმის ხელში ჩაგდება ან კონტროლი ძალის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით. ⁸¹
ბ) ძალადობა პირის მიმართ, გემის, საზღვაო სასაოსნო ობიექტების ან ფიქსირებული პლატფორმის დაზიანება, ან საგნის ან მოწყობილობის განთავსება გემზე ან ფიქსირებულ პლატფორმაზე, თუ რომელიმე ასეთი ქმედება საფრთხეს უქმნის უსაფრთხო ნაოსნობას. ⁸²
გ) გემის, საზღვაო სასაოსნო ობიექტების ან ფიქსირებული პლატფორმის განადგურება. ⁸³
დ) კონვენციის სხვა ქვეპუნქტებში მოცემულ დანაშაულებთან დაკავშირებით ადამიანებისთვის ზიანის მიყენება ან მკვლელობა. ⁸⁴
ე) ბიოლოგიური/ქიმიური/ბირთვული იარაღის, რადიოაქტიური მასალების ან საშიში ნივთიერებების გამოყენება გემებზე ან პლატფორმებზე და/ან გემების ან პლატფორმების წინააღმდეგ. ⁸⁵
ვ) გემების გამოყენება მკვლელობის, სერიოზული დაზიანებების ან ზიანის, მათ შორის, გარემოსდაცვითი ზიანის მიყენების მიზნით. ⁸⁶

⁸¹ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტი, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); კონტინენტურ შეღვზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

⁸² იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტები (b), (c), (d), პუნქტი, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); კონტინენტურ შეღვზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტები (b) და (d), UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

⁸³ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტი (e), UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); კონტინენტურ შეღვზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი (c), UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

⁸⁴ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტი (g), UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); კონტინენტურ შეღვზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის ოქმი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი (e), UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

⁸⁵ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 3bis (1)(a)(i)–(ii), 3bis(1)(b)(i), UNTS vol. 3429 (მიღების თარიღი: 14/10/2005; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010); ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის 2005 წლის ოქმი, მუხლი 2bis(a)–(b), UNTS vol. 3349 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010).

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საზღვაო ტერორიზმისთვის ხმელეთზე განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოები ასევე მიჩნეულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილად, რის საფუძვლადაც ავტორები მიუთითებენ ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის გადაწყვეტილებას „აიაშის“ საქმეზე.⁸⁷ გარკვეული ავტორები ერთმანეთისგან განასხვავებენ პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვაო ტერორიზმის ცნებებს, რომელიც მოიცავს მეკობრეობის დანაშაულს.⁸⁸ იქედან გამომდინარე, რომ პოლიტიკური მდგენელი ტერორიზმის დანაშაულის ყველა ფორმისთვისაა დამახასიათებელი, ვფიქრობ, აღნიშნული დაყოფა იწვევს ზედმეტ ბუნდოვანებას და საზღვაო ტერორიზმის და მეკობრეობის ცნებების აღრევას.

რაც შეეხება საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაულის სუბიექტურ მხარეს (*mens rea*), დანაშაული ჩვეულებრივ განზრახ არის ჩადენილი და მოიცავს მოსახლეობაში ტერორის გავრცელების მიზანს ან (სპეციალურ) განზრახვას აიძულოს მთავრობა ან საერთაშორისო ორგანიზაცია განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან.⁸⁹ აღნიშნული სუბიექტური ელემენტი *ipso facto* ვრცელდება საზღვაო ტერორიზმზეც.⁹⁰

მიუხედავად საზღვაო ტერორიზმის შემოთავაზებული ფართო განმარტებისა, საკამათოა რამდენად არის SUA კონვენციის მე-3 მუხლი ამომწურავი.⁹¹ ზოგადად შეგვიძლია გამოვყოთ ორი შემთხვევა, რომელიც არ არის მოცული კონვენციური

⁸⁶ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 3 bis (1)(a)(iii), UNTS vol. 3429 (მიღების თარიღი: 14/10/2005; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010); Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 47.

⁸⁷ იხ. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 40-41; ასევე იხ. ზოგადად, Karim S, 'The Rise and Fall of the International Law of Maritime Terrorism: The Ghost of Piracy is Still Hunting', (2014) 26(1) New Zealand Universities Law Review, 1-2.

⁸⁸ იხ. მაგალითად, Bezkorovainiy V, Sokolyuk S, 'Piracy, Maritime Terrorism and Disorder at Sea: The View from the Ukraine', (2012) 8 The Corbett Centre for Maritime Policy Studies, 17.

⁸⁹ იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 47.

⁹⁰ იქვე, 48 (კერძოდ, საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის 1988 წლის კონვენცია (შემდგომში SUA კონვენცია) მიუთითებს მუქარაზე, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკური ან იურიდიული პირის იძულებას განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისაგან (იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლები 3 (1) და 3 (2). მსგავს ფორმულირებას შეიცავს SUA კონვენციის 2005 წლის ოქმი, რომელიც ადგენს, რომ საერთაშორისო საზღვაო ტერორისტული აქტის მიზანი არის „მოსახლეობის დაშინება, ან მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისაგან“ (საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 3 (1) (a)).

⁹¹ იხ. ზოგადად, Бакала А, 'Морское Пиратство и Терроризм на Море: Проблема Соотношения и Разграничения Понятий', (2013) Национальный Университет «Одесская Юридическая Академия». 321.

განმარტებით, ესენია: ა) დივერსიული თავდასხმები სანაპირო დანადგარებსა და პორტებზე ტერორისტული აქტების ჩადენის მიზნით;⁹² ბ) საპორტო ობიექტების წინააღმდეგ გემის იარაღად გამოყენება.⁹³ აღნიშნული პრობლემა იწვევს ერთგვარ სკეპტიციზმს საზღვაო სამართლის იურისტებს შორის კონვენციის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ფელისითი ატარდი სამართლიანად მიუთითებს, რომ 1988 წლის SUA კონვენცია უმთავრესად ფოკუსირებული იყო დანაშაულის შემდგომ რეგულირებაზე და ვერ უზრუნველყოფდა გემზე ჩასხდომის პროცედურებს, რაც იყო კონვენციის შემდგომი ცვლილებების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.⁹⁴

SUA კონვენციის თანახმად, საზღვაო ტერორიზმის დანაშაული ასევე უკავშირდება საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებას.⁹⁵ კერძოდ, კონვენციის 2005 წლის ოქმის 3 „ter” მუხლი ადგენს, რომ „ნებისმიერი პირი სჩადის დანაშაულს წინამდებარე კონვენციის მნიშვნელობით, თუ ამ პირს უკანონოდ და განზრახ გადაჰყავს პირი გემზე იმის ცოდნით, რომ ამ პირმა ჩაიდინა ქმედება, რაც წარმოადგენს სამართალდარღვევას კონვენციის 3 „bis” ან 3 „quater” მუხლების თანახმად ან სამართალდარღვევას, რომელიც მითითებულია დანართში მოცემულ ერთ-ერთ ხელშეკრულებაში და აპირებს დაეხმაროს ამ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაში”.⁹⁶ და ბოლოს, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში უსაფრთხოების თანამშრომლობის საბჭო (The Council for Security Cooperation in the Asia Pacific) საზღვაო ტერორიზმს განსაზღვრავს როგორც ტერორისტული აქტების განხორციელებას: ა) საზღვაო გარემოში; ბ) ზღვაში ან ნავსადგურში გემების ან ფიქსირებული პლატფორმების გამოყენებით ან მათ წინააღმდეგ ან მათი რომელიმე მგზავრის ან პერსონალის წინააღმდეგ; გ) სანაპირო ნაგებობების ან დასახლებების, მათ შორის, ტურისტული ადგილების, ნავსადგურებისა და საპორტო ქალაქების წინააღმდეგ.⁹⁷

⁹² იხ. ზოგადად, Бакала А, ‘Морское Пиратство и Терроризм на Море: Проблема Соотношения и Разграничения Понятий’, (2013) Национальный Университет «Одесская Юридическая Академия». 321.

⁹³ იხ. ზოგადად, Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 33; Tuerk H, ‘Combating Terrorism at Sea – The Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation’, (2008) 15(3) University of Miami International and Comparative Law Review, 353; ასევე იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტი (e), UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

⁹⁴ Attard F, ‘IMO’s Contribution to International Law Regulating Maritime Security’, (2014) 45(4) Journal of Maritime Law & Commerce, 513.

⁹⁵ იხ. ზოგადად, Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today’s Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 8.

⁹⁶ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 3 ter, UNTS vol. 3429 (მიღების თარიღი: 14/10/2005; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010).

⁹⁷ იხ. Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today’s Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 7.

1.4. მეკობრეობა

მეკობრეობა ერთ-ერთი უძველესი დანაშაულია, რომელიც ტრადიციულად განიხილება როგორც საერთაშორისო მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული, უნივერსალურ იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაული.⁹⁸ „ლოტუსის“ საქმეში საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლო აღნიშნავს, რომ მეკობრეობა განეკუთვნება იმ კატეგორიის დანაშაულთა რიცხვს, რომელიც რეგულირდება არა შიდასახელმწიფოებრივი, არამედ საერთაშორისო სამართლის მიერ.⁹⁹

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წლების განმავლობაში დღის წესრიგში იდგა მეკობრეობის ერთგვაროვანი განმარტების საკითხი. მაგალითად, ალფრედ რუბინი გამოყოფდა მეკობრეობის სულ მცირე ექვს განსხვავებულ მნიშვნელობას (იხ. ცხრილი #3):

ცხრილი #3: ტერმინის „მეკობრეობა“ განმარტება ალფრედ რუბინის მიერ.

1. ტერმინი „მეკობრეობის“ ყოფითი გამოყენება, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობა.
2. მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც ეხება არაღიარებულ ან აღიარებულ სახელმწიფოებს, რომელთა მთავრობები არ განიხილება უფლებამოსილად საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რომ მოახდინონ გარკვეული საეჭვო საჯარო საქმიანობების ავტორიზაცია, როგორიცაა ბარბაროსული სახელმწიფოები 1600-1830-იან წლებში, მალაის სასულთნოები 1800-1880 წლებში და იონიის კუნძულების პროტექტორატი 1820-1830 წლებში.
3. მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია არაღიარებულ საომარ მოქმედებებთან, როგორიცაა კონფედერაციული შტატების კომერციული თავდამსხმელები და კერძო პირები 1861-1865 წლების ამერიკის სამოქალაქო ომის დროს, შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის თვალში.
4. მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს უცხოელთა პირად ქმედებებს სხვა უცხოელთა მიმართ იმ გარემოებებში, რომ მესამე სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქცია მისაღებია საერთაშორისო საზოგადოებისთვის, მიუხედავად ჩვეულებრივი ტერიტორიული ან ეროვნული კავშირების არარსებობისა, რაც ჩვეულებრივ საჭიროა

⁹⁸ იხ. Kontorovich E, 'The Penalties for Piracy: An Empirical Study of National Prosecution of International Crime', (2012) Northwestern University School of Law, Faculty Working Papers, 6; ასევე იხ. ზოგადად, Jin J, Techera E, 'Strengthening Universal Jurisdiction for Maritime Piracy Trials to Enhance a Sustainable Anti-Piracy Legal System for Community Interests', (2021) 13(13) sustainability (MDPI Journal), 1, 15; Gruetter EK, *Piracy a Crime of Universal Jurisdiction: A Perspective into the History of United States Piracy Jurisprudence, its English Common Law Roots and Relationship with the Law of Nations* (Elon University School of Law 2019).

⁹⁹ Kurlekar A, Pai M, 'The Divergence Between International Law and Indian Law Applicable in Counter Piracy Measures: Analysed Through the Decision of the Republic of Italy v. Union of India', (2013) 6(3) NUJS Law Review, 531; ასევე იხ. *The S.S. Lotus (France v. Turkey)*, PCIJ, 1927, Series A - No. 10, § 249.

ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ გასავრცელებლად.
5. მეკობრეობის სხვადასხვა სპეციალური საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობები, რომლებიც გამომდინარეობენ ამა თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებიდან.
6. სხვადასხვა სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობებით გათვალისწინებული მეკობრეობის განმარტებები. ¹⁰⁰

რაც შეეხება მეკობრეობის სტატისტიკას, ეს უკანასკნელი ბოლო პერიოდის განმავლობაში ატარებს მუდმივად მზარდ ხასიათს. ასე მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით, 2022 წელს ადგილი ჰქონდა მეკობრეობის 58 შემთხვევას.¹⁰¹ 2023 წელს ეს რიცხვი 7 ერთეულით გაიზარდა და 65 ინციდენტი შეადგინა.¹⁰² საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მონაცემებით, 1984-2013 წლებში მსოფლიოში განხორციელდა 6752 მეკობრეობის აქტი, რომელთა უმეტესობა მოხდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში.¹⁰³ ოფიციალური მონაცემებით მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის დანაშაულების რიცხვი 12%-ით გაიზარდა 2023 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.¹⁰⁴ თანამედროვე ეტაპზე, სომალის სანაპირო გადაიქცა მეკობრეობის ეპიცენტრად. ოფიციალური მონაცემებით, 2011 წლისათვის სომალის სანაპიროებზე მოქმედებდა დაახლოებით 1500 მეკობრე, დღეს კი მათმა რიცხვმა 4000-ს გადააჭარბა.¹⁰⁵

მეკობრეობის საერთაშორისო სამართლებრივი განმარტება თავდაპირველად მოცემული იყო ღია ზღვის შესახებ ჟენევის კონვენციაში, რომელიც არსებითად მსგავსია საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციაში

¹⁰⁰ Rubin A, 'The Law of Piracy', (1987) 15(2) Denver Journal of International Law and Policy, 173-174.

¹⁰¹ Vitale C, 'IMB 2023 Report Highlights Rise in Maritime Piracy', Ship Technology (27.07.2023) <<https://www.ship-technology.com/news/imb-2023-report-highlights-rise-in-maritime-piracy/?cf-view&cf-closed>>.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ იბ. 'IMO, Reports on Acts of Piracy and Armed Robbery Against Ships', MSC. 4/Circ. 193 (02.04.2013) <https://wwwcdn.imo.org/localresources/en/OurWork/Security/Documents/193_Annual2012.pdf>.

¹⁰⁴ იბ. Ajdin A, 'Piracy Attacks on the Rise', Splash 247 (13.07.2023) <<https://splash247.com/piracy-attacks-on-the-rise/>>.

¹⁰⁵ იბ. 'The Economics of Piracy, Pirate Ransoms and Livelihoods off the Coast of Somalia', GeoPolicity Inc., (06.2011) <<https://nation.time.com/wp-content/uploads/sites/8/2011/05/the-economics-of-piracy-pirate-ransoms-livelihoods-off-the-coast-of-somalia-geopolicy-may-2011.pdf>>; Abbas DD, 'Piracy in Somalia', The Nippon Foundation (28 October 2011) <https://www.un.org/depts/los/nippon/unnff_programme_home/fellows_pages/fellows_papers/djama_1112_djibouti_PPT.pdf>; 'The Real Pirates of the Caribbean', HURTIGRUTENEXPEDITIONS <<https://www.travelhx.com/en/stories/the-real-pirates-of-the-caribbean/>>; 'Who Defeated the Somali Pirates', CIMSEC (02.09.2012) <<https://cimsec.org/who-defeated-the-somali-pirates/>>.

მოცემული განმარტებისა.¹⁰⁶ საერთაშორისო საზღვაო ბიურო მეკობრეობას განმარტავს როგორც „ნებისმიერ გემზე ჩასხდომის აქტს ძარცვის ან სხვა დანაშაულის ჩადენის განზრახვით, რაც მოიცავს ძალის გამოყენების განზრახვას ან შესაძლებლობას დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად“.¹⁰⁷ აღნიშნული განმარტებიდან ნათელია, რომ ქმედების ღია ზღვაში ან თუნდაც განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენა არ არის აუცილებელი მის მეკობრეობად კვალიფიკაციისათვის, განსხვავებით 1982 წლის კონვენციაში მოცემული მეკობრეობის განმარტებისაგან.¹⁰⁸

1982 წლის კონვენციის 101-ე მუხლის თანახმად, მეკობრეობის განმარტებიდან შეიძლება გამოვყოთ ამ დანაშაულის შემდეგი ძირითადი ელემენტები (იხ. ცხრილი #4):

ცხრილი #4: მეკობრეობის დანაშაულის ძირითადი ელემენტები.	
ა)	მეკობრეობა შეიძლება განხორციელდეს ღია ზღვაში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ან სახელმწიფოს ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.
ბ)	მეკობრეობის დანაშაული მიმართულია სხვა გემის, გემზე მყოფ პირთა ან მის ბორტზე არსებული ქონების წინააღმდეგ, ასევე ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ.
გ)	მეკობრეობის დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია კერძო გემით, სამხედრო ხომალდით ან სახელმწიფო ხომალდით.
დ)	აუცილებელია, რომ გემის ეკიპაჟმა დაამყაროს კონტროლი სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.
ე)	მეკობრეობა მოიცავს ძალადობის ან დაკავების ნებისმიერ უკანონო აქტს ან ნებისმიერ ძარცვას. პრაქტიკაში, ძალადობა ატარებს შეიარაღებულ ხასიათს.
ვ)	მეკობრეობა უნდა იქნეს ჩადენილი პირადი მიზნებით. ¹⁰⁹

¹⁰⁶ იხ. ღია ზღვის შესახებ ჟენევის კონვენცია, მუხლი 15 (მიღების თარიღი: 29/04/1958; ძალაში შესვლის თარიღი: 30/09/1962).

¹⁰⁷ იხ. Nelson ES, 'Maritime Terrorism and Piracy: Existing and Potential Threats', (2012) 3(1) Global Security Studies, 16.

¹⁰⁸ იხ. ზოგადად, Amri AA, 'The International Legal Definition of Piracy and its Motives', (2014) 19 Jati, 31-32; საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 101, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994).

¹⁰⁹ Logina A, *The International Law Related to Maritime Security: An Analysis of its Effectiveness in Combating Piracy and Armed Robbery Against Ships* (World Maritime University 2009), 4-41; Guilfoyle D, McLaughlin R, 'The Crime of Piracy', Charles C. Jalloh, Kamari M. Clarke, Vincent O. Nmeielle (eds), *The African Court of Justice and Human and Peoples' Rights in Context* (Cambridge 2019) 388-408; ასევე იხ. ზოგადად, Nilasari N, Steele L, 'UNCLOS Definition of Piracy: Is it Still Relevant for Modern Piracy', 2022 7(2) Mulawarman Law Review, 92-99.

თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს სრული კონსესუსი ტერმინის „პირადი მიზნები“ განმარტების შესახებ, მაგრამ, უდავოა, რომ მეკობრეობა და საზღვაო ტერორიზმი ორი განსხვავებული დანაშაულია. აღნიშნული ერთგვარად დადასტურებული იქნა საქმეში „*Castle John and Nederlandse Stichting Sirius v. NV Mabeco and NV Parfin*“, სადაც ბელგიის საკასაციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა იყო თუ არა „Greenpeace“-ის წევრების მიერ ღია ზღვაში ორი გემის დაკავება, რაც ერთგვარად კამპანიის სახეს ატარებდა და როგორც ასეთი, მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობას გემებიდან ზღვაში ნარჩენების ჩაშვების საფრთხის შესახებ, მეკობრეობა.¹¹⁰ ამ კითხვაზე სასამართლოს პასუხი იყო დადებითი, რომელმაც ერთმანეთისაგან გამიჯნა კერძო და საჯარო მიზნები.¹¹¹ კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ პირადი მიზანი იყო საჯარო მიზნის ანტონიმი და მოიცავდა ნებისმიერ ქმედებას, რომელიც არ იყო ჩადენილი სახელმწიფოს სასარგებლოდ.¹¹² დაჰირის საქმეშიც (*Dahir v. Republic*), სეიშელის უზენაესი სასამართლო მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისგან პირად მიზნებს პოლიტიკური მიზნებისაგან, გამორიცხავს რა საზღვაო ტერორიზმს მეკობრეობის განმარტებიდან.¹¹³ სხვა საქმეების ანალიზი გვიჩვენებს სასამართლოების არაერთგვაროვან მიდგომას პირადი მიზნების განმარტების თვალსაზრისით. ამ საქმეებში სასამართლოები, როგორც წესი, ძალზე ფართოდ განმარტავენ პირადი მიზნების ცნებას, რომელიც მათი შეფასებით, პოტენციურად მოიცავს პოლიტიკურ და გარემოსდაცვით მიზნებსაც.¹¹⁴

სამეცნიერო ლიტერატურაშიც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით რამდენად მოიცავს პირადი მიზნების მოთხოვნა პოლიტიკურ მიზნებს. მაგალითად, კევინ ჯონ ჰელერის აზრით, მეკობრეობის განმარტებაში პირადი მიზნების მოთხოვნა არ მოიცავს პოლიტიკურ მიზნებს, რასაც ეთანხმება ჟოზე ლუის ჟეზუსი¹¹⁵ და დუგლას გილფოილი.¹¹⁶ მეგი გარდნერი გვთავაზობს

¹¹⁰ იხ. Honniball AN, ‘The ‘Private Ends’ of International Piracy: The Necessity of Legal Clarity in Relation to Violent Political Activities’, (2015) ICD Brief №13, 8; Menefee SP, ‘The Case of the Castle John, or Greenbeard the Pirate?: Environmentalism, Piracy and the Development of international Law’, (1993) 24(1) California Western International Law Journal, 1-16; ასევე იხ. *Castle John and Nederlandse Stichting Sirius v. NV Mabeco and NV Parfin*, Belgian Court of Cessation, 77 ILR 537, 19 December 1988.

¹¹¹ იქვე.

¹¹² იქვე.

¹¹³ იხ. Gardner M, ‘Piracy Prosecutions in National Courts’, (2012) 10 Journal of International Criminal Justice, 811; ასევე იხ. *Republic v. Dahir and Others*, Supreme Court of Seychelles, 51, 25 July 2010.

¹¹⁴ იხ. *Institute of Cetacean Research and Ors v. Sea Shepherd Conservation Society and Watson*, Appeal Judgment 9th Circuit United States Court of Appeals, C11-2043JLR, 24 May 2013, § 4; Qureshi WA, ‘The Prosecution of Pirates and the Enforcement of Counter-Piracy Laws are Virtually Incapacitated by Law Itself’, (2017) 19(1) San Diego International Law Journal, 106-108.

¹¹⁵ იხ. Heller KJ, ‘A Response to Kontorovich and Gallagher About Piracy (Updated)’, OpinioJuris (27 February 2013) <<http://opiniojuris.org/2013/02/27/a-response-to-kontorovich-and-gallagher-about-piracy/>>.

¹¹⁶ კერძოდ, დუგლას გილფოილი თვლის, რომ თუ გავითვალისწინებთ ღია ზღვის შესახებ ჟენევისა და 1982 წლის კონვენციით მოწოდებულ განმარტებას, მეკობრეობა არ მოიცავს პოლიტიკურ მიზნებს. იხ. Guilfoyle D, ‘Political Motivation and Piracy: What History Doesn’t Teach Us About Law’, EJIL:Talk! (17 June 2013) <<https://www.ejiltalk.org/political-motivation-and-piracy-what-history-doesnt-teach-us-about-law/>>.

განსხვავებულ ხედვას. კერძოდ, ის თვლის რომ ტერორიზმისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მიზანი ავტომატურად არ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ტერორისტები ყოველთვის მოქმედებენ საჯარო მიზნის ფარგლებში.¹¹⁷ ჯეიმს კროუფორდისთვის პირადი მიზნების კონცეპცია პოტენციურად მოიცავს ყველა ძალადობრივ აქტს, რომელიც არ არის სანქცირებული სახელმწიფოს მიერ.¹¹⁸ ვფიქრობ, პირადი მიზნების ძალზე ფართო განმარტება შლის იმ ზღვარს, რაც არსებობს მეკობრეობასა და საზღვაო ტერორიზმს შორის.

მეკობრეობის ცნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ორი სატრანსპორტო საშუალების მოთხოვნა. მეკობრეობა არის ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ხორციელდება ღია ზღვაში ან სახელმწიფოების ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებს გარეთ და მოიცავს მინიმუმ ორ გემს/თვითმფრინავს (ანუ, მეკობრეობის დროს ერთი სატრანსპორტო საშუალება თავს ესხმის მეორეს).¹¹⁹ ეს მოთხოვნა გამორიცხავს გემის ეკიპაჟის წევრების ან მგზავრების მიერ გემის გატაცების დანაშაულებს, აგრეთვე ამ პირების მიერ გემზე კონტროლის იძულებით დამყარებას (იხ. ცხრილი #5).¹²⁰

ცხრილი # 5: საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის დანაშაულის გამიჯვნა	
მსგავსებები:	განსხვავებები:
1. ძალადობა ან ძალადობის მუქარა: როგორც მეკობრეობა, ისე საზღვაო ტერორიზმი მოიცავს ძალადობას ან ძალადობის მუქარას. ¹²¹	1. მოტივი: საზღვაო ტერორიზმი ცალსახად პოლიტიკური მოტივით დეტერმინირებული დანაშაულია, მაშინ, როდესაც მეკობრეობის ჩადენა ხდება პირადი მიზნებით.
2. ორივე დანაშაული მიმართულია გემის, მისი ეკიპაჟის, გემის ბორტზე არსებული ქონებისა და ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ. ¹²²	2. საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა: მეკობრეები მაქსიმალურად ცდილობენ აარიდონ თავი ყურადღების ცენტრში მოქცევას და ჩვეულებრივ იყენებენ იმ საშუალებებს, რაც
3. ერთი და იგივე საშუალებების	

¹¹⁷ იხ. Gardner M, 'Piracy Prosecutions in National Courts', (2012) 10 Journal of International Criminal Justice, 811.

¹¹⁸ იხ. Crawford J, *Brownlie's Principles of Public International Law* (OUP 2012).

¹¹⁹ იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 5.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ იხ. მაგალითად, Modzhoryan LA, *Terrorism at Sea, The Struggle of the State to Ensure the Safety of Maritime Navigation* (Moscow 1991), 227-230; Knyazeva NA, Korobeev AI, 'Maritime Terrorism and Piracy: The Threat to Maritime Security', (2015) 6(6) Mediterranean Journal of Social Sciences, 229; Hong N, Adolf KY, 'The International Legal Instruments in Addressing Piracy and Maritime Terrorism: A Critical Review', (2010) 27(1) Research in Transportation Economics, 51; Shah HAR, *A Legal Analysis of Piracy and Armed Robbery at Sea in the Straits of Malacca: The Malaysian Perspective* (Birmingham 2013), 105.

¹²² იქვე.

გამოყენება: ორივე დანაშაული შეიძლება მოიცავდეს ერთი და იგივე საშუალებების გამოყენებას დასახული მიზნების მისაღწევად (მაგ. გემების გატაცება).¹²³	აუცილებელია მათი მიზნების მისაღწევად მაშინ როდესაც (საზღვაო) ტერორისტები მიზნად ისახვენ გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე რამეთუ უმნიშვნელო ტერორისტული აქტებიც კი იპყრობს სახელმწიფოთა ყურადღებას.¹²⁴ 3. ორი სატრანსპორტო საშუალების მოთხოვნა 4. მეკობრეობისაგან განსხვავებით საზღვაო ტერორიზმი შეიძლება ჩადენილ იქნეს ნებისმიერ საზღვაო ზონაში.
--	---

1.5. საზღვაო შეიარაღებული ძარცვა

საზღვაო შეიარაღებული ძარცვის ცნების ჩამოყალიბებისა და მეკობრეობისგან მისი გამიჯვნის უმთავრესი ფაქტორი არის დანაშაულის ჩადენის ადგილი.¹²⁵ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია საზღვაო შეიარაღებულ ძარცვას განმარტავს როგორც ძალადობის, დაპატიმრების ან ძარცვის უკანონო ქმედებას ან ამ ქმედებების ჩადენის მუქარას, რომელიც არ წარმოადგენს მეკობრეობას, მიმართულია გემის ან ამ გემის ბორტზე მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ და ხორციელდება სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ წყლებში, კერძოდ, შიდა წყლებში, არქიპელაგურ წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში და ნებისმიერ ქმედებას, რომელიც წარმოადგენს ზემოთაღწერილი ქმედებების განხორციელების წაქეზებას ან განზრახ დახმარებას.¹²⁶ აღსანიშნავია, რომ ეს განმარტება გაზიარებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, რომელმაც მიიღო უპრეცედენტო ზომები სომალელ მეკობრეებთან საბრძოლველად. მაგალითად, უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში

¹²³ იხ. მაგალითად, Modzhoryan LA, *Terrorism at Sea, The Struggle of the State to Ensure the Safety of Maritime Navigation* (Moscow 1991), 227-230; Knyazeva NA, Korobeev AI, 'Maritime Terrorism and Piracy: The Threat to Maritime Security', (2015) 6(6) *Mediterranean Journal of Social Sciences*, 229; Hong N, Adolf KY, 'The International Legal Instruments in Addressing Piracy and Maritime Terrorism: A Critical Review', (2010) 27(1) *Research in Transportation Economics*, 51; Shah HAR, *A Legal Analysis of Piracy and Armed Robbery at Sea in the Straits of Malacca: The Malaysian Perspective* (Birmingham 2013), 105.

¹²⁴ იხ. Shah HAR, *A Legal Analysis of Piracy and Armed Robbery at Sea in the Straits of Malacca: The Malaysian Perspective* (Birmingham 2013), 106; Nussio E, Bohmelt T, Bove V, 'Do Terrorists Get the Attention They Want? Comparing Effects of Terrorism Across Europe', (2021) 85(3) *Public Opinion Quarterly*, 900.

¹²⁵ იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 5; ასევე იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A.1025(26) (2009) ((მიღების თარიღი 02/12/2009); საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია Code of Practice for the Investigation of Crimes of Piracy and Armed Robbery Against Ships), მუხლი 2 (მიღების თარიღი 22/01/2002).

¹²⁶ იხ. Logina A, *The International Law Related to Maritime Security: An Analysis of its Effectiveness in Combating Piracy and Armed Robbery Against Ships* (World Maritime University 2009), 42.

#1816 ტერიტორიულ ზღვაში ჩადენილი მსგავსი ქმედებები მოხსენიებულია როგორც საზღვაო შეიარაღებული ძარცვა.¹²⁷ მსგავსი განმარტება არის მოცემული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებშიც, სადაც საზღვაო შეიარაღებული ძარცვა განმარტება როგორც გემების წინააღმდეგ ძალადობის ან დაკავების ნებისმიერი უკანონო ქმედება, მათი განადგურება ან ამ ქმედებების ჩადენის მუქარა, რომელიც არ წარმოადგენს მეკობრეობას, მიმართულია გემების ან მათ ბორტზე მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ და ხორციელდება სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში.¹²⁸ მეკობრეობისაგან განსხვავებით, საზღვაო შეიარაღებული ძარცვა არ არის უნივერსალური იურისდიქციის დანაშაული.¹²⁹

ასევე მეკობრეობისაგან განსხვავებით, საზღვაო შეიარაღებული ძარცვის ობიექტური მხარე, რომელიც მოიცავს მუქარას, არ მოითხოვს დანაშაულის დასრულებულად ჩადენას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოიცავს დანაშაულის ჩადენის მცდელობას ან მომზადებას.¹³⁰

საზღვაო შეიარაღებული ძარცვა, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, მიმართულია გემის, გემზე მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ.¹³¹ მეკობრეობისაგან განსხვავებით, საზღვაო შეიარაღებული ძარცვის განმარტება არ შეიცავს ორი სატრანსპორტო საშუალების მოთხოვნას, რაც ნიშნავს იმას, რომ საზღვაო შეიარაღებული ძარცვა შეიძლება ჩადენილ იქნას ერთი გემის ბორტზეც.¹³²

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულებები საზღვაო შეიარაღებული ძარცვის მოტივთან დაკავშირებით.¹³³ ვფიქრობ, საზღვაო შეიარაღებული ძარცვის მოტივის ძალზე ფართო განმარტება, რომელიც, მათ შორის, მოიცავს პოლიტიკური მოტივით ჩადენილ ქმედებებს, შლის იმ ზღვარს რომელიც არსებობს საზღვაო შეიარაღებულ ძარცვასა და საზღვაო ტერორიზმს შორის. საზღვაო შეიარაღებული ძარცვის უმთავრესი მიზანი სწორედ ფინანსური, პირადი სარგებლის მიღებაა და ისინი მეკობრეების მსგავსად ცდილობენ

¹²⁷ იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1816(2008) (მიღების თარიღი 02/06/2008).

¹²⁸ იხ. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია Code of Practice for the Investigation of Crimes of Piracy and Armed Robbery Against Ships), მუხლი 2, პუნქტი 2.2 (მიღების თარიღი 22/01/2002); Logina A, *The International Law Related to Maritime Security: An Analysis of its Effectiveness in Combating Piracy and Armed Robbery Against Ships* (World Maritime University 2009), 42.

¹²⁹ იხ. Bunga GA, 'The Regulation of Piracy and Armed Robbery at Sea in International Law', (2020) 9(3) Jurnal Hukum dan Peradilan, 433.

¹³⁰ იხ. Logina A, *The International Law Related to Maritime Security: An Analysis of its Effectiveness in Combating Piracy and Armed Robbery Against Ships* (World Maritime University 2009), 44.

¹³¹ იქვე, 43-45.

¹³² იქვე, 47.

¹³³ იქვე, 45-47.

მაქსიმალურად აარიდონ თავი ყურადღების ცენტრში მოქცევას, იყენებენ რა მხოლოდ იმ საშუალებებს, რაც აუცილებელია მათი მიზნის მისაღწევად.¹³⁴

1.6. დასკვნა

წარმოდგენილი ანალიზი მიუთითებს, რომ დანაშაულების შესახებ არსებული არაერთგვაროვანი შეხედულებებისა და პრაქტიკის მიუხედავად, საზღვაო ტერორიზმის, მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია. საზღვაო ტერორიზმი უმთავრესად პოლიტიკური მოტივით განპირობებული დანაშაულია, მაშინ როდესაც მეკობრეობის ჩადენა ხდება პირადი მიზნებით. აღნიშნულ დანაშაულებს შორის არსებული განსხვავება უკავშირდება ასევე ორი სატრანსპორტო საშუალების მოთხოვნას.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო შეიარაღებული ძარცვა ხშირად განიხილება როგორც მეკობრეობის დანაშაულის ქვეკატეგორია, რეალურად აქ საუბარი გვაქვს ორ განსხვავებულ დანაშაულზე, რაც ცალსახად უარყოფს შეხედულებას მეკობრეობის სამართლის საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე გავრცელების შესახებ.

¹³⁴ იხ. Shah HAR, *A Legal Analysis of Piracy and Armed Robbery at Sea in the Straits of Malacca: The Malaysian Perspective* (Birmingham 2013), 106.

თავი 2: საზღვაო ტერორიზმი, როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაული

2.1. საერთაშორისო დანაშაულის ცნება და საზღვაო ტერორიზმის

საერთაშორისო დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემა

თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართალში არ არსებობს საერთაშორისო დანაშაულის ერთგვაროვანი განმარტება.¹³⁵ საერთაშორისო დანაშაულის ცნების შემადგენელი ელემენტების შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობის ფონზე ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას საკითხი თუ რომელი დანაშაულები შედის დანაშაულთა ამ კატეგორიაში.¹³⁶ მაშინ როდესაც რომის სტატუტში შემავალი დანაშაულები *ipso facto* განიხილება საერთაშორისო დანაშაულებად,¹³⁷ საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო დანაშაულად კვალიფიკაცია დღემდე სადავოა სამეცნიერო ლიტერატურაში.¹³⁸ საზღვაო ტერორიზმის მაგალითზე ხასგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ დანაშაულის საერთაშორისო ხელშეკრულებაში შეტანა ავტომატურად არ ქმნის მას საერთაშორისო დანაშაულად.¹³⁹ დღეისათვის, როდესაც არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რაიმე საერთაშორისო სასამართლო ორგანოს შექმნას, რომელიც გაავრცელებდა თავის იურისდიქციას

¹³⁵ იხ. ზოგადად, Hiéramente M, 'The Myth of 'International Crimes': Dialectics and International Criminal Law', (2011) 3(2) Goettingen Journal of International Law, 557; Stahn C, *A Critical Introduction to International Criminal Law* (Cambridge 2019), 16-18; Sciriha BJ, *International Crimes: An Analysis of Selected Crimes in International Law and Other Criminal Practices* (University of Malta 2005); Sutto M, 'International Crimes', CoESPU-Center of Excellence for Stability Police Unites <<https://www.coespu.org/articles/core-international-crimes>>.

¹³⁶ იხ. Greenwalt AKA, 'What is an International Crime?', Kevin Jon Heller, Fred Megret, Sarah Nouwen, Jens David Ohlin, Darryl Robinson (eds), *The Oxford Handbook of International Criminal Law* (OUP 2020), 2.

¹³⁷ იხ. ზოგადად, Randhawa SH, 'International Criminalization and the Historical Emergence of International Crimes', (2022) 14(3) International Theory, 461; ასევე იხ. Bassiouni MC, 'International Crimes: The Ratione Materiae of International Criminal Law', M. Cherif Bassiouni (ed), *International Criminal Law* (Martinus Nijhoff Publishers 2008); Cassese A, Gaeta P, 'Cassese's International Criminal Law', Antonio Cassese, Paola Gaeta, Laurel Baig, Mary Fan, Christopher Gosnell, Alex Whiting (eds), (OUP 2013); O'Keefe R, *International Criminal Law* (OUP 2015).

¹³⁸ იხ. Saul B, 'The Legal Relationship Between Terrorism and Transnational Crime', (2017) 17(3) International Criminal Law Review, 1-26; Ambos K, Timmermann A, 'Terrorism and Customary International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2020), 27-30; Bassiouni MC, 'Perspectives on International Terrorism', M. Cherif Bassiouni (ed), *International Criminal Law* (Martinus Nijhoff Publishers 2008), 697, 726; Cassese A, Gaeta P, 'Cassese's International Criminal Law', Antonio Cassese, Paola Gaeta, Laurel Baig, Mary Fan, Christopher Gosnell, Alex Whiting (eds), (OUP 2013), 148-149; ასევე იხ. ზოგადად, Schwöbel-Patel C, 'The Core Crimes of International Criminal Law', Kevin Jon Heller, Fred Megret, Sarah Nouwen, Jens David Ohlin, Darryl Robinson (eds), *The Oxford Handbook of International Criminal Law* (OUP 2018), 1; Cryer R, Robinson D, Vasiliev S, *An Introduction to International Criminal Law and Procedure* (Cambridge 2019), 334; Karim S, 'Prosecution of Maritime Pirates: The National Court is Dead – Long Live the National Court?', (2014) 32(1) Wisconsin International Law Journal, 78.

¹³⁹ Hiéramente M, 'The Myth of 'International Crimes': Dialectics and International Criminal Law', (2011) 3(2) Goettingen Journal of International Law, 556.

საზღვაო ტერორიზმზე სავარაუდო დამნაშავეთა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით, ¹⁴⁰ ანტიტერორისტული ხელშეკრულებების აღსრულება მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოთა ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობებზე და ზოგადად, მათ მზაობაზე საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოებთან დამნაშავეთა დევნისა და დასჯის კუთხით. ¹⁴¹ ამდენად, საერთაშორისო ანტიტერორისტული ხელშეკრულებები ძირითადად ეყრდნობა არაპირდაპირი აღსრულების სისტემას (indirect enforcement system). ¹⁴²

1989 წელს ვენის სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციამ სცადა საერთაშორისო დანაშაულების განსაზღვრა და ისინი დაყო ორ ძირითად კატეგორიად: ა) საერთაშორისო დანაშაულები „*stricto sensu*“ - დანაშაულები, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების შესაბამისად და ითვალისწინებენ პირთა ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; ბ) საერთაშორისო დანაშაულები „*lato sensu*“- წესები, რომლებიც მართალია აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ, მაგრამ მათი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეფუძნება სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობას. ¹⁴³

მაშინ, როდესაც საერთაშორისო დანაშაულების ცნება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ¹⁴⁴ აღნიშნული ნაწილის მიზნებისთვის შემოთავაზებულია თეზისი, რომ დანაშაულის საერთაშორისო დონეზე კრიმინალიზაცია არის აუცილებელი ელემენტი დანაშაულის საერთაშორისო დანაშაულად განხილვისათვის. ¹⁴⁵

საერთაშორისო დანაშაულის ცნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის ფონზე, სადოქტორო ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია გამოვყოთ საერთაშორისო დანაშაულების ძირითადი ელემენტები. აღნიშნული, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია რათა განვსაზღვროთ საზღვაო

¹⁴⁰ იხ. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 25-26.

¹⁴¹ იხ. Bassiouni MC, 'The Penal Characteristics of Conventional International Criminal Law', (1983) 15(1) Case Reserve Journal of International Law, 29.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ იხ. 'XIV INTERNATIONAL CONGRESS OF PENAL LAW', International Association of Penal Law (2-7.10.1989) <<https://www.penal.org/sites/default/files/files/RICPL%201989.pdf>>; Greenwalt AKA, 'What is an International Crime?', Kevin Jon Heller, Fred Megret, Sarah Nouwen, Jens David Ohlin, Darryl Robinson (eds), *The Oxford Handbook of International Criminal Law* (OUP 2020), 2.

¹⁴⁴ ამასთან დაკავშირებით პროფესორი ალექსანდერ გრინვალტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დანაშაულების არსებობა დიდი ხანია არ არის სადავო, საერთაშორისო სამართალს აქვს ერთგვარი იდენტობის კრიზისი ამ დანაშაულების განსაზღვრასთან დაკავშირებით. იხ. Greenwalt AKA, 'The Pluralism of International Criminal Law', (2011) 86(3) Indiana Law Journal, 1073.

¹⁴⁵ იხ. ზოგადად, Randhawa SH, 'International Criminalization and the Historical Emergence of International Crimes', (2022) 14(3) International Theory 462.

ტერორიზმის, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედების, ბუნება.

სადოქტორო ნაშრომის მიზნებისათვის გამოვიყენებთ საერთაშორისო დანაშაულის ფორმალისტურ განმარტებას, რომელიც მოიცავს ორ მთავარ ასპექტს: ა) საერთაშორისო დანაშაული როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო ან ჩვეულებითი სამართლით აკრძალული ქმედება; ბ) საერთაშორისო დანაშაული როგორც ქმედება, რომელიც იწვევს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართალში.¹⁴⁶

2.1.1. საერთაშორისო დანაშაული როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო ან ჩვეულებითი სამართლით აკრძალული ქმედება

სადოქტორო ნაშრომის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია საერთაშორისო დანაშაული განვმარტოთ ისეთ ქმედებებად, რომლებიც კრიმინალიზებულია საერთაშორისო სახელშეკრულებო ან ჩვეულებითი სამართლის მიერ.¹⁴⁷ მიუხედავად იმისა, რომ SUA კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები იძლევა საზღვაო ტერორიზმის შეზღუდულ განმარტებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნული დოკუმენტები არ ითვალისწინებენ რაიმე საერთაშორისო სასამართლო ორგანოს შექმნას დანაშაულის დევნისათვის.¹⁴⁸

2.1.2. საერთაშორისო დანაშაული როგორც ქმედება, რომელიც იწვევს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართალში

ჩვეულებრივ საერთაშორისო დანაშაული არის ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართალში.¹⁴⁹ ამ განმარტებას იზიარებს საერთაშორისო სისხლის სამართლის ცნობილი პროფესორი, რობერტ კრაიერი, რომელიც საერთაშორისო დანაშაულების ცნებას იყენებს მხოლოდ იმ დანაშაულების აღსანიშნავად, რომლებზეც საერთაშორისო სასამართლოებს ან ტრიბუნალებს მინიჭებული აქვთ იურისდიქცია

¹⁴⁶ იხ. Cassese A, *International Criminal Law* (OUP 2003), 23.

¹⁴⁷ იხ. Hiéramente M, 'The Myth of 'International Crimes': Dialectics and International Criminal Law', (2011) 3(2) Goettingen Journal of International Law, 556; 'International Crimes – Introduction', ASSER INSTITUTE <https://www.asser.nl/nexus/international-criminal-law/international-crimes-introduction/#_ftn8>.

¹⁴⁸ იხ. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 25-26.

¹⁴⁹ იხ. ზოგადად, Hiéramente M, 'The Myth of 'International Crimes': Dialectics and International Criminal Law', (2011) 3(2) Goettingen Journal of International Law, 556.

ზოგადი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.¹⁵⁰ აღნიშნულ განმარტებას იზიარებს პროფესორი ალექსანდრო ჩეტმანი, რომელიც საერთაშორისო დანაშაულებად განიხილავს მხოლოდ იმ დანაშაულებს, რომლებიც იწვევენ პასუხისმგებლობას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, რაც განასხვავებს მათ შიდა ან ტრანსნაციონალური დანაშაულებისაგან.¹⁵¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისერტაციის მომდევნო ქვეთავებში საზღვაო ტერორიზმი განხილული იქნება არა როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო დანაშაული, არამედ საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. აღნიშნულ ქვეთავებში მოხდება როგორც საერთაშორისო, ისე შიდა პრაქტიკის შესწავლა საზღვაო ტერორიზმის კრილში, რომელიც წარმოაჩენს, რომ საზღვაო ტერორიზმი, როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, სულ უფრო მეტად განიხილება როგორც საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის, რაც აუცილებელს ხდის სავარაუდო დამნაშავეების ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების შექმნას საერთაშორისო დონეზე.

2.2. საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხისათვის

2.2.1. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი

ვინაიდან დღესდღეობით საზღვაო ტერორიზმი ობიექტურად არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ საერთაშორისო დანაშაულად, უპრიანია, განვიხილოთ საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც წარმოაჩენს, რომ ეს დანაშაული სულ უფრო მეტად განიხილება როგორც საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.

სანამ აღნიშნული პრაქტიკის განხილვას შევუდგებით, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თუ როგორ განმარტავს საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ცნებას. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ თანამედროვე ეტაპზე ეს ცნება განიმარტება ძალზე ფართოდ და მოიცავს არა მხოლოდ „წმინდა საერთაშორისო ხასიათის აქტებს“, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, არამედ თუნდაც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი საზარელი და ფართომასშტაბიანი დარღვევები შეიძლება ჩაითვალოს ამგვარ

¹⁵⁰ იხ. Cryer R, Friman H, Robinson D, Wilmhurst E, *An Introduction to International Criminal Law and Procedure* (Cambridge 2014), 4.

¹⁵¹ იხ. Chehtman A, 'A Theory of International Crimes: Conceptual and Normative Issues', Kevin Jin Heller et al (eds), *The Oxford Handbook of International Criminal Law* (OUP 2017), 3.

საფრთხედ, რასაც ადგილი ჰქონდა ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტერიტორიაზე.¹⁵² ამრიგად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით საერთაშორისო სისტემის ყველა აქტორს, მათ შორის, სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანოებსა და ინდივიდებს ეკისრებათ გარკვეული ვალდებულებები საერთაშორისო სამართალში.¹⁵³

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოება სულ მცირე 1937 წლიდან მოყოლებული ებრძვის საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემას, 9/11-ის მოვლენებმა აჩვენა, რომ ამ დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა შეუძლებელი იყო გლობალური ძალისხმევის გარეშე.¹⁵⁴ ამდენად, როგორც ავტორები მიუთითებენ, სწორედ აქედან იწყება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის დაწყების პერიოდი (*global war on terror*).¹⁵⁵ სწორედ საერთაშორისო ტერორიზმზე, როგორც გლობალურ საფრთხეზე საპასუხოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1373, სადაც პირდაპირ აღნიშნულია, რომ ისეთი დანაშაული როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.¹⁵⁶ საინტერესოა, რომ აღნიშნული რეზოლუცია აღიარებს სახელმწიფოთა ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებას ტერორისტული თავდასხმის შემთხვევაში, რომელიც განმტკიცებულია გაეროს წესდებით.¹⁵⁷ უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო ტერორიზმის კვალიფიკაცია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ამ ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებული, სისტემური პრაქტიკის ნაწილია, რაც დასტურდება შემდეგი რეზოლუციებით - 1269 (1999), 1333 (2000) და 1363 (2000).¹⁵⁸

აღნიშნული ქვეთავის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ უშიშროების საბჭოს პრაქტიკა საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში. ზოგადად, უშიშროების საბჭოს პრაქტიკა არ არის მდიდარი საზღვაო ტერორისტულ აქტებთან

¹⁵² იხ. Vidmar J, 'Norm Conflicts and Hierarchy in International Law: Towards a vertical International Legal System', Jure Vidmar, Erika De Wet (eds), *Hierarchy in International Law: The Place of Human Rights* (OUP 2012), 68; Синякин ИИ, 'Терроризм как Международное Преступление', (2009) 3, Московский Журнал Международного Права, 124.

¹⁵³ იხ. Soltani R, Moradi R, 'The Evolution of the Concept of International Peace and Security in Light of UN Security Council Practice (End of the Cold War – Until Now)', (2017) 7(1) Open Journal of Political Science, 133.

¹⁵⁴ იხ. Trapp KN, 'Terrorist Actors as Catalysts of International Law Development', (2012) UCL, Faculty of Law, 1.

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1373 (2001) (მიღების თარიღი 28/09/2001).

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები S/RES/1269 (1999) (მიღების თარიღი 19/10/1999); S/RES/1333 (2000) (მიღების თარიღი 19/12/2000); S/RES/1363 (2001) (მიღების თარიღი 30/10/2001); Perez-Leon-Acevedo JP, 'Terrorism at Sea as a Manifestation of International Terrorism and Prosecutorial Mechanisms', (2016) 2(2) Anuário Brasileiro de Direito Internacional, 140.

დაკავშირებით, თუმცა, მას მიღებული აქვს მთელი რიგი რეზოლუციები და ანგარიშები სომალის სანაპიროს მახლობლად მეკობრეობასთან დაკავშირებით.¹⁵⁹ აქ იზადება კითხვა: როგორ უკავშირდება უშიშროების საბჭოს პრაქტიკა მეკობრეობასა და საზღვაო შეიარაღებულ ძარცვასთან დაკავშირებით საზღვაო ტერორიზმს? უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების ყოვლისმომცველი ანალიზი აჩვენებს, რომ მეკობრეობის პრობლემასთან გამკლავების დროს გაეროს მიზანია გადაჭრას ზოგადად საზღვაო უსაფრთხოების პრობლემა სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმების, მათ შორის, საზღვაო უსაფრთხოების საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის გზით.¹⁶⁰ უშიშროების საბჭოს მიერ მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული აქტების, კვალიფიკაცია შეგვიძლია გავავრცელოთ საზღვაო ტერორიზმზეც, ვინაიდან გაეროს უშიშროების საბჭოს განმარტებით მეკობრეობა თავისთავად ხელს უწყობს ისეთ საზღვაო დანაშაულებს როგორებიცაა: კორუფცია, ტერორიზმი და სხვა დანაშაულები, რის გამოც გაეროს საბოლოო მიზანია განჭვრიტოს და განიხილოს ოპტიმალური საშუალებები საზღვაო სფეროსთან დაკავშირებული ყველა საფრთხის წინააღმდეგ.¹⁶¹ უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ნაწილი ეხება ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვას. რეზოლუციაში 1540 (2004) გაცხადებულია უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება „მიიღოს სათანადო და ეფექტიანი ზომები საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ნებისმიერი ხელყოფის წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეულია ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელებით და მათი მიწოდების საშუალებებით“.¹⁶² როგორც საზღვაო უსაფრთხოების ცნობილი ექსპერტი ბრაიან ვილსონი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუცია 1540 არ განსაზღვრავს ზღვაში დევნის რაიმე უფლებამოსილებას ან არ ახსენებს საზღვაო გარემოს, ის ხელს უწყობს საზღვაო უსაფრთხოების დაცვას.¹⁶³ აღნიშნული რეზოლუცია მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო: ა) მაშინ, როდესაც მასობრივი განადგურების იარაღის კონტექსტში არსებული საერთაშორისო

¹⁵⁹ იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუციები S/RES/2500 (2019) (მიღების თარიღი 04/12/2019); S/RES/2383 (მიღების თარიღი 07/11/2017); S/RES/2125 (2013) (მიღების თარიღი 18/11/2013); S/2021/920 (მიღების თარიღი 03/11/2021).

¹⁶⁰ იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები S/RES/2500 (2019) (მიღების თარიღი 04/12/2019); S/RES/2383 (მიღების თარიღი 07/11/2017); S/RES/2125 (2013) (მიღების თარიღი 18/11/2013); S/2021/920 (მიღების თარიღი 03/11/2021); ასევე იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 50.

¹⁶¹ იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/2383 (მიღების თარიღი 07/11/2017); S/2017/859 (მიღების თარიღი 12/10/2017); Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 50-51.

¹⁶² იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1540 (2004) (მიღების თარიღი 28/04/2004); Wilson B, 'The Turtle Bay Pivot: How the United Nations Security Council is Reshaping Naval Pursuit of Nuclear Proliferators, Rogue States, and Pirates', (2018) 33(1) Emory International Law Review, 54.

¹⁶³ იქვე.

ხელშეკრულებები უმთავრესად ფოკუსირებულია სახელმწიფოთა როლზე (თუნდაც სახელმწიფოების მიერ აღნიშნული იარაღის შექმნის პოტენციალის გამო), რეზოლუცია აქცენტირდება არასახელმწიფო აქტორებზეც.¹⁶⁴ რეზოლუციით შემოთავაზებულია ზომები მასობრივი განადგურების იარაღის მიწოდების საშუალებებთან საბრძოლველად, რომელიც მოიცავს ეფექტიანი ფიზიკური დაცვის ზომებს, სასაზღვრო კონტროლის ზომებს, სახელმწიფოთა თანამშრომლობას ეროვნული ექსპორტისა და გადაზიდვის კონტროლის კუთხით და ა.შ.¹⁶⁵ ბ) რეზოლუციით სახელმწიფოებისათვის შემოთავაზებულია ზომები მასობრივი განადგურების იარაღის მიწოდების საშუალებებთან ეფექტიანი ბრძოლის კუთხით, რომელიც, *inter alia*, მოიცავს ეფექტიანი ფიზიკური დაცვის ზომებს, სასაზღვრო კონტროლს, სახელმწიფოთა თანამშრომლობას ეროვნული ექსპორტისა და გადაზიდვის კონტროლის კუთხით და სხვ.¹⁶⁶ გ) აღნიშნული რეზოლუციის უპირატესობაა ასევე ისიც, რომ რეზოლუციით გათვალისწინებულია კომიტეტის შექმნა, რომლის მთავარი ამოცანაა უშიშროების საბჭოსთვის მოხსენებების წარდგენა რეზოლუციის შესრულების შესახებ.¹⁶⁷

საერთაშორისო პრაქტიკაში საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმს, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, განსაკუთრებით უსვამს ხაზს ე.წ. ახალი თაობის ანტიტერორისტული ხელშეკრულებები (კერძოდ, ტერორისტული დამომბვების აკრძალვის კონვენცია და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კონვენცია), რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან დებულებებს ექსტრადიციის რეჟიმის გაძლიერების კუთხით.¹⁶⁸ სხვა კონვენციებისაგან განსხვავებით, ამ ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ყველაზე მნიშვნელოვანი განვითარება არის ის, რომ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ უარი თქვან ექსტრადირებაზე იმ მოტივით, რომ ჩადენილი დანაშაული ატარებს პოლიტიკურ ხასიათს.¹⁶⁹

საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო ტერორიზმის, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კონცეფციის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი მიუძღვის ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალსაც. კერძოდ, გალიჩის საქმეში, სადაც გენერალი გალიჩი პასუხისმგებელი იყო სარაევოში მშვიდობიანი მოსახლეობის მიზანში ამოღებისა (sniping) და დაბომბვისთვის, ტრიბუნალს უნდა

¹⁶⁴ იხ. Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 67-68.

¹⁶⁵ იხ. Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 67-68.

¹⁶⁶ იქვე.

¹⁶⁷ იქვე.

¹⁶⁸ იხ. Stephens T, 'International Criminal Law and the Response to International Terrorism', (2017) 27(2) *UNSW Law Journal*, 472.

¹⁶⁹ იქვე.

განესაზღვრა რამდენად ხვდებოდა ტერორი ტრიბუნალის იურისდიქციაში.¹⁷⁰ საგულისხმოა, რომ ტრიბუნალის სტატუტი არ ვრცელდებოდა ტერორიზმის დანაშაულზე.¹⁷¹ ეს იყო პირველი საქმე, სადაც ტრიბუნალმა მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორი მიიჩნია დამოუკიდებელ ომის დანაშაულად, რომელიც ხვდებოდა სტატუტის მე-3 მუხლის მოქმედების ქვეშ და შესაბამისად, იწვევდა ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.¹⁷²

საერთაშორისო ტერორიზმის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განმარტების საკითხი იქნა გაჟღერებული ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის მიერ საქმეში პროკურორი აიაშის წინააღმდეგ.¹⁷³ ეს საქმე კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად განხილვის მზარდ პრაქტიკას საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ აიაშის საქმეზე ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის მიერ შემოთავაზებული საერთაშორისო ტერორიზმის განმარტება არის ინოვაციური და ეფუძნება ფართოდ გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკას, აღნიშნული განმარტება შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად მხოლოდ სახელმწიფოთა შიდა სამართალში მისი ფართო იმპლემენტაციის შემდეგ.¹⁷⁴

რაც შეეხება (გაეროს) გენერალურ ასამბლეას, 1946 წელს აღნიშნულმა ორგანომ მიიღო პირველი რეზოლუცია მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებით, რომელმაც დააარსა ატომური ენერგიის კომისია, რათა ამ ორგანოს მოემზადებინა კონკრეტული წინადადებები ბირთვული იარაღის კონტროლის, ატომური ან მასობრივი განადგურებისთვის ადაპტირებული ყველა სხვა იარაღის ლიკვიდაციის

¹⁷⁰ იხ. ზოგადად, Paredi L, 'The War Crime of Terror: An Analysis of International Jurisprudence', (2015) Icd Brief, 2.

¹⁷¹ იხ. ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) სტატუტი (მიღების თარიღი: 25/05/1993).

¹⁷² იხ. ზოგადად, Paredi L, 'The War Crime of Terror: An Analysis of International Jurisprudence', (2015) Icd Brief, 1-2; ასევე იხ. *Prosecutor v. Stanislav Galic*, ICTY, IT-98-29-T, Judgment and Opinion, 5 December 2003.

¹⁷³ *Prosecutor v Ayyash (Interlocutory Decision on the Applicable Law)*, STL-11-01/PT/T26, Special Tribunal for Lebanon (STL), 16 February 2011; 'Summary of Appeal Judgment in *Prosecutor v. Hassan Habib Merhi and Hussein Hassan Oneissi*', ICC Legal Tools Database (10.03.2022) <https://www.legal-tools.org/doc/his62c>; Ventura MJ, 'Terrorism According to the STL's Interlocutory Decision on the Applicable Law: A Defining Moment or a Moment of Defining?', (2011) 9(5) Journal of International Criminal Justice, 1021; *Terrorism, Conspiracy, Homicide, Perpetration, Cumulative Charging, Interlocutory Decision on the Applicable Law*, App no STL-11-01/1 (STL, 16 February 2011) § 139; Perez-Leon-Acevedo JP, 'Terrorism at Sea as a Manifestation of International Terrorism and Prosecutorial Mechanisms', (2016) 2(2) Anuário Brasileiro de Direito Internacional, 142

¹⁷⁴ Karim S, 'Prosecution of Maritime Terrorists: the Role of National Courts in Ensuring Accountability', 21st Annual Conference of the Australian and New Zealand Society of International Law (2013.07.04 – 2013.07.06) < <https://eprints.qut.edu.au/61554/>>.

შესახებ.¹⁷⁵ 1995 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია საერთაშორისო ტერორიზმის აღკვეთის ღონისძიებების შესახებ, სადაც გენერალური ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო ტერორიზმის აღკვეთის ღონისძიებების შესახებ დეკლარაციის მიღება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით.¹⁷⁶ ამ რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა საერთაშორისო ტერორიზმის ყველა ფორმასთან და მათ შორის საზღვაო ტერორიზმთან მიმართებით პირდაპირ მიუთითებს, რომ მათი აღკვეთა ემსახურება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას.¹⁷⁷ ასამბლეა თავის უახლეს რეზოლუციებში ხაზს უსვამს ფუნდამენტურ კავშირს ტერორიზმსა და ადამიანის უფლებების დარღვევებს შორის და იწვევს სახელმწიფოებო ორგანოების წარმომადგენლებს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს და სხვა უფლებამოსილ პირებს თავიანთი მანდატის ფარგლებში სათანადო ყურადღება დაუთმონ ტერორიზმის ნეგატიურ გავლენას ადამიანის უფლებებზე.¹⁷⁸

მთლიანობაში გაეროს ორგანოების მიერ საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად კვალიფიკაციას აქვს რამდენიმე კონცეპტუალური და პრაქტიკული ასპექტი. პირველ რიგში, ეს კვალიფიკაცია მიუთითებს იმაზე, რომ ტერორიზმი თავისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით უნდა იყოს დაგმოვნილი და უნდა დაექვემდებაროს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.¹⁷⁹ მეორე რიგში, საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის ყველა სახის მატერიალური, ლოჯისტიკური და სხვა სახის დახმარება უნდა იყოს ყოველმხრივ დაგმოვნილი და დასჯილი.¹⁸⁰ საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში აღნიშნული შეიძლება უკავშირდებოდეს საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებას ტერორისტების გადასაყვანად.¹⁸¹ მესამე, ასეთი კვალიფიკაცია ასევე უკავშირდება სახელმწიფოთა მოვალეობას ითანამშრომლონ საერთაშორისო ასპარეზზე საერთაშორისო ტერორიზმის აქტების წინააღმდეგ საბრძოლველად.¹⁸² მეოთხე რიგში, მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა მიერ ეროვნული კანონმდებლობებისა და პრაქტიკის საერთაშორისო ანტიტერორისტულ ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანა და როგორც გაეროს მიერ

¹⁷⁵ იხ. 'International Day for the Total Elimination of Nuclear Weapons', United Nations (26.09.2024) <<https://www.un.org/en/observances/nuclear-weapons-elimination-day#:~:text=It%20was%20the%20subject%20of,weapons%20adaptable%20to%20mass%20destruction>>.

¹⁷⁶ იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/49/60 (მიღების თარიღი 17/02/1995).

¹⁷⁷ იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/49/60 (მიღების თარიღი 17/02/1995).

¹⁷⁸ იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/78/210 (მიღების თარიღი 22/12/2023).

¹⁷⁹ იხ. Demirci SR, 'The Role of the United Nations in the Fight Against Terrorism', Miharrem Hilmi Ozev, Aydin Erdogan (eds), *The United Nations and Its Conflict Resolution Role* (Istanbul University Press 2019), 99.

¹⁸⁰ იქვე.

¹⁸¹ იხ. ზოგადად, Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 8.

¹⁸² იხ. Demirci SR, 'The Role of the United Nations in the Fight Against Terrorism', Miharrem Hilmi Ozev, Aydin Erdogan (eds), *The United Nations and Its Conflict Resolution Role* (Istanbul University Press 2019), 99.

შემუშავებული ნორმების, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტების დაცვა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.¹⁸³

რაც შეეხება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (შემდგომში IMO) როლს, საგულისხმოა, რომ დანაშაულის მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტების გარდა, რომელთა დეტალური განხილვაც მოხდება მომდევნო თავში, აღნიშნულმა ორგანიზაციამ ასევე მიიღო გარკვეული რეზოლუციები და გაიდლაინები, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ეხება საზღვაო ტერორიზმს.¹⁸⁴ შეიძლება ითქვას, რომ 9/11-ის ტერორისტული აქტების შემდეგ საზღვაო უსაფრთხოება იქცა ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალურ მიმართულებად.¹⁸⁵ ფელისითი ატარდი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო უსაფრთხოება ჩვეულებრივ ნაკლებად მოიაზრებოდა ორგანიზაციის ფორმალურ მანდატში, IMO-ს გარკვეულწილად ყოველთვის ეკისრებოდა საზღვაო ტრანსპორტირების მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება.¹⁸⁶ ზოგადად, IMO-ს როლი ძალზე დიდია საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ჩამოყალიბებაში, რასაც ადასტურებს 9/11-ის ტერორისტული აქტების შემდეგ ამ ორგანიზაციის მიერ მიღებული რეზოლუციები.¹⁸⁷ ის ფაქტი, რომ საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი IMO-სათვის წარმოადგენს მომეტებულ საფრთხეს და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ მიღებული ცირკულარებითაც, რომლებიც სახელმწიფოებისათვის შეიცავენ კონკრეტულ ინსტრუქციებსა და მითითებებს დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის კუთხით.¹⁸⁸

¹⁸³ იხ. Demirci SR, 'The Role of the United Nations in the Fight Against Terrorism', Miharrem Hilmi Ozev, Aydin Erdogan (eds), *The United Nations and Its Conflict Resolution Role* (Istanbul University Press 2019), 99.

¹⁸⁴ იხ. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, 'Terrorism at Sea as a Manifestation of International Terrorism and Prosecutorial Mechanisms', (2016) 2(2) *Anuário Brasileiro de Direito Internacional*, 151.

¹⁸⁵ იქვე. ასევე იხ. ზოგადად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის რეზოლუცია A.1011 (26) (2009) (მიღების თარიღი 26/11/2009).

¹⁸⁶ Attard F, 'IMO's Contribution to International Law Regulating Maritime Security', (2014) 45(4) *Journal of Maritime Law & Commerce*, 493.

¹⁸⁷ იხ. მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის რეზოლუცია რეზოლუცია A. 924 (22) (2001) (მიღების თარიღი 20/11/2001); ასევე იხ. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, 'Terrorism at Sea as a Manifestation of International Terrorism and Prosecutorial Mechanisms', (2016) 2(2) *Anuário Brasileiro de Direito Internacional*, 151.

¹⁸⁸ იხ. მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ცირკულარი MSC.1/Circ.1333/ (2015), აბზაცი 15 (2), (მიღების თარიღი 12/06/2015) (აღნიშნული ცირკულარი სახელმწიფოებისთვის შეიცავს ერთგვარ მითითებას, რომ საზღვაო უსაფრთხოების სხვა საკითხებთან და მათ შორის, საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებით არსებული მექანიზმები უნდა იყოს ინკორპორირებული ინციდენტების მართვის სისტემაში, რათა შესაძლებელი იყოს შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენება); საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ცირკულარი MSC/Circ.1104 (2004) (მიღების თარიღი 15/01/2004) (ცირკულარი ეხება გარკვეულ ზომებს SOLAS CHAPTER XI-2-ისა და ISPS კოდექსის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით); საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ცირკულარი

დისერტაციის ამ ნაწილში მნიშვნელოვანია გამოვყოთ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) როლიც საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად შესაძლო კვალიფიკაციის კუთხით. ვფიქრობ, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის და მათ შორის, საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიარება გარკვეულწილად გამომდინარეობს როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებიდან, ისე ორგანიზაციის პრაქტიკიდან. 9/11-ის შემზარავი ტერორისტული აქტების შემდეგ, 2001 წლის 12 სექტემბერს, ნატომ გამოაქვეყნა პრესრელიზი, რომელშიც ორგანიზაციამ ღიად განაცხადა თავისი განზრახვა გამოეყენა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი კოლექტიური თავდაცვის შესახებ, რაც იყო პირველი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც ნატომ გამოიყენა მე-5 მუხლი წევრ-სახელმწიფოზე თავდასხმის საპასუხოდ.¹⁸⁹ საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში, გამოვყოფდი ოპერაციას "Sea Guardian", რომელიც დაიწყო ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში.¹⁹⁰ აღნიშნული ოპერაცია მიზნად ისახავს ხმელთაშუა ზღვის რეგიონში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას, რათა მოხდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება.¹⁹¹ ოპერაცია, რომელიც მოიცავს ხმელთაშუა ზღვის პატრულირებას, ჩვეულებრივ განიხილება კოლექტიური თავდაცვის უფლების რეალიზაციად ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად.¹⁹²

MSC/Circ.1073 (2003) (მიღების თარიღი 10/06/2003) (ცირკულარი საზღვაო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული აქტების და მათ შორის, საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში მიზნად ისახავს გემების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის აქტებთან ეფექტიან ბრძოლას და შეიცავს მითითებებს საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრებისთვის); საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ცირკულარი MSC/Circ.754 (1996) (მიღების თარიღი 05/07/1996) (ცირკულარი ითვალისწინებს ზომებს საერთაშორისო მარშუტის განმახორციელებელი სამგზავრო ბორნებისთვის, ისევე როგორც ამ მარშუტებზე მომუშავე პორტებისათვის); ასევე იხ. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, 'Terrorism at Sea as a Manifestation of International Terrorism and Prosecutorial Mechanisms', (2016) 2(2) Anuário Brasileiro de Direito Internacional, 152-153.

¹⁸⁹ იხ. Grady BC, 'Article 5 of the North Atlantic Treaty: Past, Present, and Uncertain Future', (2002) 31:167 Georgia Journal of International and Comparative Law, 169.

¹⁹⁰ იხ. ზოგადად, 'Countering Terrorism', North Atlantic Treaty Organization (25.07.2024) <https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm>; 'Operation Sea Guardian NATO's Maritime Operation in the Mediterranean', Ministry of Defence of Spain <https://emad.defensa.gob.es/en/operaciones/operaciones-en-el-exterior/34-OTAN-SEA-GUARDIAN-Mediterraneo/index.html?__locale=en>.

¹⁹¹ იქვე.

¹⁹² იხ. Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 68.

2.2.2. სახელმწიფოთა შიდა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (საზღვაო)

ტერორიზმთან დაკავშირებით

აღნიშნული ქვეთავის მიზანია განიხილოს შესაბამისი განვითარებები სახელმწიფოთა შიდა სასამართლო პრაქტიკაში (საზღვაო) ტერორიზმთან დაკავშირებით. კერძოდ, წარმოდგენილი ანალიზი მოწმობს, რომ გარდა საერთაშორისო პრაქტიკისა, სადაც საზღვაო ტერორიზმი ჩვეულებრივ განიხილება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, თანამედროვე ეტაპზე შიდა სასამართლოები ცდილობენ რა განსაზღვრონ საერთაშორისო ტერორიზმი მიუთითებენ არსებულ ანტიტერორისტულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც შეიცავენ მითითებას SUA კონვენციასა და მის დამატებით ოქმებზე იმის საჩვენებლად, რომ თანამედროვე ეტაპზე ნამდვილად არსებობს საერთაშორისო ტერორიზმის ჩვეულებითი სამართლით აღიარებული განმარტება ან იყენებენ აღნიშნულ ხელშეკრულებებს კონკრეტული შიდა სასამართლო საქმეების განხილვისას, რაც მოწმობს შიდა სასამართლო პრაქტიკის განვითარებას საზღვაო ტერორიზმის როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ.

ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, განვიხილოთ საქმე სურეში კანადის წინააღმდეგ. საქმის ფაქტობრივი გარემოებები შემდეგია: მანიკავასადამ სურეში იყო ლტოლვილი შრი-ლანკიდან, რომელიც აღიარებულ იქნა ლტოლვილად 1991 წელს და მოითხოვა იმიგრანტის სტატუსი კანადაში.¹⁹³ აღნიშნული თხოვნა სახელმწიფო უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე არ იქნა დაკმაყოფილებული კანადის მთავრობის მიერ, ვინაიდან პირი იყო ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და აქტიურად ახორციელებდა აღნიშნული ორგანიზაციისთვის ფინანსების მოძიებას კანადაში.¹⁹⁴ აღნიშნულის გამო კანადამ დააკავა სურეში და დაიწყო მის მიმართ დეპორტაციის პროცედურა.¹⁹⁵ სურეში ამტკიცებდა, რომ ის არ უნდა გაეძევებინათ, რადგანაც შრი-

¹⁹³ იხ. *Suresh v. Canada*, Supreme Court of Canada, 27790, 1 November 2002; ასევე იხ. Carver PJ, 'Shelter from the Storm: A Comment on *Suresh v. Canada* (Minister of Citizenship and Immigration)', (2002) 40(2) *Alberta Law Review*, 465-492; '*Suresh v. Canada*', Amnesty International (08.03.2017) <https://www.amnesty.ca/legal-brief/suresh-v-canada/>; '*Suresh v. Canada*', International Crimes Database (ICD) <<https://www.internationalcrimesdatabase.org/Case/1152/Suresh-v-Canada/>>.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ იქვე (მართალია სურემს მიღებული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი, მაგრამ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს გამონაკლისს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რაც ასევე აღიარებული იყო კანადის შიდა კანონმდებლობით, კერძოდ, საიმიგრაციო აქტით, რაც იყო პირის მიმართ დეპორტაციის პროცედურის დაწყების უმთავრესი საფუძველი).

ლანკაში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრებოდა წამება.¹⁹⁶ სურეშის საქმე მივიდა კანადის უზენაეს სასამართლომდე.¹⁹⁷

კანადის უზენაესმა სასამართლომ აღიარა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით დეპორტაცია არ ვრცელდებოდა პირის შესაძლო წამების შემთხვევაში,¹⁹⁸ რის გამოც დეპორტაცია უცილობლად გამოიწვევდა კანადის კონსტიტუციის დარღვევას.¹⁹⁹ ამავდროულად სასამართლომ დაასკვნა, რომ სურეში შესაძლოა დაქვემდებარებოდა წამებას შრი-ლანკაში, რის გამოც მას უნდა ესარგებლა შესაბამისი პროცედურული გარანტიებით, რაც არ იყო გარანტირებული კანადის საიმიგრაციო აქტით.²⁰⁰ შესაბამისად, საქმე გადაეცა მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხებში კანადის მინისტრს ხელახლა განსახილველად.²⁰¹ მოცემულ საქმეში სურეში, მათ შორის, ამტკიცებდა, რომ კანადის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ტერმინი „ტერორიზმი“ იყო ბუნდოვანი.²⁰² შესაბამისად, სასამართლო სხვა აქტებთან ერთად დაეყრდნო ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენციას, რომლის დანართი პირდაპირ მიუთითებს 1988 წლის „SUA“ კონვენციასა და მის 1988 წლის ოქმზე და აღნიშნა, რომ ის არ იყო სრულად დარწმუნებული იმაში, რომ ტერორიზმი იმდენად არ იყო განსაზღვრული, რომ ამას შეეძლო ხელი შეეშალა საქმის სასამართლო განხილვისთვის.²⁰³

დიდი ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საქმეში რეგინა მუჰამედ გულის წინააღმდეგ ფაქტობრივი გარემოებები შემდეგია: მუჰამედ გულმა, რომელიც იყო დედოფალ მერის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის

¹⁹⁶ იხ. Carver PJ, 'Shelter from the Storm: A Comment on Suresh v. Canada (Minister of Citizenship and Immigration)', (2002) 40(2) Alberta Law Review, 465-492; 'Suresh v. Canada', Amnesty International (08.03.2017) <<https://www.amnesty.ca/legal-brief/suresh-v-canada/>>; *Suresh v. Canada*, App no 27790 (Supreme Court of Canada, 1 November 2002).

¹⁹⁷ იქვე.

¹⁹⁸ 'Suresh v. Canada', Amnesty International (08.03.2017) <<https://www.amnesty.ca/legal-brief/suresh-v-canada/>>; *Suresh v. Canada*, App no 27790 (Supreme Court of Canada, 1 November 2002) § 75-76; Carver PJ, 'Shelter from the Storm: A Comment on Suresh v. Canada (Minister of Citizenship and Immigration)', (2002) 40(2) Alberta Law Review, 465-492; 'Suresh v. Canada', International Crimes Database (ICD) <<https://www.internationalcrimesdatabase.org/Case/1152/Suresh-v-Canada/>>

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ *Suresh v. Canada*, Supreme Court of Canada, 27790, 1 November 2002; ასევე იხ. Carver PJ, 'Shelter from the Storm: A Comment on Suresh v. Canada (Minister of Citizenship and Immigration)', (2002) 40(2) Alberta Law Review, 465-492; 'Suresh v. Canada', Amnesty International (08.03.2017) <https://www.amnesty.ca/legal-brief/suresh-v-canada/>; 'Suresh v. Canada', International Crimes Database (ICD) <https://www.internationalcrimesdatabase.org/Case/1152/Suresh-v-Canada/>; *Suresh v. Canada*, App no 27790 (Supreme Court of Canada, 1 November 2002).

²⁰¹ იქვე.

²⁰² იქვე.

²⁰³ იქვე (მოცემულ საქმეში არც კანადის საიმიგრაციო აქტი და არც კანადის კანონმდებლობა არ იძლეოდა ტერორიზმის ამომწურავ, ავტორიტეტულ განმარტებას); ასევე იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 58.

სტუდენტი, გამოაქვეყნა ვიდეოები Youtube-ზე, სადაც ნაჩვენები იყო ალ-ქაიდას, თალიბანის და სხვა აკრძალული ჯგუფების თავდასხმები სამხედრო ობიექტებზე, მათ შორის, ჩეჩნეთში განხორციელებული აქტები, ასევე კოალიციის ჯარების შეჭრა ერაყსა და ავღანეთში.²⁰⁴ მას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა ტერორიზმის მხარაჭერისთვის, როგორც ეს განსაზღვრული იყო ტერორიზმის აქტის პირველი პუნქტით და მიესაჯა 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.²⁰⁵ აღნიშნული ნაწილის მიზნებისთვის, ეს საქმე იყო მნიშვნელოვანი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ გააკეთა რა მითითება ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის გადაწყვეტილებაზე „Ayyash“-ის საქმეში აღიარა, რომ არსებობდა ტერორიზმის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული დანაშაული, სულ მცირე, მშვიდობიან პერიოდში.²⁰⁶

აქვე მნიშვნელოვანია საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე აირიენას გაერთიანება ლიბიის წინააღმდეგ, რომელიც უკავშირდება 1989 წელს ტენერზე ფრანგული თვითმფრინავის დაბომბვას, რამაც 170 ადამიანი შეიწირა.²⁰⁷ აღნიშნულ საქმეში 6 ლიბიელი დამნაშავედ იქნა ცნობილი და მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა.²⁰⁸ საქმე ასევე შეეხო სადაზღვევო კომპანიების ინტერესებს, რომლებიც მსჯავრდებულებისა და ლიბიის სახელმწიფოს ხარჯზე დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ.²⁰⁹ საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იქნა გასაჩივრებული საკასაციო სასამართლოში, რომელმაც დაადგინა, რომ ლიბიის წინააღმდეგ მიმართული პრეტენზიები იყო დაუშვებელი, რადგან სახელმწიფოს ჰქონდა იურისდიქციული იმუნიტეტი.²¹⁰ ჩვენი ნაწილის მიზნებისთვის აღნიშნული საქმე არის მნიშვნელოვანი ვინაიდან ის წარმოადგენს კიდევ ერთ საქმეს სახელმწიფოთა შიდა სასამართლო

²⁰⁴ იხ. Trapp KN, ‘R v Mohammed Gul: Are You a Terrorist If You Support Syrian Insurgency’, EJIL:Talk! (14 March 2012) <<https://www.ejiltalk.org/r-v-mohammed-gul-are-you-a-terrorist-if-you-support-the-syrian-insurgency/>>; ასევე იხ. *Regina v. Mohammed Gul*, United Kingdom’s Court of Appeal, 2011/01697/C5, 22 February 2012.

²⁰⁵ იქვე.

²⁰⁶ Trapp KN, ‘R v Mohammed Gul: Are You a Terrorist If You Support Syrian Insurgency’, EJIL:Talk! (14 March 2012) <<https://www.ejiltalk.org/r-v-mohammed-gul-are-you-a-terrorist-if-you-support-the-syrian-insurgency/>>; ასევე იხ. *Regina v. Mohammed Gul*, United Kingdom’s Court of Appeal, 2011/01697/C5, 22 February 2012 ასევე იხ. Weatherall T, ‘The Status of the Prohibition of Terrorism in International Law: Recent Developments’, (2015) 46(2) Georgetown Journal of International Law, 605-609.

²⁰⁷ Нагорная ИИ, ‘Ответственность за Терроризм по Международному Уголовному Праву (Аналитический Обзор)’, Елена Алферова (ред), *Международный Терроризм и Право: Современные Зарубежные Исследования Сборник Обзоров и Рефератов* (Москва 2017), 165-166; ასევე იხ. *La Réunion Aérienne and ors v Libya*, France Court of Cessation, 09-14743, 9 March 2011.

²⁰⁸ იქვე.

²⁰⁹ იქვე.

²¹⁰ იქვე.

პრაქტიკიდან, სადაც საერთაშორისო ტერორიზმის აკრძალვა აღიარებული იქნა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმად.²¹¹

საქმეში ფლანაგანი ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ მოსარჩელები არიან იემენში ალ-ქაიდას მიერ აშშ-ს საზღვაო ძალების გამანადგურებლის „U.S.S. Cole“-ის დაბომბვისას დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები.²¹² კერძოდ, 2010 წელს აღნიშნულმა პირებმა, როგორც მოსარჩელებმა, მიმართეს აშშ-ს შიდა სასამართლოებს უცხო ქვეყნის სუვერენული იმუნიტეტების აქტის შესაბამისად სირიის, ირანის, სუდანის და რამდენიმე მათი აგენტისა და პოლიტიკური ქვედანაყოფის წინააღმდეგ.²¹³ მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ თითოეული მოპასუხე მხარე, მათ შორის, სუდანი თავის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეულების მეშვეობით, უზრუნველყოფდა ალ-ქაიდას მატერიალურ დახმარებას, რომელიც, მათ შორის, მოიცავდა სწავლებას, დაფინანსებასა და ლოჯისტიკურ დახმარებას, რის შედეგადაც ალ-ქაიდამ შეძლო „U.S.S. Cole“-ის წინააღმდეგ თავდასხმის განხორციელება.²¹⁴

განსახილველ საქმეში სასამართლოს უნდა დაედგინა იყო თუ არა ხომალდზე განხორციელებული თავდასხმა დანაშაული (Extrajudicial Killing) უცხოური იმუნიტეტების აქტის შესაბამისად.²¹⁵ სასამართლომ ჩათვალა, რომ ხომალდის მიმართ ჩადენილი საზღვაო ტერორისტული აქტი ხვდებოდა უცხოური იმუნიტეტების აქტით მოცემულ დეფინიციაში (Extrajudicial Killing), ვინაიდან ხომალდის წინააღმდეგ განხორციელებული საზღვაო ტერორისტული აქტები მოიცავდა მკვლელობებს, ხოლო მათ განსახორციელებლად საჭირო იყო სათანადო კოორდინაცია და დაგეგმვა, რაც მიუთითებდა განხორციელებული აქტების განზრახ ხასიათზე.²¹⁶

²¹¹ იქვე. ასევე იხ. Weatherall T, 'The Status of the Prohibition of Terrorism in International Law: Recent Developments', (2015) 46(2) Georgetown Journal of International Law, 611.

²¹² იხ. *Flanagan v. Islamic Republic of Iran*, District Court, District of Columbia, 2010-1643, 3 June 2016; ასევე იხ. 'United States, Jurisprudence Related to the Bombing of the U.S.S. Cole', International Committee of the Red Cross <<https://casebook.icrc.org/case-study/united-states-jurisprudence-related-bombing-uss-cole>>.

²¹³ იქვე.

²¹⁴ იხ. *Flanagan v. Islamic Republic of Iran*, District Court, District of Columbia, 2010-1643, 3 June 2016; ასევე იხ. 'United States, Jurisprudence Related to the Bombing of the U.S.S. Cole', International Committee of the Red Cross <<https://casebook.icrc.org/case-study/united-states-jurisprudence-related-bombing-uss-cole>>.

²¹⁵ იქვე. ასევე იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 58.

²¹⁶ იხ. 'United States, Jurisprudence Related to the Bombing of the U.S.S. Cole', International Committee of the Red Cross <https://casebook.icrc.org/case-study/united-states-jurisprudence-related-bombing-uss-cole>; *Flanagan v. Islamic Republic of Iran*, App no 2010-1643 (District Court, District of Columbia, 3 June 2016); ასევე იხ. 'United States, Jurisprudence Related to the Bombing of the U.S.S. Cole', International Committee of the Red Cross <https://casebook.icrc.org/case-study/united-states-jurisprudence-related-bombing-uss-cole>; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the

ალ-ნაშირის საქმეში აზდ ალ-რაჰიმ ჰუსეინ მუჰამედ ალ-ნაშირი დაკავებული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გუანტანამოს ყურეში გემების დაბომბვის რამდენიმე მცდელობის გამო, მათ შორის, "U.S.S. Cole"-ისა და „M/V Limburg“-ის ხომალდებზე განხორციელებული დასრულებული დაბომბვის ბრალდებით, რასაც მოჰყვა ეკიპაჟის წევრების სიკვდილი და ფიზიკური დაზიანება.²¹⁷ ამ საქმიდან საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2011 წელს აშშ-ს მთავრობამ მოიწვია სამხედრო კომისია, რათა გაესამართლებინა ალ-ნაშირი საზღვაო ტერორისტული აქტებისთვის.²¹⁸

(საზღვაო) ტერორისტული აქტებისთვის შიდა სახელმწიფო დონეზე პირთა სამართლებრივი დევნის კიდევ ერთი მაგალითია ალ-დარბის საქმე. აღნიშნულ საქმეში აჰმედ მოჰამედ აჰმად ჰაზა ალ-დარბი, არის საუდის არაბეთის მოქალაქე, რომელმაც გაატარა სულ მცირე 3,5 წელი აშშ-ს პატიმრობაში, რის შემდეგაც მოხდა მისი გადაცემა საუდის არაბეთისთვის.²¹⁹ აღნიშნულმა პირმა, რომელსაც ბრალი ედებადა ხომალდ ლიმბურგზე განხორციელებულ საზღვაო ტერორისტულ აქტში, თავისი დანაშაული აღიარა სამხედრო კომისიის წინაშე.²²⁰ საგულისხმოა, რომ ბრალდებული დათანხმდა პროკურორებთან თანამშრომლობას და, როგორც ლიტერატურაში არის აღნიშნული, სავარაუდოდ მისცა ჩვენება თანამემამულე ბრალდებულის ალ-ნაშირის წინააღმდეგ.²²¹

საქმის ში ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ფაქტობრივი გარემოებები შემდეგია: ში ლეი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც მუშაობდა სეიშელში რეგისტრირებულ სათევზაო გემზე „Full Means 2“. ²²²

Jurisdiction of the International Criminal Court?’, (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 58.

²¹⁷ იხ. *IN RE AL-NASHIRI*, United States Court of Appeals, 15-1023, 30 August 2016; ასევე იხ. ‘United States, Jurisprudence Related to the Bombing of the U.S.S. Cole’, International Committee of the Red Cross <<https://casebook.icrc.org/case-study/united-states-jurisprudence-related-bombing-uss-cole>>.

²¹⁸ იქვე. ასევე იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, ‘Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?’, (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 58.

²¹⁹ იხ. ‘US Releases Saudi Guantanamo Bay Prisoner Ahmed Al-Darbi’, BBC (3 May 2018) <<https://www.bbc.com/news/world-us-canada-43984683>>; Savage C, ‘Guantánamo Detainee Pleads Guilty in 2002 Attack on Tanker Off Yemen’, The New York Times (20 February 2014) <<https://www.nytimes.com/2014/02/21/us/guantanamo-detainee-ahmed-muhammed-haza-al-darbi.html>>; ‘Will Trump Release a Saudi Prisoner from Guantanamo?’, NBC News (15 February 2018) <<https://www.nbcnews.com/news/military/will-trump-release-prisoner-guantanamo-n848341>>; ასევე იხ. *United States v. Ahmed Mohammed Ahmed Haza Al Darbi*, Office of Military Commissions, MC Form 458, January 2007.

²²⁰ იხ. Savage C, ‘Guantánamo Detainee Pleads Guilty in 2002 Attack on Tanker Off Yemen’, The New York Times (20 February 2014) <<https://www.nytimes.com/2014/02/21/us/guantanamo-detainee-ahmed-muhammed-haza-al-darbi.html>>.

²²¹ იქვე.

²²² Papastavridis E, ‘Maritime Terrorism in International Law’, Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 71; ასევე იხ. *United States v. Shi*, United States Court of Appeals, 525 F.3d 709, 24 April 2008.

დანაშაულის ჩადენის დროს გემი ნაოსნობდა ღია ზღვაში.²²³ აღნიშნული საქმე ეხება ში ლეის მიერ გემის კაპიტნისა და კაპიტნის თანაშემწის მკვლელობას, რის შემდეგაც მან გემის კურსი შეცვალა ჩინეთისკენ.²²⁴ საბოლოოდ პირი იქნა დაკავებული გემის ეკიპაჟის წევრების მიერ.²²⁵ ამ საქმეში აშშ-მ SUA კონვენციისა და თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გაასამართლა პირი და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა.²²⁶ ამ საქმიდან საინტერესოა ის გარემოება, რომ შიმ წარადგინა შუამდგომლობა გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე ამტკიცებდა რა რომ მისი დაკავება SUA კონვენციისა და აღნიშნული კონვენციის საიმპლემენტაციო სტატუტის საფუძველზე იყო უკანონო, რადგანაც კონვენცია როგორც „წმინდა“ ანტიტერორისტული ინსტრუმენტი არ ვრცელდებოდა მის მიერ ჩადენილ ქმედებაზე.²²⁷ იმის დასტურად, რომ კონვენცია მხოლოდ ტერორისტულ აქტებზე ვრცელდებოდა შიმ მიუთითა პროფ. მაღვინა ჰალბერსტამის რამდენიმე მნიშვნელოვან პუბლიკაციაზე.²²⁸ თუმცა, რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონვენციასა და მის საიმპლემენტაციო სტატუტში არ იყო პირდაპირი მითითება ტერორიზმის შესახებ, ორივე ინსტრუმენტი კრძალავდა ძალადობას გემზე მყოფი პირის მიმართ, თუ აღნიშნულ ქმედებას სავარაუდოდ შეეძლო გემის უსაფრთხო ნაოსნობისთვის საფრთხის შექმნა, ასევე გემის იძულებით დაუფლება.²²⁹ ამდენად, სასამართლომ ში დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა მას 36 წლიანი პატიმრობა.²³⁰

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაღნიშნული საქმეები ერთგვარად მოწმობს შიდა სასამართლო პრაქტიკის განვითარებას საზღვაო ტერორიზმის, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ეტაპზე რთულია იმაზე საუბარი თუ რამდენად სრულად იქნა სამართლიანობა მიღწეული საზღვაო ტერორიზმის შიდა სასამართლო დევნის თვალსაზრისით. თანამედროვე ეტაპზე გარკვეულწილად ჩანს, რომ საზღვაო ტერორისტული აქტების შედეგად

²²³ Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 71; ასევე იხ. *United States v. Shi*, United States Court of Appeals, 525 F.3d 709, 24 April 2008.

²²⁴ იხ. Kontorovich E, 'United States v. Shi', (2009) 103(4) *American Journal of International Law*, 734-740; Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 71.

²²⁵ Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 71.

²²⁶ იქვე.

²²⁷ იხ. Kontorovich E, 'United States v. Shi', (2009) 103(4) *American Journal of International Law*, 735; SUA კონვენციის როგორც „წმინდა“ ანტიტერორისტული ხელშეკრულების შესახებ იხ. Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15 (3) *University of Miami International and Comparative Law Review*, 347.

²²⁸ იქვე.

²²⁹ იქვე.

²³⁰ იქვე.

დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები რიგ შემთხვევაში ვერ იღებენ ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ კუთვნილ თანხას სხვადასხვა პროცედურული მიზეზებიდან გამომდინარე, რასაც შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული პოლიტიკური სარჩულიც. ასე მაგალითად, 2019 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ პროცედურული საფუძვლით გააუქმა 2012 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც “U.S.S. Cole”-ის საზღვაო ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპულ პირთა ოჯახის წევრებს უნდა მიეღოთ თანხა 314, 7 მილიონი დოლარის ოდენობით.²³¹ კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის აღძვრისთვის აუცილებელი იყო მოსარჩელების მიერ ვაშინგტონში არსებული სუდანის საელჩოსთვის შეტყობინება, სუდანის დედაქალაქ ხართუმში შესაბამისი სამთავრობო უწყებების ინფორმირების ნაცვლად.²³² როგორც ლიტერატურაში არის აღნიშნული, მოცემული შემთხვევაში ტრამპის ადმინისტრაციამ ერთგვარად მხარი დაუჭირა სუდანის მთავრობას, რომელიც უარყოფდა სუდანის, როგორც სახელმწიფოს, პასუხისმგებლობას საერთაშორისო ტერორისტული აქტებისთვის და უარყო მისი საელჩოებისთვის გაგზავნილი სასამართლო ცნობების არსებობა.²³³

თანამედროვე ეტაპზე არსებობს ერთგვარი სკეპტიციზმი შიდასასამართლო დონეზე საზღვაო ტერორიზმის დევნის ეფექტიანობის თვალსაზრისით. მაგალითად, თუ ვსაუბრობთ “U.S.S. Cole”-ის წინააღმდეგ განხორციელებულ საზღვაო ტერორისტულ აქტზე, ამ ეტაპზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ 12 პირის იდენტიფიცირება, რომლებიც იყვნენ ჩართული დანაშაულის განხორციელებაში, რაც მოიცავს ფინანსურ, მატერიალურ დახმარებას, დანაშაულის მომზადებაში ან უშუალოდ მის განხორციელებაში დახმარებას.²³⁴ თუმცა, საეჭვოა რამდენად ასახავს ეს ციფრები დამნაშავეთა რეალურ რაოდენობას.²³⁵ ვინაიდან საზღვაო ტერორიზმი წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, მისი შიდა სასამართლო დევნისთვის აუცილებელი წინაპირობაა სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოების თანამშრომლობა, რომელთა მოქალაქეებსაც წარმოადგენენ დამნაშავეები. ამ თვალსაზრისით ლიტერატურაში აშშ-ს მაგალითზე კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, ვინაიდან მიუხედავად აშშ-ს მიერ ტერორისტებზე განხორციელებული რიგი წარმატებული ოპერაციებისა და დამნაშავეთა გასამართლებისა, აშშ-მ ვერ მოახერხა უზრუნველყო პარტნიორ ქვეყნებთან ეფექტიანი თანამშრომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის

²³¹ ob. Hursch J, ‘Sudan Takes Two Big Steps Toward Normalizing Relations: USS Cole and bashir’, Just Security (21 February 2020) <<https://www.justsecurity.org/68760/sudan-takes-two-big-steps-toward-normalizing-relations-uss-cole-and-bashir/>>.

²³² იქვე.

²³³ იქვე.

²³⁴ ob. Erickson P, Loertscher S, Lane DC, Erickson P, ‘Twenty Years After the USS Cole Attack: The Search for Justice’, (2020) 13(10) CTCSENTINEL, 49.

²³⁵ იქვე.

განხორციელებისათვის, რისი შედეგიც იყო ტერორიზმისაგან დაზარალებული პირების ოჯახის წევრებისთვის მხოლოდ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურება.²³⁶

2.2.3. ტერორიზმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა

სასამართლოს იურისდიქციაში

აფრიკის კონტინენტი არის ის ადგილი, სადაც სახელმწიფოები ტრადიციულად ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ გარკვეული ნორმატიული წესრიგი მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებებისა და თუნდაც დასავლური სახელმწიფოების წინააღმდეგობისა და შიდა კანონმდებლობით გაეთვალისწინებინათ საერთაშორისო სამართლით აკრძალულ ქმედებათა ფართო სია კონტინენტის საჭიროებების შესაბამისად.²³⁷ ამის ნათელი მაგალითია აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს, როგორც ისტორიაში პირველი რეგიონული საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქციის მქონე სასამართლოს დაარსება.²³⁸ 1988 წელს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციამ (რომელიც ამჟამად ცნობილია როგორც აფრიკის კავშირი) მიიღო ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული სასამართლოს შექმნას 2004 წელს.²³⁹ 2000 წელს აფრიკის კავშირმა შექმნა აფრიკის მართლმსაჯულების სასამართლო, ხოლო 2005 წელს - აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლო ადამიანისა და ხალხთა უფლებების შესახებ აფრიკული სასამართლოსა და აფრიკის მართლმსაჯულების სასამართლოს შერწყმის შედეგად.²⁴⁰ 2014 წელს აფრიკის კავშირის წევრი სახელმწიფოები შეიკრიბნენ მაღაბოში, სადაც მიღებულ იქნა ოქმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (მაღაბოს ოქმი).²⁴¹ აღნიშნული ოქმი ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული.²⁴² ოქმი ახდენს ტერორიზმის კრიმინალიზაციას და

²³⁶ იხ. Erickson P, Loertscher S, Lane DC, Erickson P, 'Twenty Years After the USS Cole Attack: The Search for Justice', (2020) 13(10) CTCSENTINEL, 50.

²³⁷ იხ. Ba O, 'Exit from Nuremberg to the Hague: The Malabo Protocol and the Pan-African Road to Arusha', (2022) 3(3) Global Studies Quarterly, 1-2.

²³⁸ იქვე.

²³⁹ იხ. Chella J, 'A Review of the Malabo Protocol on the Statute of the African Court of Justice and Human Rights –Part I: Jurisdiction over International Crimes', ILA Reporter (4 January 2021) <<https://ilareporter.org.au/2021/01/a-review-of-the-malabo-protocol-on-the-statute-of-the-african-court-of-justice-and-human-rights-part-i-jurisdiction-over-international-crimes-jessie-chella/>>.

²⁴⁰ იქვე.

²⁴¹ იქვე.

²⁴² ოქმი ძალაში შევა აფრიკის კავშირის თხუთმეტი წევრი-სახელმწიფოს რატიფიკაციის შემდეგ. დღეის მდგომარეობით თხუთმეტმა სახელმწიფომ მოახდინა ოქმის ხელმოწერა რატიფიკაციის გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. Ba O, 'Exit From Nuremberg to the Hague: The Malabo Protocol and the Pan-African Road to Arusha', (2023) 3(3) Global Studies Quarterly, 2, 7; Mystris OD, 'Accountability Before the African Court', Dominique Mystris (ed), *An African Criminal Court The African Union's Rethinking of*

თავის პრეამბულაში ასევე მიუთითებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საჭიროებაზე.²⁴³

ოქმის 28 A (1) მუხლის თანახმად, სასამართლოს აქვს იურისდიქცია თოთხმეტ დანაშაულზე, ესენია: ომის დანაშაულები, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, გენოციდი, ხელისუფლების არაკონსტიტუციური ცვლილების დანაშაული, მეკობრეობა, ტერორიზმი, დაქირავებული საქმიანობა (mercenarism), კორუფცია, ფულის გათეთრება, ადამიანებით ვაჭრობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, სახიფათო ნარჩენებით ვაჭრობა, ბუნებრივი რესურსების უკანონო ექსპლუატაცია და აგრესიის დანაშაული.²⁴⁴ ოქმის 28 G მუხლი გვთავაზობს ტერორიზმის ძალზე ფართო განმარტებას.²⁴⁵

პროფესორი ბენ სოლი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მალაბოს ოქმში მოცემულმა ტერორიზმის ზედმეტად ფართო განმარტებამ შესაძლოა შექმნას გარკვეული პრობლემები კანონიერების პრინციპის დაცვის კუთხით ვინაიდან ოქმი აკეთებს რა ზოგად მითითებას საერთაშორისო და აფრიკის კავშირის სამართალზე, ის არ ცდილობს დანაშაულის ფარგლების მკაფიო განმარტებას.²⁴⁶ ამასთან, ოქმით ტერორიზმის დანაშაულისთვის არ მოითხოვება რაიმე ტრანსნაციონალური ელემენტის არსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ შიდა ტერორისტული აქტებიც შედის აფრიკის სასამართლოს იურისდიქციაში.²⁴⁷ თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მალაბოს ოქმში მოცემული ტერორიზმის განმარტება მოიცავს

International Criminal Justice (Brill 2021), 198; ‘Malabo Protocol: Legal and Institutional Implications of the Merged and Expanded African Court’, Amnesty International (2016) <<https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/05/AFR0130632016ENGLISH.pdf>>; Джума Л, Мезяев АБ, ‘Национальные Системы Уголовного Правосудия в Африке и «Протокол Малабо»’, (2019) 1 Вестник «Тисби» Научно-Информационный Журнал, 192; Владыкина АЮ, ‘Африканский Уголовный Суд: Вопросы Законности и Легитимности’, (2022) 3 Международное Право и Международные Организации, 55; Mystris OD, *Reimagining Criminal Justice Through the Lens of the African Union* (Queen Mary University of London 2018), 28; Нгатеио АШП, ‘Африканский Суд по Правам Человека и Народов: История и Современность’, (2016) 38(24) Научные Ведомости, Серия Философия. Социология. Право, 108.

²⁴³ იხ. ოქმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (მიღების თარიღი: 06/2014), პრეამბულა; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, ‘Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?’, (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 53.

²⁴⁴ ოქმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (მიღების თარიღი: 06/2014), მუხლი 28 A (1).

²⁴⁵ იქვე, მუხლი 28 G.

²⁴⁶ იხ. Saul B, ‘The Crime of Terrorism Within the Jurisdiction of the African Court of Justice and Human and Peoples Rights’, Charles C. Jalloh, Kamari M. Clarke, Vincent O. Nmeihelle (eds), *The African Court of Justice and Human and People’s Rights in Context, Development and Challenges* (Cambridge 2019), 448; ასევე იხ. Saul B, ‘The Crime of Terrorism Within the Jurisdiction of the African Court of Justice and Human Rights: Article 28G of the AU’s Malabo Protocol 2014’, (2016) 16/38 Legal Studies Research Paper, 11.

²⁴⁷ იხ. Saul B, ‘The Crime of Terrorism Within the Jurisdiction of the African Court of Justice and Human Rights: Article 28G of the AU’s Malabo Protocol 2014’, (2016) 16/38 Legal Studies Research Paper, 10; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, ‘Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?’, (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 91.

საზღვაო ტერორიზმის დანაშაულსაც და საინტერესოდ ეხება აღნიშნული დანაშაულის ისეთ ასპექტს როგორცაა ბუნებრივი გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისთვის ზიანის მიყენება.²⁴⁸ საგულისხმოა, რომ ნავთობის და ზოგადად საზღვაო ბუნებრივი რესურსების უკანონო ექსპლუატაცია კონკრეტულ კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული საზღვაო ტერორიზმის დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენელ ნაწილად.²⁴⁹ საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში მაღაბოს ოქმი განსხვავდება SUA კონვენციის 2005 წლის ოქმისაგან, ვინაიდან იგი არ მოიცავს მხოლოდ სერიოზულ გარემოსდაცვით ზიანს.²⁵⁰

პრობლემურია ასევე ოქმის დებულება სახელმწიფოს ოფიციალური პირების იმუნიტეტების შესახებ. კერძოდ, ოქმის 46 A *bis* მუხლი ადგენს რომ არავითარი საქმე არ შეიძლება აღიმდრას აფრიკის კავშირის წევრი-სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, ასევე ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც მოქმედებს ან უფლებამოსილია იმოქმედოს ამ თანამდებობაზე, ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის მიმართ მათი ოფიციალური უფლებამოსილებების შესრულების პერიოდში.²⁵¹ ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია “Human Rights Watch” აღნიშნავს, რომ მაღაბოს ოქმის დებულება იმუნიტეტების შესახებ იწვევს ღრმა შეშფოთებას აფრიკული სასამართლოს მიერ მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით.²⁵² აღნიშნულ ხედვას იზიარებს ორგანიზაცია “Amnesty International”, რომელიც ასევე მიიჩნევს, რომ მაღაბოს ოქმის ნორმა სახელმწიფოს მეთაურებისა და სახელმწიფო მაღალჩინოსნებისთვის ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, რის გამოც ორგანიზაცია მოუწოდებს აფრიკის კავშირის წევრ-სახელმწიფოებს შეიტანონ შესაბამისი ცვლილება ოქმში.²⁵³

²⁴⁸ იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, ‘Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?’, (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 91.

²⁴⁹ იხ. Saul B, ‘The Crime of Terrorism Within the Jurisdiction of the African Court of Justice and Human and Peoples Rights’, Charles C. Jalloh, Kamari M. Clarke, Vincent O. Nmeihelle (eds), *The African Court of Justice and Human and People’s Rights in Context, Development and Challenges* (Cambridge 2019), 428.

²⁵⁰ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 1, ნაწილი 1, პუნქტი (c) (iii) UNTS vol. 3429 (მიღების თარიღი: 14/10/2005; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010); ოქმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (მიღების თარიღი: 06/2014), მუხლი 28 G.

²⁵¹ იხ. ოქმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (მიღების თარიღი: 06/2014), მუხლი 46 Abis.

²⁵² იხ. ‘Statement Regarding Immunity for Sitting Officials Before the Expanded African Court of Justice and Human Rights’, Human Rights Watch (13.11.2014) <<https://www.hrw.org/news/2014/11/13/statement-regarding-immunity-sitting-officials-expanded-african-court-justice-and>>.

²⁵³ იხ. ‘Malabo Protocol: Legal and Institutional Implications of the Merged and Expanded African Court’, Amnesty International (2016), 14 <<https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/05/AFR0130632016ENGLISH.pdf>>.

ვინაიდან პოტენციურად აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლო შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან მექანიზმად საზღვაო ტერორიზმის დანაშაულზე მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით, მნიშვნელოვანია ასევე მოკლედ მიმოვიხილოთ სასამართლოს დროითი, ტერიტორიული და პერსონალური იურისდიქცია, ისევე როგორც იურისდიქციის ამოქმედების ძირითადი გზები. სასამართლოს აქვს იურისდიქცია მხოლოდ ოქმისა და სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე.²⁵⁴ დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მის ერთ-ერთ გემზე ან თვითმფრინავზე; წევრი-სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მსხვერპლის წინააღმდეგ, რომელიც ასევე წევრი-სახელმწიფოს მოქალაქეა; ან წევრი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ.²⁵⁵ პერსონალური იურისდიქცია გულისხმობს სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტში თვრამეტ წელს მიღწეულ პირებზე იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობას.²⁵⁶ არსებობს სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების სამი ძირითადი გზა:²⁵⁷ ა) სახელმწიფოს რეფერალი; ²⁵⁸ ბ) პროკურორის მიერ „*proprio motu*“ გამოძიების დაწყება და გ) აფრიკის კავშირის სახელმწიფოთა მეთაურთა ასამბლეის ან აფრიკის კავშირის მშვიდობისა და უშიშროების საბჭოს რეფერალი.²⁵⁹

²⁵⁴ იხ. ოქმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (მიღების თარიღი: 06/2014), მუხლი 46 E, ნაწილი 1; Mystris OD, 'Accountability Before the African Court', Dominique Mystris (ed), *An African Criminal Court The African Union's Rethinking of International Criminal Justice* (Brill 2021), 198; ასევე იხ. Mystris OD, *Reimagining Criminal Justice Through the Lens of the African Union* (Queen Mary University of London 2018), 200.

²⁵⁵ საგულისხმოა, რომ ოქმი არ გვთავაზობს სასიცოცხლო ინტერესების ცნებას. დომინიკ მისტრისი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლით შექმნილი ერთგვარი ბუნდოვანება ქმნის სახელმწიფოთა მიერ სასიცოცხლო ინტერესებზე მითითებით პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ დებულების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, რასაც პოტენციურად შეუძლია გამოიწვიოს პროცესის პოლიტიზირება და სასამართლოს ლეგიტიმურობის შელახვა. იხ. Mystris OD, 'Accountability Before the African Court', Dominique Mystris (ed), *An African Criminal Court The African Union's Rethinking of International Criminal Justice* (Brill 2021), 199; Mystris OD, *Reimagining Criminal Justice Through the Lens of the African Union* (Queen Mary University of London 2018), 201; ასევე იხ. ოქმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (მიღების თარიღი: 06/2014), მუხლი 46E bis 2(a)-(d) acs.

²⁵⁶ იხ. ოქმი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (მიღების თარიღი: 06/2014), მუხლი 46 D; Mystris OD, 'Accountability Before the African Court', Dominique Mystris (ed), *An African Criminal Court The African Union's Rethinking of International Criminal Justice* (Brill 2021), 199; Mystris OD, *Reimagining Criminal Justice Through the Lens of the African Union* (Queen Mary University of London 2018), 201-202.

²⁵⁷ სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების გზებთან დაკავშირებით ასევე იხ. Mystris OD, 'Accountability Before the African Court', Dominique Mystris (ed), *An African Criminal Court The African Union's Rethinking of International Criminal Justice* (Brill 2021), გვ. 200-203; ასევე იხ. Mystris OD, *Reimagining Criminal Justice Through the Lens of the African Union* (Queen Mary University of London 2018), 202-205.

²⁵⁸ იქვე, მუხლი 46 F (3).

²⁵⁹ იქვე, მუხლი 46 F (2).

მხოლოდ დრო გვიჩვენებს რამდენად ეფექტიანი იქნება აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლო ტერორიზმის დანაშაულზე მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით. ამ ჭრილში დღეისათვის თვალშისაცემია მაღაბოს ოქმის გაჭიანურებული რატიფიკაციის პროცესი, რომელიც 9 წელიწადზე მეტია გრძელდება.²⁶⁰ აღნიშვნის ღირსია აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან.²⁶¹ აღნიშნულის შესახებ მაღაბოს ოქმი არ შეიცავს რაიმე მკაფიო ნორმას, რამაც შესაძლოა შექმნას გარკვეული პრობლემები იმ ვალდებულებების არსებობის გამო, რაც აფრიკის სახელმწიფოებს გააჩნიათ რომის სტატუტის შესაბამისად.²⁶² სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა ასევე მოწმობს დიდ და გავლენიან სახელმწიფოებთან თანამშრომლობის კუთხით არსებულ ერთგვარ სირთულეებს, როდესაც საქმეები განიხილება მათი მოქალაქეების წინააღმდეგ, რაც პოტენციურად შეიძლება იყოს გამოწვევა აფრიკის სასამართლოსთვისაც.²⁶³ პოტენციურად აფრიკის სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შორის თანამშრომლობა შეიძლება დაეფუძნოს კომპლემენტარობის პრინციპს თუ „საქმეს იძიებს ან სისხლის სამართლებრივ დევნას ახორციელებს მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფო“.²⁶⁴

²⁶⁰ იხ. ზოგადად, 'Africa: AU's Malabo Convention Set to Enter Force After Nine Years', Data Protection Africa (19.05.2023) <<https://dataprotection.africa/malabo-convention-set-to-enter-force/>>; Mystris OD, 'Accountability Before the African Court', Dominique Mystris (ed), *An African Criminal Court The African Union's Rethinking of International Criminal Justice* (Brill 2021), 220; Mystris OD, *Reimagining Criminal Justice Through the Lens of the African Union* (Queen Mary University of London 2018), 220-221; Джума Л, Мезяев АБ, 'Национальные Системы Уголовного Правосудия в Африке и «Протокол Малабо»', (2019) 1 Вестник «Тисби» Научно-Информационный Журнал, 192; Владыкина АЮ, 'Африканский Уголовный Суд: Вопросы Законности и Легитимности', (2022) 3 Международное Право и Международные Организации, 55; Нгатеио АШП, 'Африканский Суд по Правам Человека и Народов: История и Современность', (2016) 38(24) Научные Ведомости, Серия Философия. Социология. Право, 108.

²⁶¹ Джума Л, Мезяев АБ, 'Национальные Системы Уголовного Правосудия в Африке и «Протокол Малабо»', (2019) 1 Вестник «Тисби» Научно-Информационный Журнал, 193.

²⁶² იქვე.

²⁶³ იხ. Mystris OD, 'Accountability Before the African Court', Dominique Mystris (ed), *An African Criminal Court The African Union's Rethinking of International Criminal Justice* (Brill 2021), 199.

²⁶⁴ ასევე მაღაბოს ოქმის ხელშემკვერელი სახელმწიფოების სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის სპეციფიკური საკითხები შეიძლება დარეგულირდეს საერთაშორისო ხელშეკრულებების მეშვეობით. იქვე. მუხლი 17, ნაწილი 1; ასევე იხ. Джума Л, Мезяев АБ, 'Национальные Системы Уголовного Правосудия в Африке и «Протокол Малабо»', (2019) 1 Вестник «Тисби» Научно-Информационный Журнал, 193.

2.2.4. სახელმწიფოთა კანონმდებლობებში არსებული ძირითადი ტენდენციები

საზღვაო ტერორიზმის კრიმინალიზაციის კუთხით


მოცემული ნაწილის მიზნებისთვის შესწავლილია 190 სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობების ტენდენციები საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებით.

პირველი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც გამოიკვეთა, მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოთა მზარდი რაოდენობა გახდა 1988 წლის SUA კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ხელშემკვრელი სახელმწიფო. კერძოდ, **2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით**, შესწავლილი სახელმწიფოებიდან **157 სახელმწიფო** ²⁶⁵ წარმოადგენს SUA კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს, **150 სახელმწიფო** ²⁶⁶ წარმოადგენს კონვენციის

²⁶⁵ არაბთა გაერთიანებული საამიროები, ავღანეთი, აზერბაიჯანი, ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ავსტრია, ალბანეთი, ალჟირი, აშშ, ახალი ზელანდია, ანდორა, არგენტინა, ბაჰრეინი, ბანგლადეში, ბენინი, ბოტსვანა, ბურკინა-ფასო, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელორუსი, ბელგია, ბოლივია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბრაზილია, ბრუნეი, ბულგარეთი, გვინეა-ბისაუ, გამბია, გერმანია, განა, გაერთიანებული სამეფო, გვინეა, გრენადა, გვატემალა, გაიანა, დანია, დომინიკის რესპუბლიკა, დომინიკა, ეთიოპია, ესვატინი, ეგვიპტე, ეკვატორული გვინეა, ეკვადორი, ერაყი, ესტონეთი, ესპანეთი, ვანუატუ, ვიეტნამი, თურქეთი, თურქმენეთი, იორდანია, იაპონია, ისრაელი, ინდოეთი, ირანი, ირლანდია, იემენი, ისლანდია, იტალია, იამაიკა, კამბოჯა, კანადა, კაბო ვერდე, კოსტა რიკა, კუბა, კოტ-დივუარი, კონგო, კომოროსი, კვიპროსი, კენია, კირიბატი, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, ლიხტენშტეინი, ლაოსი, ლესოტო, ლიბერია, ლიბია, ლატვია, ლიბანი, მიანმარი, მონღოლეთი, მონაკო, მავრიტანია, მარშალის კუნძულები, მალი, მალტა, მალდივები, მალავი, მადაგასკარი, მექსიკა, მონტენეგრო, მაროკო, მოზამბიკი, ნამიბია, ნაურუ, ნიგერია, ნიდერლანდები, ნიკარაგუა, ნორვეგია, ომანი, პაკისტანი, პალაუ, პარაგვაი, პანამა, პერ, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სომხეთი, სალვადორი, სან მარინო, საო ტომე და პრინსიპი, საუდის არაბეთი, სენეგალი, სერბეთი, სინგაპური, სლოვაკეთი, სლოვენია, სამხრეთ აფრიკა, სენტ კიტსი და ნევისი, სენტ ლუჩია, სენტ ვინსენტი და გრენადინები, სუდანი, სამოა, სეიშელის კუნძულები, საბერძნეთი, სირია, საქართველო, საფრანგეთი, ტაჯიკეთი, ტუნისი, ტოგო, ტონგა, ტრინიდადი და ტობაგო, ტუვალუ, უნგრეთი, უგანდა, უკრაინა, ურუგვაი, უზბეკეთი, ფიჯი, ფილიპინები, ფინეთი, ყატარი, ქუვეითი, ყაზახეთი, შვედეთი, შვეიცარია, შრი ლანკა, ჩრდილოეთ მაკედონია, ჩეხეთი, ჩილე, ჩინეთი, ჯიბუტი, ჰონდურასი.

²⁶⁶ არაბთა გაერთიანებული საამიროები, ავღანეთი, აზერბაიჯანი, ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ავსტრია, ალბანეთი, ალჟირი, აშშ, ახალი ზელანდია, ანდორა, არგენტინა, ბაჰრეინი, ბანგლადეში, ბენინი, ბოტსვანა, ბურკინა-ფასო, ბოლივია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბრაზილია, ბრუნეი, ბულგარეთი, გვინეა-ბისაუ, გერმანია, განა, გაერთიანებული სამეფო, გვინეა, გრენადა, გვატემალა, გაიანა, დანია, დომინიკის რესპუბლიკა, დომინიკა, ესვატინი, ეგვიპტე, ეკვატორული გვინეა, ეკვადორი, ერაყი, ესტონეთი, ესპანეთი, ვანუატუ, ვიეტნამი, თურქეთი, თურქმენეთი, იორდანია, იაპონია, ისრაელი, ინდოეთი, ირანი, ირლანდია, იემენი, ისლანდია, იტალია, იამაიკა, კამბოჯა, კანადა, კაბო ვერდე, კოსტა რიკა, კუბა, კოტ-დივუარი, კონგო, კომოროსი, კვიპროსი, კენია, კირიბატი, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, ლიხტენშტეინი, ლაოსი, ლესოტო, ლიბერია, ლიბია, ლატვია, ლიბანი, მიანმარი, მონღოლეთი, მონაკო, მავრიტანია, მარშალის კუნძულები, მალი, მალტა, მალდივები, მალავი, მადაგასკარი, მექსიკა, მონტენეგრო, მაროკო, მოზამბიკი, ნამიბია, ნაურუ, ნიგერია, ნიდერლანდები, ნიკარაგუა, ნორვეგია, ომანი, პაკისტანი, პალაუ, პარაგვაი, პანამა, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სომხეთი, სალვადორი, სან მარინო, საო ტომე და პრინსიპი, საუდის არაბეთი, სენეგალი, სერბეთი, სინგაპური, სლოვაკეთი, სლოვენია, სამხრეთ აფრიკა, სენტ ლუჩია, სენტ ვინსენტი და გრენადინები, სუდანი, სეიშელის კუნძულები, საბერძნეთი, სირია, საქართველო, საფრანგეთი, ტაჯიკეთი, ტუნისი, ტოგო, ტონგა, ტრინიდადი და ტობაგო, უნგრეთი, უკრაინა, ურუგვაი, უზბეკეთი, ფიჯი, ფილიპინები, ფინეთი, ყატარი, ქუვეითი, ყაზახეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩრდილოეთ მაკედონია, ჩილე, ჩინეთი, ჩეხეთი, ჯიბუტი, ჰონდურასი.

1988 წლის ოქმის ხელშემკვერელ მხარეს, **49 სახელმწიფო** ²⁶⁷ არის 2005 წლის ოქმის ხელშემკვერელი მხარე, ხოლო **44 სახელმწიფო** ²⁶⁸ არის ფიქსირებული პლატფორმების შესახებ 2005 წლის ოქმის ხელშემკვერელი სახელმწიფო. შესწავლილი სახელმწიფოებიდან მხოლოდ **30 სახელმწიფო** ²⁶⁹ არ წარმოადგენს არცერთი ზემოაღნიშნული ინსტრუმენტის ხელშემკვერელ მხარეს, რასაც ძირითადად შეადგენენ არასანაპირო სახელმწიფოები (იხ. დიაგრამა #1).



²⁶⁷ ანტიგუა და ბარბუდა, ავსტრია, ალჟირი, აშშ, ახალი ზელანდია, ბარბადოსი, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, განა, გაიანა, დანია, დომინიკის რესპუბლიკა, ერაყი, ესტონეთი, ესპანეთი, ვანუატუ, თურქეთი, იამაიკა, კუბა, კოტ-დ'ივუარი, კონგო, ლიხტენშტეინი, მავრიტანია, მარშალის კუნძულები, მონტენეგრო, ნაურუ, ნიგერია, ნიდერლანდები, ნიკარაგუა, ნორვეგია, პალაუ, პანამა, პორტუგალია, საუდის არაბეთი, სენტ კიტსი და ნევისი, სენტ ლუჩია, სენტ ვინსენტი და გრენადინები, საბერძნეთი, საფრანგეთი, ტოგო, ურუგვაი, ფიჯი, ფინეთი, ყატარი, ყაზახეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჯიბუტი.

²⁶⁸ ანტიგუა და ბარბუდა, ავსტრია, ალჟირი, აშშ, ახალი ზელანდია, ბარბადოსი, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, განა, დანია, დომინიკის რესპუბლიკა, ესტონეთი, ესპანეთი, ვანუატუ, თურქეთი, იამაიკა, კუბა, კოტ-დ'ივუარი, კონგო, ლიხტენშტეინი, მავრიტანია, მარშალის კუნძულები, მონტენეგრო, ნაურუ, ნიდერლანდები, ნიკარაგუა, ნორვეგია, პალაუ, პანამა, პორტუგალია, საუდის არაბეთი, სენტ ლუჩია, სენტ ვინსენტი და გრენადინები, საბერძნეთი, საფრანგეთი, ურუგვაი, ფიჯი, ფინეთი, ყატარი, ყაზახეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჯიბუტი.

²⁶⁹ ანგოლა, ბელიზი, ბუტანი, ბურუნდი, გაბონი, ერიტრეა, ვატიკანი, ვენესუელა, ზამბია, ზიმბაბვე, ინდონეზია, კოლუმბია, კამერუნი, მოლდოვა, მალაიზია, ნეპალი, პალესტინა, რუანდა, სიერა ლეონე, სამხრეთ სუდან, სურინამი, სოლომონის კუნძულები, სამხრეთ კორეა, ტანზანია, ტაილანდი, ტიმორ-ლესტე, ყირგიზეთი, ჩადი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჰაიტი.

საზღვაო ტერორიზმის, როგორც (სულ მცირე) საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ჭრილში, მეორე მნიშვნელოვანი ტენდენცია უკავშირდება სახელმწიფოთა მზარდი რაოდენობის მიერ სპეციალური ანტიტერორისტული კანონმდებლობების მიღებას, რომლებიც დამატებით განზომილებას სძენს საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად შეფასებას. კერძოდ, შესწავლილი სახელმწიფოებიდან 70 სახელმწიფოს მიღებული აქვს სპეციალური ანტიტერორისტული კანონმდებლობა.²⁷⁰ აღნიშნული ნაწილის მიზნებისათვის განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამ სპეციალური ანტიტერორისტული კანონმდებლობების ნაწილი პირდაპირ მითითებას აკეთებს SUA კონვენციასა და მის დამატებით ოქმებზე ახდენს რა ამ ინსტრუმენტებში მოცემული აქტების კრიმინალიზაციას.²⁷¹ თავის მხრივ, ეს სახელმწიფოები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად (იხ. ცხრილი #6):

²⁷⁰ ავღანეთი, ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბრაზილია, ბრუნეი, კამბოჯა, ჩადი, ჩილე, ჩინეთი, სალვადორი, საქართველო, გაიანა, ინდონეზია, იამაიკა, მავრიკი, ახალი ზელანდია, პერუ, ფილიპინები, პორტუგალია, სენტ კიტსი და ნევისი, სენტ ლუჯია, სენტ ვინსენტი და გრენადინები, სამოა, სეიშელის კუნძულები, სოლომონის კუნძულები, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტანზანია, ტონგა, ტრინიდადი და ტობაგო, თურქეთი, ტუვალუ, ურუგვაი, გაერთიანებული სამეფო, ზამბია, ავღანეთი, ბაჰრეინი, ბანგლადეში, ბელიზი, ბოტსვანა, კოტ-დივუარი, კამერუნი, კვიპროსი, ეგვიპტე, ესვატინი (ყოფილი სვაზილენდი), ეთიოპია, ფიჯი, გამბია, განა, ინდონეზია, ისრაელი, ყაზახეთი, კირიბატი, მადაგასკარი, მალდივები, მარშალის კუნძულები, მიანმარი, ნამიბია, ნაურუ, ნეპალი, ნიგერია, პაკისტანი, პალესტინა, ყატარი, რუმინეთი, საუდის არაბეთი, სირია, არაბთა გაერთიანებული საამიროები.

²⁷¹ ანტიგუა და ბარბუდა, ბარბადოსი, ბელიზი, გაიანა, ესვატინი (ყოფილი სვაზილენდი), ზამბია, იამაიკა, კირიბატი, მარშალის კუნძულები, ნამიბია, ნაურუ, პაკისტანი, სენტ ლუჯია, სენტ ვინსენტი და გრენადინები, სამოა, სოლომონის კუნძულები, ტონგა, ტრინიდადი და ტობაგო, ტუვალუ, ყატარი.

ცხრილი #6: ანტიტერორისტული კანონმდებლობები, რომლებითაც იკრძალება 1988 წლის SUA კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული დანაშაულები

1. სახელმწიფოები, რომლებიც შიდა ანტიტერორისტული კანონების მეშვეობით სრულად კრძალავენ 1988 წლის SUA კონვენციით, მისი 1988 და 2005 წლის დამატებითი ოქმებით გათვალისწინებულ დანაშაულებს.²⁷²

2. სახელმწიფოები, რომლებიც შიდა ანტიტერორისტული კანონების მეშვეობით კრძალავენ 1988 წლის SUA კონვენციითა და მისი 1988 წლის დამატებითი ოქმით გათვალისწინებულ ქმედებებს.²⁷³

²⁷² იხ. ბრუნეი (ანტიტერორისტული ბრძანება, ნაწილი 1 (2. Interpretation), წყარო: Attorney General's Chambers Prime Minister's Office:

https://www.agc.gov.bn/AGC%20Images/LAWS/Gazette_PDF/2011/EN/s045.pdf, მიღების თარიღი: 01/08/2011), 5-12 (Anti-Terrorism order, Part I 2. Interpretation); ნამიბია (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 1, წყარო: Legal Assistance Centre: <http://www.lac.org.na/namlex/Terrorism.pdf>, მიღების თარიღი: 01/07/2014) (Prevention and Combating of Terrorist and Proliferation Activities Act, 2014, section 1); ნაურუ (ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის აღკვეთის აქტი, აზბაცი 3, წყარო: bwcimplementation.org:

<https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/CounterTerrorism.pdf> ასევე იხ. კანონის უახლესი ვერსია 2020 წლის ცვლილებებითურთ:

http://ronlaw.gov.nr/nauru_lpms/files/acts/33679122f594ddc7c6316472a416ad73.pdf, მიღების თარიღი: 2004), 17-18 (Counter Terrorism and Transnational Organised Crime (Amendment) Act, Section 3); სამოა (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 2, წყარო: bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/WS_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf,

გამოქვეყნების თარიღი: 2014, 4-9 (Counter-Terrorism Act, Section 3)); სოლომონის კუნძულები (კონტრტერორისტული აქტი, ნაწილი 1 - (Preliminary), 2, წყარო: National Parliament of Solomon Islands: <https://www.parliament.gov.sb/sites/default/files/legislation/Acts/Counter%20Terrorism%20Act%202009.pdf>,

მიღების თარიღი: 13/07/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 17/07/2009, 7-15 (Counter-Terrorism Act 2009, Part 1 – Preliminary, 2)); ტუვალუ (კონტრტერორისტული და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული აქტი, პუნქტი 4, წყარო: bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/TV_Counter%20Terrorism%20and%20Transnational%20Organised%20Crime%20Act%20Chapter%2010.27_EN.pdf Database:

https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/TV_Counter%20Terrorism%20and%20Transnational%20Organised%20Crime%20Act%20Chapter%2010.27_EN.pdf, მიღების თარიღი: 03/12/2009, 16 (Counter Terrorism and Transnational Organised Crime Act 2009, Section 4)); ყატარი (კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 1, წყარო: State of Qatar, Ministry of Commerce and Industry: <https://www.moci.gov.qa/wp-content/uploads/2021/08/Law-No.-27-of-2019-Promulgating-the-Law-on-Combating-Terrorism.pdf>, მიღების თარიღი: 02/2019), 3 (Law on Combating Terrorism, Article 1).

²⁷³ იხ. ანტიგუა და ბარბუდა (ტერორიზმის პრევენციის აქტი, ნაწილი I. 2. (1), წყარო: International Labour Organization NATLEX: https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=84847, მიღების თარიღი: 09/12/2005, 1-6 (The Prevention of Terrorism Act, 2005. Part I. 2. (1); Part III)); ბაჰამის კუნძულები (ანტიტერორისტული აქტი, კონტრტერორისტული ხელშეკრულებების ცხრილი (პუნქტები 14(1) და 77), წყარო: The Compliance Commission of Bahamas: <https://ccb.finance.gov.bs/wp-content/uploads/2019/10/Anti-Terrorism-Act-2018.pdf>, მიღების თარიღი: 2018), 58 (Anti-Terrorism Act, Sections 14(1) and 77 (schedule); ბარბადოსი (ანტიტერორისტული კანონი, პუნქტი 3, წყარო: International Labour Organization NATLEX: <https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/natlex2/files/download/73338/BRB73338.pdf>, მიღების თარიღი: 30/05/2002), 4 (Anti-Terrorism 2002-6, section 3)); ბელიზი (ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის პრევენციის აქტი, ნაწილი I (Preliminary), წყარო: Central Bank of Belize: [https://www.centralbank.org.bz/docs/default-source/2.5-money-laundering-terrorism\(prevention\)-act/money-laundering-and-terrorism-\(prevention\)-act-revised-edition-2020.pdf?sfvrsn=2d787b95_3](https://www.centralbank.org.bz/docs/default-source/2.5-money-laundering-terrorism(prevention)-act/money-laundering-and-terrorism-(prevention)-act-revised-edition-2020.pdf?sfvrsn=2d787b95_3), მიღების თარიღი: 01/01/2009), 10-33 (Money Laundering and Terrorism (Prevention) Act, Part I, Preliminary); გაიანა

ზემოთაღნიშნული ანტიტერორისტული კანონმდებლობების ნაწილი არა მხოლოდ მიუთითებს SUA კონვენციასა და მის დამატებით ოქმებზე, არამედ ეს დოკუმენტები შეიცავენ ნორმებს საზღვაო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ ქმნიან რა ეფექტიან საიმპლემენტაციო ჩარჩოს საზღვაო ტერორიზმის დანაშაულისათვის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. მაგალითად, ტუვალუს ანტიტერორისტული კანონის 59-ე პუნქტი ახდენს SUA კონვენციაში მოცემული დანაშაულების, ხოლო 60-ე პუნქტი კონვენციის დამატებით ოქმებში მოცემული დანაშაულების კრიმინალიზაციას.²⁷⁴ ასევე ტრინიდადისა და ტობაგოს

(ანტიტერორისტული და ტერორიზმთან დაკავშირებული აქტივობების აკრძალვის აქტი, ნაწილი 1 (Preliminary, 2. Interpretation), წყარო: International Labour Organization NATLEX: https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=102173&cs=1NKyFuutMIgVcLYHowlw1AjF9lOJZVmnW87m6ayDyqDnvoSaB80JCUl6isUflguW0gfxemiKzwtvtoMuwwVGPA, მიღების თარიღი: 01/06/2016), 7-19 (Anti-Terrorism and Terrorist Related Activities Act 2015, Part 1 Preliminary, 2. Interpretation); **ესვატინი** (ტერორიზმის აღკვეთის აქტი, ნაწილი 1 (Preliminary, 2. Interpretation), წყარო: International Labour Organization NATLEX: <https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/natlex2/files/download/107528/SWZ107528%20ACT.pdf>, მიღების თარიღი: 2008), 5 (Suppression of Terrorism Act, 2008. PART I. Preliminary, 2. Interpretation); **ზამბია** (კონტრტერორისტული და გაუვრცელებლობის აქტი, პუნქტი 2(1), წყარო: National Assembly of Zambia: <https://www.parliament.gov.zm/node/11030>, მიღების თარიღი: 14/00/2023), 23 (Anti-Terrorism Act, Part 1 Preliminary); **იამაიკა** (ტერორიზმის პრევენციის აქტი, პუნქტი 3, ცხრილი, წყარო: Ministry of Justice of Jamaica: <https://laws.moj.gov.jm/library/statute/the-terrorism-prevention-act>, მიღების თარიღი: 06/06/2005), 5 (The Terrorism Prevention Act, Section 3, Schedule); **კამბოჯა** (ანტიტერორისტული კანონი, მუხლი 1, წყარო: International Commission of Jurists –ICJ: <https://www.icj.org/wp-content/uploads/2013/04/Cambodia-Law-on-Counter-Terrorism-2007-eng.pdf>; ასევე იხ. International Committee of the Red Cross, მიღების თარიღი: 20/07/2007, 1 (Law on Counter Terrorism, Article 1); **კირიბატი** (ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ აქტი, პუნქტები 3 და 36, წყარო: International Labour Organization NATLEX: https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=84052&cs=1RxOnk04J0KKYkjlAlVROVzi4pacTTEGaOw7qGRma46YYRKQPOL47CPELJLv9apSTIhGz_gtr1S5DSk7TJMxg, მიღების თარიღი: 2005), 10-11 (Measures to Combat Terrorism and Transnational Organised Crime Act, Sections 3 and 36); **მარშალის კუნძულები** (კონტრტერორისტული აქტი, აბზაცი 105, პუნქტი 36, წყარო: bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/MH_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf, მიღების თარიღი: 2002), 11 (Counter-Terrorism Act, Paragraph 105, Section 36); **პაკისტანი** (კონტრტერორისტული კანონი, აბზაცი 6, პუნქტი 3 A, წყარო: National Counter Terrorism Authority (NACTA): <https://nacta.gov.pk/wp-content/uploads/2020/09/Anti-Terrorism-Act.pdf>, მიღების თარიღი: 1997), 7 (The Anti-Terrorism Act, Paragraph 6, Section 3 A); **სენტ ვინსენტი და გრენადინები** (კონტრტერორისტული კანონი, ნაწილი III, წყარო: bwcimplementation.org: <https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism%20Act%202023.pdf>), 24-31 (Anti-Terrorism Act, Part III); **სენტ კიტსი და ნევისი** (კონტრტერორისტული აქტი, ნაწილი I 2 (Interpretation), წყარო: The Law Commission –Ministry of Justice and legal Affairs of Saint Kitts and Nevis: https://lawcommission.gov.kn/wp-content/documents/Revised-Acts-of-St-Kitts-and-Nevis/Revised-Acts-of-St-Kitts-and-Nevis-2020/Ch-04_02-Anti-Terrorism-Act.pdf, მიღების თარიღი: 27/12/2002), 12-13 (Anti-Terrorism Act, Part I 2 (Interpretation).

²⁷⁴ იხ. **ტუვალუ** (კონტრტერორისტული და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული აქტი, პუნქტები 59-60, წყარო: bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/TV_Counter%20Terrorism%20and%20Transnational%20Organised%20Crime%20Act%20Chapter%2010.27_EN.pdf, მიღების თარიღი: 03/12/2009), 40-41 (Counter Terrorism and Transnational Organised Crime Act 2009, Section 4)).

ანტიტერორისტული კანონის მე-3 თავით კრიმინალიზებულია კონვენციური დანაშაულები (Convention Offences). აღნიშნული თავის მე-16 პუნქტი ეთმობა საზღვაო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.²⁷⁵ მსგავსი ნორმა მოცემულია კირიბატის ანტიტერორისტულ კანონშიც.²⁷⁶ სახელმწიფოთა ამ კატეგორიიდან ცალკე გამოვყოფდი ახალი ზელანდიისა და კოტ-დივუარის ანტიტერორისტულ კანონმდებლობებს. ბაჰამის კუნძულების ანტიტერორისტული აქტის 27-ე პუნქტი ეხება საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ აქტებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლი კრძალავს პირის მიერ ბაჰამის კუნძულებზე ან ბაჰამის კუნძულების არქიპელაგურ ან ტერიტორიულ წყლებში რეგისტრირებული გემის უკანონოდ და განზრახ დაკავებას ან კონტროლს ძალით ან მუქარით ან დაშინების სხვა ფორმით; გემზე მყოფი პირის მიმართ ძალადობრივი ქმედების განხორციელებას თუ ეს ქმედება საფრთხეს უქმნის გემის უსაფრთხო ნაოსნობას; გემის განადგურებას ან გემის ან მასზე არსებული ტვირთის დაზიანებას; გემზე ნივთიერების ან მოწყობილობის განთავსებას, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს გემი ან მასზე არსებული ტვირთი; საზღვაო სანავიგაციო ნაგებობების განადგურებას ან მათ სერიოზულად დაზიანებას; იმგვარი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც აშკარად მცდარია და რომლის გავრცელებასაც ადგილი აქვს იმ გარემოებებში, როდესაც ასეთი ინფორმაცია შეიძლება სარწმუნოდ იქნეს მიჩნეული.²⁷⁷ აღნიშნული კანონის 30-ე პუნქტი ეხება ფიქსირებული პლატფორმების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს როგორებიცაა მაგალითად კონტინენტურ შეღწეზე ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ფიქსირებული პლატფორმების დაკავება და კონტროლი ძალით, ძალის მუქარით ან დაშინების სხვა ნებისმიერი ფორმით; ფიქსირებულ პლატფორმაზე მყოფი პირის მიმართ მიმართული ძალადობის აქტები თუ ეს ქმედებები სავარაუდოდ საფრთხეს უქმნიან პლატფორმის უსაფრთხოებას; ფიქსირებული პლატფორმის განადგურება ან დაზიანება, რაც საფრთხეს უქმნის მის უსაფრთხოებას და ა.შ.²⁷⁸ მაგალითად ასევე შეიძლება მოვიყვანოთ სამოას ანტიტერორისტული კანონის 36-ე პუნქტი, რომელიც ასევე ეხება

²⁷⁵ იხ. ტრინიდადი და ტობაგო (კონტერტერორისტული აქტი, თავი 3, პუნქტი 16, წყარო: [bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism-Act-Chap-12-07.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism-Act-Chap-12-07.pdf), ასევე იხ. Central Bank of Trinidad and Tobago: <https://www.central-bank.org.tt/sites/default/files/page-file-uploads/anti-terrorism-act-chap-12.07.pdf>, მიღების თარიღი: 05/01/2015), 28-29 (Anti-Terrorism Act, Chapter III, Section 16).

²⁷⁶ იხ. კირიბატი (ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ აქტი, პუნქტი 36, წყარო: International Labour Organization NATLEX: https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=84052&cs=1RxOnk04J0KKYkjIAIVRO_Vzi4pacTT_EGaOw7qGRma46YYRKQPOL47CPELJLv9apSTIhGz_gtr1S5DSk7TJMXg, მიღების თარიღი: 2005), 10-11 (Measures to Combat Terrorism and Transnational Organised Crime Act, Section 36).

²⁷⁷ იხ. ბაჰამის კუნძულები (ანტიტერორისტული აქტი, პუნქტი, 27), წყარო: The Compliance Commission of Bahamas: <https://ccb.finance.gov.bs/wp-content/uploads/2019/10/Anti-Terrorism-Act-2018.pdf>, მიღების თარიღი: 2018), 58 (Anti-Terrorism Act, Section 27).

²⁷⁸ ბაჰამის კუნძულები (ანტიტერორისტული აქტი, პუნქტი, 27), წყარო: The Compliance Commission of Bahamas: <https://ccb.finance.gov.bs/wp-content/uploads/2019/10/Anti-Terrorism-Act-2018.pdf>, მიღების თარიღი: 2018), 58 (Anti-Terrorism Act, Section 27), პუნქტი 30.

საზღვაო ტერორიზმის დანაშაულის ისეთ გამოვლინებას როგორიცაა გემის ან ფიქსირებული პლატფორმის დაკავება.²⁷⁹ ახალი ზელანდიის ანტიტერორისტული აქტი მართალია არ ახდენს SUA კონვენციაზე პირდაპირ მითითებას, თუმცა ის ახდენს სხვა ანტიტერორისტულ ხელშეკრულებებში მოცემული დანაშაულების კრიმინალიზაციას.²⁸⁰ რაც შეეხება კონტ-დივუარს, ამ სახელმწიფომ 2015 წელს მიიღო სპეციალური ანტიტერორისტული კანონი, რომელშიც მოცემული ტერორიზმის დეფინიცია იმდენად ფართოა, რომ მოიცავს საზღვაო ტერორისტულ აქტებსაც.²⁸¹ მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სალვადორის ანტიტერორისტულ კანონშიც, რომელიც მართალია საკმაოდ ამომწურავად კრძალავს საზღვაო ტერორიზმის დანაშაულს, თუმცა პირდაპირ მითითებას არ აკეთებს SUA კონვენციასა და მის დამატებით ოქმებზე. კერძოდ, ანტიტერორისტული კანონის მე-17 მუხლი კრძალავს საზღვაო სანავიგაციო ობიექტების წინააღმდეგ მიმართულ აქტებს, როგორიცაა მაგალითად, პორტის ობიექტების დაზიანება; ძალადობრივი ქმედებებით ნავსადგურის კონტროლი და სხვ.²⁸² აღნიშნული კანონის მე-18 მუხლი ცალკე არეგულირებს უშუალოდ გემის წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებს როგორიცაა მაგალითად გემის ხელში ჩაგდება და ტერორისტული თავდასხმის განსახორციელებლად მისი გამოყენება, ასევე გემის დაკავება ან მასზე კონტროლის დამყარება ძალადობით და სხვ.²⁸³ კანონის 26-ე მუხლი კი ეხება ფიქსირებული პლატფორმების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებს როგორიცაა მაგალითად ფიქსირებული პლატფორმის დაკავება ან მასზე კონტროლის განხორციელება ძალადობით.²⁸⁴ სალვადორის ანტიტერორისტული კანონის მე-17 მუხლი კრძალავს საზღვაო სანავიგაციო ობიექტების წინააღმდეგ მიმართულ აქტებს, როგორიცაა მაგალითად, პორტის ობიექტების დაზიანება; ძალადობრივი ქმედებებით ნავსადგურის კონტროლი და სხვ.²⁸⁵ აღნიშნული კანონის მე-18 მუხლი ცალკე არეგულირებს უშუალოდ გემის წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებს

²⁷⁹ სამოა (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 36, წყარო: [bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/WS_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/WS_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf), გამოქვეყნების თარიღი: 2014, 4-9 (Counter-Terrorism Act, Section 36)).

²⁸⁰ ახალი ზელანდია (ანტიტერორისტული აქტი, პუნქტი 30 (Investigation and Prosecution of Offences Against Act or Referred to in Conventions), წყარო: Parliament of New Zealand: <https://www.legislation.govt.nz/bill/government/2021/0029/latest/versions.aspx>, მიღების თარიღი: 04/10/2021), 18 (Counter-Terrorism Legislation Act, Section 30).

²⁸¹ იბ. 'Cote D'Ivoire: A Fragile Human Rights Situation', Amnesty International (05/2019) <<https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2023/06/AFR3197142018ENGLISH.pdf>>.

²⁸² იბ. სალვადორი (სპეციალური კანონი ტერორისტული აქტების წინააღმდეგ, მუხლი 17, წყარო: [bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Law%20against%20terrorism%20en.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Law%20against%20terrorism%20en.pdf), მიღების თარიღი: 21/09/2006), 8 (Special Law Against Acts of Terrorism, Article 17).

²⁸³ იქვე, მუხლი 18.

²⁸⁴ იქვე, მუხლი 26.

²⁸⁵ იბ. სალვადორი (სპეციალური კანონი ტერორისტული აქტების წინააღმდეგ, მუხლი 17, წყარო: [bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Law%20against%20terrorism%20en.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Law%20against%20terrorism%20en.pdf), მიღების თარიღი: 21/09/2006), 8 (Special Law Against Acts of Terrorism, Article 17).

როგორცაა მაგალითად გემის ხელში ჩაგდება და ტერორისტული თავდასხმის განსახორციელებლად მისი გამოყენება, ასევე გემის დაკავება ან მასზე კონტროლის დამყარება ძალადობით და სხვ. ²⁸⁶ კანონის 26-ე მუხლი კი ეხება ფიქსირებული პლატფორმების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებს როგორცაა მაგალითად ფიქსირებული პლატფორმის დაკავება ან მასზე კონტროლის განხორციელება ძალადობით. ²⁸⁷

ანტიტერორისტული კანონმდებლობების ნაწილი (საზღვაო) ტერორიზმის დანაშაულის შემთხვევაში ითვალისწინებენ კონტრტერორისტული ხელშეკრულებების და, მათ შორის, SUA კონვენციის გამოყენებას ექსტრადიციის იურიდიულ საფუძველად. როგორც დისერტაციის შემდგომ თავში ვნახავთ, ექსტრადიციის შესახებ მსგავსი ფორმულირება მოცემულია SUA კონვენციაშიც. ამდენად, ანტიტერორისტული კანონმდებლობების მიერ აღნიშნულზე ხაზგასმა ემსახურება SUA კონვენციის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებას. ²⁸⁸ ამასთან, ანტიტერორისტული კანონმდებლობების ნაწილი აღიარებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან ექსტრადიციის პრინციპს, რომელიც ვრცელდება SUA კონვენციითა და მისი 1988 წლის დამატებითი ოქმით გათვალისწინებულ დანაშაულებზე (სამოასა და ტუვალუს შემთხვევაში ასევე 2005 წლის ოქმით გათვალისწინებულ ქმედებებზე). ²⁸⁹

²⁸⁶ სალვადორი (სპეციალური კანონი ტერორისტული აქტების წინააღმდეგ, მუხლი 18, წყარო: bwcimplementation.org;

<https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Law%20against%20terrorism%20en.pdf>, მიღების თარიღი: 21/09/2006), 8 (Special Law Against Acts of Terrorism, Article 18).

²⁸⁷ იქვე, მუხლი 26.

²⁸⁸ იხ. მაგალითად, ანტიგუა და ბარბუდა (ტერორიზმის პრევენციის აქტი, პუნქტი 30, წყარო: International Labour Organization NATLEX: https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=84847, მიღების თარიღი: 09/12/2005, 24-25 (The Prevention of Terrorism Act, 2005, Section 30)); ესვატინი (ტერორიზმის აღკვეთის აქტი, პუნქტი 35, წყარო: International Labour Organization NATLEX: <https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/natlex2/files/download/107528/SWZ107528%20ACT.pdf>, მიღების თარიღი: 2008), 24 (Suppression of Terrorism Act, 2008, Section 35); მარშალის კუნძულები (კონტრტერორისტული აქტი, აბზაცი 114, წყარო: bwcimplementation.org; https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/MH_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf, მიღების თარიღი: 2002), 20 (Counter-Terrorism Act, Paragraph 114); სენტ ვინსენტი და გრენადინები (კონტრტერორისტული კანონი, ნაწილი VII, წყარო: bwcimplementation.org; <https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism%20Act%202023.pdf>), 56-58 (Anti-Terrorism Act, Part VII); ტრინიდადი და ტობაგო (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 29, წყარო: bwcimplementation.org; <https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism-Act-Chap-12.07.pdf>, ასევე იხ. Central Bank of Trinidad and Tobago: <https://www.central-bank.org.tt/sites/default/files/page-file-uploads/anti-terrorism-act-chap-12.07.pdf>, მიღების თარიღი: 05/01/2015), 65 (Anti-Terrorism Act, Section 29); წმინდა ლუსია (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 28, წყარო: Attorney Generals Chambers: <http://attorneygeneralchambers.com/laws-of-saint-lucia/anti-terrorism-act/section-28>, მიღების თარიღი: 2022 (Anti-Terrorism Act, Section 28).

²⁸⁹ იხ. მაგალითად, ბარბადოსი (ანტიტერორისტული კანონი, პუნქტი 11, წყარო: International Labour Organization NATLEX: <https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/natlex2/files/download/73338/BRB73338.pdf>, მიღების თარიღი: 30/05/2002), 12-13 (Anti-Terrorism 2002-6, section 11)); სამოა (კონტრტერორისტული

საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში მნიშვნელოვანი ტენდენცია უკავშირდება სახელმწიფოთა ანტიტერორისტული კანონმდებლობების მიერ ტერორიზმის შედარებით ზოგადი, აბსტრაქტული დეფინიციის შემოთავაზებას, რომელიც თავისი შინაარსით იმდენად ფართოა, რომ მოიცავს საზღვაო ტერორიზმის სხვადასხვა გამოვლინებებს.²⁹⁰ მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს

აქტი, პუნქტი 58, წყარო: bwcimplementation.org:

https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/WS_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf,

გამოქვეყნების თარიღი: 2014, 39 (Counter-Terrorism Act, Section 58)); **ტუვალუ** (კონტრტერორისტული და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული აქტი, პუნქტი 86,

წყარო: bwcimplementation.org:

https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/TV_Counter%20Terrorism%20and%20Transnational%20Organised%20Crime%20Act%20Chapter%2010.27_EN.pdf; მიღების თარიღი: 03/12/2009), 53

(Counter Terrorism and Transnational Organised Crime Act 2009, Section 86)).

²⁹⁰ **ავსტრალია** (კონტრტერორისტული კანონმდებლობის ცვლილების პროექტი: Counter-Terrorism Legislation Amendment (Prohibited Hate Symbols and Other Measures) Bill 2023', Parliament of Australia მიღების თარიღი: 10/10/2023), 18

<https://parlinfo.aph.gov.au/parlInfo/download/legislation/billsdgs/9412680/upload_binary/9412680.pdf>);

ახალი ზელანდია (ანტიტერორისტული აქტი, პუნქტი 4 (Investigation and Prosecution of Offences Against Act or Referred to in Conventions), წყარო: Parliament of New Zealand:

<https://www.legislation.govt.nz/bill/government/2021/0029/latest/versions.aspx>, მიღების თარიღი: 04/10/2021), 5 (Counter-Terrorism Legislation Act, Section 4); **ავღანეთი** (კანონი ტერორისტულ

დანაშაულებთან ბრძოლის შესახებ, მუხლები 3 და 8, წყარო: VERTIC: http://www.vertic.org/media/National%20Legislation/Afghanistan/AF_Law_on_Combat_against_Terrorist_Offences.pdf, მიღების თარიღი: 30/07/2008), 1-4 (Law on Combat Against Terrorist Offences, Article 1 and 4);

ბაჰამის კუნძულები (ანტიტერორისტული აქტი, პუნქტი 14), წყარო: The Compliance Commission of Bahamas: <https://ccb.finance.gov.bs/wp-content/uploads/2019/10/Anti-Terrorism-Act-2018.pdf>, მიღების

თარიღი: 2018), 17-18 (Anti-Terrorism Act, Section 14); **ბრაზილია** (კანონი No. 13.260, მუხლი 2, წყარო: Laws on Countering Terrorism Worldwide:

https://counterterrorlaw.info/assets/downloads/Brazil_Law_13.260_on_Terrorism_%282016%29.pdf, მიღების

თარიღი: 16/03/2016), 1-2 (Law No. 13.260, Article 2); **ბრუნეი** (ანტიტერორისტული ბრძანება, ნაწილი 1 (2. Interpretation), წყარო: Attorney General's Chambers Prime Minister's Office:

https://www.agc.gov.bn/AGC%20Images/LAWS/Gazette_PDF/2011/EN/s045.pdf, მიღების თარიღი: 01/08/2011), 5-12 (Anti-Terrorism order, Part I 2. Interpretation); **გაიანა** (ანტიტერორისტული და

ტერორიზმთან დაკავშირებული აქტივობების აკრძალვის აქტი, ნაწილი 1 (Preliminary, 2. Interpretation), წყარო: International Labour Organization NATLEX:

https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=102173&cs=1NKy_FuutMIgVcLYHowlw1AjF9IOJZ_VmnW87m6ayDyqDnvoSaB80JCUL6isUfJguW0gxfemiKzwvtvoMuwwVGPA, მიღების თარიღი: 01/06/2016),

7-19 (Anti-Terrorism and Terrorist Related Activities Act 2015, Part 1 Preliminary, 2. Interpretation); **გაერთიანებული სამეფო** (ტერორიზმის პრევენციისა და საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ აქტი,

პუნქტი 30, წყარო: legislation.gov.uk: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2011/23/section/30>, მიღების

თარიღი: 2011) (Terrorism Prevention and Investigation Measures Act, Section 30); **გამბია** (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 48, წყარო: VERTIC:

http://www.vertic.org/media/National%20Legislation/Gambia/GM_Anti-Terrorism_Act.pdf, მიღების

თარიღი: 2002), 20 (Anti-Terrorism Act, Section 48); **განა** (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 2, წყარო: Ministry of the Interior Republic of Ghana: <https://www.mint.gov.gh/wp-content/uploads/2017/06/Anti-Terrorism-Act-2008-Act-762.pdf>, მიღების თარიღი: 2008), 3-4 (Anti-Terrorism Act, Section 2); **ეგვიპტე**

(კონტრტერორისტული კანონი, მუხლი 1, წყარო: Atlantic Council: https://www.atlanticcouncil.org/wp-content/uploads/2015/09/Egypt_Anti-Terror_Law_Translation.pdf, მიღების თარიღი: 15/08/2015), 2 (Anti-Terrorism Law, Article 1); **ეთიოპია** (პროკლამაცია No. 652/2009, პუნქტი 3, წყარო: International Labour Organization NATLEX, მიღების თარიღი: 28/08/2009), 3-4 (Proclamation No. 652/2009, Anti-Terrorism

Proclamation, Article 3); **ინდონეზია** (ტერორიზმის პრევენციის აქტი, პუნქტი 3 (1) (a), წყარო: International

Committee of the Red Cross: <https://ihl-databases.icrc.org/en/national-practice/prevention-terrorism-act-2002-1>, მიღების თარიღი: 28/03/2002), 2-3 (The Prevention of Terrorism Act, Section 3); **ისრაელი** (ისრაელი (ანტიტერორისტული კანონი 5776-2016, პუნქტი 2, წყარო: The Government of Israel: https://www.gov.il/BlobFolder/dynamiccollectorresultitem/counter-terrorism-law-2016-english/he/legal-docs_counter_terrorism_law_2016_english.pdf, ასევე იხ. Israel Legal Advocacy Project: <https://www.lawandisrael.org/library/topical/terrorism/anti-terrorism-legislation/anti-terror-legislation-israel/> მიღების თარიღი: 2016), 5-6 (The Counter-Terrorism Law, 5776-2016, Section 2); **კამერუნი** (კანონი No. 2014/28, პუნქტი 2, წყარო: [bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Law2014-28_Terrorism.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Law2014-28_Terrorism.pdf), მიღების თარიღი: 23/12/2014), 2-3 (Law No. 2014/28 (2014 December 23) – Law on the suppression of acts of terrorism, section 2); **მაურისიუსი** (ტერორიზმის პრევენციის აქტი, პუნქტი 3, წყარო: MauritiusLII: <https://mauritiuslii.org/akn/mu/act/2002/2/eng@2017-06-30>, მიღების თარიღი: 30/06/2017) (Prevention of Terrorism Act, Section 3); **ნაურუ** (ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის აღკვეთის აქტი, აბზაცი 3, წყარო: [bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/CounterTerrorism.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/CounterTerrorism.pdf) ასევე იხ. კანონის უახლესი ვერსია 2020 წლის ცვლილებებითურთ: http://ronlaw.gov.nr/nauru_lpms/files/acts/33679122f594ddc7c6316472a416ad73.pdf, მიღების თარიღი: 2004), 17-18 (Counter Terrorism and Transnational Organised Crime (Amendment) Act, Section 3); **ნეპალი** (კონტრტერორისტული კანონი, აბზაცი 3, წყარო: VERTIC: http://www.vertic.org/media/National%20Legislation/Nepal/NP_Terrorism_Act.pdf, მიღების თარიღი: 10/04/2002), 3-5 (Terrorist and Disruptive Acts (Prevention and Punishment) Act, 2058, Section 3); **პერუ** (იხ. Calderón A, 'Legislative Observatory on Freedom of Expression in Peru', (2018) CELE, 1), პერუს ანტიტერორისტულ კანონში მოცემული ტერორიზმის ძალზე ფართო განმარტების შესახებ ასევე იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, Doc. A/51/40 (1996) ('Concluding Observations of the Human Rights Committee U.N. Doc. A/51/40): <http://hrlibrary.umn.edu/hrcommittee/peru1996b.html>); **რუმინეთი** (ტერორიზმის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კანონი, მუხლი 1, წყარო: Parliament of Romania: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/RO_Law%20535-2004%20Preventing%20%26%20Combating%20Terrorism_EN1.pdf, ასევე იხ. VERTIC: https://www.vertic.org/media/National%20Legislation/Romania/RO_Law_on_Prevention_and_Suppression_of_Terrorism_2004.pdf, მიღების თარიღი: 25/11/2004), 1 (Law on the Prevention and Suppression of Terrorism, Article 1); **საქართველო** (საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 1, „ბ“ ქვეპუნქტი, წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/download/21796/12/ge/pdf>, მიღების თარიღი: 27/06/2007), 1; **სენტ ვინსენტი და გრენადინები** (კონტრტერორისტული კანონი, ნაწილი II, წყარო: [bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism%20Act%202023.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism%20Act%202023.pdf)), 56-58 (Anti-Terrorism Act, II); **სამოა** (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 2, წყარო: [bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/WS_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/WS_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf), გამოქვეყნების თარიღი: 2014, 4-9 (Counter-Terrorism Act, Section 3)); **სეიშელის კუნძულები** (ტერორიზმის პრევენციის აქტი, ნაწილი I 2 (Interpretation), წყარო: SeyLII: <https://seylII.org/akn/sc/act/2004/7/eng@2015-12-31>, მიღების თარიღი: 01/12/2004), 1-2 (Prevention of Terrorism Act, Part I –Preliminary 2 (Interpretation)); **სოლომონის კუნძულები** (კონტრტერორისტული აქტი, ნაწილი 1 - (Preliminary), 2, წყარო: National Parliament of Solomon Islands: <https://www.parliament.gov.sb/sites/default/files/legislation/Acts/Counter%20Terrorism%20Act%202009.pdf>, მიღების თარიღი: 13/07/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 17/07/2009), 7-15 (Counter-Terrorism Act 2009, Part 1 – Preliminary, 2)); **სამხრეთ კორეა** (კონტრტერორისტული კანონი, მუხლი 2(1) (განმარტებები), წყარო: Korea Legislation Research Institute: https://elaw.klri.re.kr/eng_mobile/viewer.do?hseq=48540&type=part&key=4, მიღების თარიღი: 03/03/2016) (Act on Counter-Terrorism for the Protection of Citizens and Public Security, Article 2(1); **სინგაპური** (ტერორიზმის (დაფინანსების აღკვეთის) აქტი, ნაწილი I, 2 (2), წყარო: Singapore Statutes Online: <https://sso.agc.gov.sg/Acts-Supp/16-2002/Published/20030731?DocDate=20020923#:~:text=17th%20July%202002.&text=An%20Act%20to%20suppress%20the,of%20the%201999%20Revised%20Edition>), მიღების თარიღი: 17/07/2002), 5-6 (Terrorism (Suppression of Financing) Act, Part I 2(2); **საუდის არაბეთი** (კანონი ტერორისტულ დანაშაულთან და

კანონის პირველ მუხლში მოცემულია ტერორიზმის განმარტება, რომელიც მოიცავს საზღვაო ტრანსპორტის წინააღმდეგ მიმართულ აქტებსაც.²⁹¹ ამასთან, კანონში მოცემული ტერორიზმის განმარტება მოიცავს ტერორიზმის პოლიტიკურ მიზანს, რაც რელევანტურია საზღვაო ტერორიზმის შემთხვევაშიც და გულისხმობს ხელისუფლების ანდა მისი რომელიმე ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან.²⁹² სეიშელის კუნძულების ანტიტერორისტულ კანონში მოცემული ტერორიზმის განმარტება მოიცავს ტერორიზმის პოლიტიკურ მიზანს.²⁹³ აღნიშნული განმარტება ასევე მოიცავს ნებისმიერი ქონების, მათ შორის, საზღვაო

მისი დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 1 (3), წყარო: Ministry of Justice of Saudi Arabia: <https://www.moj.gov.sa/Documents/Regulations/pdf/79.pdf>, მიღების თარიღი: 01/12/2017), 2 (The Law of Combating Terrorist Crimes and its Financing, Article 1 (3); **ტანზანია** (ტერორიზმის პრევენციის აქტი, აბზაცი 4 (3), წყარო: Parliament of Tanzania: <http://parliament.go.tz/polis/uploads/bills/acts/1454075684-ActNo-21-2002.pdf>, მიღების თარიღი: 14/12/2002), 7-8 (Terrorism Prevention Act, Section 4 (3)); **ტრინიდადი და ტობაგო** (კონტრტერორისტული აქტი, ნაწილი I 2, წყარო: bwcimplementation.org: https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism-Act-Chap-12_07.pdf, ასევე იხ. Central Bank of Trinidad and Tobago: <https://www.central-bank.org.tt/sites/default/files/page-file-uploads/anti-terrorism-act-chap-12.07.pdf>, მიღების თარიღი: 05/01/2015), 28-29 (Anti-Terrorism Act, Part I 2); **თურქეთი** (ანტიტერორისტული კანონი 3713, მუხლები 1-3, წყარო: Ministry of Treasury and Finance: <https://ms.hmb.gov.tr/uploads/sites/2/2019/04/AntiTerrorLawNo3713.pdf>, მიღების თარიღი: 12/04/1991), 1 (Turkey Anti-Terror Law No. 3713, Articles 1-3); **მალდივები** (ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის აქტი, ნაწილი I, თავი II, 13 (ტერორიზმის განმარტება), წყარო: Maldives Monetary Authority: http://www.mma.gov.mv/files/AML_CFT_law-43-53%20english.pdf, (ასევე იხ. ზოგადად, ტერორიზმის პრევენციის აქტი: https://majlis.gov.mv/storage/action_files/357/ZnntqfTHtVvaFAW2RWNaJFaPydhbcBndu1FoPFzz.pdf მიღების თარიღი: 2014), 8 (Prevention of Money Laundering and Financing of Terrorism Act, Law no.10/2014, Part I, Chapter II, 14); **ფილიპინები** (ტერორიზმის პრევენციის, აკრძალვისა და დასჯის აქტი No. 11479, აბზაცი 4, წყარო: Official Gazette: <https://www.officialgazette.gov.ph/2020/07/03/republic-act-no-11479/>, მიღების თარიღი: 03/07/2020), 5 (An Act to Prevent, Prohibit and Penalize Terrorism, Section 4); **ფიჯი** (საზოგადოებრივი წესრიგის აქტი, ნაწილი 3A, წყარო: The Laws of Fiji: <https://www.laws.gov.fj/Acts/DisplayAct/819#>, მიღების თარიღი: 1969) (Public Order Act, Part 3 A); **ყაზახეთი** (კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 1 (6), წყარო: Refworld: <https://www.refworld.org/legal/legislation/natlegbod/1999/en/122798>, მიღების თარიღი: 13/07/1993), 1 (Law of the Republic of Kazakhstan on Countering Terrorism No. 416-1, Article 1 (6); **ჩილე** (*Book 22: National Laws and Regulations on the Prevention and Suppression of International Terrorism vol. I* (United Nations 2002), წყარო: https://legal.un.org/legislative-series/pdfs/chapters/book22/book22_VIII.pdf; **ჩინეთი** (კონტრტერორისტული კანონი, მუხლი 3, წყარო: China Law Translate: <https://www.chinalawtranslate.com/en/counter-terrorism-law-2015/>, მიღების თარიღი: 27/12/2015) (Counter-Terrorism Law, Article 3); ასევე იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 55.

²⁹¹ საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 1, წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/download/21796/12/ge/pdf>, მიღების თარიღი: 27/06/2007, 1

²⁹² იქვე.

²⁹³ სეიშელის კუნძულები (ტერორიზმის პრევენციის აქტი, ნაწილი I 2 (Interpretation), წყარო: SeyLII: <https://seylII.org/akn/sc/act/2004/7/eng@2015-12-31>, მიღების თარიღი: 01/12/2024), 1-2 (Prevention of Terrorism Act, Part I –Preliminary 2 (Interpretation)).

ტრანსპორტის წინააღმდეგ მიმართულ აქტებს ისევე როგორც (საზღვაო) ტერორიზმისთვის ისეთ მნიშვნელოვან ქმედებებს როგორებიცაა ცეცხლსასროლი იარაღის ან ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება, ბუნებრივ გარემოში მავნე, საშიში, რადიოაქტიური ნივთიერებების გაშვება და სხვ. ²⁹⁴ საგულისხმოა, რომ ანტიტერორისტული კანონმდებლობებისთვის დამახასიათებელი მსგავსი მახასიათებლები ასევე გაზიარებულია სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსების მიერ. ²⁹⁵

²⁹⁴ **სეიშელის კუნძულები** (ტერორიზმის პრევენციის აქტი, ნაწილი I 2 (Interpretation), წყარო: SeyLII: <https://seylil.org/akn/sc/act/2004/7/eng@2015-12-31>, მიღების თარიღი: 01/12/2024), 1-2 (Prevention of Terrorism Act, Part I –Preliminary 2 (Interpretation)).

²⁹⁵ იხ. მაგალითად, **ალჟირი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 87 „bis », წყარო: Women’s Learning Partnership : <https://learningpartnership.org/sites/default/files/resources/pdfs/Penal-Code-Algeria-French.pdf>, მიღების თარიღი: 24/04/1971, 37); **ბელგია** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 137, წყარო: Legislationline : https://legislationline.org/sites/default/files/documents/6e/BELG_CC_fr.pdf, მიღების თარიღი: 15/10/1867, 42); **ბუტანი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 329, წყარო: The Warnath Group: <https://www.warnathgroup.com/wp-content/uploads/2015/03/Bhutan-Penal-Code.pdf>, მიღების თარიღი: 08/11/2004, 57); **გაბონი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 194-195, წყარო: DROIT AFRIQUE: <https://www.droit-afrique.com/uploads/Gabon-Code-2019-penal.pdf>, მიღების თარიღი: 31/05/1963, 41); **გვინეა** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 574, წყარო: International Committee of the Red Cross: <https://ihl-databases.icrc.org/en/national-practice/law-criminal-code-2016>, მიღების თარიღი: 26/10/2016, 112); **დანია** (სისხლის სამართლის კოდექსი, აზნატი 114, წყარო: <https://antislaverylaw.ac.uk/wp-content/uploads/2019/08/Denmark-Criminal-Code.pdf>, მიღების თარიღი: 15/04/1930, 17); **ესპანეთი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 573, წყარო: Ministry of Justice of Spain: https://www.mjusticia.gob.es/es/AreaTematica/DocumentacionPublicaciones/Documents/Criminal_Code_2016.pdf, მიღების თარიღი: 08/11/1995, 231-232); **კანადა** (სისხლის სამართლის კოდექსი, 83.01, 1(vii)), წყარო: Justice Laws Website: <https://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/c-46/>, მიღების თარიღი: 1985); **კოსტა რიკა** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 265-266, წყარო: International Committee of the Red Cross: <https://ihl-databases.icrc.org/en/national-practice/penal-code-1970>, მიღების თარიღი: 04/03/1970); **კოლუმბია** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 343, წყარო: ICC Legal Tools Database: <https://www.legal-tools.org/doc/13e6bc/>, მიღების თარიღი: 24/07/2000); **ლიბანი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 314, წყარო: Amnesty International Police and Human Rights Resources : <https://policehumanrightsresources.org/content/uploads/2016/07/Criminal-Law-Lebanon-selected-articles.pdf?x86271>, მიღების თარიღი: 03/01/1943, 53); **ლატვია** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 79 (1), წყარო: legislationline: <https://legislationline.org/sites/default/files/2023-10/Criminal%20Code%20of%20Latvia.pdf>, მიღების თარიღი: 08/07/1998, 29); **მაროკო** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 218-1, წყარო: International Committee of the Red Cross: <https://ihl-databases.icrc.org/en/national-practice/penal-code-1962-0>, მიღების თარიღი: 26/11/1962, 58-59); **მოზამბიკი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 382, წყარო: Legal Information Institute: <https://abortion-policies.srhr.org/documents/countries/01-Mozambique-Penal-Code-2013.pdf>, მიღების თარიღი: 31/12/2014, 44); **მონტენეგრო** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 342, წყარო: United Nations –UNODOC: <https://track.unodc.org/uploads/documents/BRI-legal-resources/Montenegro/3 - Criminal Code of Montenegro 2018 English version.pdf>, მიღების თარიღი: 17/12/2003, 99(აღნიშნული მუხლი ეხება საზღვაო ტრანსპორტისა და ფიქსირებული პლატფორმების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს); **ომანი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 113, წყარო: The Officia E-Services Portal: https://oman.om/docs/default-source/default-document-library/omani-penal-law.pdf?sfvrsn=64250c36_2, მიღების თარიღი: 15/01/2018, 32); **პანამა** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები 287, წყარო: International Committee of the Red Cross: <https://ihl-databases.icrc.org/en/national-practice/penal-code-2007-0>, მიღების თარიღი: 18/05/2007, 56); **რუსეთი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 205, წყარო: Consultant Plus : https://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/, მიღების თარიღი: 24/05/1996); **საფრანგეთი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 421-1(1), წყარო: EuroPam:

სახელმწიფოთა ანტიტერორისტული კანონმდებლობების კიდეც ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი მდგომარეობს იმაში, რომ ამ კანონმდებლობებით იკრძალება არა მხოლოდ აქტის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ ჩადენილი (საზღვაო) ტერორისტული აქტებიც. ტერორიზმის აღნიშნული ტრანსნაციონალური ასპექტი გათვალისწინებულია მაგალითად ბაჰამის კუნძულების, ბრუნეის, გაიანას, ფილიპინების, სამოას, ტონგას, ტრინიდადისა და ტობაგოს, ბელიზის, ფიჯის, კირიბატის, ნიგერიის, ყატარის, რუმინეთისა და საუდის არაბეთის ანტიტერორისტული კანონმდებლობებით, ²⁹⁶ ისევე როგორც

https://europam.eu/data/mechanisms/FD/FD%20Laws/France/1.%20Penal%20Code_FRA,%20consolidated,%20last%20amended%202020.pdf, მიღების თარიღი: 01/03/1994, 222); **უნგრეთი** (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 314 (4) „c“, წყარო: Ministry of Interior: https://thb.kormany.hu/download/a/46/11000/Btk_EN.pdf, მიღების თარიღი: 13/07/2012, 90); **ფინეთი** (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 34 „a“ (ტერორისტული დანაშაულები) წყარო: International Committee of the Red Cross: https://thb.kormany.hu/download/a/46/11000/Btk_EN.pdf, მიღების თარიღი: 19/12/1989, 136-140); **ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა** (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 4, წყარო: International Committee of the Red Cross: <https://ihl-databases.icrc.org/en/national-practice/penal-code-2010>, მიღების თარიღი: 06/01/2010, 46-52)).

²⁹⁶ **ბაჰამის კუნძულები** (ანტიტერორისტული აქტი, კონტრტერორისტული ხელშეკრულებების ცხრილი (პუნქტი 14, წყარო: The Compliance Commission of Bahamas: <https://ccb.finance.gov.bs/wp-content/uploads/2019/10/Anti-Terrorism-Act-2018.pdf>, მიღების თარიღი: 2018), 58 (Anti-Terrorism Act, Section 14; **ბელიზი** (ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის პრევენციის აქტი, პუნქტი 2C, წყარო: Central Bank of Belize: [https://www.centralbank.org.bz/docs/default-source/2.5-money-laundering-terrorismprevention\)-act/money-laundering-and-terrorismprevention\)-act-revised-edition-2020.pdf?sfvrsn=2d787b95_3](https://www.centralbank.org.bz/docs/default-source/2.5-money-laundering-terrorismprevention)-act/money-laundering-and-terrorismprevention)-act-revised-edition-2020.pdf?sfvrsn=2d787b95_3), მიღების თარიღი: 01/01/2009), 10-33 (Money Laundering and Terrorism (Prevention) Act, Section 2C); **ბრუნეი** (ანტიტერორისტული ბრძანება, ნაწილი 1, 2. Interpretation, (2) (a)), წყარო: Attorney General's Chambers Prime Minister's Office: [https://www.agc.gov.bn/AGC%20Images/LAWS/Gazette PDF/2011/EN/s045.pdf](https://www.agc.gov.bn/AGC%20Images/LAWS/Gazette%20PDF/2011/EN/s045.pdf), მიღების თარიღი: 01/08/2011), 5-12 (Anti-Terrorism order, Part I 2. Interpretation, (2) (a)); **გაიანა** (ანტიტერორისტული და ტერორიზმთან დაკავშირებული აქტივობების აკრძალვის აქტი, ნაწილი 1 (Preliminary, 2. Interpretation), წყარო: International Labour Organization NATLEX: https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=102173&cs=1NKyFuutMIgVcLYHowlw1AjF9lOJZVmnW87m6ayDyqDnvoSaB80JCUL6isUfJguW0gxfxemiKzwvtvoMuwwVGPA, მიღების თარიღი: 01/06/2016), 7-19 (Anti-Terrorism and Terrorist Related Activities Act 2015, Part 1 Preliminary, 2. Interpretation); **ზამბია** (კონტრტერორისტული და გაუვრცელებლობის აქტი, პუნქტი 2(1), წყარო: National Assembly of Zambia: <https://www.parliament.gov.zm/node/11030>, მიღების თარიღი: 14/00/2023), 23 (Anti-Terrorism Act, Part 1 Preliminary); **კირიბატი** (ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ აქტი, ნაწილი I, 1 (განმარტება) (1), წყარო: International Labour Organization NATLEX: https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=84052&cs=1RxOnk04j0KKYkjIAIVRO_Vzi4pacTTEGaOw7qGRma46YYRKQPOL47CPELJLv9apSTiHgz_gtr1S5DSk7TJMXg, მიღების თარიღი: 2005), 10-11 (Measures to Combat Terrorism and Transnational Organised Crime Act, Part I, 1 (Interpretation) (1)); **ნიგერია** (ტერორიზმის პრევენციის აქტი, პუნქტები 2 და 16, წყარო: Policy and Legal Advocacy Centre: https://placng.org/lawsofnigeria/laws/terrorism_bill.pdf, მიღების თარიღი: 22/04/2013) 5-7, 12 (Terrorism (Prevention) (Amendment) Act, Sections 2 and 16); **რუმინეთი** (ტერორიზმის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კანონი, მუხლი 1, წყარო: Parliament of Romania: https://www.sri.ro/assets/files/legislatie/2024-eng/the_Law_No_535.pdf, ასევე https://www.vertic.org/media/National%20Legislation/Romania/RO_Law_on_Prevention_and_Suppression_of_Terrorism_2004.pdf, მიღების თარიღი: 25/11/2004), 1-2 (Law on the Prevention and Suppression of Terrorism, Article 1); **სამოა** (კონტრტერორისტული აქტი, ნაწილი I, 2 (განმარტება), წყარო: bwcimplementation.org;

სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსებით, რომლებშიც ხდება (საზღვაო) ტერორიზმის სხვადასხვა ტრანსნაციონალური ასპექტების ინკორპორირება.²⁹⁷

(საზღვაო) ტერორიზმის, როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის კრილში ცალკე უნდა გამოვეყნოთ ანტიტერორისტული კანონმდებლობები, რომლებიც ითვალისწინებენ ტერორიზმის დანაშაულისათვის სპეციალური ტრიბუნალის ან/და სტრუქტურის შექმნას. ბანგლადეშის ანტიტერორისტული აქტი ტერორიზმის განსაკუთრებული საშიშროებიდან გამომდინარე ითვალისწინებს ბანგლადეშის სხვადასხვა რაიონებში სპეციალური ტრიბუნალების შექმნას.²⁹⁸ 2015 წლის 3 თებერვალს მადაგასკარში მიღებულ იქნა შესაბამისი ბრძანებულება ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის

https://bwcmplementation.org/sites/default/files/resource/WS_Counter%20Terrorism%20Act_EN.pdf, გამოქვეყნების თარიღი: 2014, 4-9 (Counter-Terrorism Act, Part I, 2 (Interpretation)); საუდის არაბეთი (კანონი ტერორისტულ დანაშაულთან და მისი დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 3, წყარო: Ministry of Justice of Saudi Arabia: <https://www.moj.gov.sa/Documents/Regulations/pdf/79.pdf>, მიღების თარიღი: 01/12/2017), 4 (The Law of Combating Terrorist Crimes and its Financing, Article 3); ტანზანია (ტერორიზმის პრევენციის აქტი, პუნქტი 4, წყარო: Parliament of Tanzania: <http://parliament.go.tz/polis/uploads/bills/acts/1454075684-ActNo-21-2002.pdf>, მიღების თარიღი: 14/12/2002), 7-8 (Terrorism Prevention Act, Section 4); ტონგა (კონტრტერორისტული კანონი, პუნქტი 3, წყარო: National Reserve Bank of Tonga: http://www.reservebank.to/data/documents/legals/legislation/CounterTerrorismandTransnationalOrganisedCrimeAct_3.pdf, მიღების თარიღი: 11/11/2013), 17-19 (Counter Terrorism and Transnational Organised Crime Act, Section 3); ტრინიდადი და ტობაგო (კონტრტერორისტული აქტი, პუნქტი 2A, წყარო: bwcmplementation.org: https://bwcmplementation.org/sites/default/files/resource/Anti-Terrorism-Act-Chap-12_07.pdf, ასევე იხ. Central Bank of Trinidad and Tobago: <https://www.central-bank.org.tt/sites/default/files/page-file-uploads/anti-terrorism-act-chap-12.07.pdf>, მიღების თარიღი: 05/01/2015), 28-29 (Anti-Terrorism Act, Chapter III, Section 2A); ფილიპინები (ტერორიზმის პრევენციის, აკრძალვისა და დასჯის აქტი No. 11479, აზბაცი 4, წყარო: Official Gazette: <https://www.officialgazette.gov.ph/2020/07/03/republic-act-no-11479/>, მიღების თარიღი: 03/07/2020), 5 (An Act to Prevent, Prohibit and Penalize Terrorism, Section 4); ფიჯი (საზოგადოებრივი წესრიგის აქტი, ნაწილი I, 2 (განმარტება), წყარო: The Laws of Fiji: <https://www.laws.gov.fj/Acts/DisplayAct/819#>, მიღების თარიღი: 1969) (Public Order Act, Part I, 2 (Interpretation)); ყატარი (კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 2, წყარო: State of Qatar, Ministry of Commerce and Industry: <https://www.moci.gov.qa/wp-content/uploads/2021/08/Law-No.-27-of-2019-Promulgating-the-Law-on-Combating-Terrorism.pdf>, მიღების თარიღი: 02/2019), 9 (Law on Combating Terrorism, Article 2).

²⁹⁷ იხ. მაგალითად, შემდეგი სახელმწიფოების სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებითაც იკრძალება (ტრანსნაციონალურ) ტერორისტულ ორგანიზაციაში წევრობა: კაბო ვერდე (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 315, წყარო: Committee of the Red Cross: <https://ihl-databases.icrc.org/en/national-practice/penal-code-2003-0>, მიღების თარიღი: 18/11/2003, 165); ესპანეთი (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 575 (3), წყარო: Ministry of Justice of Spain: [https://www.mjusticia.gob.es/es/AreaTematica/DocumentacionPublicaciones/Documents/Criminal Code 2016.pdf](https://www.mjusticia.gob.es/es/AreaTematica/DocumentacionPublicaciones/Documents/Criminal%20Code%202016.pdf), მიღების თარიღი: 08/11/1995, 233); ზევიცარია (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 260 ter, წყარო: Fedlex The Publication platform for federal law: https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/54/757_781_799/en, მიღების თარიღი: 21/12/2024); ასევე იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 56.

²⁹⁸ ბანგლადეში (ანტიტერორისტული კანონი, თავი I, 2. განმარტება, წყარო: Refworld: [https://www.refworld.org/themes/custom/unhcr_rw/pdf-js/viewer.html?file=https%3A%2F%2Fwww.refworld.org%2Fsites%2Fdefault%2Ffiles%2F2024-07%2Fanti-terrorism act 2009.pdf](https://www.refworld.org/themes/custom/unhcr_rw/pdf-js/viewer.html?file=https%3A%2F%2Fwww.refworld.org%2Fsites%2Fdefault%2Ffiles%2F2024-07%2Fanti-terrorism%20act%202009.pdf), მიღების თარიღი: 24/04/2009 (Antiterrorism Act, Chapter I, 2 (Definition)).

ეროვნული მმართველი სტრუქტურის შექმნის შესახებ. აღნიშნული სტრუქტურა პასუხისმგებელია ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და დასჯის ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე და ამ სფეროებში საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით მიღებული ზომების განსაზღვრაზე.²⁹⁹ ამასთან, სახელმწიფოთა ნაწილს მიღებული აქვს ანტიტერორისტული კანონმდებლობები, სადაც საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი განიხილება საფრთხედ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ან/და კეთდება მითითება უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე, სადაც საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი ამგვარადაა მოხსენიებული. აღნიშნული ხაზს უსვამს საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად შეფასებას. მაგალითად, იაპონიის ანტიტერორისტული კანონი აკეთებს რა მითითებას უშიშროების საბჭოს სხვადასხვა რეზოლუციებზე საერთაშორისო ტერორიზმს მოიხსენიებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, სადაც ასევე იგულისხმება საზღვაო ტერორიზმიც, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის ქვეკატეგორია. კანონის მიზანია განსაზღვროს გარკვეული ზომები, რომელთა მეშვეობითაც იაპონიას შეეძლება საკუთარი აქტიური წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის კუთხით საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება.³⁰⁰ კენიის ანტიტერორისტული კანონის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ კენია არის გაეროს წევრი სახელმწიფო და ვალდებულია შეასრულოს გაეროს რეზოლუციები გაეროს წესდების 41-ე მუხლის თანახმად.³⁰¹ უშიშროების საბჭოს

²⁹⁹ 'Information on the Status of Implementation of Bilateral, Regional and Multilateral Agreements Relating to International Terrorism Ratified by Madagascar, Including Measures Taken to Eliminate International Terrorism', United Nations <https://www.un.org/en/ga/sixth/75/int_terrorism/madagascar2_e.pdf>.

³⁰⁰ იაპონია (ანტიტერორისტული კანონი, პუნქტი 2, წყარო: Prime Minister's Office of Japan: https://japan.kantei.go.jp/policy/2001/anti-terrorism/1029terohougaiyou_e.html, მიღების თარიღი: 09/2001), (The Anti-Terrorism Special Measures Law, Section 2).

³⁰¹ კენია (ტერორიზმის პრევენციის აქტი, ნაწილი I, პუნქტი 2, ასევე იხ. განმარტებითი მემორანდუმი, ნაწილი II, 2.0 საკანონმდებლო კონტექსტი, წყარო: Parliament of Kenya: <http://www.parliament.go.ke/sites/default/files/2022-05/Legal%20Notice%20No.31%20-%20The%20Prevention%20of%20Terrorism%20Act%20%28No.%2030%20of%202012%29.pdf>, მიღების თარიღი: 10/2012), 4-5, 24-25 (Prevention of Terrorism Act, Part I, Section 2, See also: Explanatory Memorandum, Legislative Context 2.0); იხ. ასევე: ანტიგუა და ბარბუდა (ტერორიზმის პრევენციის აქტი, ნაწილი I. 2. (1), წყარო: International Labour Organization NATLEX: https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/r/natlex/fe/details?p3_isn=84847, მიღების თარიღი: 09/12/2005, 1-6 (The Prevention of Terrorism Act, 2005. Part I. 2. (1); Part III)); ბანგლადეში (ანტიტერორისტული კანონი, თავი I, 2. განმარტება, წყარო: Refworld: https://www.refworld.org/themes/custom/unhcr/rw/pdf-js/viewer.html?file=https%3A%2F%2Fwww.refworld.org%2Fsites%2Fdefault%2Ffiles%2F2024-07%2Fanti-terrorism_act_2009.pdf, მიღების თარიღი: 24/04/2009 (Antiterrorism Act, Chapter I, 2 (Definition) (კანონში მითითება კეთდება გაეროს ანტიტერორისტულ ხელშეკრულებებზე, რომელთა წევრ-სახელმწიფოს წარმოადგენს ბანგლადეში); ეთიოპია (პროკლამაცია No. 652/2009, პრეამბულა, წყარო: International

რეზოლუციებს შორის კი მოხსენიებულია „კლასიკური“ ანტიტერორისტული რეზოლუციები როგორცაა მაგალითად რეზოლუცია 1373. აღნიშნული რეზოლუციები უმთავრესად კრძალავენ საერთაშორისო ტერორიზმს თავისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით მიიჩნევენ რა მას საფრთხედ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.³⁰²

ნიშანდობლივია სახელმწიფოთა ნაწილის სურვილი აღიარონ (საზღვაო) ტერორიზმი უნივერსალურ იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულად. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, 1926 წლის 26 ნოემბერს რუმინეთის მთავრობამ შესთავაზა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეემუშავებინათ ტერორიზმის საწინააღმდეგო კონვენცია, რითაც ტერორიზმის დანაშაული აღიარებული იქნებოდა უნივერსალურ იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულად, როდესაც არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილს, დამნაშავის ეროვნებასა და სხვ.³⁰³

და ბოლოს, აღსანიშნავია სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობებით გათვალისწინებული საკმაოდ მკაცრი სასჯელები (საზღვაო) ტერორიზმისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის.³⁰⁴ მაგალითად, ბაჰამის კუნძულების

Labour Organization NATLEX: <https://natlex.ilo.org/dyn/natlex2/natlex2/files/download/85140/ETH85140.pdf>, მიღების თარიღი: 28/08/2009), 1 (Proclamation No. 652/2009, Anti-Terrorism Proclamation, Preamble).

³⁰² იხ. მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1373 (2001) (მიღების თარიღი 28/09/2001).

³⁰³ იხ. Alexandru M, 'Regulationn of Terrorism by National and International law Acts', (2016) 5(2) Acta Universitatis George Bacovia Juridica, 4.

³⁰⁴ ავსტრალია (კონტრტერორისტული კანონმდებლობის ცვლილების პროექტი: Counter-Terrorism Legislation Amendment (Prohibited Hate Symbols and Other Measures) Bill 2023', Parliament of Australia მიღების თარიღი: 10/10/2023),

<https://parlinfo.aph.gov.au/parlInfo/download/legislation/billsdgs/9412680/upload_binary/9412680.pdf>), ასევე იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, წყარო: VERTIC:

https://www.vertic.org/media/National%20Legislation/Australia/AU_Criminal_Code.pdf, მიღების თარიღი:

1995 (საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 101.1 მუხლი ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობას ტერორიზმის დანაშაულისათვის); **ბაჰრეინი** (კანონი No. 58, მუხლი 3, წყარო: Government of Bahrain: <https://www.bahrain.bh/wps/wcm/connect/3c9b2923-178a-4bb4-8d50-f2581c380064/LAW+NO.+%2858%29+OF+2006+WITH+RESPECT+TO+PROTECTING+THE+SOCIETY+FROM+TERRORIST+ACTS.pdf?MOD=AJPERES&CVID=o8-7O2H>, მიღების თარიღი: 2006 (Law No. 58, Article 3); **ბაჰამის კუნძულები** (ანტიტერორისტული აქტი, პუნქტი 27, წყარო: The Compliance Commission of Bahamas: <https://ccb.finance.gov.bs/wp-content/uploads/2019/10/Anti-Terrorism-Act-2018.pdf>, მიღების

თარიღი: 2018 (Anti-Terrorism Act, Section 27); **გამბია** (კონტრტერორისტული აქტი, ნაწილი II, 3 (1),

წყარო: VERTIC: http://www.vertic.org/media/National%20Legislation/Gambia/GM_Anti-Terrorism_Act.pdf,

მიღების თარიღი: 2002), 20 (Anti-Terrorism Act, Part II, 3 (1)); **ინდოეთი** (ტერორიზმის პრევენციის აქტი,

პუნქტი 3 (2) (a), წყარო: International Committee of the Red Cross: <https://ihl-databases.icrc.org/en/national-practice/prevention-terrorism-act-2002-1>, მიღების თარიღი: 28/03/2002), 2-3 (The Prevention of Terrorism

Act, Section 3 (2) (a)); **სეიშელის კუნძულები** (ტერორიზმის პრევენციის აქტი, პუნქტი 4 (a); წყარო:

SeyLII: <https://seylil.org/akn/sc/act/2004/7/eng@2015-12-31>, მიღების თარიღი: 01/12/2004), 1-2 (Prevention

of Terrorism Act, Section 4 (a)); **ტუვალუ** (კონტრტერორისტული და ტრანსნაციონალური

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული აქტი, პუნქტი 12, წყარო:

bwcimplementation.org:

https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/TV_Counter%20Terrorism%20and%20Transnationa

ანტიტერორისტული კანონის 27-ე პუნქტის თანახმად, თუ საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებულმა აქტმა გამოიწვია პირის გარდაცვალება, პირს ემუქრება უვალო თავისუფლების აღკვეთა.³⁰⁵

2.5 დასკვნა:

დღეისათვის საზღვაო ტერორიზმი უნდა იქნეს შეფასებული როგორც სულ მცირე საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. აღნიშნულს მოწმობს აღნიშნულ თავში შესწავლილი წყაროების ძალზე ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს შემდეგ წყაროებს: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები; გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO), საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების, მათ შორის, ჰააგის ტრიბუნალების, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) პრაქტიკა, სახელმწიფოთა შიდა სასამართლო პრაქტიკა შიდა დონეზე SUA კონვენციის გამოყენების შესახებ, შიდა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობები, ასევე საერთაშორისო დონეზე სახელმწიფო პრაქტიკა.

[l%20Organised%20Crime%20Act%20Chapter%2010.27_EN.pdf](https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/TV_Counter%20Terrorism%20and%20Transnational%20Organised%20Crime%20Act%20Chapter%2010.27_EN.pdf) Database:

https://bwcimplementation.org/sites/default/files/resource/TV_Counter%20Terrorism%20and%20Transnational%20Organised%20Crime%20Act%20Chapter%2010.27_EN.pdf, მიღების თარიღი: 03/12/2009, 16 (Counter Terrorism and Transnational Organised Crime Act 2009, Section 12)).

³⁰⁵ იხ. ბაჰამის კუნძულები (ანტიტერორისტული აქტი, პუნქტი 27, წყარო: The Compliance Commission of Bahamas: <https://ccb.finance.gov.bs/wp-content/uploads/2019/10/Anti-Terrorism-Act-2018.pdf>, მიღების თარიღი: 2018 (Anti-Terrorism Act, Section 27).

თავი 3: საზღვაო ტერორიზმის მარეგულირებელი ჩარჩო საერთაშორისო სამართალში

3.1. შესავალი

აღნიშნული თავი განიხილავს საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო რეგულირების საკითხს. ამ თვალსაზრისით განხილულია მყარი და რბილი სამართლის ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებით, მათი ძირითადი უპირატესობები და ნაკლოვანებები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იურისდიქციულ საკითხებზე, რომლებიც ავლენს ერთგვარ პრობლემებს დანაშაულის შესაძლო დაუსჯელობის კუთხით, ასევე სანაპირო სახელმწიფოსა და დროშის სახელმწიფოს უფლებამოსილებებზე.

3.2. გაეროს წესდება

გაეროს წესდება უშუალოდ არ ეხება საზღვაო ტერორიზმის საკითხს, თუმცა მასში მოცემული ნორმები და პრინციპები რელევანტურია აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის კონტექსტშიც.³⁰⁶ ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ წესდების მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ძალის გამოყენებისა და ძალით მუქარის აკრძალვის პრინციპის სახელითაა ცნობილი და კრძალავს ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ.³⁰⁷ აღსანიშნავია, რომ მსგავს დებულებას შეიცავს 1982 წლის კონვენციის 301-ე მუხლი, რომელიც ეხება ზღვების მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებას და ადგენს რომ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად უფლებების განხორციელებისას და ვალდებულებების შესრულებისას, მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ძალის გამოყენების მუქარისაგან ან ძალის გამოყენებისაგან რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩადებულ პრინციპებთან სხვაგვარად შეუსაბამო ქმედებებისაგან.³⁰⁸ კონვენცია ასევე აკეთებს ერთგვარ მითითებას გაეროს წესდებით გათვალისწინებულ პრინციპზე 88-ე მუხლშიც, როდესაც ის ადგენს, რომ ღია ზღვის შენარჩუნება უნდა მოხდეს მშვიდობიანი მიზნებისათვის, ისევე როგორც მე-19 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის მიხედვითაც მაგალითად პროპაგანდის ნებისმიერი აქტი, რომელიც ხელყოფს სანაპირო სახელმწიფოს თავდაცვის და უსაფრთხოების

³⁰⁶ იხ. ზოგადად, Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 16-17.

³⁰⁷ იქვე, ასევე იხ. გაეროს წესდება, მუხლი 2, ნაწილი 4, 1 UNTS XVI ((მიღების თარიღი: 14/08/1941, ძალაში შესვლის თარიღი: 24/10/1945).

³⁰⁸ იქვე, 17; ასევე იხ. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 301, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994).

ინტერესებს, უნდა ჩაითვალოს სანაპირო სახელმწიფოს მშვიდობის, წესრიგის ან უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ აქტად.³⁰⁹ აქ აუცილებელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ სანაპირო სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება, რომელიც ხორციელდება საპოლიციო უფლებამოსილებების განხორციელების ფარგლებში და სამხედრო ქმედება.³¹⁰ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვსაუბრობთ თავდაცვის უფლებაზე, რომელიც შეზღუდული ხასიათის უფლებაა და შესაბამისად, სანაპირო სახელმწიფოს მისი გამოყენება შეუძლია მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ.³¹¹ თუმცა, აქ დღემდე პრობლემურია საკითხი თუ რამდენად არსებობს (ზოგადი) თავდაცვის უფლება არასახელმწიფო აქტორებიდან მომდინარე თავდასხმის ან საფრთხის მიმართ.³¹² აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლში კონკრეტულად არ არის მითითებული, რომ შეიარაღებული თავდასხმა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოსგან, რაც პოტენციურად იძლევა თავდაცვის უფლების არასახელმწიფო აქტორების და მათ შორის, ტერორისტების წინააღმდეგ გამოყენების შესაძლებლობას.³¹³ თუმცა, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა უმეტეობა მაინც დგას იმ აზრზე, რომ წესდების 51-ე მუხლის საერთაშორისო სახელშეკრულებო ან ჩვეულებითი განმარტება არ ვრცელდება არასახელმწიფო აქტორებიდან მომდინარე თავდასხმაზე.³¹⁴

ზემოაღნიშნულ ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო საჯარო სამართლის მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენების რეგულირება მოიცავს ძალის სახელმწიფოთაშორისი გამოყენების აკრძალვას.³¹⁵ თუმცა, საზღვაო ტერორისტების წინააღმდეგ თავდაცვის უფლების ფარგლებში შეიარაღებული ძალის გამოყენება ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ გამართლებულად ე.წ. „არაპირდაპირი აგრესიის“ შემთხვევაში, როდესაც მაგალითად ღია ზღვაში სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი გემების წინააღმდეგ არასახელმწიფო აქტორების თავდასხმა მხარდაჭერლია სხვა

³⁰⁹ იხ. Rajput A, 'Maritime Security and Threat of a Terrorist Attack', (2022) 34(2) Pace International Law Review, 24-26.

³¹⁰ იხ. Klein N, *Maritime Security and the Law of the Sea* (OUP 2011), 260-261.

³¹¹ იხ. საგინაშვილი ნ, 'საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინა', კონსტანტინე კორკელია (რედ), *ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული* (თსუ 2011), 184.

³¹² იხ. Rajput A, 'Maritime Security and Threat of a Terrorist Attack', (2022) 34(2) Pace International Law Review, 25; Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 18; ასევე იხ. ზოგადად, Tams CJ, 'The Use of Force Against Terrorists', (2009) 20(2) European Journal of International Law, 359-397; Sperotto F, 'The Use of Force Against Terrorists: A Reply to Christian J. Tams', (2009) 20(4) European Journal of International Law, 1043-1048.

³¹³ იხ. Bowley R, *Countering Terrorism in the Maritime Domain: A Contemporary Evaluation of the International Legal Framework* (University of Wollongong 2013), 320.

³¹⁴ იხ. Vidmar J, 'The Use of Force as a Plea of Necessity', (2017) 111 American Journal of International Law, 305.

³¹⁵ იხ. Brunnée J, Toope SJ, 'Norm Robustness and Contestation in International Law: Self-Defence Against Non-State Actors', (2017) 4(1) Journal of Global Security Studies, 7.

სახელმწიფოს მიერ.³¹⁶ მსგავს შემთხვევებში მნიშვნელოვანია კერძო პირთა ქმედებებსა და სახელმწიფოს შორის კავშირი დადგინდეს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების (ARSIWA) შესაბამისად.³¹⁷ პრაქტიკაში ამგვარი კავშირის დადგენა ყოველთვის ნამდვილად არ წარმოადგენს შეუძლებელ ამოცანას. მაგალითად, პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობა³¹⁸ ნამდვილად შეგვიძლია მივიჩნიოთ პალესტინის სახელმწიფოსთან აფილირებულ ორგანიზაციად, ვინაიდან მას მართავს სეკულარული პოლიტიკური პარტია „ფატაჰი“, რომელსაც ძალზე დიდი გავლენა გააჩნია პალესტინის სამთავრობო ორგანოებზე.³¹⁹ ეს მტკიცება ასევე სამართლიანია რიგი სხვა ტერორისტული ორგანიზაციის და მათ შორის, ჰეზბოლას მიმართ, რომელიც მნიშვნელოვან დაფინანსებას იღებს ირანის სახელმწიფოდან,³²⁰ რომელიც არსებული მონაცემებით შეადგენს ყოველწლიურად 700 მილიონიდან 1 მილიარდ დოლარამდე.³²¹ მიუხედავად იმისა, რომ პოტენციურად რიგ შემთხვევებში მართლაც შესაძლებელია არასახელმწიფო ტერორისტული აქტორების კონკრეტულ სახელმწიფოსთან აფილირების დადგენა, საერთაშორისო სასამართლომ თავის უახლეს გადაწყვეტილებაში (საქმე უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ) ერთგვარად კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი კონსერვატიულობა ამ მხრივ.³²² კერძოდ, ტერორიზმის კონტექსტში ეს საქმე იყო ძალზე საინტერესო, რადგან უკრაინა ამტკიცებდა, რომ კონკრეტული ინციდენტები და მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა აღმოსავლეთ უკრაინაში პრორუსი სეპარატისტების მიერ წარმოადგენდა ტერორისტულ აქტებს ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენციის 2 (1) (b) მუხლის მნიშვნელობით.³²³ მოცემულ საქმეში,

³¹⁶ ob. Müllerson R, 'Self-defence Against Armed Attacks by Non-State Actors', (2019) 18(4) Chinese Journal of International Law, 751.

³¹⁷ ob. მაგალითისთვის მუხლები სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ, მუხლები 8, 11, (მიღების თარიღი: 03/08/2001).

³¹⁸ აღნიშნულ ორგანიზაციას აშშ მიიჩნევს ტერორისტულ ორგანიზაციად, ვინაიდან იგი პასუხისმგებელია ისრაელსა და მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ თავდასხმებზე. ob. 'Palestine Liberation Organization', Federation of American Scientists Intelligence Resource Program (08.08.1998) <<https://irp.fas.org/world/para/plo.htm>>.

³¹⁹ ob. 'Palestine Liberation Organization', Federation of American Scientists Intelligence Resource Program (08.08.1998) <https://irp.fas.org/world/para/plo.htm>; ასევე ob. 'What is the Palestinian and What is its Relationship with Israel?', ALJAZEERA (11.10.2023) <<https://www.aljazeera.com/news/2023/10/11/what-is-the-palestinian-authority-and-how-is-it-viewed-by-palestinians>>.

³²⁰ ob. Knutson K, Lotz A, 'What to Know about Hezbollah's Ties to Iran and its Conflict with Israel', AXIOS (01.10.2024) <<https://www.axios.com/2023/10/27/hezbollah-israel-hamas-war-invasion-gaza-iran>>.

³²¹ ob. Anziska SE, 'Arab-Israeli Wars and U.S. Foreign Policy', Mark A. Lawrence (ed), *Oxford Research Encyclopedia of American History* (OUP 2019), 1-40.

³²² ob. Marchuk I, 'Unfulfilled Promises of the ICJ Litigation for Ukraine: Analysis of the ICJ Judgment in Ukraine v Russia (CERD and ECSFT)', EJIL:Talk! (22 February 2024) <<https://www.ejiltalk.org/unfulfilled-promises-of-the-icj-litigation-for-ukraine-analysis-of-the-icj-judgment-in-ukraine-v-russia-cerd-and-icsft/>>.

³²³ ob. Marchuk I, 'Application of the International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism and of the International Convention of All Forms of Racial Discrimination (Ukraine v Russia)',

საერთაშორისო სასამართლომ თავისი კონსერვატიულობის სადემონსტრაციოდ შემოგვთავაზა ტერმინის „ფინანსები“ ძალზე შეზღუდული განმარტება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი ვრცელდებოდა მხოლოდ ფინანსური ან ფულადი ხასიათის რესურსებზე. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ რუსეთის მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების მხარდაჭერა იარაღითა და სასწავლო რესურსებით ხვდებოდა კონვენციის მოხედების ქვეშ, რითაც, როგორც ავტორები მიუთითებენ, ვერ დაადასტურა, რომ რუსეთი იყო „ტერორისტული სახელმწიფო“.³²⁴ მეორე მნიშვნელოვანი გამონაკლისი, რომელიც გაამართლებდა მე-2 კატეგორიის საზღვაო ზონებში (მაგ. ღია ზღვა) არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებული თავდასხმის მიმართ შეიარაღებული ძალის გამოყენებას არის სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების 25-ე მუხლი (აუცილებლობა), რომელიც ჩვეულებრივ უნდა წარმოადგენდეს ერთადერთ გზას, რათა დაცული იყოს სახელმწიფოს არსებითი ინტერესები მძიმე და გარდაუვალი საფრთხისაგან.³²⁵ გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ დგინდება არასახელმწიფო აქტორის კონკრეტულ სახელმწიფოსთან აფილირება, გამართლებულად უნდა ჩავთვალოთ იმ სახელმწიფოს მიერ შიდა სასამართლოების მეშვეობით იურისდიქციის განხორციელება, რომელიც აკავებს დამნაშავეებს ან დამნაშავეთა მოქალაქეობის სახელმწიფოს მიერ დამნაშავეებზე იურისდიქციის განხორციელება შიდა სამართლის შესაბამისად.

3.3. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენცია

მართალია საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის (შემდგომში 1982 წლის კონვენცია) ერთ-ერთი მიზანი საზღვაო უშიშროების დაცვაა, თუმცა მეკობრეობისაგან განსხვავებით, ის უშუალოდ არ ეხება საზღვაო ტერორიზმს.³²⁶ მიუხედავად ამისა, კონვენცია არეგულირებს სახელმწიფოთა-

(2017) 18 Melbourne Journal of International Law, 448; 'ICJ Rejects Most of Ukraine's 'Terrorism' Case Against Russia, ALJAZEERA (31.01.2024) <<https://www.aljazeera.com/news/2024/1/31/icj-rejects-most-of-ukraines-terrorism-case-against-russia>>.

³²⁴ იქვე, ასევე იხ. *Ukraine v. Russian Federation (Application of the International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism and of the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination)*, Judgment, ICJ Reports 2024, § 53; Mälksoo L, 'Application of the International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism and of International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination (Ukraine v. Russian Federation), Judgment', (2024) 118(3) American Journal of International law, 520.

³²⁵ იხ. ზოგადად, Vidmar J, 'The Use of Force as a Plea of Necessity', (2017) 111 American Journal of International Law, 302-306.

³²⁶ იხ. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლები 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 110, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994).

უფლებამოვალეობებს სხვადასხვა საზღვაო ზონაში და როდესაც ვსაუბრობთ საზღვაო ტერორიზმის დანაშაულის მიმართ სანაპირო სახელმწიფოთა საკანონმდებლო და აღმასრულებელ იურისდიქციაზე, ცხადია, ის დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საზღვაო ზონაშია დანაშაული ჩადენილი.³²⁷ საერთოდ, საერთაშორისო საზღვაო სამართალში მიღებულია საზღვაო ზონების სამ ძირითად კატეგორიად დაყოფა: 1) ეროვნული სუვერენიტეტის ქვეშ მყოფი საზღვაო ზონები; 2) საზღვაო ზონები, სადაც სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული სუვერენული უფლებებითა და იურისდიქციით; 3) სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტის მიღმა არსებული საზღვაო ზონები.³²⁸ თუმცა, დისერტაციის მიზნებისთვის, ვინაიდან საზღვაო ტერორიზმი არის ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ნაოსნობის თვალსაზრისით საზღვაო ზონებს დავყოფთ ორ ძირითად კატეგორიად: 1) სახელმწიფო სუვერენიტეტის ქვეშ არსებული საზღვაო ზონები (შიდა წყლები, ტერიტორიული ზღვა და არქიპელაგური წყლები); 2) ღია ზღვა.³²⁹ ამდენად, დისერტაციის ამ ნაწილში შეძლებისამებრ მოკლედ განვიხილავთ სანაპირო სახელმწიფოთა უფლებამოსილებათა ფარგლებს სხვადასხვა საზღვაო ზონაში საზღვაო ტერორიზმის დანაშაულის მიმართ 1982 წლის კონვენციის შესაბამისად.

შიდა წყლები განეკუთვნება პირველი კატეგორიის საზღვაო ზონას, სადაც სანაპირო სახელმწიფოებს გააჩნიათ სრული სუვერენიტეტი.³³⁰ ეს სუვერენიტეტი ძალიან მსგავსია იმ სუვერენიტეტისა, რაც სანაპირო სახელმწიფოებს გააჩნიათ თავიანთი სახმელეთო ტერიტორიის მიმართ. თავის შიდა წყლებში უცხო ქვეყნის გემების მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება მთლიანად შედის

³²⁷ იხ. ზოგადად, Klein N, *Maritime Security and the Law of the Sea* (OUP 2011), 62-143; Rajput A, 'Maritime Security and Threat of a Terrorist Attack', (2022) 34(2) *Pace International Law Review*, 16-56.

³²⁸ პირველი კატეგორიის საზღვაო ზონებს განეკუთვნება შიდა წყლები, ტერიტორიული ზღვა, არქიპელაგური წყლები. მეორე კატეგორიის საზღვაო ზონებში შედის მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტიტენტური შელფი, ხოლო მესამე კატეგორიის საზღვაო ზონებს განეკუთვნება ღია ზღვა და ღია ზღვის ფსკერი. საზღვაო ზონების კლასიფიკაციის შესახებ იხ. ვრცლად: Tanaka Y, *The International Law of the Sea* (Cambridge 2019), 86-292; ასევე იხ. Treves T, 'The Legal Nature of Coastal States' Rights in the Maritime Areas Under UNCLOS', *International Symposium on the Law of the Sea The Rule of Law in the Seas of Asia* (12 and 13 February 2015) <<https://www.mofa.go.jp/files/000074504.pdf>>; Serita K, *The Territory of Japan Its History and Legal Basis* (Springer 2023), 109.

³²⁹ იხ. ზოგადად, Prescott V, Schofield C, *The Maritime Political Boundaries of the World* (Brill 2004), 9-10; Goodall B, 'Maritime Zones', Reginald W. Herschy, Rhodes W. Fairbridge (eds), *Encyclopedia of Hydrology and Water Resources* (Kluwer Academic Publishers 1998) (ავტორი მიუთითებს, რომ ისტორიულად მიღებული იყო საზღვაო ზონების ორ კატეგორიად დაყოფა (ტერიტორიულ წყლებად და ღია ზღვად); Molenaar EJ, 'New Maritime Zones and the Law of the Sea', Henrik Ringbom (ed), *Post-UNCLOS Developments in the Law of the Sea* (Brill 2015), 251.

³³⁰ იხ. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 2, ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994); ასევე იხ. ზოგადად, Tanaka Y, *The International Law of the Sea* (Cambridge 2019), 96.

სანაპირო სახელმწიფოს კომპეტენციაში.³³¹ ცხადია, შიდა წყლებში სანაპირო სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება საზღვაო ტერორიზმის დანაშაულზეც. ტერიტორიულ ზღვასა და არქიპელაგურ წყლებში სანაპირო სახელმწიფოს უფლებამოსილებები დანაშაულის მიმართ არსებითად მსგავსია შიდა წყლებში ამ სახელმწიფოს უფლებამოსილებებისა, გარდა ტერიტორიულ წყლებში უცხო ქვეყნის გემების მშვიდობიანი გავლის, არქიპელაგურ დერეფნებში გავლის და უცხო ქვეყნის გემების მიერ საერთაშორისო სრუტეებში სატრანზიტო გავლისა, რომელიც არ უნდა იქნეს შეფერხებული ან შეჩერებული.³³² თუმცა, ვინაიდან ამ შემთხვევებშიც საუბარი გვაქვს პირველი კატეგორიის საზღვაო ზონებზე, სანაპირო სახელმწიფოს უფლებამოსილებები საზღვაო ტერორიზმის აღკვეთის კუთხით ძალზე ფართოა და მას, მათ შორის, შეუძლია აღკვეთოს იმგვარი გავლა, რომელიც არ არის მშვიდობიანი.³³³

რაც შეეხება მიმდებარე ზონას, 1982 წლის კონვენციის 33-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე პირდაპირ მითითებას სანაპირო სახელმწიფოს შესაძლო იურისდიქციაზე საზღვაო ტერორიზმთან ან მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებით.³³⁴ ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მიმდებარე ზონა, როგორც აღსრულების ზონა შეიქმნა სულ სხვა მიზნებისთვის.³³⁵ თუმცა, დღეს საერთაშორისო საზღვაო სამართლის ექსპერტები თანხმდებიან, რომ ამ მუხლში მოცემული კონტროლის უფლებამოსილება ფისკალურ, საბაჟო, საიმიგრაციო ან სანიტარიულ წესებთან დაკავშირებით პოტენციურად მოიცავს ისეთ ზომებს როგორებიცაა გემის დაკავება, მისი ბადრაგირება სანაპირო სახელმწიფოს პორტებში ან სხვა სამართლებრივი ზომების მიღება.³³⁶ ამდენად, თუ მაგალითად, საზღვაო ტერორიზმის დანაშაული ან მასობრივი განადგურების იარაღის ტრანსპორტირება უკავშირდება 33-ე მუხლში მოცემული წესების დარღვევას, სანაპირო სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს აღმასრულებელი იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობა.³³⁷ სხვა

³³¹ იხ. სირაძე ე, შიდა და საერთაშორისო ნორმათა კოლიზია სანაპირო სახელმწიფოს მიერ ტერიტორიულ წყლებში იურისდიქციის განხორციელების დროს (სადოქტორო დისერტაცია) (თსუ 2010), 36.

³³² იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 78; ასევე იხ. Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 63-64.

³³³ იქვე.

³³⁴ იხ. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 33, ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994); Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 64.

³³⁵ იხ. ზოგადად, Eschenhagen P, Jürgens M, 'Protective Jurisdiction in the Contiguous Zone and the Right of Hot Pursuit: Rethinking Coastal States Jurisdictional Rights' (2018) 19 Melbourne Journal of International Law, 4-13.

³³⁶ იხ. Klein N, *Maritime Security and the Law of the Sea* (OUP 2011), 88.

³³⁷ იხ. Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014), 64.

შემთხვევაში მიმდებარე ზონაში სანაპირო სახელმწიფოების იურისდიქცია არ მოიცავს საზღვაო ტერორისტულ აქტებს. ცნობილი კაპიტანი და საერთაშორისო სამართლის ექსპერტი ჯ. ეშლი როუჩი ასევე შეზღუდულად განმარტავს სანაპირო სახელმწიფოების უფლებამოსილებებს მიმდებარე ზონაში და მასში არ მოიაზრებს (ნებისმიერი სახის) კონტროლის უფლებამოსილების განხორციელებას უსაფრთხოების მიზნით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დისერტაციაში შემოთავაზებული საზღვაო ზონების ორ კატეგორიად დაყოფის მიზანშეწონილობას საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში.³³⁸ საგულისხმოა, რომ 1982 წლის კონვენცია ძალზე შეზღუდულად განმარტავს სანაპირო სახელმწიფოს „კონტროლის“ უფლებამოსილებას, რომელიც ჩვეულებრივ ვრცელდება ამავე კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე თუ მათ ადგილი აქვს სახელმწიფოს „ტერიტორიაზე ან ტერიტორიულ წყლებში“.³³⁹ ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა შეიძლება იყოს უშუალოდ მიმდებარე ზონაში ჩადენილი საზღვაო ტერორიზმის დევნის მხრივ.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა ჩვეულებრივ განიხილება „sui generis“ საზღვაო ზონად,³⁴⁰ სადაც სანაპირო სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული სუვერენული უფლებები და იურისდიქცია, რაც რეგულირდება 1982 წლის კონვენციის მე-5 ნაწილის შესაბამისად.³⁴¹ თავისი სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, ყველა სახელმწიფო სარგებლობს ღია ზღვის 3 თავისუფლებით, მათ შორის, ნაოსნობის თავისუფლებით აღნიშნულ საზღვაო ზონაში.³⁴² განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში სანაპირო სახელმწიფოს სუვერენული უფლებები და იურისდიქცია აღნიშნული ზონის სპეციფიკიდან გამომდინარე არის განმარტებული კონვენციის 56-ე მუხლში.³⁴³ აღნიშნულ საზღვაო ზონაში სანაპირო სახელმწიფოებს არ გააჩნიათ არავითარი იურისდიქცია უშუალოდ საზღვაო ტერორისტული აქტების მიმართ. თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში სანაპირო სახელმწიფოს

³³⁸ იხ. Roach JA, *Excessive Maritime Claims* (Brill 2021), 143.

³³⁹ აქ ერთადერთ კონვენციურ გამონაკლისს წარმოადგენს 303-მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა - არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების მოცილება. იხ. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 303, ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994).

³⁴⁰ იხ. Churchill R, Lowe V, Sander A, *The Law of the Sea* (Manchester University Press 2022); Nandan SN, 'The Exclusive Economic Zone: A Historical Perspective', Food and Agriculture Organization of the United Nations <<https://www.fao.org/4/s5280T/s5280t0p.htm#TopOfPage>>; Oana A, 'Exclusive Economic Zone –The Concept of Sui Generis Area and its Implications for the Legal Order of the Sea', (2013) 20(14) Constant Maritime University Annals, 187-190.

³⁴¹ საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 55, ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994).

³⁴² იქვე, მუხლი 58.

³⁴³ საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 56., ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994).

³⁴³ იქვე, მუხლი 58.

გააჩნია იურისდიქცია ბუნებრივი გარემოს დაცვასა და შენარჩუნებაზე.³⁴⁴ თუმცა, აქ ცალსახად უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენციით სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია გააჩნია გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართულ და არა საზღვაო ტერორისტულ აქტებზე, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საზღვაო ტერორიზმის შესაძლო დაუსჯელობის პრობლემის აქტუალობას.

სანაპირო სახელმწიფოს კონტინენტური შელფი მოიცავს ზღვის ფსკერის ზედაპირსა და წყალქვეშა რაიონის წიაღს.³⁴⁵ საგულისხმოა, რომ 1982 წლის კონვენცია საკმაოდ შეზღუდულად განმარტავს სანაპირო სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას მითითებულ საზღვაო ზონაში, რომელიც *inter alia* მოიცავს შემდეგს: ა) გამოკვლევა და კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია;³⁴⁶ ბ) იურისდიქცია კონტინენტურ შელფზე აგებული ხელოვნური კუნძულების, მოწყობილობებისა და ნაგებობების მიმართ;³⁴⁷ გ) საბურღი სამუშაოების რეგულირება;³⁴⁸ დ) საზღვაო სამეცნიერო კვლევის რეგულირება.³⁴⁹ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მსგავსად კონტინენტურ შელფის შემთხვევაშიც სანაპირო სახელმწიფოებს არ გააჩნიათ იურისდიქცია უშუალოდ საზღვაო ტერორისტულ აქტებზე. ვინაიდან 1982 წლის კონვენციის 76 (1) მუხლის თანახმად, კონტინენტური შელფის რეჟიმი მოიცავს სანაპირო სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ზღვის ფსკერის ზედაპირისა და წიაღის მიმართ, ავტორები სამართლიანად მიუთითებენ, რომ სასურველია 1982 წლის კონვენციით ან რაიმე სხვა ინსტრუმენტით უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ტერორისტული გემის წინააღმდეგ სანაპირო სახელმწიფოს მოქმედების ფარგლები რესურსების მოპოვების თვალსაზრისით.³⁵⁰

საზღვაო ტერორიზმის შესაძლო დაუსჯელობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ღია ზღვის შემთხვევაში, რომელიც, როგორც მე-2 კატეგორიის საზღვაო ზონა არ ექვემდებარება არცერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტს.³⁵¹ ეფუძნება რა დროშის სახელმწიფოს ექსკლუზიური იურისდიქციის პრინციპს,³⁵² 1982 წლის კონვენცია ვერ აგვარებს იმ იურისდიქციულ დეფიციტს, რაც შეიძლება წარმოიშვას დროშის სახელმწიფოს მიერ საზღვაო ტერორიზმის დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელების უუნარობამ ან სურვილის არქონამ. ამის ნათელი მაგალითია სახელმწიფოების მიერ გემების რეგისტრაცია ღია რეესტრების მეშვეობით, როდესაც

³⁴⁴ იქვე, მუხლი 56, ნაწილი 1.

³⁴⁵ საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 56., ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994), მუხლი 76, ნაწილი 1.

³⁴⁶ იქვე, მუხლი 77.

³⁴⁷ იქვე, მუხლი 80.

³⁴⁸ იქვე, მუხლი 81.

³⁴⁹ იქვე, მუხლი 246.

³⁵⁰ იხ. მაგალითად, Rajput A, 'Maritime Security and Threat of a Terrorist Attack', (2022) 34(2) Pace International Law Review, 33.

³⁵¹ იქვე, მუხლი 55, ნაწილი 1.

³⁵² იქვე, მუხლი 94.

ამ სახელმწიფოებს შესაძლოა არ ჰქონდეთ თავიანთი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე იურისდიქციის განხორციელების რეალური ინტერესი.³⁵³ შესწავლილია, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ირჩევენ ღია რეესტრების მექანიზმს თავიანთი დროშის ქვეშ მცურავი გემებისათვის.³⁵⁴ ეს პრობლემა არსებობს მეორადი რეესტრების შემთხვევაშიც, რომლებიც ჩვეულებრივ განიხილება ოფშორული რეესტრის ფორმად.³⁵⁵ დღეისათვის ისეთი ქვეყნები როგორებიცაა ესპანეთი, პორტუგალია, დანია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, გერმანია და საფრანგეთი აქტიურად მისდევნენ გემების რეგისტრაციის პრაქტიკას მეორად ან ღია რეესტრებში.³⁵⁶ ნიშანდობლივია, რომ მსგავს სიტუაციებში გემების მიმართ სხვა სახელმწიფოების შესაძლო იურისდიქცია საზღვაო ტერორიზმის დანაშაულზე ცალსახად ვერ დადგინდება მხოლოდ „ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად“³⁵⁷ და საჭიროებს სპეციალური ხელშეკრულების დადებას, რომელიც დაადგენდა მსგავსს უფლებამოსილებას.

3.4. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის კონვენცია (SUA კონვენცია)

3.4.1. კონვენციის მოქმედების სფერო

SUA კონვენციის კონტექსტში, პირველ რიგში, უპრიანია განვმარტოთ გემის ცნება. ზოგადად, საერთაშორისო სამართალში არ არსებობს აღნიშნული ტერმინის ერთგვაროვანი განმარტება.³⁵⁸ SUA კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „გემი“ ნიშნავს ნებისმიერი ტიპის გემს, რომელიც მუდმივად არ არის მიმაგრებული ზღვის ფსკერზე, მათ შორის, დინამიური მხარდაჭერის მქონე გემებს, წყალქვეშა ნავებს ან სხვა მცურავ ხომალდებს.³⁵⁹ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, კონვენციის

³⁵³ Klein N, *Maritime Security and the Law of the Sea* (OUP 2011), 141.

³⁵⁴ იხ. Watterson CJ, Osborne S, Grant S, 'Open Registries as an Enabler of Maritime Sanctions Evasion', (2020) 119 *Marine Policy*, 1.

³⁵⁵ იხ. ზოგადად, 'Superyacht registries', ONBOARD <<https://www.obmagazine.media/superyacht-registries/#:~:text=Secondary%20Registry%20is%20also%20known,counter%20its%20effects%20on%20shipping>>.

³⁵⁶ იხ. Piñeiro LC, *International Maritime Labour Law* (Springer 2015), 20-21.

³⁵⁷ იქვე, საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 56., ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994), პრეამბულა (საკითხები, რომლებიც ამ კონვენციით არ რეგულირდება, დარეგულირდება ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმების და პრინციპების შესაბამისად).

³⁵⁸ სირამე ე, *შიდა და საერთაშორისო ნორმათა კოლიზია სანაპირო სახელმწიფოს მიერ ტერიტორიულ წყლებში იურისდიქციის განხორციელების დროს (სადოქტორო დისერტაცია)* (თსუ 2010), 9.

³⁵⁹ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 1, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); ასევე იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 28.

მოქმედება არ ვრცელდება ა) სამხედრო გემებზე; ბ) გემებზე, რომელთაც ფლობს ან მართავს სახელმწიფო, როდესაც ის გამოიყენება საზღვაო დამხმარე ძალად ან საბაჟო ან საპოლიციო მიზნებისთვის; გ) გემებზე, რომლებიც აღარ გამოიყენება ნაოსნობისთვის.³⁶⁰ კონვენციის ტექსტიდან გამომდინარე ნათელია, რომ კონვენცია გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მიმართ.³⁶¹

3.4.2. იურისდიქცია

კონვენციით განმტკიცებულია იურისდიქციის განხორციელების ორი ტიპი - **სავალდებულო და დისკრეციული.**³⁶² კონვენციის ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები რათა დადგინდეს მათი იურისდიქცია კონვენციაში მოცემულ დანაშაულებთან დაკავშირებით, როდესაც დანაშაული ჩადენილია მათი დროშის ქვეშ მცურავი გემის წინააღმდეგ ან მის ბორტზე ან ამ სახელმწიფოების ტერიტორიაზე, მათი ტერიტორიული ზღვის ჩათვლით ან სახელმწიფოთა მოქალაქეების მიერ.³⁶³ **დისკრეციული იურისდიქცია** გულისხმობს იმას, რომ რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ დაადგინონ მათი იურისდიქცია კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, როდესაც: ა) დანაშაული ჩადენილია მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილია კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში; ბ)

³⁶⁰ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 2, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

³⁶¹ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 4, ნაწილი 1, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15 (3) University of Miami International and Comparative Law Review, 348; Treves T, 'The Rome Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (1988) 2 Singapore Journal of Comparative and International Law, 546; Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 29.

³⁶² იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 6, ნაწილები 1 და 2, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15 (3) University of Miami International and Comparative Law Review, 351; Kelley RP, 'UNCLOS, But No Cigar: Overcoming Obstacles to the Prosecution of Maritime Piracy', (2011) 95 Minnesota Law Review, 2314; Hauwaert JV, *The Importance of the SUA Convention in the Fight Against Violence at Sea* (University of Ghent 2017-2018), 37; ასევე იხ. ზოგადად, Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 29.

³⁶³ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 6, ნაწილი 1, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15 (3) University of Miami International and Comparative Law Review, 351; ასევე იხ. ზოგადად, Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 29.

დანაშაულის ჩადენის დროს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქე შეიპყრეს, დაემუქრეს, დაჭრეს ან მოკლეს; ან გ) დანაშაული ჩადენილია იმ მიზნით, რომ აიძულოს აღნიშნული სახელმწიფო განახორციელოს ესა თუ ის ქმედება ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან.³⁶⁴

3.4.3. სისხლისსამართლებრივი დევნის ან ექსტრადიციის ვალდებულება;

თანამშრომლობის ვალდებულება

საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში კონვენციის სხვა მნიშვნელოვანი ნორმებიდან გამოვყოფდი ნორმებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან ექსტრადიციის და თანამშრომლობის ვალდებულების შესახებ. კერძოდ, SUA კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი დამნაშავე ან სავარაუდო დამნაშავე, იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება მე-6 მუხლი, თუ იგი არ ახდენს მის ექსტრადიციას, ვალდებულია, რაიმე გამონაკლისის გარეშე და ჩადენილია თუ არა დანაშაული მის ტერიტორიაზე, დაუყოვნებლივ წარუდგინოს საქმე თავის კომპეტენტურ ორგანოებს დევნის მიზნით ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.³⁶⁵ ეს პრინციპი ცნობილია როგორც „aut dedere aut judicare“ პრინციპი.³⁶⁶

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეისათვის საერთაშორისო (საზღვაო) სამართლის ექსპერტებს შორის არსებობს სკეპტიციზმი სახელმწიფოების მიერ პრაქტიკაში აღნიშნული ვალდებულების ეფექტიანად შესრულების თვალსაზრისით, რამეთუ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, SUA კონვენცია არ შეიცავს დამნაშავეთა დასჯის ან ექსტრადიციის რაიმე რეალურ, აბსოლუტურ ვალდებულებას.³⁶⁷ ეს ვალდებულება ჩვეულებრივ განიხილება არა როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი, არამედ როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა,

³⁶⁴ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 6, ნაწილი 2, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992); Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15 (3) University of Miami International and Comparative Law Review, 351; ასევე იხ. ზოგადად, Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 29.

³⁶⁵ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 10, ნაწილი 1, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

³⁶⁶ იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 30.

³⁶⁷ იხ. Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15 (3) University of Miami International and Comparative Law Review, 349; Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 30; ასევე იხ. ზოგადად, Treves T, 'The Rome Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (1988) 2 Singapore Journal of Comparative and International Law, 552-553.

რომელიც ეხება კონკრეტულ დანაშაულებს და სახელმწიფოებს უტოვებს ერთგვარ დისკრეციას რამდენად სრულად აიღებენ საკუთარ თავზე მის შესრულებას მათი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.³⁶⁸ აღნიშნულთან დაკავშირებით პროფესორი მაიკლ კელი ისრაელისა და ავსტრიის შიდა სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ დღეისათვის არსებობს ერთგვარი ანეგდოტური მტკიცებულება იმისა, რომ ეროვნული სისტემების მოსამართლეები დამოუკიდებლად განმარტავენ აღნიშნულ ვალდებულებას.³⁶⁹ საერთაშორისო სისხლის სამართლის ცნობილი ექსპერტი, პროფესორი შერიფ ბასიუნი თვლის, რომ აღნიშნული პრინციპი სულ მცირე საერთაშორისო დანაშაულების კონტექსტში არის აბსოლუტური, რაც ნაკლებად მიესადაგება საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმს, რომელიც სამართლიანად განიხილება როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაული.³⁷⁰ პროფესორი ჰელმუტ ტუერკი მარტივად ხსნის კონვენციით დასჯის აბსოლუტური ვალდებულების არარსებობის არსს, რაც გულისხმობს, რომ ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი დამნაშავე ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს ის თავის კომპეტენტურ ორგანოებს დევნის მიზნით, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას იმავე წესით როგორც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით ნებისმიერი სხვა მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.³⁷¹ ამდენად, არავითარ დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამ პრინციპის ეფექტიანი განხორციელება პრაქტიკაში დიდწილად დამოკიდებულია ეფექტიან შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, სადაც ადეკვატურად არის ინკორპორირებული საზღვაო ტერორიზმის დანაშაული.³⁷²

რაც შეეხება სახელმწიფოთა თანამშრომლობას, კონვენციის ხელშემკვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან 3, 3 bis, 3 ter და 3 quater მუხლებში ჩამოთვლილ დანაშაულებთან დაკავშირებით აღძრულ სისხლისსამართალწარმოებასთან დაკავშირებით დახმარება გაუწიონ ერთმანეთს, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების კუთხით.³⁷³

1988 წლის 10 მარტს მიღებულ იქნა ოქმი კონტინენტურ შელფზე მდებარე ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ. ვინაიდან ამ ოქმში მოცემული დებულებები კონვენციაში

³⁶⁸ იხ. Stigall DE, 'Ungoverned Spaces, Transnational Crime, and the Prohibition on Extraterritorial Enforcement Jurisdiction in International Law', (2013) 3(1) Notre Dame Journal of International and Comparative Law, 20.

³⁶⁹ იქვე.

³⁷⁰ იქვე.

³⁷¹ იხ. Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) University of Miami International and Comparative Law Review, 349.

³⁷² იხ. Honniball AN, 'One Treaty to Apply Them All? Defining Maritime Terrorism by Cross-References and Reservations: The ASEAN Region Example', (2023) 100 International Law Studies, 74.

³⁷³ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 12, ნაწილი 1, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

მოცემული დებულებების მსგავსია, ამ ნაწილში არ მოხდება მისი დეტალური განხილვა.

3.4.4. 2005 წლის ოქმები

2001 წლის 11 სექტემბრის შემზარავი ტერორისტული აქტების შემდეგ IMO-მ ჩათვალა, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ეხება ზღვაზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს, იყო არაადეკვატური თანამედროვე საფრთხეებზე რეაგირებისთვის.³⁷⁴ ამრიგად, 2005 წლის 10 ოქტომბრიდან 14 ოქტომბრის ჩათვლით კონვენციის გადასინჯვის დიპლომატიური კონფერენციის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები 1988 წლის კონვენციასა და მის დამატებით ოქმში³⁷⁵ და შედეგად, მიღებულ იქნა ორი დამატებითი ოქმი: ა) საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ SUA კონვენციის 2005 წლის ოქმი (შემდგომში 2005 წლის ოქმი);³⁷⁶ ბ) ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ ოქმის 2005 წლის ოქმი (შემდგომში ფიქსირებული პლატფორმების შესახებ 2005 წლის ოქმი).³⁷⁷ ფიქსირებული პლატფორმების შესახებ 2005 წლის ოქმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში ფიქსირებული პლატფორმების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კრიმინალიზაციის მხრივ. მაგალითად, ოქმი კრძალავს ფიქსირებული პლატფორმის წინააღმდეგ ან ფიქსირებულ პლატფორმაზე ნებისმიერი ფეთქებადი, რადიოაქტიური მასალის ან BCN იარაღის გამოყენებას იმგვარად, რაც იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანთა სიკვდილი, სერიოზული დაზიანება ან ზიანი.³⁷⁸

რაც შეეხება SUA კონვენციის 2005 წლის ოქმს, მას შემოჰყავს სამი ახალი კატეგორიის დანაშაულები: ა) პირველი კატეგორიის დანაშაულები, რომლებიც უმთავრესად ეხება გემის (ან პლატფორმის) იარაღად გამოყენებას; ბ) მეორე კატეგორიის დანაშაულები, რომლებიც ეხება მასობრივი განადგურების იარაღის, მათი მიწოდების სისტემების ან მასთან დაკავშირებული მასალების ზღვით უკანონო ტრანსპორტირებას; გ) მესამე

³⁷⁴ იხ. Hauwaert JV, *The Importance of the SUA Convention in the Fight Against Violence at Sea* (University of Ghent 2017-2018), 52.

³⁷⁵ 'Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation, Protocol for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Fixed Platforms Located on the Continental Shelf', International Maritime Organization <[https://www.imo.org/en/About/Conventions/Pages/SUA-Treaties.aspx#:~:text=Important%20amendments%20to%20the%201988,treaties%20\(the%202005%20Protocol.](https://www.imo.org/en/About/Conventions/Pages/SUA-Treaties.aspx#:~:text=Important%20amendments%20to%20the%201988,treaties%20(the%202005%20Protocol.)

³⁷⁶ საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი UNTS vol. 3429 (მიღების თარიღი: 14/10/2005; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010).

³⁷⁷ ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების აღკვეთის 2005 წლის ოქმი UNTS vol. 3349 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010).

³⁷⁸ იქვე, მუხლი 2bis (a).

კატეგორიის დანაშაულები, რომლებიც ეხება ტერორისტების გემებით ტრანსპორტირებას.³⁷⁹

2005 წლის ოქმს შემოაქვს გემზე ჩასხდომის პროცედურებიც. კერძოდ, ხელშემკვრელ სახელმწიფოს გონივრული ეჭვის არსებობისას, რომ გემზე მყოფი პირების მიერ შესაძლოა ჩადენილ იქნას კონვენციით გათვალისწინებული დანაშაული, შეუძლია განხორციელოს გემზე ასვლა.³⁸⁰ თუმცა, გემზე ჩასხდომის პროცედურის განხორციელებამდე აუცილებელია დროშის სახელმწიფოს თანხმობა, რომელიც შეიძლება გაიცეს ზოგადად ან ad hoc.³⁸¹

2005 წლის ოქმის მნიშვნელოვანი გამოწვევაა რატიფიკაციების შედარებით მცირე რაოდენობა, რომელიც 2024 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს მხოლოდ 40 სახელმწიფოს.³⁸²

3.5. კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ (SOLAS)

საზღვაო უსაფრთხოების შესახებ IMO-ს დიპლომატიურმა კონფერენციამ, რომელიც გაიმართა 2002 წლის 9 დეკემბრიდან 13 დეკემბრამდე, შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები SOLAS კონვენციაში, კერძოდ, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კონვენციის XI-1 თავში, ასევე კონვენციას დაემატა ახალი თავი XI-2.³⁸³ კონვენციის XI-I თავის მე-3 რეგულაცია მოითხოვს, რომ ყველა გემს, რომელზედაც ის ვრცელდება, ჰქონდეს IMO-ს ნომერი, რომელიც შეესაბამება A.1117(30) „IMO-ს საიდენტიფიკაციო ნომრის სქემის“ მოთხოვნებს.³⁸⁴ IMO -ს ნომერი არის გემის უნიკალური შვიდნიშნა ნომერი, რომელიც რჩება გემთან სახელის, კომპანიისა და დროშის ცვლილების მიუხედავად და უზრუნველყოფს დამოუკიდებელ აუდიტს

³⁷⁹ იხ. Hauwaert JV, *The Importance of the SUA Convention in the Fight Against Violence at Sea* (University of Ghent 2017-2018), 53-61.

³⁸⁰ იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის კონვენციის 2005 წლის ოქმი, მუხლი 8 bis, ნაწილი 5, UNTS vol. 3429 (მიღების თარიღი: 14/10/2005; ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/2010); Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) University of Miami International and Comparative Law Review, 361.

³⁸¹ იქვე, მუხლი 8 bis (5) (c); Tuerk H, 'Combating Terrorism At Sea –The Suppression of Unlawful Acts Against The Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) University of Miami International and Comparative Law Review, 361.

³⁸² 'Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', United Nations <<https://treaties.un.org/pages/showdetails.aspx?objid=08000002800b9bd7>>.

³⁸³ იხ. Bowley R, *Countering Terrorism in the Maritime Domain: A Contemporary Evaluation of the International Legal Framework* (University of Wollongong 2013), 108.

³⁸⁴ იხ. 'SOLAS Chapter XI-1'. Isle of Man Ship Registry (12.01.2024) <<https://www.iomshipregistry.com/media/outh33dx/msn-029-solas-xi-1.pdf>>; კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ (SOLAS), XI-1 თავი, რეგულაცია 3, ნაწილი 2, UNTS vol. 1184, 1185 (p.2) (მიღების თარიღი: 01/11/1974; ძალაში შესვლის თარიღი: 25/05/1980); Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is today's maritime security sufficient?* (University of Oslo 2008), 21.

ყველა გემისათვის, რომელიც ექვემდებარება სქემას. ³⁸⁵ რეგულაცია ვრცელდება: ა) 300 მთლიანი ტონაჟის და ზემოთ ყველა სატვირთო გემზე; ბ) 100 მთლიანი ტონაჟის და ზემოთ ყველა სამგზავრო გემზე. ³⁸⁶

კონვენციის უდავო უპირატესობად ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც ემსახურება გემების უსაფრთხოებას. ³⁸⁷ ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვეყნოთ მაგალითად ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემა (Automatic Identification System (AIS)), შორ მანძილზე თვალყურის დევნებისა და იდენტიფიკაციის სისტემა (Long Range Tracking and Identification (LRIT)), გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემა (Ship Security Alert System (SSAS)) და სხვ. ³⁸⁸ კონვენციის მოთხოვნაა, რომ 300 საერთო ტონაჟის და ზემოთ ყველა გემი, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ნაოსნობაში და 500 საერთო ტონაჟის და ზემოთ სატვირთო გემები, რომლებიც არ ასრულებენ საერთაშორისო ნაოსნობას და სამგზავრო გემები, უნდა იყვნენ აღჭურვილნი ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემებით. ³⁸⁹ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა ასევე განაპირობა შორ მანძილზე თვალყურის დევნებისა და იდენტიფიკაციის (LRIT) შესახებ რეგულაციების მიღება, რომელიც ემსახურება გემების მეთვალყურეობას. ³⁹⁰ თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი სახელმწიფო ცდილობს ამ სისტემის გამოყენებას. ³⁹¹ ამ თვალსაზრისით სახელმწიფოთა პრაქტიკის ილუსტრირება შეგვიძლია მოვახდინოთ შემდეგნაირად (იხ. ცხრილი #7): ³⁹²

³⁸⁵ იხ. 'SOLAS Chapter XI-1'. Isle of Man Ship Registry (12.01.2024) <<https://www.iomshipregistry.com/media/outh33dx/msn-029-solas-xi-1.pdf>>.

³⁸⁶ იხ. 'SOLAS Chapter XI-1'. Isle of Man Ship Registry (12.01.2024) <<https://www.iomshipregistry.com/media/outh33dx/msn-029-solas-xi-1.pdf>>; კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ (SOLAS), XI-1 თავი, რეგულაცია 3, ნაწილი 1, UNTS vol. 1184, 1185 (p.2) (მიღების თარიღი: 01/11/1974; ძალაში შესვლის თარიღი: 25/05/1980); Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is today's maritime security sufficient?* (University of Oslo 2008), 21..

³⁸⁷ იხ. Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is today's maritime security sufficient?* (University of Oslo 2008), 21-24.

³⁸⁸ იქვე.

³⁸⁹ იქვე, 21; ასევე იხ. კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ (SOLAS), თავი V, რეგულაცია 19.2.4., UNTS vol. 1184, 1185 (p.2) (მიღების თარიღი: 01/11/1974; ძალაში შესვლის თარიღი: 25/05/1980).

³⁹⁰ იქვე. ასევე იხ. რეგულაცია 19-1 (Long-range identification and tracking of ships).

³⁹¹ იხ. 'The Long Range Tracking and Identification (LRIT) System: Tracking and Monitoring Ships', marine insight (05.07.2021) <<https://www.marineinsight.com/maritime-law/the-long-range-tracking-and-identification-lrit-system-tracking-and-monitoring-ships/?fbclid=IwAR0bJUq3cHcU4loe-qdmyg64mXmroAXuQoO8MSDc03eLMiVIGv2lvwcY5YA>>.

³⁹² იქვე.

ცხრილი #7: საკვანძო მონაცემები LRIT სისტემის შესახებ
• გემების უმეტესობა, რომლებმაც დანერგეს LRIT სისტემა, არის პანამის დროშის რეესტრიდან – დაახლოებით 8000 გემი.
• ევროკავშირმა აღნიშნული სისტემა დანერგა 2007 წლიდან.
• ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე კანადა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც LRIT სისტემა დანერგა 2009 წელს, რასაც მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ აღნიშნული სისტემის დანერგვა.
• სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის ბრაზილია, ვენესუელა, ჩილე და ეკვადორი იყვნენ ერთ-ერთი პირველები LRIT სისტემის დანერგვის კუთხით.

ინფორმაცია, რომელიც უნდა იქნეს მიღებული გემის დროშის სახელმწიფოს მიერ მოიცავს ინფორმაციას გემის იდენტიფიკაციის, მისი მდებარეობისა და პოზიციის შესახებ.³⁹³ ზოგადად, ამ სისტემის ძირითადი მიზნები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ა) სისტემა იძლევა ზღვაზე გემების იდენტიფიკაციისა და თვალყურის დევნების საშუალებას; ბ) ის ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს აწვდის ინფორმაციას გემებისა და მათი პოზიციის შესახებ; გ) სისტემა უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურ მიწოდებას კომერციული სენსიტიურობის გათვალისწინებით.³⁹⁴ ავტორები მიუთითებენ LRIT სისტემის რამდენიმე ფუნდამენტურ ნაკლოვანებაზე: ა) პირველი ნაკლოვანება ეხება ამ სისტემის შეზღუდულ გამოყენებას დიდი გემების მიმართ; ბ) მეორე, საექვოა საკმარისია თუ არა LRIT ინფორმაციის შეზღუდული ფარგლები იმის დასადგენად წარმოადგენს თუ არა გემი საფრთხეს ახლომდებარე სახელმწიფოებისთვის.³⁹⁵

მნიშვნელოვანი ინოვაციაა ასევე **გლობალური საზღვაო უბედურებისა და უსაფრთხოების სისტემის (Global Maritime Distress and Safety System (GMDSS))** რეგულაციები, რომლებიც ვრცელდება: ა) 300 საერთო ტონაჟის და მეტი ტონაჟის გემებზე, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ნაოსნობაში; ბ) ყველა სამგზავრო გემზე, რომელსაც გადაჰყავს 12-ზე მეტი მგზავრი საერთაშორისო

³⁹³ იხ. Bowley R, *Countering Terrorism in the Maritime Domain: A Contemporary Evaluation of the International Legal Framework* (University of Wollongong 2013), 143.

³⁹⁴ იხ. Mallia P, 'Combating a Current Threat to Maritime Security through the Creation of a Cooperative Framework', Vaughan Lowe, Robin Churchill (eds), *Migrant Smuggling by Sea* (Publications on Ocean Development 2009), 36.

³⁹⁵ იხ. Bowley R, *Countering Terrorism in the Maritime Domain: A Contemporary Evaluation of the International Legal Framework* (University of Wollongong 2013), 144.

ნაოსნობისას. ³⁹⁶ GMDSS სისტემის მეშვეობით გემი აგზავნის კატასტროფის სიგნალს (distress signal) სატელიტის ან რადიოკავშირის აღჭურვილობის მეშვეობით. ³⁹⁷ კონვენციის მიხედვით, თითოეული ხელშემკვერელი სახელმწიფოს მთავრობა ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები GMDSS სისტემის მონაცემების დასარეგისტრირებლად და ეს მონაცემები 24 საათიან რეჟიმში ხელმისაწვდომი გადახოს სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრებისთვის. ³⁹⁸ საინტერესოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა სკეპტიკური დამოკიდებულება GMDSS სისტემის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ თვლიდა ამ სისტემას კარგ შესაძლებლობად მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებულ ძარცვასთან გასამკლავებლად, ის მიუთითებდა დროის ფაქტორზე, ასევე განგაშის სიგნალის ფარულად გაცემის შეუძლებლობაზე, რადგან სისტემის აქტივაცია განგაშის ხმას გამოსცემდა. ³⁹⁹

გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემა (Ship Security Alert System (SSAS)) იძლევა უსაფრთხოების განგაშის სიგნალის გადაცემის შესაძლებლობას დროშის სახელმწიფოს ორგანოსათვის, როდესაც გემის უსაფრთხოება საფრთხეშია. ⁴⁰⁰ აღსანიშნავია, რომ კონვენციაში მოცემულია **გემების საკმაოდ ფართო ჩამონათვალი**, რომლებზეც ვრცელდება ეს მოთხოვნა, მათ შორისაა: ა) გემები, რომლებიც აშენდა 2004 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ; ბ) სამგზავრო გემები, რომლებიც აშენდა 2004 წლის 1 ივლისამდე; გ) 500 საერთო ტონაჟის და ზემოთ ნავთობის ტანკერები, ქიმიური ტანკერები, გაზის გადამზიდავი, და სატვირთო ჩქაროსნული ხომალდები; დ) 2004 წლის 1 ივლისამდე აგებული 500 საერთო ტონაჟის სხვა სატვირთო გემები და გარკვეული ოფშორული საბურღი დანადგარები. ⁴⁰¹

SOLAS კონვენცია შეიცავს რამდენიმე რეგულაციას, რომელიც არეგულირებს **კონტროლისა და შესაბამისობის ზომებს**. ⁴⁰² ამ თვალსაზრისით, დროშისა და პორტის სახელმწიფოს ვალდებულებები შეგვიძლია დავყოთ შემდეგნაირად: ა) **დროშის სახელმწიფოს** უმთავრესი ვალდებულებაა უზრუნველყოს, რომ გემი შეესაბამება

³⁹⁶ იხ. 'Global Maritime Distress and Safety System (GMDSS)', Federal Communications Commission <<https://www.fcc.gov/wireless/bureau-divisions/mobility-division/maritime-mobile/ship-radio-stations/global-maritime#:~:text=The%20international%20GMDSS%20regulations%20apply,or%20in%20the%20open%20sea.>

³⁹⁷ იქვე.

³⁹⁸ იხ. კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ (SOLAS), რეგულაცია 5-1, ნაწილი 2, UNTS vol. 1184, 1185 (p.2) (მიღების თარიღი: 01/11/1974; ძალაში შესვლის თარიღი: 25/05/1980).

³⁹⁹ იხ. Mallia P, 'Combating a Current Threat to Maritime Security through the Creation of a Cooperative Framework', Vaughan Lowe, Robin Churchill (eds), *Migrant Smuggling by Sea* (Publications on Ocean Development 2009), 38.

⁴⁰⁰ იხ. 'Ship Security Alert Systems', Federal Ministry for Digital and Transport <<https://www.deutsche-flagge.de/en/safety-and-security/isps/ssas/ssas>>; ასევე იხ. კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ (SOLAS), რეგულაცია XI-2/6, UNTS vol. 1184, 1185 (p.2) (მიღების თარიღი: 01/11/1974; ძალაში შესვლის თარიღი: 25/05/1980).

⁴⁰¹ იხ. კონვენცია ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის შესახებ (SOLAS), თავი XI-2, რეგულაცია 6, UNTS vol. 1184, 1185 (p.2) (მიღების თარიღი: 01/11/1974; ძალაში შესვლის თარიღი: 25/05/1980).

⁴⁰² იქვე. რეგულაცია 9; ასევე იხ. Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is today's maritime security sufficient?* (University of Oslo 2008), 24.

ეროვნულ და საერთაშორისო რეგულაციების მოთხოვნებს; ბ) პორტის სახელმწიფო ახორციელებს თავის პორტში მყოფი გემების ინსპექტირებას. ⁴⁰³

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, რომ SOLAS კონვენცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზღვაო ტერორიზმის საფრთხეზე ადექვატური რეაგირებისთვის, რადგან ის ადგენს მინიმალურ სტანდარტებს გემების აშენების, აღჭურვისა და ექსპლოატაციის შესახებ, ასევე შეიცავს გარკვეულ ტექნიკურ მოთხოვნებს სხვადასხვა გემებისთვის, რომელთა შესრულება სასიცოცხლოდ აუცილებელია საზღვაო უსაფრთხოებისთვის. ⁴⁰⁴

3.6. გემების და ნავსადგურების უშიშროების საერთაშორისო კოდექსი (ISPS Code)

გემების და ნავსადგურების უშიშროების საერთაშორისო კოდექსი (შემდგომში ISPS კოდექსი) არის ზომების ყოვლისმომცველი კომპლექსი გემებისა და საპორტო ობიექტების უსაფრთხოების გასაძლიერებლად, რომელიც შემუშავებულია 9/11-ის ტერორისტული აქტების საპასუხოდ. ⁴⁰⁵ იგი მიღებულ იქნა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ მოწვეული დიპლომატიური კონფერენციის მიერ 2002 წლის დეკემბერში, ხოლო ძალაში შევიდა 2004 წლის ივლისში. ⁴⁰⁶ კოდექსი ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ერთი სავალდებულოა, ხოლო მეორე სარეკომენდაციო ხასიათისაა. ⁴⁰⁷ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საუბარია კოდექსის სარეკომენდაციო ნორმებზე, მათი გამოყენების ფარგლები შეიძლება იყოს განსხვავებული პორტის ობიექტის, გემის, ტვირთის ბუნების მიხედვით და ა.შ. ⁴⁰⁸ ცნობილია, რომ შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ კოდექსის B ნაწილის დაცვა სავალდებულო იქნებოდა აშშ-ს დროშის ქვეშ მცურავი ყველა გემებისათვის. ⁴⁰⁹ ვინაიდან აღნიშნული კოდექსი არის SOLAS კონვენციის

⁴⁰³ იქვე. რეგულაცია 9; ასევე იხ. Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is today's maritime security sufficient?* (University of Oslo 2008), 24.

⁴⁰⁴ იხ. 'Survey and Certification for Safe Construction, Equipment and Operation of vessels SOLAS Convention', LR <<https://www.lr.org/en/services/statutory-compliance/solas/#:~:text=The%20SOLAS%20Convention%20sets%20out,navigation%20safety%2C%20and%20cargo%20carriage>>.

⁴⁰⁵ იხ. 'Frequently Asked Questions on Maritime Security', International Maritime Organization <<https://www.imo.org/en/OurWork/Security/Pages/FAQ.aspx#:~:text=The%20International%20Ship%20and%20Port,attacks%20in%20the%20United%20States>>.

⁴⁰⁶ იხ. Mensah TA, 'The Place of the ISPS Code in the Legal International Regime for the Security of International Shipping', (2003) 3(1) WMU Journal of Maritime Affairs, 17.

⁴⁰⁷ იხ. 'Frequently Asked Questions on Maritime Security', International Maritime Organization <<https://www.imo.org/en/OurWork/Security/Pages/FAQ.aspx#:~:text=The%20International%20Ship%20and%20Port,attacks%20in%20the%20United%20States>>.

⁴⁰⁸ იხ. Mozaheri A, *How the ISPS Code Affects Port and Port Activities* (University College of Borås 2008), 9.

⁴⁰⁹ იქვე.

შემადგენელი ნაწილი, მისი შესრულება სავალდებულოა კონვენციის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის.⁴¹⁰

კოდექსის ძირითადი მიზნები შეიძლება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

ა) კოდექსი მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს ერთგვარი საერთაშორისო ჩარჩო, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, საზღვაო და საპორტო ინდუსტრიებს შორის უსაფრთხოების საფრთხეების აღმოჩენისა და შეფასების, ასევე მათ წინააღმდეგ შესაბამისი პრევენციული ზომების მიღების თვალსაზრისით;

ბ) კოდექსი მიზნად ისახავს დაადგინოს ყველა დაინტერესებული მხარის როლი და პასუხისმგებლობის ფარგლები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

გ) კოდექსი მიზნად ისახავს უზრუნველყოს (საზღვაო) უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული დამუშავება და გაცვლა;

დ) კოდექსი უზრუნველყოფს უსაფრთხოების შეფასების მეთოდოლოგიის შექმნას, რათა არსებობდეს გეგმები და პროცედურები უსაფრთხოების დონის ცვლილებებზე რეაგირებისთვის.⁴¹¹

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კოდექსით დადგენილია მთელი რიგი ფუნქციური მოთხოვნები.⁴¹² კერძოდ, ეს მოიცავს საზღვაო უსაფრთხოების საფრთხეებთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვებასა და შეფასებას; ინფორმაციის გაცვლას ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მთავრობებთან; შესაბამისი ზომების მიღებას გემებზე, პორტის ობიექტებსა და სხვა შეზღუდულ ადგილებში უნებართვო შესვლის თავიდან ასაცილებლად; შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებას პორტებში არასანქცირებული იარაღის ან ასაფეთქებელი ნივთიერებების შეტანის თავიდან ასაცილებლად და სხვ.⁴¹³ კოდექსი ვრცელდება საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართულ შემდეგი ტიპის გემებზე: ა) სამგზავრო გემები, ჩქაროსნული სამგზავრო გემების ჩათვლით; ბ) სატვირთო გემები, ჩქაროსნული ხომალდების ჩათვლით; 500 საერთო ტონაჟის და ზემოთ სატვირთო გემები; გ) მობილური

⁴¹⁰ იხ. 'Frequently Asked Questions on Maritime Security', International Maritime Organization <<https://www.imo.org/en/OurWork/Security/Pages/FAQ.aspx#:~:text=The%20International%20Ship%20and%20Port,attacks%20in%20the%20United%20States>>.

⁴¹¹ იხ. Mozaheri A, *How the ISPS Code Affects Port and Port Activities* (University College of Borås 2008), 10.

⁴¹² იხ. Mensah TA, 'The Place of the ISPS Code in the Legal International Regime for the Security of International Shipping', (2003) 3(1) WMU Journal of Maritime Affairs, 26; გემების და ნავსადგურების უშიშროების საერთაშორისო კოდექსი, აბჯავი 1.3., (მიღების თარიღი: 12.12.2002, ძალაში შესვლის თარიღი: 01.07.2004).

⁴¹³ იქვე.

საზღვაო საბურღი დანადგარები; დ) ნავსადგურის ობიექტები, რომლებიც ემსახურება ასეთ გემებს საერთაშორისო ნაოსნობაში. ⁴¹⁴

3.7. მეზღვაურთა პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების

შესწორებული კონვენცია (2003 SID Convention)

საერთაშორისო დონეზე ყოველთვის არსებობდა მეზღვაურთათვის ერთიანი და ძლიერი საიდენტიფიკაციო სისტემის შექმნის საჭიროება. ⁴¹⁵ აღნიშნულ აუცილებლობაზე საპასუხოდ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ 2003 წელს მიიღო მეზღვაურთა პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების შესწორებული კონვენცია (2003 SID Convention). ⁴¹⁶

მეზღვაურის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი (SID) უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: საკონტაქტო ინფორმაცია; გამცემი ორგანოს ბეჭედი; გაცემის თარიღი და ადგილი; მეზღვაურის სახელი და გვარი, მისი ციფრული ან ორიგინალური ფოტოსურათი და სხვა ინფორმაცია მეზღვაურის შესახებ. ⁴¹⁷ ასევე აუცილებელია, რომ მეზღვაურთა საიდენტიფიკაციო დოკუმენტში შეტანილ იქნას შემდეგი ინფორმაცია: დოკუმენტის მოქმედების ვადა, პირობები, დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი, მეზღვაურის ბიომეტრიული იდენტიფიკაციის მექანიზმები. ⁴¹⁸

კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან მათი მოქალაქეებისთვის, რომლებიც არიან მეზღვაურები, გასცენ მეზღვაურთა იდენტურობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ⁴¹⁹ კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ

⁴¹⁴ იქვე. აბზაცი 3.1; Mensah TA, 'The Place of the ISPS Code in the Legal International Regime for the Security of International Shipping', (2003) 3(1) WMU Journal of Maritime Affairs, 26.

⁴¹⁵ იხ. 'Seafarers Identity Document (SID)', Directorate General of Shipping, Ministry of Ports, Shipping and Waterways, Government of India
<<https://www.dgshipping.gov.in/Content/SeafarersIdentityDocumentSID.aspx>>.

⁴¹⁶ 'Seafarers Identity Document (SID)', Directorate General of Shipping, Ministry of Ports, Shipping and Waterways, Government of India

<<https://www.dgshipping.gov.in/Content/SeafarersIdentityDocumentSID.aspx>>; ასევე იხ. ზოგადად, Bowley R, *Countering Terrorism in the Maritime Domain: A Contemporary Evaluation of the International Legal Framework* (University of Wollongong 2013), 149.

⁴¹⁷ იხ. Bowley R, *Countering Terrorism in the Maritime Domain: A Contemporary Evaluation of the International Legal Framework* (University of Wollongong 2013), 149.

⁴¹⁸ იქვე.

⁴¹⁹ იხ. კონვენცია მეზღვაურების პირადობის მოწმობების შესახებ (გადასინჯული), მუხლი 2, ILO Convention No. 185 (მიღების თარიღი: 19/06/2003; ძალაში შესვლის თარიღი: 09/02/2005); ასევე იხ. 'Seafarers' Identity Documents Convention (Revised), 2003', International Labour Office
<https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@ed_dialogue/@sector/documents/publication/wcms_177102.pdf>, 18.

მეზღვაურთა პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების (SID) გაცემის, მართვისა და გადამოწმების სისტემების ხარისხის კონტროლი და შეფასებები.⁴²⁰

ვინაიდან კონვენციის დეტალური ანალიზი სცილდება წარმოდგენილი თავის მიზნებს, მნიშვნელოვანია გამოვყოთ კონვენციის მნიშვნელობა საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში. კონვენცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, ვინაიდან სწორედ მეზღვაურთა იდენტიფიცირება შეიძლება იყოს გემის ტერორიზმში ეჭვმიტანის საფუძველი. იგი აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას გასცენ მეზღვაურთა საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და შეიცავს ამ დოკუმენტის უსაფრთხოების გარკვეულ მახასიათებლებს.⁴²¹ ასევე საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში კონვენციის უპირატესობებიდან უნდა გამოვყოთ სახელმწიფოებისთვის მეზღვაურთათვის გაცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ერთიან მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის აუცილებლობა ისევე როგორც თავად დოკუმენტის სანდოობა, რომელიც ისახავს მისი მფლობელის ღირსებისა და კონფიდენციალურობის დაცვას.⁴²²

3.8. საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის არაფორმალური მექანიზმები:

გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივა

„გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივა“ არის გლობალური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოთა თანამშრომლობას მასობრივი განადგურების იარაღის გამოწვევაზე საპასუხოდ.⁴²³ აღნიშნული ინიციატივა გამოაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2003 წლის 31 მაისს კრაკოვში G8 სამიტის წინ სიტყვით გამოსვლისას.⁴²⁴ ზოგადად მიიჩნევა, რომ ეს ინიციატივა მიღებულ იქნა „So San“-ის ინციდენტის გამო, სადაც ესპანეთისა და აშშ-ს საზღვაო ძალები თანამშრომლობდნენ კამბოჯაში რეგისტრირებული გემის დასაკავებლად, რომელსაც ჩრდილოეთ კორეიდან იემენში გადაჰქონდა რაკეტები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები.⁴²⁵ მიუხედავად ამისა, გაირკვა, რომ საერთაშორისო

⁴²⁰ იხ. 'Seafarers' Identity Documents Convention (Revised), 2003', International Labour Office <https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@ed_dialogue/@sector/documents/publication/wcms_177102.pdf>, 6.

⁴²¹ იქვე, 11.

⁴²² იხ. 'Seafarers' Identity Documents Convention (Revised), 2003', International Labour Office <https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@ed_dialogue/@sector/documents/publication/wcms_177102.pdf>, 11.

⁴²³ იხ. 'Proliferation Security Initiative', Proliferation Security Initiative PSI <<https://www.psi-online.info/psi-info-en/-/2075520>>.

⁴²⁴ იხ. Malirsch M, Prill F, 'The Proliferation Security Initiative and the 2005 Protocol to the SUA Convention', (2007) 67 ZaöRV, 229-230.

⁴²⁵ იხ. 'The Proliferation Security Initiative: Is It Legal? Are We More Secure', Chatham House <<https://www.chathamhouse.org/sites/default/files/public/Research/International%20Law/ilp250205.pdf>>.

სამართალში არ არსებობდა იურიდიული საფუძველი გემის ან მისი ტვირტის ჩამორთმევისთვის და ამრიგად, გემი საბოლოოდ გაათავისუფლეს, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, განპირობებული იყო იმით, რომ შემოწმების უფლება 1982 წლის კონვენციის მიხედვით (მუხლი 110) არ ვრცელდება ტერორისტულ აქტებზე.⁴²⁶

გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივის უმთავრესი მიზანია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრევენცია ზღვაზე, ჰაერსა და ხმელეთზე, რის მისაღწევადაც ინიციატივაში მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან განახორციელონ გარკვეული ოპერაციები ზღვაზე, ჰაერში ან ხმელეთზე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების ხელშესაშლელად.⁴²⁷ 2024 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით ინიციატივას ჰყავს 112 მონაწილე სახელმწიფო.⁴²⁸

რაც შეეხება უშუალოდ ინიციატივის შინაარსს, ის შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: განცხადება დევნის პრინციპების შესახებ და აშშ-სა და სხვა სახელმწიფოებს შორის გაფორმებული სხვადასხვა ორმხრივი შეთანხმებები.⁴²⁹ ინიციატივის დევნის პრინციპები მოიცავს 10 ძირითად პრინციპს, რომლითაც ინიციატივის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას შექმნან უფრო კოორდინირებული ჩარჩო მასობრივი განადგურების იარაღის, მისი მიწოდების სისტემებისა და მასთან დაკავშირებული მასალების გადაზიდვის შესაჩერებლად.⁴³⁰ პრინციპების მე-2 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს მიიღონ გამარტივებული პროცედურები საექვო გავრცელების აქტივობასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის სწრაფი გაცვლისთვის.⁴³¹ პრინციპები ასევე შეიცავს დებულებას, რომელიც არეგულირებს დროშის სახელმწიფოების მიერ გემში ჩასხდომასა და ჩხრეკას, როდესაც გემი იმყოფება სხვა სახელმწიფოს შიდა წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში ან მის მიღმა.⁴³²

უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივა ერთგვარი აქტივობების ერთობლიობაა, რომელიც არ წარმოადგენს ფორმალურ,

Papastavridis E, 'Maritime Terrorism in International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Edward Elgar Publishing 2014) 61, 64-65.

⁴²⁶ იქვე.

⁴²⁷ იქვე.

⁴²⁸ იხ. 'Proliferation Security Initiative (PSI)', NTI <<https://www.nti.org/education-center/treaties-and-regimes/proliferation-security-initiative-psi/>>.

⁴²⁹ იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 39.

⁴³⁰ იხ. 'PSI Interdiction Principles', U.S. Department of State <[https://www.state.gov/psi-interdiction-principles/#:~:text=To%20take%20appropriate%20actions%20to,are%20identified%3B%20and%20\(2\)>](https://www.state.gov/psi-interdiction-principles/#:~:text=To%20take%20appropriate%20actions%20to,are%20identified%3B%20and%20(2)>)>.

⁴³¹ იქვე, მუხლი 2; ასევე იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 39.

⁴³² იხ. მაგალითისთვის პრინციპები 3-4, 'PSI Interdiction Principles', U.S. Department of State <[https://www.state.gov/psi-interdiction-principles/#:~:text=To%20take%20appropriate%20actions%20to,are%20identified%3B%20and%20\(2\)>](https://www.state.gov/psi-interdiction-principles/#:~:text=To%20take%20appropriate%20actions%20to,are%20identified%3B%20and%20(2)>)>.

ხელშეკრულებაზე-დაფუძნებულ ორგანიზაციას.⁴³³ ინიციატივას არ გააჩნია საკოორდინაციო ორგანო ან შესაბამისობის კონტროლის მექანიზმი.⁴³⁴ ინიციატივის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი ძირითადად ეყრდნობა ინიციატივაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მაღალი დონის შეხვედრებს, მათ შორის, ოპერატიული ექსპერტთა ჯგუფის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს სამხედრო, სამართლის, დაზვერვისა და დიპლომატიის ექსპერტთა გაფართოებულ ქსელს.⁴³⁵ ეს ინიციატივა კვლავ განიხილება როგორც აშშ-ს მიერ განხორციელებული ad hoc აქტივობა, რომელიც ამ ინიციატივის ყველაზე აქტიური მონაწილეა.⁴³⁶ ამდენად, შეერთებული შტატების შესაძლებლობა შეამოწმოს გემები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ნამდვილად არ შეგვიძლია განვიხილოთ ინიციატივის უპირატესობად.

საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში აღნიშნული ინიციატივის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ის, რომ ინიციატივა არ ქმნის დამოუკიდებელ სამართლებრივ ჩარჩოს გემზე ასვლისთვის მიუთითებს რა (არსებულ) საერთაშორისო სამართლის წესებზე, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა ვინაიდან 1982 წლის კონვენციის არც 110-ე მუხლი (შემოწმების უფლება) და არც 88-ე მუხლი არ ითვალისწინებენ მასობრივი განადგურების იარაღის გადაზიდვას შემოწმების უფლების განხორციელების საფუძვლად.⁴³⁷ ამდენად, ამ სიტუაციაშიც დროშის სახელმწიფოს როლი ძალზე დიდია, რომელსაც, როგორც დისერტაციის სხვადასხვა ნაწილში ვნახავთ, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო შესაძლოა სულაც არ ჰქონდეს დანაშაულზე ეფექტიანი იურისდიქციის გავრცელების შესაძლებლობა ან ინტერესი.⁴³⁸

3.9. დასკვნა

აღნიშნულ თავში მოცემულია საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩოს დეტალური ანალიზი, რომელიც მოიცავს როგორც შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ისე არაფორმალურ მექანიზმებს, რომლებიც რელევანტურია საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში.

⁴³³ იხ. Gupta AK, 'Proliferation Security Initiative: Imperatives and Relevance', Institute of Peace and Conflict Studies (15 September 2004) <https://www.ipcs.org/comm_select.php?articleNo=1494>.

⁴³⁴ იხ. Malirsch M, Prill F, 'The Proliferation Security Initiative and the 2005 Protocol to the SUA Convention', (2007) 67 ZaöRV, 232.

⁴³⁵ იქვე, 234.

⁴³⁶ იხ. Dunne A, 'The Proliferation Security Initiative Legal Considerations and Operational Realities', (2013) 36 SIPRI Policy Paper, 41.

⁴³⁷ იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 40.

⁴³⁸ იქვე.

პირველ რიგში, მასში წარმოჩენილია, რომ დანაშაულის რეგულირებაში არსებული პრობლემები უმთავრესად უკავშირდება სხვადასხვა საზღვაო ზონაში არსებულ პოტენციურ იურისდიქციულ პრობლემებს, ვინაიდან დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელება არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტების მიხედვით (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადენილია მე-2 კატეგორიის საზღვაო ზონში) უმთავრესად დამოკიდებულია დროშის სახელმწიფოს თანხმობაზე, რომელიც გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო შესაძლოა სულაც არ იყოს დაინტერესებული დანაშაულზე ეფექტიანი იურისდიქციის განხორციელებით, რაც ქმნის ერთგვარ იურისდიქციულ დეფიციტს.

მეორე რიგში, აღნიშნულ თავში წარმოდგენილი სხვადასხვა ინსტრუმენტების სიღრმისეული ანალიზი ნათლად წარმოაჩენს, რომ მაშინ, როდესაც საერთაშორისო ინსტრუმენტები ადგენენ ერთგვარ სამართლებრივ ჩარჩოს დანაშაულთან საბრძოლველად, მათი განხორციელება პრაქტიკაში დამოკიდებულია ეფექტიან შიდასახელმწიფოებრივ (შიდასაიმპლემენტაციო) კანონმდებლობებზე.

მესამე რიგში, წარმოდგენილი ანალიზი მიუთითებს, რომ დღეისათვის არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არ ქმნის რაიმე საერთაშორისო სასამართლო ორგანოს, რომელსაც შეეძლებოდა დანაშაულთან დაკავშირებული საქმეების განხილვა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კრილში. აქედან გამომდინარე, მსგავსი ორგანოს შექმნის შესაძლო საჭიროება იქნება განხილული დისერტაციის მომდევნო თავში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საზღვაო ტერორიზმი არის კომპლექსური პრობლემა. აღნიშნული დანაშაულის მარეგულირებელი ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები უდავოდ მნიშვნელოვანია დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, მაგრამ ამ მხრივ ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა მათი აღსრულებაა, ვინაიდან საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას არ გააჩნია აღმასრულებელი უფლებამოსილებები და უმთავრესად დამოკიდებულია დროშის ან პორტის სახელმწიფოზე, რათა აღასრულოს საზღვაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები.⁴³⁹

⁴³⁹ იხ. Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is Today's Maritime Security Sufficient?* (University of Oslo 2008), 26.

თავი 4: საზღვაო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები

4.1 საზღვაო ტერორიზმის სისხლის სამართლის საერთაშორისო

სასამართლოს (ICC) იურისდიქციაში მოქცევის აუცილებლობა

4.1.1. საერთაშორისო ტერორიზმი და ICC: საკანონმდებლო ისტორია

ზოგადად, ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევებისთვის და მათ შორის, ტერორიზმისათვის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც გახმაურებული ტერორისტული აქტების ფონზე წამოიშვა აღნიშნული დანაშაულის საერთაშორისო დონეზე კრიმინალიზაციის აუცილებლობა.⁴⁴⁰ ამ თვალსაზრისით, გამოეყოფა საფრანგეთში პრემიერ კლემენსოს მკვლელობის მცდელობას 1919 წელს, ასევე საფრანგეთის პრეზიდენტ პოლ დუმერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ლუი ბარტუს მკვლელობას ყოფილი იუგოსლავიის პრეზიდენტთან ერთად შესაბამისად 1932 და 1934 წლებში.⁴⁴¹ ბოლო ინციდენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მკვლელმა თავი შეაფარა იტალიას, რომელმაც უარი განაცხადა მის გადაცემაზე, მიუთითა რა, რომ დანაშაული იყო პოლიტიკურად მოტივირებული და არ ექვემდებარებოდა ექსტრადიციას მოქმედი წესების მიხედვით.⁴⁴² შედეგად, იუგოსლავიამ დაადანაშაულა უნგრეთი დანაშაულში თანამონაწილეობისთვის, ხოლო საფრანგეთმა წამოაყენა წინადადება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნისა,

⁴⁴⁰ იხ. Bharadwaj A, 'International Criminal Court and the Question of Sovereignty', (2008) 27 Strategic Analysis; ასევე იხ. Lewis MA, 'International Terrorism in the 1920s and 30's: The Response of European States Through the League of Nations and the Attempt to Create an International Criminal Court', Mark A. Lewis (ed), *The Birth of the New Justice: The Internationalization of Crime and Punishment, 1919-1950* (OUP 2014), 122-149; Kleczkowska A, 'Why There is a Need for an International Organ to Try the Crime of Terrorism – Past Experiences and Future Opportunities', (2019) 60(1) Hungarian Journal of Legal Studies, 42; Saul B, 'Defining Terrorism in International Law', GlobaLex <https://www.nyulawglobal.org/globalex/defining_terrorism_international_law.html>; Rizk A, 'Is Terrorism An International Crime? The Potential Role of the ICC in Prosecuting Terrorism', (2017) University of Westminster, 1.

⁴⁴¹ იხ. 'Terrorism in France with Dr.Chris Millington', The French History Podcast (11.11.2023) <<https://www.thefrenchhistorypodcast.com/terrorism-in-france-with-dr-chris-millington/>>; Kleczkowska A, 'Why There is a Need for an International Organ to Try the Crime of Terrorism – Past Experiences and Future Opportunities', (2019) 60(1) Hungarian Journal of Legal Studies, 42; Юсупов МР, Грицаев СА, 'Эволюция Международного Уголовного Правосудия', (2012) 4 Вестник Московского университета МВД России, 154; Saul B, 'Defining Terrorism in International Law', GlobaLex <https://www.nyulawglobal.org/globalex/defining_terrorism_international_law.html>; Newton M, 'International Criminal Law Aspects of the War Against Terrorism', (2003) 79 International Law Studies Series US Naval War College, 329.

⁴⁴² იხ. Kleczkowska A, 'Why There is a Need for an International Organ to Try the Crime of Terrorism – Past Experiences and Future Opportunities', (2019) 60(1) Hungarian Journal of Legal Studies, 42.

რამაც გამოიწვია ტერორიზმის შესახებ კომიტეტის შექმნა ჟენევაში 1935 წელს.⁴⁴³ თუმცა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის მცდელობა იმ ეტაპზე წარუმატებელი გამოდგა.

ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საწყის ეტაპზე სახელმწიფოებმა მიზნად დაისახეს გარკვეული სახელშეკრულებო დანაშაულების და მათ შორის, ტერორიზმის რომის სტატუტში შეტანა.⁴⁴⁴ ასე მაგალითად, 1994 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ წარუდგინა რომის სტატუტის საბოლოო ვერსია გაეროს გენერალურ ასამბლეას,⁴⁴⁵ რომელიც ითვალისწინებდა, რომ ახალ სასამართლოს უნდა ჰქონოდა იურისდიქცია გარკვეულ სახელშეკრულებო დანაშაულებზე, მათ შორის, საზღვაო ტერორიზმზე, როგორც ეს განსაზღვრული იყო SUA კონვენციითა და მისი 1988 წლის დამატებითი ოქმით.⁴⁴⁶ აღნიშნულ დოკუმენტში საერთაშორისო სამართლის კომისია აღნიშნავს, რომ ტერორიზმი, როდესაც ეს დანაშაული ატარებს სისტემატურ და მდგრად ხასიათს, წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს.⁴⁴⁷ გარდა ამისა, კომისია მიუთითებს, რომ ტერორიზმი არის საყოველთაოდ აღიარებული, როგორც დანაშაულებრივი ქმედება.⁴⁴⁸

სახელმწიფოთა ნაწილის წინადადება ტერორიზმის რომის სტატუტში შეტანის შესახებ შემდეგნაირად განმარტავდა დანაშაულის ცნებას: ტერორისტული აქტი მოიცავდა განურჩეველი ძალადობის გამოყენებას პირების ან ქონების წინააღმდეგ და ჩადენილი იყო განზრახ, ან იმ მიზნით, რომ მოეხდინა საზოგადოების პროვოცირება ან მოსახლეობაში შიშისა და დაუცველობის განცდის დაუფლება, რაც იწვევდა ადამიანთა სიკვდილს, მათ სერიოზულ ფიზიკურ დაზიანებებს ან მატერიალურ ზიანს, რაც შეიძლება არ ყოფილიყო გამართლებული ამ აქტებისთვის პოლიტიკური, იდეოლოგიური, ფილოსოფიური ან სხვა ხასიათის მინიჭებით.⁴⁴⁹ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოებს ჰქონდათ სხვადასხვა, დიდწილად პოლიტიკური ინტერესები ტერორიზმის დანაშაულის

⁴⁴³ იხ. Kleczkowska A, 'Why There is a Need for an International Organ to Try the Crime of Terrorism – Past Experiences and Future Opportunities', (2019) 60(1) Hungarian Journal of Legal Studies, 42-43.

⁴⁴⁴ იხ. Arnold R, *The ICC as a New Instrument for Repressing Terrorism* (BRILL 2004), 53.

⁴⁴⁵ იხ. 'History of the Rome Statute of the International Criminal Court', Canada's Human rights Commitments (03.12.2015) <<https://humanrightscommitments.ca/2015/12/history-of-the-rome-statute-of-the-international-criminal-court/>>.

⁴⁴⁶ იხ. 'Report of the International Law Commission on the work of its forty-sixth session', United Nations (02.05-22.07.1994) <https://legal.un.org/ilc/documentation/english/reports/a_49_10.pdf>, 68-69; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 62-63.

⁴⁴⁷ იქვე, 41; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 62-63.

⁴⁴⁸ იქვე.

⁴⁴⁹ იხ. 'India, Sri Lanka, and Turkey: Proposal Concerning Article 5', United Nations (26.06.1998) <<https://www.legal-tools.org/doc/54663a/pdf>>; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 64.

რომის სტატუტში შესატანად. მაგალითად, თურქეთის ინიციატივა ტერორიზმის დანაშაულის სტატუტში შეტანის შესახებ უმთავრესად ეფუძნებოდა ქურთების მუშათა პარტიის, როგორც თურქეთისთვის ერთგვარი ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას.⁴⁵⁰ შრი ლანკას, რომელიც დღემდე არ არის სტატუტის ხელშემკვრელი სახელმწიფო, წინადადება ტერორიზმის რომის სტატუტში შეტანის შესახებ ეფუძნებოდა „Liberation Tigers of Tamil Eelam (LTTE)“-ის ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას, რამეთუ მას, როგორც დუალისტურ სახელმწიფოს, დანაშაულის სტატუტში შეტანის შემთხვევაშიც კი დასჭირდებოდა შიდა კანონმდებლობის ფუნდამენტური რეფორმა სტატუტიდან გამომდინარე ვალდებულებების შესასრულებლად.⁴⁵¹ რომის სტატუტის შემუშავების ისტორიაც ცალსახად აჩვენებს ტერორიზმის სტატუტში არშეტანის პოლიტიკურ საფუძველს, რომელიც დღის წესრიგში იდგა ლამის ბოლო წუთამდე, თუმცა საბოლოოდ ვერ იქნა განხორციელებული.⁴⁵²

2010 წლის 11 ივნისს კამპალაში (უგანდა) ჩატარდა ისტორიული რომის სტატუტის მიმოხილვის კონფერენცია, რომელმაც განიხილა აგრესიის დანაშაულისა და სტატუტის გარკვეული მუხლების განმარტების საკითხი.⁴⁵³ კონფერენციის ფარგლებში ნიდერლანდებმა წამოაყენა წინადადება ტერორიზმის დანაშაულის რომის სტატუტში შეტანის შესახებ.⁴⁵⁴ ნიდერლანდებმა ასევე შესთავაზა კონფერენციას შექმნილიყო არაფორმალური სამუშაო ჯგუფი ტერორიზმის დანაშაულთან დაკავშირებით.⁴⁵⁵ ნიდერლანდები ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ტერორიზმი იყო „ერთ-ერთი უდიდესი დანაშაული და ყველაზე დიდი საფრთხე, რომელსაც აწყდებოდა მსოფლიო 21-ე საუკუნეში“. ⁴⁵⁶ ამ წინადადებას არ მიიღო

⁴⁵⁰ იხ. Kurtuluş Ş, 'Reassessment of Turkey's Objections to the Exclusion of Terrorism from the Rome Statute', (2019) 16(4) Journal of International Relations, 146.

⁴⁵¹ იხ. Wanisaguriya A, 'Sri Lanka and the International Criminal Court: An Uneasy Relationship', (2021) 52 (1) California Western International Law Journal, 117, 121.

⁴⁵² იხ. ზოგადად, Cryer R, 'Terrorism and the International Criminal Court', (2003) 82 Australian Law Reform Commission Reform Journal, 14-16, 70 (ავტორი ასევე გამოყოფს კარიბის ზღვის ქვეყნების მცდელობას შეეტანათ ტერორიზმის დანაშაული რომის სტატუტში).

⁴⁵³ იხ. Namamian P, 'Assessing the Jurisdiction of the International Criminal Court Statute in the Criminalization of Terrorism', (2023) 7(7) CFILE Journal of International Law, 55; ასევე იხ. ზოგადად, Kreß C, Holtzendorff H, 'The Kampala Compromise on the Crime of Aggression', (2010) 8(5) Journal of International Criminal Justice, 1179.

⁴⁵⁴ იხ. 'Report of the Bureau on the Review Conference', Assembly of States Parties to the Rome Statute International Criminal Court (28-26.11.2009) <https://asp.icc-cpi.int/sites/asp/files/asp_docs/ASP8/ICC-ASP-8-43-ENG.pdf>; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 65; Baumann SF, *Including Terrorism as a Crime Under the Rome Statute: Taking the Fight Against Terror to the ICC* (University of Pretoria 2018), 20.

⁴⁵⁵ 'Report of the Bureau on the Review Conference', Assembly of States Parties to the Rome Statute International Criminal Court (28-26.11.2009) <https://asp.icc-cpi.int/sites/asp/files/asp_docs/ASP8/ICC-ASP-8-43-ENG.pdf>

⁴⁵⁶ იხ. 'Netherlands: Proposal of Amendments', United Nations (17.07.1998) <<https://treaties.un.org/doc/publication/CN/2009/CN.723.2009-Eng.pdf>>, 2-3; Baumann SF, *Including Terrorism*

საკმარისი მხარდაჭერა, ვინაიდან ზოგიერთმა სახელმწიფომ ჩათვალა, რომ ტერორიზმის რომის სტატუტში შეტანა ზედმეტად გადატვირთავდა სასამართლოს ისედაც შეზღუდულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს.⁴⁵⁷ საბოლოოდ, 2013 წელს ნიდერლანდებს მოუწია თავისი წინადადების უკან გაწვევა.⁴⁵⁸

მთლიანობაში მუდმივი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნით საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა მარტივ პოსტულატზე, რომ საერთაშორისო დანაშაულები არ უნდა დარჩენილიყო დაუსჯელი, რაც მოიცავდა სახელმწიფოთა ვალდებულებას მიეღოთ ქმედითი ზომები შიდა დონეზე და გაეღოთ ძალისხმევა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისკენ.⁴⁵⁹ მიუხედავად აღნიშნულისა, „გლობალიზებული საერთაშორისო საზოგადოება“ არ აღმოჩნდა მზად შეთანხმებულიყო საერთაშორისო ტერორიზმის ერთიან განმარტებაზე და შედეგად, შეეტანა აღნიშნული დანაშაული რომის სტატუტში.⁴⁶⁰

4.1.2. საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი და ICC-ის პრაქტიკა

მაშინ, როდესაც ICC არ ახორციელებს იურისდიქციას საზღვაო ტერორიზმზე აღნიშნული თავის მიზნებისთვის მოკლედ განვიხილავ ICC-ის რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს, რომელიც აჩვენებს, რომ სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა საქმეები, რომლებიც უკავშირდებიან ძალიან სერიოზულ ინციდენტებს საზღვაო უსაფრთხოებისთვის და ვინაიდან აღნიშნული ინციდენტების ნაწილი მოიცავს ტერორისტული აქტის ელემენტებს, ეს ხაზს უსვამს მომავალში საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის ICC-ის იურისდიქციაში შესაძლო მოქცევის აქტუალობას.

as a Crime Under the Rome Statute: Taking the Fight Against Terror to the ICC (University of Pretoria 2018), 20.

⁴⁵⁷ ob. Baumann SF, *Including Terrorism as a Crime Under the Rome Statute: Taking the Fight Against Terror to the ICC* (University of Pretoria 2018), 20.

⁴⁵⁸ Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) *Duke Journal of Comparative and International Law*, 66; 'ICC-ASP/8/20 Annexes', Assembly of States Parties to the Rome Statute International Criminal Court <https://asp.icc-cpi.int/sites/asp/files/asp_docs/ASP8/OR/or-asp8-vol.i-eng.annexes.pdf>.

⁴⁵⁹ ob. Michélini G, 'The International Criminal Court. The Legislation of Italy on the Statute and on Cooperation with the ICC', (2023) *Magistradas y juezas en el mundo en el siglo XXI. Los entresijos de la justicia* - <https://www.unilim.fr/trahs> - ISSN : 2557-0633, 136.

⁴⁶⁰ იქვე. ასევე ob. ზოგადად, Hare A, 'A New Forum for the Prosecution of Terrorists: Exploring the Possibility of the Addition of Terrorism to the Rome Statute's Jurisdiction', (2010) 8(1) *Loyola University Chicago International Law Review*, 95; Adibe EC, 'Towards a New Approach to Dealing with Terrorism as an International Crime', (2020) 11(2) *Journal of Law and Conflict Resolution*, 39; Braber I, 'Terrorism as a New Generation Transnational Crime: Prosecuting Terrorism at the International Criminal Court', Harman Van der Wilt, Christophe Paulussen (eds), *Legal Responses to Transnational and International Crimes* (Edward Elgar Publishing 2017), 92; Rizk A, 'Is Terrorism An International Crime? The Potential Role of the ICC in Prosecuting Terrorism', (2017) University of Westminster, 16.

სიტუაცია კორეაში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკმე ICC-ის პრაქტიკაში, რომელიც შეეხება ყვითელ ზღვაში სამხრეთ კორეის საზღვაო ხომალდის “Cheonan”-ისა და კუნძულ “Yeonpyeong”-ის დაბომბვას, რასაც ოთხი ადამიანი შეეწირა, ხოლო ათობით მშვიდობიანი მოქალაქე დაშავდა.⁴⁶¹ არსებული ინფორმაციის საფუძველიანი ანალიზის შემდეგ, პროკურორის ოფისმა 2014 წლის ივნისში მიიღო გადაწყვეტილება გამოძიების დახურვის შესახებ, ჩათვალა რა რომ გამოძიების დაწყების კანონიერი საფუძვლები არ იყო სახეზე.⁴⁶² ამ შემთხვევაში ICC-ის პროკურორის ოფისი ძირითადად დაეყრდნო ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის ტრიბუნალის (ICTY) პრაქტიკას და დაადგინა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა სამხრეთ კორეასა და ჩრდილოეთ კორეას შორის.⁴⁶³ პროკურორის ოფისმა დაადგინა, რომ “Cheonan”-ზე თავდასხმა მიმართული იყო კანონიერი სამხედრო სამიზნის წინააღმდეგ (ვინაიდან საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩრდილოეთ კორეის ტორპედომ განახორციელა თავდასხმა სამხრეთ კორეის სამხედრო ხომალდზე), რაც არ შეესაბამებოდა რომის სტატუტში მოცემულ ომის დანაშაულის განმარტებას.⁴⁶⁴ ასევე პროკურორის ოფისმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება კუნძულზე განზრახ თავდასხმის ან გადაჭარბებული ძალადობის გამოყენების შესახებ.⁴⁶⁵ მაშინ, როდესაც სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვაობა ინციდენტის აგრესიად დაკვალიფიცირების შესახებ, აღნიშნული ნაწილის მიზნებისათვის აღვნიშნავ, რომ ის წარმოადგენს საზღვაო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ინციდენტს ICC-ის პრაქტიკაში.⁴⁶⁶

ღაზას თავისუფლების ფლოტილას ინციდენტი შეეხება 2010 წლის 31 მაისს „ღაზას თავისუფლების ფლოტილას“-ს ექვსი გემის დაკავებასა და გამოყენებულ ძალადობას

⁴⁶¹ იხ. ‘Situation in the Republic of Korea Article 5 Report’, International Criminal Court The Office of the Prosecutor (06.2014) <<https://www.icc-cpi.int/sites/default/files/iccdocs/otp/SAS-KOR-Article-5-Public-Report-ENG-05Jun2014.pdf>>; *Situation in the Republic of Korea Article 5 Report*, The ICC Office of the Prosecutor, ICC, June 2014; ‘Republic of Korea’, Coalition for the International Criminal Court <<https://www.coalitionfortheicc.org/country/republic-korea>>.

⁴⁶² ‘Republic of Korea’, Coalition for the International Criminal Court <<https://www.coalitionfortheicc.org/country/republic-korea>>.

⁴⁶³ იხ. Heinegg WH, ‘The Difficulties of Conflict Classification at Sea: Distinguishing Incidents at Sea from Hostilities’, (2016) 98(2) International Review of the Red Cross, 452.

⁴⁶⁴ ‘Republic of Korea’, Coalition for the International Criminal Court <<https://www.coalitionfortheicc.org/country/republic-korea>>; ასევე იხ. Heinegg WH, ‘The Difficulties of Conflict Classification at Sea: Distinguishing Incidents at Sea from Hostilities’, (2016) 98(2) International Review of the Red Cross, 452.

⁴⁶⁵ იქვე.

⁴⁶⁶ იხ. Jung NR, ‘A Study on the Efficacy of the Kampala Amendments for Suppression of Aggression: Examined by the Case of Armed Conflicts in the Korean Peninsula’, (2013) 10(2) Loyola University Chicago International Law Review, 172-173; Nam SS, ‘War on the Korean Peninsula? Application of Jus in Bello in the Cheonan and Yeonpyeong Island Attacks’, (2012) 8 University of Pennsylvania Asia Law Review, 47; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, ‘Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?’, (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 68.

ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ ბლოკადის პერიმეტრს მიღმა, როდესაც გემზე მყოფი პირები ცდილობდნენ ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას ლაზაში, რასაც გემზე მყოფი ათი მგზავრი ემსხვერპლა, მათ შორის, იყვნენ აშშ-სა და თურქეთის მოქალაქეები.⁴⁶⁷ წარმოდგენილი თავის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია გამოვყოთ აღნიშნულ ინციდენტზე წინასასამართლო პალატის შეფასებები. კერძოდ, წინასასამართლო პალატა სიმძიმის შეფასებისას გამოყოფს დანაშაულებთან დაკავშირებულ გარკვეულ მაჩვენებლებს: 10 მკვლელობა, 55 დაზიანება და დაახლოებით ასობით შემთხვევა ღირსების შეურაცხყოფის, წამების ან არაადამიანური მოპყრობის, რაც მნიშვნელოვნად აღემატება პროკურორის ოფისის მიერ განხილული სხვა მსგავსი საქმეების მაჩვენებლებს, როგორებიცაა, მაგალითად: ბაჰარ იდრის აბუ გარდასა და აბდალა ბანდას საქმეები.⁴⁶⁸ საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიაც მიუთითებს ისრაელის მიერ ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზულ დარღვევებზე.⁴⁶⁹

ასევე გამოვყოფდი ალ-მაჰდისა და ალ-ჰასანის საქმეებს.⁴⁷⁰ მართალია, აღნიშნული საქმეების დეტალური ანალიზი სცილდება წარმოდგენილი ნაწილის მიზნებს, თუმცა, საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში, ორივე საქმე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ICC-მ აღიარა, რომ ალ-მაჰდი და ალ-ჰასამი იყვნენ „Ansar Eddine“-ისა და ალ-ქაიდას ტერორისტული ორგანიზაციის წევრები.⁴⁷¹ და ბოლოს,

⁴⁶⁷ იხ. Urs P, 'Situation on Registered Vessels of the Union of the Comoros, the Hellenic Republic and the Kingdom of Cambodia (Mavi Marmara Incident)', 2020, 1; ასევე იხ. Galand AS, 'The Situation Concerning the Mavi Marmara at the ICC: What Might the Next Move of the Prosecutor Be?', EJIL:Talk! (22 March 2016) <<https://www.ejiltalk.org/the-situation-concerning-the-mavi-marmara-at-the-icc-what-might-be-the-next-move-of-the-prosecutor/>>; Bedir Ö, 'The Flotilla Incident From the Perspective of International Law and the Judicial Rights of the Victims', (2020) 15 The Age of Human Rights Journal, 51-55; Meloni C, 'The ICC Preliminary Examination of the Flotilla Situation: An Opportunity to Contextualise Gravity', (2016) Questions of International Law, 3-20; *Situation on Registered Vessels of Comoros, Greece and Cambodia Article 53 (1) Report*, The ICC Office of the Prosecutor, ICC, 6 November 2014; 'Israel, Blockade of Gaza and the Flotilla Incident', International Committee of the Red Cross <<https://casebook.icrc.org/case-study/israel-blockade-gaza-and-flotilla-incident>>.

⁴⁶⁸ Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 69-70; ასევე იხ. 'Flotilla Situation, ICC-01/13-34, Decision on the Request of Comoros to Review the Prosecutor's Decision not to Initiate an Investigation', International Criminal Court (16.07.2015) <https://www.icc-cpi.int/sites/default/files/CourtRecords/CR2015_13139.PDF>, § 26-29.

⁴⁶⁹ იხ. Shany Y, 'Know Your Rights! The Flotilla Report and International Law Governing Naval Blockades', EJIL:Talk! (12 October 2010) <<https://www.ejiltalk.org/know-your-rights-the-flotilla-report-and-international-law-governing-naval-blockades/>>.

⁴⁷⁰ იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, მუხლი 8 (2)(e)(iv), UNTS vol. 2187 (p.3) (მიღების თარიღი: 17/07/1998; ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2002); 'The Prosecutor v. Ahmad Al Faqi Al Mahdi', ESCR-Net (27.09.2016) <<https://www.escri-net.org/caselaw/2016/prosecutor-v-ahmad-al-faqi-al-mahdi/>>; ასევე იხ. 'Al Hassan Ag Abdoul Aziz Ag Mohamed Ag Mahmoud', Coalition for the International Criminal Court <<https://www.coalitionfortheicc.org/al-hassan-ag-abdoul-aziz-ag-mohamed-ag-mahmoud-0>>.

⁴⁷¹ იხ. *Prosecutor v. Ahmad Al Faqi Al Mahdi*, ICC, ICC-01/12-01/15, Judgment and Sentence, 27 September 2016, § 31, 49; *Prosecutor v. Al Hassan Ag Abdoul Aziz Ag Mohamed Ag Mahmoud*, ICC, ICC-01/12-01/18,

სიტუაცია ლიბიაში (Situation in Libya) ჩვენი ნაწილის მიზნებისათვის სასამართლო პრაქტიკის ნაწილია, რომელშიც ICC პირდაპირ მიუთითებს, რომ ლიბიაში ჩადენილი დანაშაულები არის ტრანსნაციონალური და ტერორისტული ხასიათის.⁴⁷²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ICC-ის მზარდი პრაქტიკა საზღვაო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით შეესაბამება სასამართლოს ზოგად მიზანს იმ დანაშაულების დევნისა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მსოფლიო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას და მიუთითებს, რომ ეს სასამართლო შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფორუმი საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმზე იურისდიქციის გავრცელების კუთხით.⁴⁷³

4.1.3. წინადადება რომის სტატუტში შესატანი საერთაშორისო ტერორიზმის განმარტების შესახებ

ვინაიდან დანაშაულის სტატუტში შეტანის თვალსაზრისით პრობლემურია არა პროცედურული წესები, არამედ სახელმწიფოთა პოლიტიკური მზაობა, ამ ნაწილის მიზნებისთვის აღვნიშნავ, რომ სტატუტში შესწორების შეტანის პროცედურა განისაზღვრება 121 I მუხლის შესაბამისად. ამდენად, დისერტაციის მიზნებისათვის უპრიანია შემოთავაზებული იქნას საერთაშორისო ტერორიზმის სამუშაო განმარტება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობების საუკეთესო პრაქტიკას. მიზანშეწონილია რომის სტატუტში საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაული შევიდეს ცალკე მუხლის სახით, სადაც შემოთავაზებული იქნება საერთაშორისო ტერორიზმის ზოგადი განმარტება, ასევე მოხდება ძირითად საერთაშორისო კონტრტერორისტულ კონვენციებში მოცემული დანაშაულების, მათ შორის, საზღვაო ტერორიზმის ინკრიმინირება (იხ. საერთაშორისო ტერორიზმის შემოთავაზებული განმარტება და აღნიშნული კონტრტერორისტული კონვენციების ჩამონათვალი - ცხრილი #8).⁴⁷⁴

Decision on the confirmation of charges against Al Hassan Ag Abdoul Aziz Ag Mohamed Ag Mahmoud, 13 November 2019, § 73, 210;

Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 67.

⁴⁷² იხ. Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 66; 'Fifteenth Session of the Assembly of States Parties', Assembly of States Parties to the Rome Statute International Criminal Court (16-24.11.2016) <<https://asp.icc-cpi.int/sessions/documentation/15th-session>>.

⁴⁷³ იხ. O'Brien M, 'Where Security Meets Justice: Prosecuting Maritime Piracy in the International Criminal Court', (2013) 4(1) Asian Journal of International Law, 1.

⁴⁷⁴ იხ. Cohen A, 'Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Reevaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism', (2012) 20:2 Michigan State International Law Review, 239; ასევე იხ. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016),

აღნიშნული ქვეთავის მიზნებისთვის შემოგთავაზებთ სტატუტში საერთაშორისო ტერორიზმის შემდეგი განმარტების შეტანას: საერთაშორისო ტერორიზმი არის პოლიტიკური მოტივით ჩადენილი დანაშაული, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული სტატუტის წევრი-სახელმწიფოების შიდა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობებით გათვალისწინებული ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქმედებებით (მაგ. მკვლელობა, დაბომბვა, გატაცება და ა.შ.) და რომელიც თავისი საერთაშორისო ხასიათის გამო უქმნის საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.⁴⁷⁵

ცხრილი #8: კონტრტერორისტული კონვენციების ჩამონათვალი
1. კონვენცია საჰაერო ხომალდის ბორტზე ჩადენილი დანაშაულებისა და სხვა ქმედებების შესახებ (1963).
2. კონვენცია პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების მარკირების შესახებ (1991).
3. საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცების აღკვეთის კონვენცია (1970).
4. კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ (1971).
5. კონვენცია საერთაშორისოდ დაცულ პირთა, მათ შორის, დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ (1973).
6. საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ (1979).
7. კონვენცია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ (1980).
8. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტების აღკვეთის ოქმი (1988).
9. კონვენცია საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების აღკვეთის შესახებ (1988) და მისი დამატებითი ოქმები.
10. საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული აფეთქებების აღკვეთის შესახებ (1998).

7 (ავტორი საუბრობს საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის ზოგადი, აბსტრაქტული განმარტების შემუშავების მნიშვნელობაზე).

⁴⁷⁵ იხ. ზოგადად, Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016), 7; Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) *Duke Journal of Comparative and International Law*, 46; ასევე იხ. Ambos K, Timmermann A, 'Terrorism and Customary International Law', Ben Saul (ed), *Research Handbook on International Law and Terrorism* (Cheltenham 2020), 16, 22; Cassese A, Gaeta P, *Cassese's International Criminal Law* (OUP 2013), 148-149.

11. საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ (1999).
12. კონვენცია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ (1987). ⁴⁷⁶

4.1.4. საზღვაო ტერორიზმის რომის სტატუტში შეტანის ძირითადი უპირატესობები

საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის რომის სტატუტში შეტანის აუცილებლობა, პირველ რიგში, გამომდინარეობს თვით სტატუტიდან, რომლის მიღება განპირობებული იყო სახელმწიფოთა ერთგვარი შეუძლებლობით განეხორციელებინათ საერთაშორისო დანაშაულების ეფექტიანი შიდა სამართლებრივი დევნა.⁴⁷⁷ ამ მხრივ, სტატუტის პრეამბულაც ადგენს, რომ „მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის მნიშვნელობის მქონე უმძიმესი დანაშაულები არ უნდა დარჩეს დაუსჯელი და მათი ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ეროვნულ დონეზე ზომების მიღებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებით“.⁴⁷⁸ როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მანამ სანამ საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაული არ მოხვდება ICC-ის იურისდიქციაში რთულია ის განვიხილოთ საერთაშორისო დანაშაულად, მაგრამ ექვგარეშა, რომ აღნიშნული დანაშაული სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წესრიგს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას. უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართლის ბევრ სპეციალისტს ღრმად სწამს, რომ საერთაშორისო ტერორიზმი ისეთივე გავლენას ახდენს საერთაშორისო საზოგადოებაზე, როგორც სხვა საერთაშორისო დანაშაულები როგორებიცაა გენოციდი, ომის დანაშაულები, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და აგრესია.⁴⁷⁹ 9/11-ის

⁴⁷⁶ კონტრტერორისტული ხელშეკრულებების შესახებ იხ. ზოგადად, Banchik M, *The International Criminal Court and Terrorism* (University of Bradford), 16-17; Stephens T, 'International Criminal Law and the Response to International Terrorism', (2017) 27(2) UNSW Law Journal, 461-473.

⁴⁷⁷ იხ. ზოგადად, Kutsevych MP, Volynets RA, Tkachenko VV, Maslak NV, 'Rome Statute: Prospects of Recognizing Jurisdiction of the International Criminal Court', (2020) 27 Revista de Ciencias Humanas y Sociales, 274.

⁴⁷⁸ იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, პრეამბულა, UNTS vol. 2187 (p.3) (მიღების თარიღი: 17/07/1998; ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2002).

⁴⁷⁹ იხ. Norberg N, 'Terrorism and International Criminal Justice: Dim Prospects for a Future Together', (2010) 8(1) Santa Clara Journal of International Law, 13; Cassese A, Naqvi Y, 'Terrorism as an International Crime', Andrea Bianchi (ed), *Enforcing International Law Norms Against Terrorism* (Hart 2004), 214; Rizk A, 'Is Terrorism An International Crime? The Potential Role of the ICC in Prosecuting Terrorism', (2017) University of Westminster, 13; Bennoune K, 'Terror/Torture', (2008) 26(1) Berkeley Journal of International Law, 41-46; იხ. ასევე: Lawless M, 'Terrorism: An International Crime', (2008) 9(2) International Journal: Canada's Journal of Global Policy Analysis, 27-39; Karim S, 'The Rise and Fall of the International Law of Maritime Terrorism: The Ghost of Piracy is Still Hunting', (2014) 26(1) New Zealand Universities Law Review, 2 (ავტორი ამტკიცებს, რომ სხვა საერთაშორისო დანაშაულებისაგან განსხვავებით არ არსებობს ტერორიზმის შეთანხმებული განმარტება).

შემზარავმა ტერორისტულმა აქტებმა ხელი შეუწყო ტერორიზმთან მიმართებით საერთაშორისო საზოგადოების და მათ შორის უშიშროების საბჭოს ცნობიერების ერთგვარ ცვლილებას, რომელიც თანამედროვე ეტაპზე არა მხოლოდ რეაგირებს ცალკეულ ტერორისტულ აქტებზე, არამედ გმობს საერთაშორისო ტერორიზმს თავისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.⁴⁸⁰

ის ფაქტი, რომ ობიექტურად სახელმწიფოები შეიძლება მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას განახორციელონ ტრანსნაციონალური ან საერთაშორისო დანაშაულების ეფექტიანი შიდა სისხლისსამართლებრივი დევნა სამართლიანია საერთაშორისო ტერორიზმის შემთხვევაშიც. კერძოდ, ავტორები ხშირად მიუთითებენ, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემები შესაძლოა არ იყოს ქმედუნარიანი უმაღლესი სამართლებრივი სტანდარტების უზრუნველყოფისა და პროცესში მონაწილე მხარეების უფლებების დაცვის კუთხით.⁴⁸¹ ICC-ის იურისდიქციაში ტერორიზმის დანაშაულის შეტანის შესახებ ნიდერლანდების წინადადებაც ეფუძნებოდა ICC-ს როლს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოები არ ან ვერ ახორციელებდნენ საბაზისო ფუნქციებს დანაშაულის ეფექტიანი დევნის კუთხით.⁴⁸² ის რომ სახელმწიფო არის კონკრეტული ანტიტერორისტული ხელშეკრულების მხარე, რომლითაც იკრძალება საერთაშორისო ტერორიზმის ესა თუ ის ფორმა, სულაც არ ნიშნავს რომ მას შეუძლია აღნიშნული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და სამართლებრივი დევნა.⁴⁸³

საზღვაო ტერორიზმის, როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზრუნველყოფა,⁴⁸⁴ ვინაიდან გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე (რომლის მიზეზიც შეიძლება იყოს დამნაშავისაგან გარკვეული ინფორმაციის მოპოვება) სახელმწიფომ შეიძლება გაათავისუფლოს პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან პირიქით, მიუსაჯოს მას განუსაზღვრელი ვადით თავისუფლების აღკვეთა.⁴⁸⁵ სახელმწიფოს მხრიდან

⁴⁸⁰ იხ. Värk R, 'Terrorism as a Threat to Peace', (2009) XVI *Juridica International*, 220-221.

⁴⁸¹ იხ. Creegan E, 'A Permanent Hybrid Court for Terrorism', (2011) 26(2) *American University International Law Review*, 257-258; 'The Rule of Law in Colombia Key Findings from the General Population Poll 2022', World Justice Project <<https://worldjusticeproject.org/our-work/research-and-data/rule-of-law/colombia-2022>>; Banchik M, *The International Criminal Court and Terrorism* (University of Bradford), 9; McLean P, 'Colombia: Failed, Failing or Just Weak?', (2002) *The Washington Quarterly*

⁴⁸² იქვე, 252.

⁴⁸³ იხ. ზოგადად, Hiéramente M, 'The Myth of 'International Crimes': Dialectics and International Criminal Law', (2011) 3(2) *Goettingen Journal of International Law*, 556.

⁴⁸⁴ იხ. ზოგადად, Cohen A, 'Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Reevaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism', (2012) 20:2 *Michigan State International Law Review*, 251; Banchik M, *The International Criminal Court and Terrorism* (University of Bradford), 10.

⁴⁸⁵ იხ. Margariti S, *In Search of a Definition for International Terrorism balancing Sovereignty and Cosmopolitanism* (University of Dundee 2015), 74.

საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმში ექვმიტანილ პირთა მიმართ მიკერძოებული მიდგომა შეიძლება სახეზე გვექონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იმ სახელმწიფოს შიდა სასამართლო, რომელიც გახდა მძიმე ტერორისტული შეტევის მსხვერპლი, განიხილავს პირთა საქმეს.⁴⁸⁶ საერთოდ, სახელმწიფოთა მიკერძოებული მიდგომა ტერორიზმში ექვმიტანილ პირთა მიმართ საკმაოდ გავრცელებულია პრაქტიკაში. ეს ერთგვარად დადასტურებულ იქნა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ გუანტანამოს ციხის პატიმრების საქმეებში (*"Boumediene v. Bush"; al Odah v. United States*), სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ გუანტანამოს პატიმრები არ სარგებლობდნენ სათანადო პროცესუალური გარანტიებით და აღნიშნა, რომ ამ პირებს ნამდვილად ჰქონდათ დაკავების კანონიერების გასაჩივრების უფლება.⁴⁸⁷ ასევე მაგალითისთვის მოვიყვანდი Yunis-ის საქმეს (*United States v. Yunis*). აღნიშნულ საქმეში აშშ-ის მიერ ექვმიტანილთა მიმართ გამოყენებული მეთოდები და ძალადობრივი გატაცების პრაქტიკა, მათ მიმართ იურისდიქციის განხორციელების მიზნით იწვევს კრიტიკას საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს შორის, ვინაიდან FBI-ის აგენტებმა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში ნარკოტიკებთან დაკავშირებით ცრუ დაპირების მეშვეობით დააკავეს ექვმიტანილი პირების იახტა, როდესაც ისინი შევიდნენ ღია ზღვაში.⁴⁸⁸ ამდენად, მანამ სანამ საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი არ მოხვდება ICC-ის იურისდიქციაში, ვფიქრობ, ყოველთვის იარსებებს ეროვნული მთავრობების მიერ ანტიტერორისტული ხელშეკრულებების ვიწრო, პოლიტიკური მიზნებით გამოყენების სერიოზული რისკი.

ცალკე გამოყოფილი დაზარალებული პირების უფლებების საკითხს. საგულისხმოა, რომ რომის სტატუტი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება დაზარალებულთა ინფორმირებას გადაწყვეტილების შესახებ; მათ მონაწილეობას სამართალწარმოებაში; მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის ზომებსა და კომპენსაციის მოთხოვნის

⁴⁸⁶ იხ. Goldstone RJ, Simpson J, 'Evaluating the Role of the International Court as a Legal Response to Terrorism', (2003) 16 Harvard Human Rights Journal, 16.

⁴⁸⁷ იხ. 'USA: Time for Real Change as Supreme Court Rules on Guantanamo detentions', Amnesty International (13.06.2008) <<https://www.amnesty.org/fr/wp-content/uploads/2021/07/amr510612008eng.pdf>>; 'Boumediene v. Bush', The Federalist Society <<https://fedsoc.org/case/boumediene-v-bush>>; Stone GR, 'Rasul v. Bush and Al Odah v. United States', (2005) 29:613 NYU Review of Law and Social Change, 614-631; 'Boumediene v. Bush and Al Odah v. United States', ACLU (12.06.2008) <<https://www.aclu.org/cases/boumediene-v-bush-and-al-odah-v-united-states>>; 'Boumediene v. Bush', JUSTIA U.S. Supreme Court <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/553/723/>>; 'Al Odah, Khaled A.F., et al v. USA, et al, No. 02-5251', JUSTIA U.S. Supreme Court <<https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/cadc/02-5251/02-5251a-2011-03-24.html>>; *Boumediene v. Bush*, Supreme Court of the United States, 553 U.S. 723, 12 June 2008; *Fawzi Khalid Abdullah Fahad Al Odah v. United States of America*, United States Court of Appeal, District of Columbia United States, 09-5331, 30 June 2010; Clark T, 'Amending the ICC to Include Terrorism as a Core Crime', (2021) Seton Hall Law, 25.

⁴⁸⁸ Clark T, 'Amending the ICC to Include Terrorism as a Core Crime', (2021) Seton Hall Law, 25-26; ასევე იხ. 'United States v. Yunis Case Brief', Law School Case Briefs, Legal Research, and Book Outlines <<https://www.lawschoolcasebriefs.net/2013/11/united-states-v-yunis-case-brief.html>>; *United States v. Fawaz Yunis*, United States District Court, District of Columbia, 87-0377, 12 February 1988.

უფლებას.⁴⁸⁹ ამ მხრივ, მსხვერპლთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო პროცესებში როგორც დამოუკიდებელმა მხარემ, მიიჩნევა სტატუტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინოვაციად, რომელიც ყოველთვის შეიძლება არ იყოს გარანტირებული ეროვნულ დონეზე, როდესაც საქმე ეხება საზღვაო ტერორისტების დევნას.⁴⁹⁰

საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმზე ICC-ის იურისდიქციის გავრცელება შეავსებს იმ სერიოზულ ხარვეზს, რომელიც განპირობებულია საერთაშორისო დონეზე დანაშაულზე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობით და საბოლოოდ ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის საერთაშორისო დანაშაულად ჩამოყალიბებას. ეს თავის მხრივ გააჩენს ახალ შესაძლებლობებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. ამასთან, ICC-ის კონტექსტში ასევე ძალზე მისასალმებელი იქნება თუ რომის სტატუტში შევა ტერორიზმის იმგვარი განმარტება, რომელიც გაიზიარებს როგორც სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობების, ისე საერთაშორისო სამართლის მიდგომას დანაშაულის განმარტების მხრივ.

4.1.5. ICC-ის მიერ საზღვაო ტერორიზმზე იურისდიქციის განხორციელების

ძირითადი გამოწვევები

ICC-ის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა უკავშირდება სტატუტით განმტკიცებულ კომპლემენტარობის პრინციპს, რომლის თანახმად სასამართლო არ განიხილავს იმ საქმეს, რომელსაც იძიებს ან რომლის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფო.⁴⁹¹ ამდენად, სწორედ წევრ-სახელმწიფოებს აქვთ სტატუტით გათვალისწინებულ დანაშაულებზე იურისდიქციის განხორციელების უპირველესი ვალდებულება.⁴⁹² საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის სტატუტში მოქცევის შემთხვევაში ICC-ის მნიშვნელოვანი როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით შეიძლება გამოიხატოს 2 ძირითად შემთხვევაში: ა) როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს ტერორისტულ აქტებზე იურისდიქციის განხორციელება; ბ)

⁴⁸⁹ იხ. Goetz M, 'The International Criminal Court and its Relevance to Affected Communities', Nicolas Waddell, Phil Clark (eds), *Courting Conflict? Justice, Peace and the ICC in Africa* (Royal African Society 2008), 66; ასევე იხ. მაგალითისთვის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, მუხლები 65, 85, UNTS vol. 2187 (p.3) (მიღების თარიღი: 17/07/1998; ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2002).

⁴⁹⁰ იქვე.

⁴⁹¹ იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, მუხლი 17 I (a), UNTS vol. 2187 (p.3) (მიღების თარიღი: 17/07/1998; ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2002).

⁴⁹² იხ. ზოგადად, Oriolo A, 'Revisiting the Interaction Between the ICC and National Jurisdictions as a New Gateway to Strengthening the Effectiveness of International Criminal Justice', 83 *International Review of Penal Law*, 200.

როდესაც რამდენიმე სახელმწიფოს გააჩნია დანაშაულზე კონკურენტული იურისდიქცია.⁴⁹³

დღეისათვის ეროვნული სასამართლოების (და არა ICC-ის) წამყვანი როლი იკვეთება იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული ჩადენილია სახელმწიფოს ექსკლუზიური იურისდიქციას დაქვემდებარებულ საზღვაო ზონებში (მაგ. შიდა წყლები, ტერიტორიული ზღვა), სადაც სანაპირო სახელმწიფოს გააჩნია სრული იურისდიქცია საზღვაო ტერორიზმის დანაშაულზე.⁴⁹⁴ ცხადია, აქ ძალზე დიდია ამ სასამართლოების პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით. თუ მაგალითად, დანაშაული ჩადენილია სახელმწიფოს ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებს გარეთ არსებულ საზღვაო ზონებში (მაგ. ღია ზღვა), აქ უმთავრესად დროშის სახელმწიფოს ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა განახორციელონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება.⁴⁹⁵ თავის მხრივ, რამდენად ეფექტიანად მოახდენენ დროშის სახელმწიფოები ეროვნულ დონეზე დანაშაულის დევნას SUA კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შესაბამისად, მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ეფექტიანი შიდა საიმპლემენტაციო კანონმდებლობა აქვს მიღებული ამ სახელმწიფოს (ანუ რამდენად სრულად აქვთ ინკორპორირებული კონვენციით გათვალისწინებული დანაშაული შიდა კანონმდებლობაში და რამდენად ადეკვატურია დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელები).⁴⁹⁶

საერთოდ, ICC-ის როგორც სასამართლო მექანიზმის ეფექტიანობა მთლიანად არის დამოკიდებული სახელმწიფოთა თანამშრომლობაზე. ამ კუთხით, საერთაშორისო საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის სტატუტში მოქცევის შემთხვევაშიც შესაძლოა გამოწვევა იყოს ტერორიზმში ბრალდებული პირების მიმართ ICC-ის მიერ გაცემული დაკავების ორდერების აღსრულება. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც. ოფიციალური მონაცემებით, 2002-2021 წლებში სასამართლომ გასცა 36 დაკავების ორდერი, რომელთაგან მხოლოდ 20 აღსრულდა.⁴⁹⁷ ამასთან, დაკავშირებით ძალზე საინტერესოა ჯოზეფ კონის საქმე, ვინაიდან თითქმის 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უგანდის ტერორისტული ორგანიზაციის (Lord's Resistance Army (LRA)) ლიდერი რობერტ კონი თავს არიდებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას მას შემდეგ, რაც

⁴⁹³ იხ. Stephens T, 'International Criminal Law and the Response to International Terrorism', (2017) 27(2) UNSW Law Journal, 480.

⁴⁹⁴ იხ. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 78.

⁴⁹⁵ იხ. ზოგადად, Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 68-72.

⁴⁹⁶ იხ. Honniball AN, 'One Treaty to Apply Them All? Defining Maritime Terrorism by Cross-References and Reservations: The ASEAN Region Example', (2023) 100 International Law Studies, 74.

⁴⁹⁷ იხ. Uma S, 'State Cooperation and the Challenge to International Criminal Justice', (2021) The Wire, 6.

ICC-მ 2005 წელს მისი დაპატიმრების ორდერი გასცა.⁴⁹⁸ იგივე შეიძლება ითქვას **ლიბიელ სეიფ ალ-ისლამ კადაფიზე**, რომლის დაკავების ორდერი ICC-ის მიერ გაიცა 2011 წელს, თუმცა ის ჯერ კიდევ არ იმყოფება სასამართლოს პატიმრობაში.⁴⁹⁹ **ალ-ბაშირის საქმეში**, ჩადმა, რომის სტატუტის წევრმა სახელმწიფომ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი მითითების მიუხედავად უარი განაცხადა ბრალდებული პირის დაკავებასა და ICC-სთვის გადაცემაზე.⁵⁰⁰ იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ბენჯამინ ნეთანიაჰუს მიმართ გაცემულ დაკავების ორდერებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღსრულებულა.⁵⁰¹ მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების რომის სტატუტში მოცემული ძირითადი გზები უმთავრესად დამოკიდებულია უშიშროების საბჭოს რეფერალზე ან ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეფერალზე.⁵⁰² აქედან გამომდინარე, ICC-ის პოტენციურად გაუქირდება ტერორიზმზე იურისდიქციის განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ სახელმწიფოს არ სურს შიდა დონეზე დანაშაულის ეფექტიანი დევნა ან არ წარმოადგენს სტატუტის ხელშემკვრელ მხარეს.⁵⁰³ ამ მხრივ, მართალია უშიშროების საბჭოს რეფერალი არის ის მექანიზმი, რომელიც უნივერსალური იურისდიქციის ელემენტს შეიცავს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უშიშროების საბჭო ერთგვარად პოლიტიკური ორგანოა, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გამოუყენებია და რიგ შემთხვევებში, არსებობს სერიოზული ეჭვები რამდენად შეუწყო აღნიშნულმა ხელი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას.⁵⁰⁴ განსაკუთრებით

⁴⁹⁸ იხ. Scharf M, 'Confirmation of Charges in Absentia for Joseph Kony: Paving the Way for Putin?', Just Security (30 August 2024) <<https://www.justsecurity.org/99033/joseph-kony-in-absentia-putin/>>; *The Prosecutor v. Joseph Kony*, ICC, ICC-02/04-01/05.

⁴⁹⁹ იხ. *The Prosecutor v. Saif Al-Islam Gaddafi*, ICC, ICC-01/11-01/11; Oriolo A, 'Revisiting the Interaction Between the ICC and National Jurisdictions as a New Gateway to Strengthening the Effectiveness of International Criminal Justice', 83 International Review of Penal Law, 201.

⁵⁰⁰ იხ. ზოგადად, Barnes GP, 'The International Criminal Court's Ineffective Enforcement Mechanisms: The Indictment of President Omar Al Bashir', (2011) 34(6) Fordham International Law Journal, 1586-1587; Cohen A, 'Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Reevaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism', (2012) 20:2 Michigan State International Law Review, 251, 254; *The Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir*, ICC, ICC-02/05-01/09.

⁵⁰¹ იხ. *Situation in Ukraine, Finding under Article 87(7) of the Rome Statute on the Non-Compliance by Mongolia with the Request by the Court to Cooperate in the Arrest and Surrender of Vladimir Vladimirovich Putin and Referral to the Assembly of States Parties*, Case no ICC-01/22, ICC, ICC-01/22, 24 October 2024; *Situation in the State of Palestine, Decision on Israel's Challenge to the Jurisdiction of the Court Pursuant to Article 19(2) of the Rome Statute*, ICC, ICC-01/18, 21 November 2024.

⁵⁰² იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, მუხლები 13 (a), 13 (b), 13 (c), 14, 15, UNTS vol. 2187 (p.3) (მიღების თარიღი: 17/07/1998; ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2002); Clark T, 'Amending the ICC to Include Terrorism as a Core Crime', (2021) Seton Hall Law, 26; ასევე იხ. Creegan E, 'A Permanent Hybrid Court for Terrorism', (2011) 26(2) American University International Law Review, 285.

⁵⁰³ იხ. Clark T, 'Amending the ICC to Include Terrorism as a Core Crime', (2021) Seton Hall Law, 26.

⁵⁰⁴ იხ. ზოგადად, Galand AS, *UN Security Council Referrals to the International Criminal Court, Legal Nature, Effects and Limits* (Brill 2018); Buchanan R, 'Security Council Referral to the ICC: A Help or Hindrance in

მაშინ, როდესაც სახელმწიფოთა ნაწილი და მათ შორის, აშშ ტერორისტების გასამართლების კუთხით არიან უნილატერული მიდგომის მომხრე (მაგ. ტერორისტების გასამართლება სამხედრო კომისიების მეშვეობით), საკითხავია აღნიშნული სახელმწიფოების წინააღმდეგობის ფონზე რამდენად შეძლებს უშიშროების საბჭო აღნიშნული ბარიერის გადალახვას სიტუაციის ICC-სთვის გადაცემის გზით.⁵⁰⁵

ცალკე აღნიშვნის ღირსია ICC-სთვის ერთგვარად დამახასიათებელი შერჩევითი მართლმსაჯულების პრობლემა. საგულისხმოა, რომ ICC ხშირად მოიხსენიება, როგორც „აფრიკული სასამართლო“, ვინაიდან აფრიკული სახელმწიფოების ლიდერები ხშირად გამხდარან სამართლებრივი დევნის ობიექტი, რაც ტოვებს გარკვეულ ეჭვებს სასამართლოს შესაძლო მიკერძოების შესახებ.⁵⁰⁶ სწორედ სასამართლოს შესაძლო მიკერძოებული დამოკიდებულება გახდა 2016 წლის ოქტომბერში აფრიკის სამი სახელმწიფოს, სამხრეთ აფრიკის, ბურუნდისა და გამბიის რომის სტატუტიდან გასვლის მთავარი მიზეზი.⁵⁰⁷ ICC-ის მიერ უშიშროების საბჭოს რეფერალის საფუძველზე სუდანის ყოფილი პრეზიდენტის ომარ ალ-ბაშირის დაპატიმრების შესახებ გაცემული ორდერი კიდევ უფრო აძლიერებს დავას სასამართლოს „აფრიკული პრობლემის“ შესახებ.

4.2. არასახელმწიფო აქტორები და სახელმწიფო და ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა საზღვაო ტერორიზმისთვის

საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმისთვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის სამართლის კონტექსტში ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა უკავშირდება არასახელმწიფო აქტორებს. აქ იბადება კითხვა: რომელი სუბიექტები მოიაზრება არასახელმწიფო აქტორებში თანამედროვე საერთაშორისო სამართალში? მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საჯარო სამართალში არ არსებობს

Achieving Peace’, Human Rights Centre (19 January 2015) <<http://www.hscentre.org/global-governance/security-council-referral-icc-help-hindrance-achieving-peace/>>; Ayeni VO, Olong MA, ‘Opportunities and Challenges to the UN Security Council Referral Under the Rome Statute of the International Criminal Court’, (2017) 25(2) African Journal of International and Comparative Law; Lentner GM, ‘The End of an (Unsuccessful) Era? UN Security Council Referrals to the ICC’, Völkerrechtsblog (13 July 2022) <<https://voelkerrechtsblog.org/the-end-of-an-unsuccessful-era/>>.

⁵⁰⁵ იხ. Cryer R, ‘Terrorism and the International Criminal Court’, (2003) 82 Australian Law Reform Commission Reform Journal.

⁵⁰⁶ იხ. ზოგადად, Cohen A, ‘Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Reevaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism’, (2012) 20:2 Michigan State International Law Review, 254; Iommi LG, ‘Whose Justice? The ICC ‘Africa Problem’’, (2019) 34(1) International Relations.

⁵⁰⁷ იხ. Хамидова МФ, ‘Создание международного уголовного суда и правовые вопросы ответственности за международные преступления’, (2017) 8(3) Вестник СПбГУ. Право, 338.

აღნიშნული ცნების უნივერსალური განმარტება, უდავოა, რომ არასახელმწიფო აქტორები ის სუბიექტებია, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფოსაგან.⁵⁰⁸ აღნიშნულს ადასტურებს გაეროს უშიშროების საბჭოს პრაქტიკაც, რომელიც არასახელმწიფო აქტორად ზოგადად მოაზრებს ნებისმიერ სუბიექტს „რომელიც არ მოქმედებს სახელმწიფოს კანონიერი უფლებამოსილების ქვეშ“. ⁵⁰⁹ მაშინ როდესაც არასახელმწიფო აქტორების განმარტება ცალსახად მოიცავს როგორც ფიზიკურ პირებს (მაგ. ტერორისტული ორგანიზაციის წევრები) ისე ორგანოებს, **შემდეგი სუბიექტები ჩვეულებრივ გამოირიცხება არასახელმწიფო აქტორების განმარტებიდან:** ა) სახელმწიფოს კონსტიტუციურად შემადგენელი ნაწილები როგორცაა მაგალითად მუნიციპალიტეტები; ბ) პარასახელმწიფო ერთეულები როგორებიცაა მაგალითად მეამბოხეები და მებრძოლენი, ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები. ⁵¹⁰

იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი მოხდება ICC-ის იურისდიქციაში პოტენციურად შეიძლება გვექონდეს არასახელმწიფო აქტორების პასუხისმგებლობის შემდეგი ფორმები საერთაშორისო სამართალში: ა) არასახელმწიფო აქტორისა და სახელმწიფოს შერეული პასუხისმგებლობა; ბ) არასახელმწიფო აქტორის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა. საერთაშორისო საზღვაო ტერორიზმისთვის სახელმწიფოსა და არასახელმწიფო ტერორისტული აქტორის შერეული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს რამდენიმე ძირითად შემთხვევაში: ა) როდესაც სახელმწიფო უშუალოდ მონაწილეობს ტერორისტულ აქტში და სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ მუხლებში (ARSIWA) მოცემული მიკუთვნების წესების თანახმად, არასახელმწიფო ტერორისტული აქტორის ქმედება მიეკუთვნება მას. ⁵¹¹ ბ) სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორის შერეული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, როდესაც ეს სუბიექტები დამოუკიდებლად უწყობენ ხელს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას. ⁵¹² აქ წვლილი დანაშაულებრივი შედეგის დადგომაში უკავშირდება ამ სუბიექტების მიერ სხვადასხვა ნორმების დარღვევას. ⁵¹³ მაგალითად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება გამომდინარეობდეს ტერორიზმის პრევენციის ვალდებულების შეუსრულებლობაში, მაშინ როდესაც არასახელმწიფო ტერორისტული აქტორის პასუხისმგებლობის საფუძველია უშუალოდ ტერორისტული აქტის განხორციელება.

⁵⁰⁸ იხ. ზოგადად, Kleczkowska A, 'States vs. Non-State Actors – A Public International Law Perspective', (2020) 20 Hybrid CoE Strategic Analysis, 3.

⁵⁰⁹ იხ. მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1540 (2004) (მიღების თარიღი 28/04/2004).

⁵¹⁰ იხ. Lapas D, 'Sanctioning Non-State Entities An International Law Approach', (2010) 81 International Review of Penal Law, 105.

⁵¹¹ იხ. Trapp KN, 'Shared Responsibility and Non-State Terrorist Actors', (2015) 62(1) Netherlands International Law Review, 6-7.

⁵¹² იქვე, 7-8.

⁵¹³ იქვე, 7-8.

⁵¹⁴ გ) სახელმწიფოსა და არასახელმწიფო ტერორისტული აქტორის შერეული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, როდესაც არასახელმწიფო აქტორი უშუალოდ ჩადის ტერორისტულ აქტს, ხოლო სახელმწიფო არღვევს დამნაშავეთა დასჯის ან გადაცემის ვალდებულებას. ⁵¹⁵

შეიძლება გამოვყოთ საერთაშორისო საზღვაო ტერორისტულ აქტებში სახელმწიფოს ჩართულობის რამდენიმე შესაძლო ძირითადი ფორმა:

1) ხელმძღვანელობა - ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფოები აქტიურად აკონტროლებენ ან ხელმძღვანელობენ საზღვაო ტერორისტულ ქმედებებს. ⁵¹⁶ მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული სახელმწიფოს მიერ იმ საზღვაო ტერორისტების ხელმძღვანელობა, რომლებიც აპირებენ გემის იარაღად გამოყენებას სხვა სახელმწიფოს პორტების წინააღმდეგ დივერსიული თავდასხმის განსახორციელებლად.

2) მხარდაჭერა - ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო არ აკონტროლებს ტერორისტებს, მაგრამ ხელს უწყობს მათ საქმიანობას და უზრუნველყოფს ტრენინგს, აღჭურვილობას, ფულად და სატრანსპორტო საშუალებებს. ⁵¹⁷

3) შემწყნარებლობა - სახელმწიფო აქტიურად არ უჭერს მხარს და არ ხელმძღვანელობს ტერორისტებს, მაგრამ მაინც არ სწევს ძალისხმევას ტერორისტული აქტების აღსაკვეთად და ტერორისტების დასაკავებლად. ⁵¹⁸

4) უმოქმედობა - სახელმწიფო უბრალოდ ვერ უმკლავდება ტერორისტებს პოლიტიკური ფაქტორების ან სხვა სისუსტეების გამო. ეს შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფოებს, რომლებსაც არ აქვთ კონტროლი თავიანთი ტერიტორიების ნაწილზე. ⁵¹⁹

თანამედროვე ეტაპზე, ძალზე რთულია იმ მოცულობით დადგინდეს კავშირი სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორებს შორის, რაც გამოიწვევს ამ სუბიექტების შერეულ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართალში. ასე მაგალითად, საერთაშორისო სასამართლომ ნიკარაგუას საქმეში გამოიყენა რა ეფექტური კონტროლის ტესტი, აშშ-ს მიერ მეამბოხეთა ჯგუფების მხარდაჭერა, რაც გამოიხატებოდა მათ დაფინანსებაში, ორგანიზებაში, წვრთნაში, იარაღის მიწოდებასა და აღჭურვაში, ასევე ოპერაციების დაგეგმვაში, არ მიიჩნია საკმარის

⁵¹⁴ იქვე, 10.

⁵¹⁵ ob. Trapp KN, 'Shared Responsibility and Non-State Terrorist Actors', (2015) 62(1) Netherlands International Law Review. 8-10.

⁵¹⁶ ob. Värk R, 'State Responsibility for Private Armed Groups in the Context of Terrorism', (2006) XI Juridica International, 187.

⁵¹⁷ იქვე.

⁵¹⁸ იქვე.

⁵¹⁹ იქვე.

მტკიცებულებებად იმისათვის, რომ აშშ-სთვის მიეკუთვნებინა მეამბოხეთა ჯგუფების მიერ ნიკარაგუაში სამხედრო ან გასამხედროებული ოპერაციების დროს ჩადენილი ქმედებები.⁵²⁰ ამდენად, საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში ძალზე რთულია ეფექტური კონტროლის ტესტის გამოყენების საფუძველზე სახელმწიფოებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება. მაშინ, როდესაც დღეისათვის სახელმწიფოების მიერ ტერორისტებისთვის გაწეული დახმარება მაინც წვრთნებით შემოიფარგლება, არსებობს მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანი დახმარების გაწევის შემთხვევაშიც კი ნაკლებად სავარაუდოა დაკმაყოფილდეს საერთაშორისო სასამართლოს მიერ შემუშავებული (მკაცრი) ეფექტური კონტროლის ტესტი სახელმწიფო პასუხისმგებლობის დასადგენად.⁵²¹ სხვა საერთაშორისო დანაშაულებისაგან განსხვავებით საზღვაო ტერორიზმის შემთხვევაში ნაკლებ სავარაუდოა დადგინდეს სამხედრო მეთაურის ან სამხედრო მეთაურის სახით მოქმედი პირის პასუხისმგებლობა რომის სტატუტის 28-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან ამ მუხლის თანახმად, აუცილებელია, რომ ამ პირების ეფექტური ხელმძღვანელობის ან კონტროლის ფაქტი დადგინდეს უშუალოდ დანაშაულის ჩამდენ პირებზე.⁵²² იმ შემთხვევაშიც კი თუ საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის დანაშაული მოხდება ICC-ის იურისდიქციაში, არასახელმწიფო აქტორების პასუხისმგებლობის საკითხი მაინც პრობლემური იქნება თუ დანაშაულის ჩადენა მოხდება სტატუტის არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ამავე სახელმწიფოს მოქალაქის მიერ.

საერთაშორისო ტერორიზმის და მათ შორის, საზღვაო ტერორიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო რეალისტურია პირთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა რომის სტატუტის 25 მუხლის თანახმად, ვიდრე მეთაურებისა და სხვა უფროსების პასუხისმგებლობა სტატუტის 28-ე მუხლის შესაბამისად. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ სტატუტის 25-ე მუხლში მოხსნიებულ პირებს, როგორც არასახელმწიფო აქტორებს, შესაძლოა ბრალი მიუძღოდეთ საზღვაო ტერორიზმის დანაშაულში, დღეისათვის მაინც ძალზე აქტუალურია ამ სუბიექტების შესაძლო დაუსჯელობის პრობლემა საერთაშორისო სამართალში. მაგალითად, არასახელმწიფო აქტორების დაუსჯელობის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში როდესაც ექსტრადიციის მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება დამნაშავე, მიუთითებს არასაკმარის მტკიცებულებებზე დამნაშავეებზე სისხლისამართლებრივი დევნის განსახორციელებლად.⁵²³ როგორც

⁵²⁰ იხ. *Case Concerning Military and Paramilitary Activities In and Against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*, Judgment, ICJ Reports 1984, § 115.

⁵²¹ იხ. Trapp KN, 'Shared Responsibility and Non-State Terrorist Actors', (2015) 62(1) Netherlands International Law Review, 14.

⁵²² იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, მუხლი 28, ნაწილი 1, UNTS vol. 2187 (p.3) (მიღების თარიღი: 17/07/1998; ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2002).

⁵²³ Trapp KN, 'Shared Responsibility and Non-State Terrorist Actors', (2015) 62(1) Netherlands International Law Review, 18-21.

ავტორები აღნიშნავენ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც არ შეიძლება ვისაუბროთ ექსტრადიციის ან დასჯის ვალდებულების (aut dedere aut judicare) რაიმე დარღვევაზე.⁵²⁴ გარდა ამისა, საზღვაო სამართლის ცნობილი ექსპერტები საინტერესოდ აღნიშნავენ რომ **SUA კონვენცია არ შეიცავს დამნაშავეთა დასჯის აბსოლუტურ ვალდებულებას**, ვინაიდან ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი დამნაშავე ვალდებულია მხოლოდ დაუყოვნებლივ წარუდგინოს პირი კომპეტენტურ ორგანოებს დევნის მიზნით, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში.⁵²⁵ კიდევ ერთი სიტუაცია, რომელიც (საზღვაო) ტერორისტული აქტებისთვის არასახელმწიფო აქტორების შესაძლო პასუხისმგებლობის კუთხით წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას, უკავშირდება შიდასასამართლო პროცესების გაჭიანურებას, რაც კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებათა სფეროში სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას, თუმცა წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას ICC-ის მიერ იურისდიქციის განხორციელებისთვის.⁵²⁶ საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში არასახელმწიფო აქტორების შესაძლო დაუსჯელობის პრობლემა სახეზეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული ჩადენილია ტერორისტული ორგანიზაციის წევრების ან სხვა არასახელმწიფო აქტორების მიერ მე-2 კატეგორიის საზღვაო ზონებში (მაგ. ღია ზღვა) და არცერთ სახელმწიფოს, მათ შორის, დროშის სახელმწიფოს არ სურს ან გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია დამნაშავეთა მიმართ იურისდიქციის განხორციელება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ ვსაუბრობთ უზარმაზარ გეოგრაფიულ არეალზე, რომელიც მოიცავს მთელი დედამიწის დაახლოებით 64%-ს.⁵²⁷ ამ შემთხვევაში მართალია თუ დანაშაული მოხდება ICC-ს იურისდიქციაში უშიშროების საბჭოს მაინც შეუძლია გამოიყენოს რეფერალის მექანიზმი, მაგრამ, ცხადია, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება მაინც იქნება პრობლემური სასამართლოსთან სახელმწიფოს მიერ არასაკმარისი თანამშრომლობის გამო. **ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რამდენად ეფექტიანად განახორციელებს დროშის სახელმწიფო თავის იურისდიქციულ უფლებებს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების საფუძველზე დიდწილად**

⁵²⁴ Trapp KN, 'Shared Responsibility and Non-State Terrorist Actors', (2015) 62(1) Netherlands International Law Review, 18-21.

⁵²⁵ ob. Tuerk H, 'Combating Terrorism at Sea – The Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (2008) 15(3) University of Miami International and Comparative Law Review, 349; Treves T, 'The Rome Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation', (1988) 2 Singapore Journal of Comparative and International Law, 541-556.

⁵²⁶ ob. Zimmermann A, 'The Creation of a Permanent International Criminal Court', (1998) Max Planck Yearbook of United Nations Law, 222.

⁵²⁷ ob. 'Campaign for the Protection of the Oceans and Implementation of SDG 14 The High Seas – Unregulated and Under Attack A Factsheet for Parliamentarians', Parliamentarians for Global Action <https://www.pgaction.org/pdf/2020/factsheet-high-seas-unregulated_en.pdf>.

დამოკიდებულია ეფექტიან შიდასაიმპლემენტაციო კანონმდებლობაზე.⁵²⁸ ამდენად, საზღვაო ტერორიზმის ICC-ის იურისდიქციაში მოხვედრა მნიშვნელოვანი ნაბიჯია აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, მაგრამ, როგორც შემდგომ ნაწილში ვნახავთ, მხოლოდ ამ მექანიზმის საფუძველზე შეუძლებელია დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა სახელმწიფოთა თანამშრომლობის შესაბამისი მექანიზმების განვითარების გარეშე.

დღეისათვის ეროვნული სასამართლოების მიერ არასახელმწიფო აქტორებისთვის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ძალზე პრობლემურია. როგორც საერთაშორისო საზღვაო სამართლის ექსპერტი, საიფულ კარიმი აღნიშნავს, SUA კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა დიდწილად უგულებელყვეს ეროვნული სასამართლოების მნიშვნელოვანი როლი, რადგან ბევრმა სახელმწიფომ არ მიიღო აუცილებელი შიდა კანონმდებლობა ამ როლის განხორციელებისათვის.⁵²⁹ მეკობრეობის შემთხვევაშიც კი, რომელიც წარმოადგენს უნივერსალური იურისდიქციის დანაშაულს, როგორც მიუთითებენ, დანაშაულის შიდასამართლებრივი დევნის რიცხვი გაცილებით ნაკლებია დანაშაულის რაოდენობასთან დაკავშირებით, რისი უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ხელშეკრულების წევრი-სახელმწიფოები არ ქმნიან საჭირო საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოებს ეროვნულ დონეზე, რაც აუცილებელია დამნაშავეთა ეფექტიანი დევნისთვის.⁵³⁰

იმ პირობებში, როდესაც დღეს რიგ სახელმწიფოებს არა აქვთ მიღებული SUA კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ეფექტური შიდასაიმპლემენტაციო კანონმდებლობა, რთულია ამ ნორმების პრაქტიკაში გამოყენება და შესაბამისად არასახელმწიფო აქტორებისთვის, რომელთაც სავარაუდოდ ბრალი მიუძღვით დანაშაულში, პასუხისმგებლობის დაკისრება. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა საგანგაშო შედეგებს იძლევა: კერძოდ, კვლევის თანახმად, მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ დანერგა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სავალდებულო იურისდიქციის პირობები თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში,

⁵²⁸ იხ. ზოგადად, Honniball AN, 'One Treaty to Apply Them All? Defining Maritime Terrorism by Cross-References and Reservations: The ASEAN Region Example', (2023) 100 International Law Studies, 74

⁵²⁹ იხ. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016).

⁵³⁰ იხ. Karim S, 'Prosecution of Maritime Pirates: The National Court is Dead – Long Live the National Court?', (2014) 32(1) Wisconsin International Law Journal, 37; ასევე იხ. 'Report of the Secretary-General on Possible Options to Further the Aim of Prosecuting and Imprisoning Persons Responsible for Acts of Piracy and Armed Robbery at Sea off the Coast of Somalia', Security Council Report (26.07.2010) <<https://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/Somalia%20S2010%20394.pdf>>; 'Report of the Special Adviser to the Secretary General on Legal Issues Related to Piracy off the Coast of Somalia', Security Council Report (25.01.2011) <<https://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/Somalia%20S%202011%2030.pdf>>.

მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არცერთ სახელმწიფოს არ მოუხდენია დისკრეციული იურისდიქციის (კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი) ეფექტიანი იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობაში.⁵³¹

4.3. საზღვაო ტერორიზმი და საერთაშორისო სასამართლო (ICJ)

საერთაშორისო სასამართლოს კონტექსტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კითხვას წარმოადგენს რამდენად ეფექტიანია საერთაშორისო სასამართლო დანაშაულთან ბრძოლის კუთხით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია და მისი ამოქმედების ძირითადი გზები. ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლოს არსებული პრაქტიკა საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებით. სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის დროს აქცენტი გაკეთდება არა გადაწყვეტილებების სიღრმისეულ და ამომწურავ განხილვაზე, არამედ სასამართლოს როლზე ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებში სახელმწიფო პასუხისმგებლობის იმპლემენტაციის კუთხით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სასამართლო არის სახელმწიფოებო ორგანო, რომელიც შექმნილია და ახორციელებს საქმიანობას გაეროს წესდებისა და სასამართლოს სტატუტის საფუძველზე.⁵³² საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ეფუძნება დაინტერესებული სახელმწიფოების თანხმობას. ამასთან, მხოლოდ სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ მხარეები სასამართლოს წინაშე, რაც წარმოადგენს სასამართლოს „*ratione personae*“ იურისდიქციის საფუძველს.⁵³³ ზოგადად, საერთაშორისო სასამართლო ღიაა სტატუტის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის,⁵³⁴ სადაც იგულისხმება გაეროს წევრი-სახელმწიფოებიც, რომლებიც ავტომატურად არიან სტატუტის ხელშემკვრელი სახელმწიფოები.⁵³⁵ გაეროს წესდების 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამატებით ადგენს, რომ „სახელმწიფო, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი, შეიძლება გახდეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე იმ პირობებით, რომლებსაც განსაზღვრავს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, გენერალური ასამბლეა უშიშროების

⁵³¹ იქვე. ასევე იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1918 (2010) (მიღების თარიღი 27/04/2010); გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1950 (2010) (მიღების თარიღი 23/11/2010); გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1976 (2011) (მიღების თარიღი 11/04/2011); გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/2020 (2011) (მიღების თარიღი 22/11/2011).

⁵³² იხ. Thirlway H, 'The International Court of Justice', Malcolm Evans (ed), *International Law* (OUP 2014), 595.

⁵³³ იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, მუხლი 34, ნაწილი 1, UNTS vol. 2187 (p.3) (მიღების თარიღი: 17/07/1998; ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2002).

⁵³⁴ იქვე.

⁵³⁵ იხ. Thirlway H, 'The International Court of Justice', Malcolm Evans (ed), *International Law* (OUP 2014), 596.

საბჭოს რეკომენდაციით".⁵³⁶ ამასთან, პირობები, რომლითაც სასამართლო ღია იქნება სხვა სახელმწიფოებისთვის შეიძლება დადგინდეს უშიშროების საბჭოს მიერ.⁵³⁷

საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში საერთაშორისო სასამართლოს შეიძლება ჰქონდეს „*ratione loci*“ იურისდიქცია, როდესაც დანაშაული ჩადენილია სასამართლოს სტატუტის წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ასევე იგულისხმება ტერიტორიული წყლები.⁵³⁸ ასევე აქ შეიძლება მოვიაზროთ იმ სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ჩადენილი ქმედებები, რომლებზეც სახელმწიფოს გააჩნია იურისდიქცია.⁵³⁹ ეს გამომდინარეობს SUA კონვენციის მე-6 მუხლიდან, რომლის მიხედვითაც კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს თავისი იურისდიქცია დანაშაულზე, როდესაც დანაშაული ჩადენილია ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი მოქალაქის მიერ ან დანაშაულის ჩადენის დროს სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი გემის ბორტზე ან მის წინააღმდეგ.⁵⁴⁰

სასამართლოს საგნობრივ იურისდიქციასთან დაკავშირებით სტატუტის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ წინამდებარე სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს განაცხადონ, რომ ცნობენ, როგორც სავალდებულოდ *ipso facto* და სპეციალური შეთანხმების გარეშე, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც იღებს იმავე ვალდებულებას, სასამართლოს იურისდიქციას ყველა სამართლებრივ დავაში, რომელიც ეხება: ა. ხელშეკრულების განმარტებას; ბ. საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ საკითხს; გ. ნებისმიერი ფაქტის არსებობას, რომელიც დადგენის შემთხვევაში წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას; დ. საერთაშორისო ვალდებულების დარღვევისთვის განსახორციელებელი რეპარაციის ბუნებას ან ზომას.⁵⁴¹ პროფესორი კიმბერლი ტრაპი მიუთითებს, რომ დავების უმეტესობა, რომლებშიც დადგინდა საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია მოხდა სწორედ სასამართლო დათქმების (*compromissory clauses*)” საფუძველზე (და არა *ad hoc* თანხმობის ან

⁵³⁶ გაეროს წესდება, მუხლი 93, ნაწილი 2, 1 UNTS XVI (მიღების თარიღი: 14/08/1941, ძალაში შესვლის თარიღი: 24/10/1945).

⁵³⁷ იხ. საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, მუხლი 35, ნაწილი 2, 33 UNTS 993 (მიღების თარიღი: 26/06/1945, ძალაში შესვლის თარიღი: 24/10/1945).

⁵³⁸ იხ. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, ‘Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?’, (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 88-97; ‘Newsletter 2022/2, Perez-Leon-Acevedo, International Maritime Terrorism at International Courts and Tribunals: Lex Lata and Lex Ferenda Considerations, International Tribunal for the Law of the Sea (09.2022) <https://www.itlos.org/en/main/press-media/itlos-newsletters/newsletter-2022/2/>.

⁵³⁹ იქვე. ასევე იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მე-6 მუხლი, ნაწილი 1, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

⁵⁴⁰ იქვე.

⁵⁴¹ იხ. საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, მუხლი 36, ნაწილი 2, 33 UNTS 993 (მიღების თარიღი: 26/06/1945, ძალაში შესვლის თარიღი: 24/10/1945).

თუნდაც სტატუტის 36 (2) მუხლის თანახმად დეკლარაციების საფუძველზე), რაც, შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე მოსალოდნელ სცენარად საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის შემთხვევაშიც.⁵⁴² ამდენად, სახელმწიფოთაშორისი დავის არსებობის შემთხვევაში საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია საზღვაო ტერორიზმზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფოთაშორისი დავას შეიძლება საფუძვლად დაედოს კონტერორისტული ხელშეკრულებების დებულებები. ამასთან, როდესაც ვსაუბრობთ საზღვაო ტერორიზმზე ამგვარ სახელშეკრულებო საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ SUA კონვენციის მე-16 მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ნებისმიერი დავა ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც არ შეიძლება მოგვარდეს გონივრულ ვადაში მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნით გადაეცემა არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟის მოთხოვნის დღიდან ექვსი თვის ვადაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის ორგანიზებაზე, რომელიმე ამ მხარეს შეუძლია დავა გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის შესაბამისად.⁵⁴³ ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ტერორიზმის წინააღმდეგ ინტერ-ამერიკული კონვენცია, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმს განიხილავს როგორც საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის, ხოლო ამ უკანასკნელში ცალსახად მოიაზრებს საზღვაო ტერორიზმსაც, რამეთუ კონვენციის მე-2 მუხლი *inter alia* მიუთითებს 1988 წლის SUA კონვენციასა და მის დამატებით ოქმებზე.⁵⁴⁴ საგულისხმოა, რომ მსგავს სასამართლო დათქმას შეიცავს საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციაც, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სასამართლოს შეიძლება ჰქონდეს იურისდიქცია 1982 წლის კონვენციის მიზნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კონვენციასთან მიმართებით.⁵⁴⁵ საერთაშორისო სასამართლოს წინაშე საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში, როდესაც ხდება ამა თუ იმ გემის მიმართ სააღსრულებო ღონისძიების განხორციელება, სახელმწიფოთაშორისი დავა შეიძლება

⁵⁴² იხ. Trapp KN, 'Holding States Responsible for Terrorism Before the International Court of Justice', (2012) 3(2) Journal of International Dispute Settlement, 285.

⁵⁴³ იხ. საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, მუხლი 16, ნაწილი 1, 33 UNTS 993 (მიღების თარიღი: 26/06/1945, ძალაში შესვლის თარიღი: 24/10/1945); ასევე იხ. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 88-97; 'Newsletter 2022/2, Perez-Leon-Acevedo, International Maritime Terrorism at International Courts and Tribunals: Lex Lata and Lex Ferenda Considerations, International Tribunal for the Law of the Sea (09.2022) <https://www.itlos.org/en/main/press-media/itlos-newsletters/newsletter-2022/2/>.

⁵⁴⁴ იხ. ამერიკული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ, პრეამბულა, მუხლი 2, OAS Treaty A-66, 42 I.L.M. 19 (მიღების თარიღი: 03/06/2002, ძალაში შესვლის თარიღი: 06/07/2003).

⁵⁴⁵ იხ. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 288, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994); ასევე იხ. ზოგადად, Tzeng P, 'Jurisdiction and Applicable Law Under UNCLOS, Comment', (2016/2017) 126(1) Yale Law Journal, 246 (ზოგადად, საზღვაო უსაფრთხოების დაცვა შედის 1982 წლის კონვენციის მიზნებში, SUA კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ ამ ხელშეკრულების მიზნებთან დაკავშირებულ კონვენციად).

უკავშირდებოდეს 1982 წლის კონვენციით განმტკიცებული სანაოსნო უფლებების შესაძლო დარღვევას გემის დაკავების შედეგად.⁵⁴⁶

მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ სასამართლოს არსებული პრაქტიკა საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ სასამართლოს ჯერ კიდევ განუხილველი აქვს უშუალოდ საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებული საქმეები. თუმცა, გამოვეყოფდი „მძევლების საქმეს“ (United States Diplomatic and Consular Staff in Tehran), რომელიც⁵⁴⁷ არ არის მხოლოდ მნიშვნელოვანი საერთაშორისო დიპლომატიური სამართლისთვის.⁵⁴⁸ მოცემულ საქმეში მძევლების აყვანა გამოყენებული ძალადობის შედეგად, როდესაც ადგილი ჰქონდა ძალადობისა და ძალადობის მუქარის გამოყენებას, რათა ეიძულებინათ აშშ-ს მთავრობა დაეკმაყოფილებინა მოძალადეთა მოთხოვნები აკმაყოფილებს ტერორიზმის განმარტებას საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის თანახმად.

⁵⁴⁹ ლოკერბის საქმე არის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის კიდევ ერთი მაგალითი საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებით.⁵⁵⁰ თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ლოკერბის საქმე ერთგვარად მაინც წარმოაჩენს ტერორიზმში სახელმწიფოს ჩართულობის უარყოფისა და ზოგადად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის იმპლემენტაციის ძალზე მწვავე პრობლემას.⁵⁵¹ უშიშროების საბჭოს მიერ აღსრულების ზომების შესახებ რეზოლუციების მიღებიდან მხოლოდ 7 წლის შემდეგ ლიბიამ ოფიციალური წერილით მიმართა უშიშროების საბჭოს, სადაც ის აღიარებდა მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობას მისი ოფიციალური პირების ქმედებებზე და გამოხატა მზადყოფნა კომპენსაციის გადახდაზე.⁵⁵² ასევე წინა თავში ჩვენ მიერ უკვე განხილულ იქნა საქმე უკრაინა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც აღინიშნა, წარმოაჩენს საერთაშორისო სასამართლოს ერთგვარ კონსერვატიულ მიდგომას ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოს დადგენის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სასამართლომ ნამდვილად შეიძლება შეასრულოს მნიშვნელოვანი

⁵⁴⁶ იხ. ზოგადად, Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 161.

⁵⁴⁷ იხ. Munson VJ, 'The Case Concerning United States Diplomatic and Consular Staff in Tehran', (1981) 11(3) *California Western International Law Journal*, 1-26; *Case Concerning United States Diplomatic and Consular Staff in Tehran* (United States of America v. Iran), Judgment, ICJ Reports 1980.

⁵⁴⁸ იქვე, 2.

⁵⁴⁹ Munson VJ, 'The Case Concerning United States Diplomatic and Consular Staff in Tehran', (1981) 11(3) *California Western International Law Journal*, 1-26.

⁵⁵⁰ იხ. Anderson SD, 'Guilty? An Explanation of the Lockerbie Trial', (2001) *Case Notes Australasian Legal Information Institute*, 220.

⁵⁵¹ იხ. Trapp KN, 'Holding States Responsible for Terrorism Before the International Court of Justice', (2012) 3(2) *Journal of International Dispute Settlement*, 280; *Questions of Interpretation and Application of the 1971 Montreal Convention Arising from the Aerial Incident at Lockerbie, Libyan Arab Jamahiriya v. United Kingdom*, Provisional Measures, ICJ Reports 1992.

⁵⁵² იქვე.

როლი საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო პასუხისმგებლობას. მართალია მას არ აქვს პრაქტიკა უშუალოდ აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით, თუმცა მისი პრაქტიკა მოიცავს ზოგადად საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაულს. მთლიანობაში, საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში სახელმწიფოთაშორისი დავები შეიძლება ეხებოდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

ა) საზღვაო ტერორიზმს, როგორც საფრთხეს საზღვაო უსაფრთხოებისათვის და სანაპირო სახელმწიფოს პასუხისმგებლობას;

ბ) საზღვაო ტერორიზმის აღკვეთის მიზნით ნაოსნობის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვას;

გ) დროშის სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობას საზღვაო ტერორიზმისთვის დროშის სახელმწიფოს გემის გამოყენებით;

დ) სახელმწიფო პასუხისმგებლობას საზღვაო ტერორისტების დახმარებისთვის.⁵⁵³ მოუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოწმობს, რომ იმ პირობებში, როდესაც ARSIWA ამომწურავად განსაზღვრავს სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობას კონკრეტულ პირთა ქმედებებისთვის, საერთაშორისო სასამართლოს უახლეს პრაქტიკაში მაინც პრობლემურია ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოს დადგენა. ამასთან, როდესაც სახელმწიფოები ყველა ღონეს ხმარობენ რათა უარყონ ტერორიზმში მათი მხარდაჭერა, პრაქტიკაში ძალზე რთულია დადგინდეს სახელმწიფოთა თანხმობა საქმის სასამართლოსთვის გადასაცემად. ეს თავის მხრივ, მოქმედებს სახელმწიფოთა მიერ რეპარაციის ვალდებულების სრულად შესრულებაზე, რაზეც მიუთითებს ლოკერბის საქმეზე ზემოთ მოყვანილი ანალიზი.

4.4. საზღვაო ტერორიზმი და საზღვაო სამართლის საერთაშორისო

ტრიბუნალი (ITLOS)

საზღვაო ტერორიზმზე საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (შემდგომში ITLOS) პოტენციური იურისდიქციის კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოები და სხვა სუბიექტები არიან ამ ტრიბუნალის მიერ განსახილველი საქმეების მხარეები.⁵⁵⁴ ტრიბუნალის იურისდიქცია მოიცავს ყველა დავას, რომელიც ეხება კონვენციის განმარტებასა და გამოყენებას, თუმცა სასამართლოს იურისდიქცია

⁵⁵³ Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 158.

⁵⁵⁴ იხ. მაგალითად, საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი, მუხლი 20, 1833 UNTS 561 (მიღების თარიღი: 10/12/1982); საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 291, ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994).

შეიძლება ასევე დადგინდეს სხვა ძალაში არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.⁵⁵⁵ საგულისხმოა, რომ 1982 წლის კონვენციაში საკმაოდ ნათლადაა მოცემული შესაძლო დავათა ის წრე რაც, შეიძლება გადაეცეს ITLOS-ს სახელმწიფოთა მიერ, რომელიც *inter alia* შემდეგ სიტუაციებს:

ა) როდესაც დამტკიცებულია, რომ სანაპირო სახელმწიფომ იმოქმედა ნაოსნობის, გადაფრენის ან წყალქვეშა კაბელების და მილსადენების გაყვანის თავისუფლებებთან და უფლებებთან ან 58-ე მუხლში მითითებულ ზღვის კანონიერი 106 მიზნებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებული წინამდებარე კონვენციის დებულებების საწინააღმდეგოდ;

ბ) როდესაც დამტკიცებულია, რომ სახელმწიფომ ნახსენები თავისუფლებებით, უფლებებით ან ზღვის ნახსენები გამოყენებით სარგებლობისას იმოქმედა წინამდებარე კონვენციის ან სანაპირო სახელმწიფოს მიერ წინამდებარე კონვენციის და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების, რომლებიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე კონვენციას, შესაბამისად მიღებული კანონების და წესების საწინააღმდეგოდ; ან

გ) როდესაც დამტკიცებულია, რომ სანაპირო სახელმწიფომ იმოქმედა ზღვის გარემოს დაცვის და შენარჩუნების კონკრეტული საერთაშორისო ნორმების და სტანდარტების საწინააღმდეგოდ, რომელიც გამოყენებადია სანაპირო სახელმწიფოსათვის და რომლებიც დადგენილია წინამდებარე კონვენციით ან კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის ან დიპლომატიური კონფერენციის მიერ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად.⁵⁵⁶

ამდენად, ტრიბუნალის საგნობრივი იურისდიქცია ცალსახად შეიძლება მოიცავდეს საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებს.⁵⁵⁷ როდესაც საუბარია საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ საზღვაო ტერორიზმის მიმართ იურისდიქციის შესაძლო განხორციელებაზე, მნიშვნელოვანია გამოვყოთ 3 უმნიშვნელოვანესი საქმე: ა) „Enrica Lexie“-ის ინციდენტი (The Enrica Lexie Incident (Italy v. India), Provisional Measures); ბ) საქმე ნიდერლანდები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (The „Arctic Sunrise“ Case); გ) საქმე უკრაინის საზღვაო ძალების სამი გემის დაკავებასთან დაკავშირებით (Ukraine v. Russian Federation, Provisional Measures). აღნიშნული ნაწილის მიზნებისთვის მოკლედ შევხები საქმეების

⁵⁵⁵ იხ. საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი, მუხლები 21-22, 1833 UNTS 561 (მიღების თარიღი: 10/12/1982).

⁵⁵⁶ იხ. ზოგადად, Mensah TA, 'The Significance of the International Tribunal for the Law of the Sea for the Shipping Industry', (2005) Maritime Studies; ასევე იხ. საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია, მუხლი 297, ნაწილი 1, UNTS vol. (p.3), 1834 (p.3), 1835 (p.3) (მიღების თარიღი: 10/12/1982; ძალაში შესვლის თარიღი: 16/11/1994).

⁵⁵⁷ იხ. ზოგადად, Wood M, 'The International Tribunal for the Law of the Sea and General International Law', (2007) 22(3) International Journal of Marine and Coastal Law, 358.

მნიშვნელობას საზღვაო უსაფრთხოების კრილში. ვფიქრობ, „Enrica Lexie“-ის ინციდენტი⁵⁵⁸ საინტერესოა იმის შესაფასებლად რამდენად ადეკვატურია თანამედროვე საზღვაო უსაფრთხოების სამართალი საზღვაო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ აქტებთან საბრძოლველად - ვინაიდან პირებისათვის ცეცხლის გახსნა მოხდა ინდოეთის მიმდებარე ზონაში რაც მოიცავდა მკვლელობას, მალზე სადავოა ინდოეთის ქმედებების კანონიერების საკითხი.⁵⁵⁹ რაც შეეხება „Arctic Sunrise“-ის საქმეს, ის წარმოადგენს საზღვაო ინციდენტებთან დაკავშირებით ტრიბუნალის პრაქტიკის განვითარებას, სადაც ტრიბუნალი ცალსახად მიჯნავს საზღვაო პროტესტს (protest at sea) როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ლეგიტიმურ საშუალებას სანაპირო სახელმწიფოების წინააღმდეგ იმ აქტებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზღვაო უსაფრთხოებას.⁵⁶⁰ ასევე გამოვყოფდი საქმეს „უკრაინა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“.⁵⁶¹ მართალია ეს საქმეც არ შეეხება

⁵⁵⁸ „Enrica Lexie“-ის ინციდენტში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2012 წლის 15 თებერვალს, მოხდა ორი იტალიელი საზღვაო ქვეითის მიერ 2 ინდოელი მეთევზისთვის ცეცხლის გახსნა და მკვლელობა, ვინაიდან ისინი მიჩნეულნი იქნენ მეკობრეებად. ინციდენტი მოხდა ინდოეთის მიმდებარე ზონაში კერალას სანაპიროდან 20,5 საზღვაო მილის დაშორებით. აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ჰააგის მუდმივმოქმედმა საარბიტრაჟო სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება. სასამართლომ აღიარა, რომ მოცემულ საქმეში როგორც ინდოეთს, ასევე იტალიას პოტენციურად ჰქონდათ კონკურენტული იურისდიქცია, მაგრამ დაასკვნა, რომ იტალიელი საზღვაო ქვეითების იმუნიტეტი გამორიცხავდა ინდოეთის იურისდიქციას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ იტალიურმა გემმა დაარღვია ინდოეთის თევზსაჭერი გემის ნაოსნობის თავისუფლება 1982 წლის კონვენციის მიხედვით და რომ ქმედება, რომელმაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა იმსახურებდა კომპენსაციას. ამრიგად, საარბიტრაჟო სასამართლომ მხარეებს სთხოვა შეთანხმებულიყვნენ კომპენსაციის საკითხზე.

მოცემულ ინციდენტთან დაკავშირებით საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა მიიღო გადაწყვეტილება დროებითი ზომების გამოყენების შესახებ. კერძოდ, 1982 წლის კონვენციაზე დაყრდნობით ტრიბუნალმა დაადგინა, რომ საზღვაო ქვეითებს ჰქონდათ იმუნიტეტი 2012 წლის 15 თებერვალს ჩადენილი ქმედებების მიმართ, რაც ნიშნავს, რომ მათ არ შეეხებოდათ სისხლისსამართლებრივი დევნა ინდოეთის კანონმდებლობის მიხედვით, რასაც ინდოეთი ითხოვდა. ტრიბუნალმა ორივე სახელმწიფოს სთხოვა შეეჩერებინა ყველა სასამართლო პროცესი, რის გამოც ინდოეთში იტალიელი საზღვაო ქვეითების წინააღმდეგ პროცესი იქნა შეჩერებული. ამასთან 2016 წლის მაისში ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ, გირონის (Girone), ერთ-ერთ იტალიელ საზღვაო ქვეითს, რომლის წინააღმდეგაც უნდა წარმოებულიყო სასამართლო პროცესი ინდოეთში, მისცა იტალიაში დაბრუნების უფლება ტრიბუნალის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო ინციდენტში ეჭვმიტანილ მეორე იტალიელ მეზღვაურს მიეცა იტალიაში ყოფნის უფლება სამედიცინო მოსაზრებებიდან გამომდინარე. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, იტალია კვლავ გააგრძელებს სამართალწარმოებას ორი იტალიელი საზღვაო ქვეითის წინააღმდეგ იტალიაში. იხ. ასევე იხ. *The “Enrica Lexie” Incident (Italy v. India)*, App no 24 (ITLOS, 24 August, 2015), § 112.

⁵⁵⁹ იხ. Sankar H, ‘Jurisdictional and Immunity Issues in the Story of Enrica Lexie: A Case of Shoot & Scoot turns around!’, EJIL:Talk! (25 March 2013) <<https://www.ejiltalk.org/jurisdictional-and-immunity-issues-in-the-story-of-enrica-lexie-a-case-of-shoot-scoot-turns-around/>>.

⁵⁶⁰ იხ. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, ‘Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?’, (2024) 34(1) *Duke Journal of Comparative and International Law*, 98; Silveira PC, Garbaccio GL, ‘Protest at Sea: the Arctic Sunrise Case and the Clarification of Coastal States Rights’, (2019) 81 *Seqüência*, 32; *The Arctic Sunrise Case, Netherlands v. Russian Federation, Provisional Measures*, Case No 22 (ITLOS, 22 November, 2013).

⁵⁶¹ 2019 წლის 16 აპრილს უკრაინამ მიმართა საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალს 1982 კონვენციის მიხედვით დროებითი ზომების მიღების შესახებ. 2019 წლის 30 აპრილს რუსეთის

საზღვაო ტერორიზმს, მაგრამ იგი წარმოაჩენს საზღვაო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული საქმეების აქტუალობას ტრიბუნალისთვის და სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანია თუნდაც იმ კუთხით, რომ ტრიბუნალი (საკმაოდ საკამათოდ) მსჯელობს საადსრულებო ღონისძიებებისა და სამხედრო ოპერაციების გამიჯვნის კრიტერიუმებზე, რაც, შესაძლოა იდგეს დღის წესრიგში საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში.⁵⁶² ტრიბუნალის პოზიციით, დავა აშკარად არ ეხებოდა სამხედრო ოპერაციებს, რადგანაც მოცემულ დავაში დღის წესრიგში იდგა ქერჩის სრუტეში გავლის უფლებების საკითხი და რუსეთის მიერ მიღებული საპოლიციო ზომები, ხოლო სამხედრო გემების მონაწილეობა და გამოყენებული ძალადობა ტრიბუნალმა არ ჩათვალა საკმარის ფაქტორებად რუსეთის ქმედებების სამხედრო ოპერაციებად კვალიფიკაციისთვის.⁵⁶³ საზღვაო უსაფრთხოების ინციდენტების

ფედერაციამ აცნობა ტრიბუნალს, რომ არ აპირებდა მონაწილეობას ტრიბუნალის სამართალწარმოებაში.

საქმის საჯარო განხილვა გაიმართა 2019 წლის 10 მაისს. განხილვის დასასრულს უკრაინამ, საბოლოო წარდგინებით, სთხოვა ტრიბუნალს მიეღო დროებითი ზომები, რომლითაც რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ მოეთხოვებოდა შემდეგი:

- გაეთავისუფლებინა უკრაინის საზღვაო ხომალდები, ბერდიანსკი, ნიკოპოლი და იანი კაპუ და გადაეცა ისინი უკრაინისთვის;
- შეეჩერებინა სისხლის სამართლის საქმე ოცდაოთხი დაკავებული უკრაინელი სამხედრო (serviceman) წინააღმდეგ და თავი შეეკავებინა ახალი საქმის აღძვრისაგან; და
- გაეთავისუფლებინა დაკავებული უკრაინელი სამხედროები და მიეცა მათთვის საშუალება დაბრუნებულიყვნენ უკრაინაში.

2019 წლის 25 მაისს მიღებულ დადგენილებაში (order), ტრიბუნალმა მიუთითა, რომ მას შეეძლო მიეღო დროებითი ზომები კონვენციის 290-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იძლეოდა ამის საფუძველს. უკრაინა აცხადებდა, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია 1982 წლის კონვენციის 32-ე, 58-ე, 95-ე და 96-ე მუხლებით ნაკისრი ვალდებულებები და ამტკიცებდა, რომ მხარეები იყვნენ დავაში აღნიშნული მუხლების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციამ მართალია პირდაპირ არ უპასუხა უკრაინის აღნიშნულ არგუმენტს, თუმცა, რუსეთის პოზიცია გამომდინარეობდა მისი ქმედებებიდან. ტრიბუნალის თანახმად, ის ფაქტი, რომ რუსეთის ხელისუფლებამ დააკავა უკრაინელი საზღვაო ხომალდები და დაიწყო სისხლის სამართლის პროცესი უკრაინელი სამხედროების წინააღმდეგ, მიუთითებდა იმაზე, რომ მას უკრაინისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა აღნიშნულ საკითხზე. შესაბამისად, ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ დავა კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, არსებობდა საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დღეს.

საგულისხმოა, რომ როგორც უკრაინამ, ისე რუსეთის ფედერაციამ კონვენციის 298-ე მუხლის 1 (ბ) პუნქტის შესაბამისად გააკეთეს დეკლარაციები კონვენციის რატიფიცირებისთანავე. შესაბამისად, ტრიბუნალს უნდა დაედგინა იყო თუ არა კონვენციის 198-ე მუხლის 1 (ბ) პუნქტი გამოსაყენებელი, რითაც გამორიცხავდა მოცემულ საქმეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციისაგან. მოცემულ საქმეში, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ რუსეთის ოპერაციები არ წარმოადგენდა სამხედრო აქტივობას. ამდენად, ტრიბუნალმა ჩათვალა, რომ დეკლარაციები, რომლებიც გამორიცხავდა ტრიბუნალის იურისდიქციას სამხედრო საქმიანობისთვის არ იყო რელევანტური მოცემულ შემთხვევაში. იხ. *Case Concerning the Detention of Three Ukrainian Naval Vessels (Ukraine v. Russian Federation)*, Provisional Measures, Press Release (ITLOS, 25 May, 2019).

⁵⁶² იხ. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, Chakhvadze G, 'Uncharted Waters: Should International Maritime Terrorism be Included in the Jurisdiction of the International Criminal Court?', (2024) 34(1) Duke Journal of Comparative and International Law, 95.

⁵⁶³ იხ. Schatz VJ, 'Ukrainische Matrosen bald auf der Heimreise?', Volkerrechtsblog (28 May 2019) <<https://voelkerrechtsblog.org/ukrainische-matrosen-bald-auf-der-heimreise/>>.

აქტუალობიდან გამომდინარე მომავალში უნდა ველოდოთ ტრიბუნალის მზარდ როლს როგორც შესაბამისი დავების განხილვის, ისე უფრო ამომწურავი და მკაფიო განსაზღვრებების შემოთავაზების კუთხით (როგორცაა მაგალითად შესაძლო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დადგენა სახელმწიფოებს შორის, რასაც ადგილი არ ჰქონია ზემოაღნიშნულ საქმეში).⁵⁶⁴

4.5 საზღვაო ტერორიზმის მოქცევის შესაძლებლობა სხვა სპეციალური

საერთაშორისო, რეგიონული ან ჰიბრიდული ტრიბუნალების

იურისდიქციაში

დღეისათვის იმ პირობებში, როდესაც ეროვნული სასამართლოები თამაშობენ წამყვან როლს საერთაშორისო ტერორიზმის სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით გამოიკვეთა ერთგვარი მხარდაჭერის ტენდენცია დანაშაულის დევნისთვის (სპეციალური) საერთაშორისო, რეგიონული ან ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნისა. აღნიშნული ტენდენცია ნამდვილად გამართლებულია თუ გავითვალისწინებთ აშშ-ს სამხედრო ტრიბუნალებისა და სხვა სახელმწიფოების, მათ შორის, დიდი ბრიტანეთის შიდა სასამართლოების წინაშე არსებულ გამოწვევებს ტერორიზმის დევნის თვალსაზრისით.⁵⁶⁵

ზოგადად, საერთაშორისო ტერორიზმისათვის სპეციალური საერთაშორისო, რეგიონული ან ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნის იდეა სულაც არ არის ახალი. ამას მოწმობს თუნდაც ჩვენ მიერ ზემოთ უკვე განხილული აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების სასამართლო, რომელიც, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონალურ ინიციატივას საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად. ადრეული მცდელობები ტერორიზმის დანაშაულისათვის სპეციალური სასამართლოს შექმნის უკავშირდება ერთა ლიგის პერიოდს და სახელმწიფოთა პირველ მცდელობებს შეემუშავებინათ ტერორიზმის შესახებ ყოვლისმომცველი ხელშეკრულება, რაც რეალურად ვერ იქნა ხორცშესხმული.⁵⁶⁶ საერთაშორისო ტერორიზმზე სპეციალური სასამართლოს დაარსების უახლესი მცდელობებიდან აღნიშვნის ღირსია 2015 წელს რუმინეთისა და ესპანეთის წინადადება ტერორიზმისათვის საერთაშორისო

⁵⁶⁴ ob. Kraska J, 'Did ITLOS Just Kill the Military Activities Exemption in Article 298?', EJIL:Talk! (27 May 2019) < <https://www.ejiltalk.org/did-itlos-just-kill-the-military-activities-exemption-in-article-298/>>.

⁵⁶⁵ ob. Khokhar TF, 'The International Terrorism Tribunal: The Better Method of Adjudicating Terrorism Cases', (2013) 5(1) Seton Hall Law, 2-9.

⁵⁶⁶ ob. ზოგადად, Perez-Leon-Acevedo JP, 'Terrorism at Sea as a Manifestation of International Terrorism and Prosecutorial Mechanisms', (2016) 2(2) Anuário Brasileiro de Direito Internacional, 159; 'Establishing an International Court against Terrorism', T.M.C. Asser Instituut <<https://www.asser.nl/media/2789/establishing-an-international-court-against-terrorism.pdf>>.

ხელშეკრულების ან უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე სპეციალური სასამართლოს შექმნის, ⁵⁶⁷ ისევე როგორც 2019 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში ნიდერლანდების წინადადება ტერორიზმის შესახებ სპეციალური სასამართლოს შექმნის შესახებ, რათა დაესაჯათ ისლამური სახელმწიფოსა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულები. ⁵⁶⁸

თუ გადავხედავთ ICTY-ისა და ICTR-ის პრაქტიკას, ვნახავთ, რომ ტრიბუნალებს ხშირად უწევდათ იმ საქმეების განხილვა, რომლებიც მოიცავდა ტერორისტული აქტების ელემენტებს. ⁵⁶⁹ კერძოდ, ICTY-ის პრაქტიკაში საკმაოდ დამკვიდრებული იყო (სამოქალაქო) მოსახლეობის ტერორიზმის დამოუკიდებელ ან სტატუტით გათვალისწინებული სხვა დანაშაულების ნაწილად შეფასება, რასაც მოწმობს კრსტიჩის, კარაჯიჩის, ჩელებიჩის, ბლასკიჩისა და გალიჩის საქმეები. ⁵⁷⁰ დღეისათვის მართალია საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი ჩვეულებრივ არ განიხილება დამოუკიდებელ საერთაშორისო დანაშაულად და რიგ შემთხვევებში მოიცავს შედარებით მცირე მსხვერპლთა რაოდენობას ვიდრე სხვა საერთაშორისო დანაშაულები, თუმცა ის დიდი პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები რაც

⁵⁶⁷ იხ. 'Establishing an International Court against Terrorism', T.M.C. Asser Instituut <<https://www.asser.nl/media/2789/establishing-an-international-court-against-terrorism.pdf>>.

⁵⁶⁸ იხ. Ginkel B, 'Special Court for Terrorism Crimes', Oxford Public International Law (March 2020) <<https://opil.ouplaw.com/display/10.1093/law-mpeipro/e3229.013.3229/law-mpeipro-e3229>>.

⁵⁶⁹ იხ. ზოგადად, Чернядьева НА, 'Тенденции Развития Международно-правовой Борьбы с Терроризмом', (2019) 4 Московский Журнал Международного Права, 71; ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი, მუხლი 4 (მიღების თარიღი: 25/05/1993).

⁵⁷⁰ იხ. *Prosecutor v. Radislav Krstic*, ICTY, IT-98-33-T, Judgment, 2 August 2001, § 607 ('The Trial Chamber characterises the humanitarian crisis, the crimes of terror and the forcible transfer of the women, children and elderly at Potočari as constituting crimes against humanity, that is, persecution and inhumane acts'); *Prosecutor v. Radovan Karadžić*, ICTY, IT-95-5/18-T, Judgment, 24 March 2016, § 459-466; 4629-4635; *Prosecutor v. Zejnil Delalic, Zdravko Mucic (aka „PAVO”), Hazim Delic and Esad Land Landžo (aka „ZENGA” („^ELEBICI Case”)*, ICTY, IT-96-21-T, Judgment, 16 November 1998, § 10 ('Esad Land`o is further charged under count 46 of the Indictment with wilfully causing great suffering or serious injury, a grave breach punishable under Article 2(c) of the Statute, and under count 47 of the Indictment with cruel treatment, a violation of the laws or customs of war, punishable under Article 3 of the Statute, for his alleged acts and omissions with respect to the 6 Case No.: IT-96-21-T 16 November 1998 following circumstances alleged to have existed in the ^elebići prison-camp: The subjection of the detainees at the ^elebići camp between May and October 1992, to an atmosphere of terror created by the killing and abuse of other detainees and to inhumane living conditions through deprivation of adequate food, water, medical care as well as sleeping and toilet facilities, which conditions caused the detainees to suffer severe psychological and physical trauma. (Indictment at paragraph 35 paraphrased'); *The Prosecutor v. Tihomir Blaškić*, ICTY, IT-95-14-T, Judgment, 3 March 2000, § 700, 732-733; *Prosecutor v. Stanislav Galic*, Judgment, ICTY, IT-98-29-T, 5 December 2003, § 133 ('In conclusion, the crime of terror against the civilian population in the form charged in the Indictment is constituted of the elements common to offences falling under Article 3 of the Statute, as well as of the following specific elements: 1. Acts of violence directed against the civilian population or individual civilians not taking direct part in hostilities causing death or serious injury to body or health within the civilian population. 2. The offender wilfully made the civilian population or individual civilians not taking direct part in hostilities the object of those acts of violence. 3. The above offence was committed with the primary purpose of spreading terror among the civilian population').

უკავშირდება ტერორისტულ აქტებს, მიზანშეწონილს ხდის სპეციალური საერთაშორისო ან ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნის საჭიროებას აღნიშნული დანაშაულისათვის.⁵⁷¹

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური ტრიბუნალი ლიბანისათვის (STL), რომელმაც როგორც ჰიბრიდულმა ტრიბუნალმა ძალზე კარგი პრეცედენტი შექმნა მომავალში მსგავსი ჰიბრიდული ტრიბუნალების შექმნისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალს განსახილველი საქმე უნდა გადაეწყვიტა ლიბანის შიდა სამართლის მიხედვით, რეალურად მან მიუთითა საერთაშორისო ტერორიზმის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის განმარტებაზე.⁵⁷² ეს გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი ტრიბუნალი საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმისათვის პოტენციურად შეასრულებს ერთგვარ დამაბალანსებელ ფუნქციას შიდა და საერთაშორისო სამართლის განმარტებისა და გამოყენების კონტექსტში. საერთოდ, ჰიბრიდული ტრიბუნალის სპეციფიკა მდგომარეობს საერთაშორისო და შიდა სამართლის გამოყენების, ისევე როგორც საერთაშორისო და ეროვნული მოსამართლეების მიერ საქმის განხილვის შესაძლებლობაში. ვფიქრობ, აღნიშნული ასპექტების სინერგია შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების მიერ საერთაშორისო ტერორიზმის ერთგვაროვანი განმარტების შემუშავების შემთხვევაში, ვინაიდან შიდა და საერთაშორისო სამართალი შესაძლოა განსხვავებულად არეგულირებდნენ საკითხს თუ რომელი აქტები შედის საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის დანაშაულში.⁵⁷³ წინა ჰიბრიდული ტრიბუნალებისაგან განსხვავებით, საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში, ვფიქრობ, რომ დროითი ფაქტორისა და მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯების შესამცირებლად, მიზანშეწონილია განვიხილოთ საერთაშორისო საზოგადოების მიერ მუდმივი ჰიბრიდული სისხლის სამართლის ტრიბუნალის დაარსება, რომელიც ზოგადად გაიზიარებს ჰიბრიდული ტრიბუნალების სხვა მახასიათებლებს.⁵⁷⁴ საგულისხმოა, რომ სპეციალისტთა ნაწილის აზრით ჰიბრიდული ტრიბუნალები ყველაზე მისაღები ალტერნატივაა საერთაშორისო ან/და ტრანსნაციონალური დანაშაულების დევნისთვის, ვინაიდან ICC-სგან ან ad hoc ტრიბუნალებისაგან განსხვავებით, ჰიბრიდული ტრიბუნალები ჩვეულებრივ ოპერირებენ იმ სახელმწიფოში, სადაც ხდება დანაშაულის ჩადენა, რითაც არ ხდება ბრალდებული და დაზარალებული პირების დისტანცირება სახელმწიფოსაგან, ასევე მოსამართლეთა შერეულ

⁵⁷¹ აღნიშნულის კარგი მაგალითია ლიბანის პრემიერ-მინისტრის, რაფიკ ჰარირის მკვლელობა ლიბანში განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად, რასაც მოჰყვა ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის, როგორც ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნა. იხ. Creegan E, 'A Permanent Hybrid Court for Terrorism', (2011) 26(2) American University International Law Review, 249.

⁵⁷² იხ. ლიბანის სპეციალური ტრიბუნალის სტატუტი, მუხლი 2, UN Doc S/Res/1757(2007) (მიღების თარიღი: 10/06/2007).

⁵⁷³ იხ. ზოგადად, Khokhar TF, 'The International Terrorism Tribunal: The Better Method of Adjudicating Terrorism Cases', (2013) 5(1) Seton Hall Law, 23.

⁵⁷⁴ იხ. ზოგადად, იხ. Creegan E, 'A Permanent Hybrid Court for Terrorism', (2011) 26(2) American University International Law Review.

შემადგენლობას ყველაზე უკეთ შეუძლია შიდა სამართლის განმარტება და გამოყენება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.⁵⁷⁵

საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმისათვის სპეციალური საერთაშორისო ან ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნის შესახებ არსებულ სამეცნიერო დისკუსიას ხელს უწყობს ასევე სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოების მცდელობები გარკვეულ საზღვაო დანაშაულებზე იურისდიქციის განხორციელებისას გამოიყენონ საერთაშორისო სამართლის წესები. მაგალითად, საქმეში „US vs. Ali“ სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ს მიერ იურისდიქციის გავრცელება მათზე, ვინც სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში ხელს უწყობდა და ეხმარებოდა მეკობრეობის დანაშაულის განხორციელებას, იყო გამართლებული 1982 წლის კონვენციის 101 (c) მუხლის თანახმად.⁵⁷⁶

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აღნიშნული ტრიბუნალების შექმნის საჭიროება უნდა განვიხილოთ იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი არ მოხვდება ICC-ის იურისდიქციაში სტატუტში შესაბამისი შესწორების პროცედურის გამოყენების შესაბამისად.⁵⁷⁷ ამასთან, წინა ჰიბრიდული ტრიბუნალების სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი დროითი და ფინანსური რესურსის დასაზოგად ნაშრომში შემოთავაზებულია მუდმივი ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნის იდეა.⁵⁷⁸

გარდა ამისა, აფრიკის რეგიონში ტერორიზმის დანაშაულის დევნისთვის შექმნილი ტრიბუნალი გვიჩვენებს რეგიონული ინიციატივების გაფართოების შესაძლებლობას, რაც, ვფიქრობ, დანაშაულის რომის სტატუტში მოხვედრის შემთხვევაში უზრუნველყოფს რეგიონული სახელმწიფოების ცნობიერების ამაღლებას ტერორიზმის დანაშაულის შესახებ, ისევე როგორც ამ სახელმწიფოების მიერ ICC-სთან უფრო ეფექტიან თანამშრომლობას დამნაშავეთა დევნის თვალსაზრისით.

4.6. ეროვნული სასამართლოების როლი საზღვაო ტერორიზმთან

ბრძოლის კუთხით

იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო სასამართლოები არ ავრცელებენ ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საზღვაო ტერორიზმზე, ეროვნულ სასამართლოებს ენიჭებათ წამყვანი როლი დანაშაულთან ბრძოლის კუთხით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს განპირობებულია იმ გარემოებით,

⁵⁷⁵ იხ. Carroll CE, 'Hybrid Tribunals are the Most Effective Structure for Adjudicating International Crimes Occurring Within a Domestic State', (2013) Seton Hall Law, 8-11, 18.

⁵⁷⁶ იხ. Guilfoyle D, 'International Piracy', (2014) American Society of International Law, 6.

⁵⁷⁷ იხ. Perez-Leon-Acevedo JP, 'Terrorism at Sea as a Manifestation of International Terrorism and Prosecutorial Mechanisms', (2016) 2(2) Anuário Brasileiro de Direito Internacional, 159-161.

⁵⁷⁸ იხ. ზოგადად, იხ. Creagan E, 'A Permanent Hybrid Court for Terrorism', (2011) 26(2) American University International Law Review

რომ სხვა საერთაშორისო დანაშაულებისაგან განსხვავებით ტერორიზმი არ არის პირდაპირ კრიმინალიზებული საერთაშორისო სამართალში.⁵⁷⁹ ჩვენ უკვე განვიხილეთ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომელთა ნაწილშიც სასამართლოების მიერ გამოყენებულ იქნა SUA კონვენცია სასამართლო დავის გადასაწყვეტად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი როლი ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებთან დაკავშირებით. დღესდღეობით იკვეთება ერთგვარი ტენდენცია, როდესაც ეროვნული სასამართლოები ახორციელებენ სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლო განხილვას ტერორიზმთან დაკავშირებით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში „Bundesverfassungsgericht“ გერმანულმა სასამართლომ განიხილა ევროპული დაპატიმრების ორდერის აქტი, რომელიც იქნა მიღებული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით და დაადგინა, რომ აღნიშნული აქტი არღვევდა გარკვეულ კონსტიტუციურ უფლებებს, რაც არ იყო აუცილებელი ევროპული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.⁵⁸⁰ ამრიგად, აღნიშნული აქტი უკან გადაეცა საკანონმდებლო ორგანოს, რათა მას ხელახლა მიეღო მსგავსი აქტი და გაუმართლებლად არ მომხდარიყო ადამიანის უფლებების დარღვევა.⁵⁸¹ კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია, რომელიც შეიძლება გამოვყოთ ეროვნული სასამართლოების პრაქტიკიდან ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებთან დაკავშირებით, არის საერთაშორისო სამართლის გამოყენება სასამართლო დავის გადასაწყვეტად, სადაც სასამართლოები ახდენენ მათ მიერ გამოყენებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სიღრმისეულ ანალიზს.⁵⁸² ტერორიზმის კონტექსტში ეროვნული სასამართლოების აქტივიზმის კუთხით, ასევე საინტერესოა საქმე სახელმწიფო მდივანი რეჰმანის წინააღმდეგ, სადაც ლორდთა პალატამ განიხილა და მხარი დაუჭირა სახელმწიფო მდივნის გადაწყვეტილებას პაკისტანის მოქალაქის დეპორტაციის შესახებ, რადგან ის საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს უსაფრთხოებას ინდოეთის ქვეკონტინენტზე ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის გამო.⁵⁸³ ამდენად, პალატამ დაადასტურა, რომ უსაფრთხოების საფრთხეები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პირდაპირი საფრთხეებით და ამგვარი ირიბი საფრთხეებიც გავლენას ახდენდა ბრიტანეთის

⁵⁷⁹ იხ. ზოგადად, Cryer R, 'International Criminal Law', Malcolm Evans (ed), *International Law* (OUP 2018), 743.

⁵⁸⁰ იხ. Benvenisti E, 'United We Stand: National Courts Reviewing Counterterrorism Measures', Andrea Bianchi, Alexis Keller (eds), *Democracy, Separations of Powers and the Fights Against Terrorism*, 15; *Case No. 064/2005*, Federal Constitutional Court of Germany, 064/2005, 18 July 2005.

⁵⁸¹ იქვე.

⁵⁸² იქვე, 15; 17-18; ასევე იხ. *Public Committee Against Torture in Israel v. State of Israel*, Israeli High Court of Justice, 5100/94, 5 May 1998, January 13 1999, May 26 1999; *Adalah et al. v. GOC Central Command*, Israeli High Court of Justice, 3799/02, June 23 2005.

⁵⁸³ იხ. Roach K, 'Judicial Review of the State's Anti-Terrorism Activities: The Post-9/11 Experience and Normative Justifications for Judicial Review', 2009 (3) *Indian Journal of Constitutional Law*, 1-2.

ეროვნულ უსაფრთხოებაზე.⁵⁸⁴ მაშინ როდესაც სულ უფრო მზარდია იმ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომლებიც ანტიტერორისტული კანონების მიღების მეშვეობით ახდენენ საზღვაო ტერორიზმის კრიმინალიზაციას, უნდა ველოდოთ, რომ ეროვნული სასამართლოების როლი გაიზრდება ამ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებზეც.

ის სასამართლოები, რომელთაც SUA კონვენციის საფუძველზე შეიძლება ჰქონდეთ საზღვაო ტერორიზმში ექვმიტანილი პირების დევნის უფლება შეიძლება დავყოთ შემდეგ კატეგორიებად (იხ. ცხრილი #9):

ცხრილი #9: ეროვნული სასამართლოები, რომელთაც SUA კონვენციის შესაბამისად შეუძლიათ საზღვაო ტერორიზმში ბრალდებული პირების დევნა
ა) დროშის სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები;
ბ) სანაპირო სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები;
გ) სავარაუდო დამნაშავეთა მოქალაქეობის სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები;
დ) დაზარალებული პირის მოქალაქეობის სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები;
ე) იმ სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები, რომლებიც წარმოადგენენ იძულების ობიექტს. ⁵⁸⁵

4.6 (1) დასკვნა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის რომის სტატუტში მოხვედრის შემთხვევაშიც კი ეროვნული სასამართლოები ითამაშებენ მნიშვნელოვან როლს დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით. ცხადია, ეროვნული სასამართლოების როლი ძალზე დიდი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია სტატუტის არახელმშეკვრელი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ სხვა არახელმშეკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს საქმეები უშიშროების საბჭოს რეფერალის საფუძველზე შეიძლება გადაეცეს ICC-ს, მაგრამ სასამართლოს მიერ დამნაშავეებზე დაკავების ორდერების გაცემის შემთხვევაშიც, საეჭვოა რამდენად მოხდება მათი აღსრულება რამეთუ სტატუტის არახელმშეკვრელმა სახელმწიფოებმა შეიძლება არ ითანამშრომლონ სასამართლოსთან დანაშაულის გამოძიებისა და

⁵⁸⁴ იხ. *Secretary of State for the Home Department v. Rehman*, House of Lords, UKHL 47, 11 October 2001.

⁵⁸⁵ იხ. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 68; ასევე იხ. საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 6, UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992).

დამნაშავეთა პასუხისმგებლობაში მიცემის კუთხით.⁵⁸⁶ ამ შემთხვევებში ნაკლებ მოსალოდნელია მოხდეს სტატუტის არახელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ სასამართლოს იურისდიქციის აღიარება სტატუტის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.⁵⁸⁷ ასევე, საერთაშორისო სამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ვინაიდან საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი არის საერთაშორისო ხასიათის დანაშაული (და არა დამოუკიდებელი საერთაშორისო დანაშაული) ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ ამ დანაშაულის საუკეთესოდ დევნა.⁵⁸⁸ საერთაშორისო სამართლის მეცნიერები ასევე გამოყოფენ გარკვეულ მნიშვნელოვან განვითარებებს, რასაც აქვს ადგილი ეროვნულ დონეზე ტერორიზმის დანაშაულის დევნის კუთხით, რაც მოიცავს სპეციალური იურისდიქციის სისხლის სამართლის სასამართლოების შექმნას, ახალი ანტიტერორისტული კანონების მიღებას, პოლიციის მიერ ახალი ტაქტიკის შემუშავებას დანაშაულთან საბრძოლველად და ა.შ.⁵⁸⁹

საზღვაო ტერორიზმის შიდასასამართლო დევნას ახასიათებს რიგი ფუნდამენტური გამოწვევები:

1. ის ფაქტი, რომ არსებითად სახელმწიფოთა ნებაზეა დამოკიდებული მათ იურისდიქციაში დაქვემდებარებულ წყლებში სავარაუდო დამნაშავეების დევნა, წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოწვევას საზღვაო ტერორიზმთან ეფექტიანი ბრძოლის კუთხით.⁵⁹⁰ ძალიან ნაადრევია იმის თქმა თუ რამდენად სურთ და შეუძლიათ სახელმწიფოებს მათი შიდა სასამართლოების მეშვეობით საზღვაო ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების ეფექტიანი სამართლებრივი დევნა.⁵⁹¹

2. კიდევ ერთი ფუნდამენტური გამოწვევა საზღვაო ტერორიზმის შიდასასამართლო დევნის თვალსაზრისით, უკავშირდება იმ ობიექტურ ფაქტორებს, რაც ბუნებრივად აჭიანურებს დამნაშავეთა სასამართლო დევნას. ვინაიდან პრაქტიკაში საზღვაო ტერორიზმში ბრალდებული პირების დაკავება შესაძლებელია სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ არსებულ საზღვაო ზონებში, ჩვეულებრივ ძალზე დიდი დრო სჭირდება მათ ეროვნულ სასამართლოებში წარდგენას, რამაც შესაძლოა

⁵⁸⁶ იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, მუხლი 86, UNTS vol. 2187 (p.3) (მიღების თარიღი: 17/07/1998; ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/2002) (აღნიშნული მუხლი განამტკიცებს თანამშრომლობის ვალდებულებას სტატუტის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის).

⁵⁸⁷ იქვე, მუხლი 12, ნაწილი 3.

⁵⁸⁸ იხ. Creegan E, 'A Permanent Hybrid Court for Terrorism', (2011) 26(2) American University International Law Review, 265-266.

⁵⁸⁹ იქვე, 263.

⁵⁹⁰ იხ. ზოგადად, Karim S, 'Prosecution of Maritime Pirates: The National Court is Dead – Long Live the National Court?', (2014) 32(1) Wisconsin International Law Journal, 80.

⁵⁹¹ იხ. Wilt H, Braber I, 'The Case for Inclusion of Terrorism in the Jurisdiction of the International Criminal Court', (2014) Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-26, 22.

დაარღვიოს მათი ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით.⁵⁹²

3. ეროვნული სასამართლოების ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოწვევა საზღვაო ტერორიზმის დევნის კუთხით უკავშირდება სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ ტერორიზმს. სახელმწიფოს მიერ ტერორისტული აქტების მხარდაჭერა მნიშვნელოვნად ართულებს დანაშაულზე იურისდიქციის დადგენას, რასაც მოწმობს **ლოკერბის საქმეც**: მას შემდეგ, რაც გავრცელდა ცნობები ლიბიის მიერ ტერორიზმის მხარდაჭერის შესახებ, აშშ-მ და დიდი ბრიტანეთმა ეჭვის ქვეშ დააყენეს ლიბიის მზაობა ეფექტიანი გამოძიების წარმოების შესახებ და მიმართეს უშიშროების საბჭოს, რათა მომხდარიყო დანაშაულში ბრალდებული პირების საქმის განხილვა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ეროვნულ სასამართლოებში.⁵⁹³

4. საზღვაო ტერორიზმი და ზოგადად, საერთაშორისო ტერორიზმი, ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით, რაც ძალზე ართულებს ეროვნულ დონეზე დანაშაულის გამოძიებასა და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივ დევნას. საერთაშორისო ტერორიზმში ბრალდებულ პირებთან მიმართებით საკმარისი მტკიცებულებების შეგროვების პრობლემაზე მიუთითებს 2016 წელს გერმანიის მთავარი პროკურორის სიტყვები, სადაც ის ერთგვარად გამოთქვამს შეშფოთებას ერაყსა და სირიაში მებრძოლი ისლამური სახელმწიფოს ექვმიტანილი პირების შესახებ: „ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ პირებს ხელები სისხლიანი აქვთ, მაგრამ (ხშირად) ამას ვერ ვამტკიცებთ“.⁵⁹⁴

5. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოთა სტრატეგიები საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ართულებს მათ თანამშრომლობას სისხლის სამართლის სფეროში,⁵⁹⁵ სახელმწიფოთა ნაწილს შესაძლოა ჰქონდეს სისტემური ფინანსური, სამართლებრივი და ინსტიტუციური პრობლემები, რის გამოც ისინი შეიძლება ადეკვატურად ვერ ახორციელებდნენ კონტროლს მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულ წყლებში.⁵⁹⁶

⁵⁹² აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებები: *Ali Samatar and Others v. France*, App no 17110/10 and 17301/10 (ECtHR, 4 March 2015); *Hassan and Others v. France*, App no 46695/10 and 54588/10 (ECtHR, 4 December 2014); ასევე იხ. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 73; Karim S, 'Prosecution of Maritime Pirates: The National Court is Dead – Long Live the National Court?', (2014) 32(1) *Wisconsin International Law Journal*, 45.

⁵⁹³ იხ. Möttö J, 'International Terrorism: What are the Current Legal Challenges in Bringing Terrorists to Justice?', (2016) 41(1) *Groningen Journal of International Law*, 50.

⁵⁹⁴ იქვე, 51. ასევე იხ. 'German Govt Struggling to Build Cases Against Suspected ISIS Terrorists-Prosecutor', RT (30.03.2016) <<https://www.rt.com/news/337762-germany-prosecution-isis-terrorists/>>.

⁵⁹⁵ იხ. Möttö J, 'International Terrorism: What are the Current Legal Challenges in Bringing Terrorists to Justice?', (2016) 41(1) *Groningen Journal of International Law*, 52.

⁵⁹⁶ Karim S, 'Prosecution of Maritime Pirates: The National Court is Dead – Long Live the National Court?', (2014) 32(1) *Wisconsin International Law Journal*, 45.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა შორის ორმხრივი, რეგიონალური ან გლობალური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება. საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლაში სახელმწიფოთა თანამშრომლობის მსგავსი წარმატებული მოდელი შეიქმნა ევროკავშირში. კერძოდ, ევროკავშირმა მიიღო ევროპული დაპატიმრების ორდერი (European Arrest Warrant (EAW)), რომელიც ხელს უწყობს წევრ-სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას და გვთავაზობს ექსტრადიციის მოქნილ პროცედურებს ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირებთან მიმართებით.⁵⁹⁷ საგულისხმოა, რომ აღნიშნული ორდერი არის პირველი ინსტრუმენტი, რომელიც ამკვიდრებს სასამართლო გადაწყვეტილებების ურთიერთადიარების პრინციპს და საშუალებას აძლევს ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოების ორგანოებს აღიარონ სხვა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოს მიერ პირის გადაცემის მოთხოვნა.⁵⁹⁸ ვფიქრობ, საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში მნიშვნელოვანია მსგავსი რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივების გაფართოება, ასევე აღნიშნული თანამშრომლობის მექანიზმების დანერგვა გლობალურ დონეზე საერთაშორისო ორგანიზაციების (როგორებიცაა მაგალითად გაერო ან საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია) ეგიდით, რაც გააძლიერებს სახელმწიფოთა ნაციონალურ ორგანოებს დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის თვალსაზრისით.

6. საზღვაო ტერორიზმის პოლიტიკური მდგენელის გამო, დანაშაულის ეროვნულ დონეზე დევნა შესაძლოა არ იყოს საკმარისი სამართლიანი სასამართლო პროცესისა და პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. თუნდაც, SUA კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, როგორც სავარაუდო დამნაშავეთა სახელმწიფოები, ისე ის სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ იძულების ობიექტს, არიან უშუალოდ დაინტერესებული მხარეები პროცესში.⁵⁹⁹

⁵⁹⁷ იხ. Cohen A, 'Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Reevaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism', (2012) 20:2 Michigan State International Law Review, 254; Slidregt EV, 'European Approaches to Fighting Terrorism', (2010) 20(3) Duke Journal of Comparative and International Law, 415.

⁵⁹⁸ იქვე.

⁵⁹⁹ იხ. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016), 73; Morris M, 'Terrorism and Unilateralism: Criminal Jurisdiction and International Relations', (2003) 36(3) Cornell International Law Journal, 477; საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის 1988 წლის SUA კონვენცია, მუხლი 6, ნაწილი 2 (b), UNTS vol. 1678 (მიღების თარიღი: 10/03/1988; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1992) ('during its commission a national of that State is seized, threatened, injured or killed; or (c) it is committed in an attempt to compel that State to do or abstain from doing any act').

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საზღვაო ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო საჯარო სამართალში. პირველ რიგში, მასში წარმოჩენილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებული დავის მიუხედავად, საზღვაო ტერორიზმი უნდა განვიხილოთ დამოუკიდებელ დანაშაულად და შესაბამისად, დაუშვებელია მეკობრეობის მარეგულირებელი ნორმების გავრცელება საზღვაო ტერორიზმსა და საზღვაო შეიარაღებულ ძარცვაზე. ამ მიზნით, დისერტაციაში ნათლად არის წარმოჩენილი, რომ საზღვაო ტერორიზმისა და ზღვაზე ჩადენილი სხვა დანაშაულების გამიჯვნის პრობლემა პრაქტიკაში დაიწყო „Achille Lauro“-ს ინციდენტიდან და დღემდე გრძელდება მიუხედავად SUA კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების არსებობისა. უფრო მეტიც, მასში არა მხოლოდ გამიჯნულია საზღვაო ტერორიზმის, მეკობრეობისა და საზღვაო შეიარაღებული ძარცვის დანაშაულები, არამედ მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეული ანალიზი, რაც პოტენციურად მიუთითებს შესაძლო ახალი კრიტერიუმების შემუშავების აუცილებლობაზე აღნიშნული დანაშაულების გასამიჯნად, რაც მათ შორის მოიცავს დანაშაულიდან მომდინარე საფრთხის სიდიდეს (magnitude of threat).⁶⁰⁰ კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული არაერთგვაროვანი პოზიციების ფონზე, დისერტაცია ნათლად მიჰნავს ერთმანეთისგან პირად და პოლიტიკურ მიზნებს როგორც საზღვაო ტერორიზმისა და ზღვაზე ჩადენილი სხვა დანაშაულების განმასხვავებელ უმთავრეს ფაქტორს. დანაშაულებს შორის არსებული სხვა განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენით, წარმოდგენილი დისერტაცია ასევე უარყოფს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თეზისს საზღვაო შეიარაღებული ძარცვის მეკობრეობის ქვეკატეგორიად განხილვის შესახებ.

მეორე რიგში, დისერტაციაში განვითარებულია თეზისი საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად განხილვის შესახებ, რაც წარმოდგენილია სამართლებრივ წყაროთა ძალზე ფართო სპექტრის შესწავლის შედეგად, რომელიც მოიცავს როგორც საერთაშორისო ინსტრუმენტებს, ისე სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობებისა და პრაქტიკის სიღრმისეულ ანალიზს. განხორციელებული კვლევის შედეგად ნაშრომში ჩამოყალიბდა საერთაშორისო დანაშაულის ფორმალისტური განმარტება, რომელიც მოიცავს ორ მთავარ ელემენტს: ა) საერთაშორისო დანაშაული როგორც ქმედება, რომელიც იკრძალება საერთაშორისო სახელშეკრულებო ან/და ჩვეულებითი სამართლით;

ბ) საერთაშორისო დანაშაული როგორც ქმედება, რომელიც იწვევს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართალში. ამასთან,

⁶⁰⁰ ob. Kraska J, 'Attacks on U.S. Warships Justify Self-Defense Against Houthi Forces Ashore', LAWFARE (2 January 2024) <<https://www.lawfaremedia.org/article/attacks-on-u.s.-warships-justify-self-defense-against-houthi-forces-ashore>>.

წარმოჩენილია, რომ მართალია დღეისათვის საზღვაო ტერორიზმი, როგორც დანაშაული, რომელიც არ იწვევს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართალში, არ შეიძლება განვიხილოთ დამოუკიდებელ საერთაშორისო დანაშაულად, თუმცა საერთაშორისო და შიდა პრაქტიკაში ეს დანაშაული სულ უფრო მეტად განიხილება როგორც საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის, რაც საჭიროებს დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებას საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით დისერტაციის მიზნებისათვის ჩატარდა სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობების სიღრმისეული ანალიზი, რომლითაც გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

ა) სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობების მიერ არა მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ ჩადენილი საზღვაო ტერორისტული აქტების აკრძალვა (დანაშაულის ტრანსნაციონალური ელემენტი);

ბ) სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობები, რომლებიც ტერორისტული დანაშაულებისთვის ითვალისწინებენ სპეციალური ტრიბუნალის ან/და სტრუქტურის შექმნას;

გ) აღნიშნულ კანონმდებლობობათა ნაწილის მიერ ძალზე მკაცრი სასჯელების გათვალისწინება (საზღვაო) ტერორიზმის დანაშაულისათვის;

დ) სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობების მიერ SUA კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების აღიარება ექსტრადიციის იურიდიულ საფუძვლად;

ე) სახელმწიფოთა მიერ საზღვაო ტერორიზმის ძალზე დეტალური რეგულირება და კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული დანაშაულების სრულად კრიმინალიზაცია სპეციალური ანტიტერორისტული კანონმდებლობების მეშვეობით.

ამ ნაწილის მიზნებისთვის ასევე ჩატარდა საკუთრივ სახელმწიფოთა შიდა სასამართლო პრაქტიკის კვლევა, სადაც გამოვლინდა ის საქმეები, რომლებშიც საზღვაო ტერორიზმთან დაკავშირებული საქმეების შიდა სასამართლო განხილვისას გამოყენებულ იქნა SUA კონვენციის ნორმები. მთლიანობაში აღნიშნულ თავში ჩატარებული საერთაშორისო და შიდა სახელმწიფო პრაქტიკის სისტემური კვლევა განამტკიცებს თეზისს საზღვაო ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად მიჩნევის შესახებ.

დისერტაციის მე-4 თავი ეხება დანაშაულთან ბრძოლის ძირითად მექანიზმებს საერთაშორისო სამართალში. ამ თვალსაზრისით, დისერტაციაში გათვალისწინებულია მთელი რიგი წინადადებები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის მთავარი სამეცნიერო პრობლემის (დანაშაულის შესაძლო დაუსჯელობა) მოსაგვარებლად, რომლებიც *inter alia* მოიცავს შემდეგს:

1. ჩატარებული კვლევის შედეგად, პირველ რიგში, გამოვლინდა საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის ICC-ის იურისდიქციაში მოხვედრის აუცილებლობა რომის სტატუტში 121-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული შესწორების პროცედურის გამოყენების შედეგად. კერძოდ, წარმოდგენილ კვლევაში გაანალიზებულია ის ფუნდამენტური გარემოებები, რაც განაპირობებს აღნიშნული შემოთავაზების გათვალისწინების აუცილებლობას და *inter alia* მოიცავს შემდეგს:

ა) საზღვაო ტერორიზმზე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი სასამართლო ორგანოს არარსებობა საერთაშორისო დონეზე;

ბ) ICC-ის, როგორც მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მართალია შედარებით მწირი, მაგრამ მნიშვნელოვანი პრაქტიკა ძალზე სერიოზული საზღვაო უსაფრთხოების ინციდენტების განხილვის კუთხით;

გ) ვინაიდან, SUA კონვენციაში გათვალისწინებული დასჯის ან ექსტრადიციის ვალდებულება არ გულისხმობს დამნაშავეთა დასჯის აბსოლუტურ ვალდებულებას, ICC-ის განსაკუთრებული როლი იკვეთება რომის სტატუტის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ სიტუაციებში, როდესაც სახელმწიფოებს არ სურთ ან არ შეუძლიათ დანაშაულის გამოძიება ან დამნაშავეთა დევნა;

დ) 9/11-ის ტერორისტული აქტების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების მიერ საერთაშორისო ტერორიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედების, უპირობო და ერთმნიშვნელოვანი დაგმობა;

ე) სახელმწიფოთა შიდა სასამართლოების შეზღუდული შესაძლებლობები საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებთან (მათ შორის საზღვაო ტერორიზმთან) დაკავშირებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზრუნველყოფის კუთხით;

ვ) სახელმწიფოთა შეზღუდული შესაძლებლობები და მათი არაერთგვაროვანი პრაქტიკა შიდა დონეზე ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაცვასთან დაკავშირებით (აქ განსაკუთრებით გამოვყოფდი რომის სტატუტის დებულებებს დაზარალებული პირების უფლებების თვალსაზრისით, რაც მათ შორის მოიცავს პროცესში მათი მონაწილეობის უფლებას, რაც შეიძლება არ იყოს გარანტირებული ამა თუ იმ სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით);

ზ) სახელმწიფოთა მიერ კვაზისასამართლო მექანიზმების (მაგ. სამხედრო კომისიების, რასაც ადგილი ჰქონდა აშშ-ში) შექმნის მეშვეობით საერთაშორისო ტერორიზმში ბრალდებული პირების პოლიტიკური ანგარიშწორების მიზნით დასჯის პრაქტიკების თავიდან აცილება;

თ) დანაშაულზე საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელება ერთგვარად ჩაანაცვლებს სახელმწიფოთა მანკიერ პრაქტიკას კერძო, პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტონ დანაშავეთა ექსტრადიქციის საკითხი.

2. დისერტაციაში შემოთავაზებულია რომის სტატუტში საერთაშორისო ტერორიზმის შემდეგი განმარტების შეტანა (სამუშაო დეფინიცია): საერთაშორისო ტერორიზმი არის პოლიტიკური მოტივით ჩადენილი დანაშაული, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული სტატუტის წევრი-სახელმწიფოების შიდა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობებით გათვალისწინებული ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქმედებებით (მაგ. მკვლელობა, დაბომბვა, გატაცება და ა.შ.) და რომელიც თავისი საერთაშორისო ხასიათის გამო ჩვეულებრივ უქმნის საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

გარდა ამისა, დისერტაციაში განვითარებული აზრის შესაბამისად მნიშვნელოვანია რომის სტატუტში მოცემული ტერორიზმის დეფინიცია მოიცავდეს შემდეგი კონვენციებით გათვალისწინებულ ტერორისტულ აქტებს:

რომის სტატუტში შეტანილი საერთაშორისო ტერორიზმის განმარტება ასევე უნდა აკეთებდეს მითითებას სულ მცირე შემდეგი საერთაშორისო კონტრტერორისტული კონვენციებით აკრძალულ დანაშაულებზე:
1. კონვენცია საჰაერო ხომალდის ბორტზე ჩადენილი დანაშაულებისა და სხვა ქმედებების შესახებ (1963).
2. კონვენცია პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების მარკირების შესახებ (1991).
3. საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცების აღკვეთის კონვენცია (1970).
4. კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ (1971).
5. კონვენცია საერთაშორისოდ დაცულ პირთა, მათ შორის, დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ (1973).
6. საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ (1979).
7. კონვენცია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ (1980).
8. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტების აღკვეთის ოქმი (1988).
9. კონვენცია საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების აღკვეთის შესახებ (1988) და მისი დამატებითი ოქმები.

10. საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული აფეთქებების აღკვეთის შესახებ (1998).
11. საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ (1999).
12. კონვენცია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ (1987). ⁶⁰¹

3. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ძალზე აქტუალურია სწორედ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა საზღვაო ტერორიზმის კონტექსტში, ICJ-ისა და ITLOS-ის მექანიზმების არსებობა, ცხადია, ვერ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას და საჭიროა დამატებითი მექანიზმების შექმნა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო საზოგადოება არ აღმოჩნდება მზად რომის სტატუტში შესაბამისი შესწორების გზით შეიტანოს საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმი ICC-ის იურისდიქციაში, დისერტაციაში შემოთავაზებულია სპეციალური საერთაშორისო ან ჰიბრიდული ტრიბუნალის შექმნა აღნიშნული დანაშაულისათვის.⁶⁰²

4. თუ ზემოაღნიშნული შესაძლო სასამართლო მექანიზმებიდან რომელიმეს შეეძლება დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელება, არასახელმწიფო აქტორებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევების ფონზე, ასევე უნდა გაძლიერდეს რეგიონული ინიციატივები საზღვაო ტერორიზმის სასამართლო დევნის კუთხით და აფრიკის ტრიბუნალის გარდა შეიქმნას სხვა რეგიონული ტრიბუნალები განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც საზღვაო ტერორიზმი წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჩატარებული კვლევა ცალსახად მიუთითებს იმ მნიშვნელოვანი ხარვეზების გამოსწორებაზე, რაც გააჩნია მალაბოს ოქმს ტერორიზმის დანაშაულის კონტექსტში. ამ მხრივ, ერთ-ერთი კონკრეტული შემოთავაზების სახით დისერტაციაში ხაზგასმულია, რომ რეგიონული ტრიბუნალების სადამფუძნებლო დოკუმენტებში აუცილებლად უნდა განისაზღვროს ICC-სთან თანამშრომლობის საკითხები. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იმ სპეციალურ/ჰიბრიდულ ტრიბუნალებთან მიმართებისა და თანამშრომლობის საკითხები, რომელსაც პოტენციურად ექნება იურისდიქცია საზღვაო ტერორიზმზე.

5. სადისერტაციო ნაშრომი აჩვენებს, რომ საზღვაო ტერორიზმის ეფექტიანი დევნის კუთხით ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა უკავშირდება არასახელმწიფო აქტორებს, რომლებიც არ არიან აფილირებული არცერთ სახელმწიფოსთან. ცხადია, არასახელმწიფო აქტორებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ, მაგალითად,

⁶⁰¹ კონტრტერორისტული ხელშეკრულებების შესახებ იხ. ზოგადად, Banchik M, *The International Criminal Court and Terrorism* (University of Bradford), 16-17; Stephens T, 'International Criminal Law and the Response to International Terrorism', (2017) 27(2) UNSW Law Journal, 461-473.

⁶⁰² იხ. Perez-Leon-Acevedo JP, 'Terrorism at Sea as a Manifestation of International Terrorism and Prosecutorial Mechanisms', (2016) 2(2) Anuário Brasileiro de Direito Internacional, 159-161.

საერთაშორისო (საზღვაო) ტერორიზმის დანაშაული მოხვდება ICC-ის იურისდიქციაში შესაძლოა მნიშვნელოვნად გაჭირდეს სახელმწიფოთა თანამშრომლობა და შედეგად ICC-ის მიერ დამნაშავეების ეფექტიანი დევნა, რაც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას.

ამ მხრივ წარმოდგენილი კვლევა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად გვთავაზობს სახელმწიფოთა თანამშრომლობის მექანიზმების განვითარებას საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ეგიდით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში როგორებიცაა მტკიცებულებების მოპოვება, ექსტრადიციის პროცედურები, დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელების კუთხით თანამშრომლობა და ა.შ. როგორც დისერტაციაში არის აღნიშნული, წარმატებული თანამშრომლობის მოდელი უკვე შეიქმნა ევროკავშირის ფარგლებში, თუმცა აუცილებელია მსგავსი ინიციატივების კიდევ უფრო გაფართოება, რათა მოიცვას ის რეგიონები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია საზღვაო ტერორიზმისთვის.

დისერტაციის მიზნებისთვის ამ მხრივ აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების მიერ ორი კონკრეტული რეკომენდაციის გათვალისწინება: ა) უნდა შეიქმნას მსგავსი თანამშრომლობის მექანიზმი IMO-სა და ASEAN-ის ეგიდით; ბ) გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გაეროს ეგიდით გლობალური ანტიტერორისტული ხელშეკრულების მიღება, რომელიც, ერთის მხრივ გავრცელდება საერთაშორისო ტერორიზმის ყველა გამოვლინებაზე და მეორე მხრივ, განსაზღვრავს სახელმწიფოთა თანამშრომლობის ფორმატს ყველა ზემოაღნიშნული საკითხების კონტექსტში.

6. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა ნაწილი არის SUA კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ხელშემკვრელი მხარე, საკამათოა თუ რამდენად სრულად ასრულებენ ისინი აღნიშნული ინსტრუმენტებით დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, თუნდაც, კონვენციის მე-5 მუხლის ნაწილში, რომელიც ამ სახელმწიფოებს განუსაზღვრავს ვალდებულებას ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებზე დააწესონ შესაბამისი სასჯელები. ამ მხრივ, დისერტაციაში მოცემულია შიდა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობების სისტემური ანალიზი, რომელიც წარმოაჩენს საზღვაო ტერორიზმის შიდა დონეზე სრულად კრიმინალიზაციის ან თუნდაც ადექვატური სასჯელის დაწესების კუთხით არსებულ ხარვეზებს სახელმწიფოთა შიდა პრაქტიკაში.

ჩატარებული კვლევის შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება სპეციალური ანტიტერორისტული კანონმდებლობებით, რომლებიც დაფუძნებული იქნება დისერტაციაში უკვე განხილულ მსგავს წარმატებულ მოდელურ კანონებზე, რომლებშიც სრულად კრიმინალიზებულია საერთაშორისო ტერორიზმის ყველა ძირითადი

გამოვლინებები და მითითება კეთდება ანტიტერორისტული ხელშეკრულებებით
აკრძალულ ქმედებებზე, მათ შორის, SUA კონვენციასა და მის დამატებით ოქმებზე.

ბიბლიოგრაფია

წიგნები, მონოგრაფიები

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. სირაძე ე, შიდა და საერთაშორისო ნორმათა კოლიზია სანაპირო სახელმწიფოს მიერ ტერიტორიულ წყლებში იურისდიქციის განხორციელების დროს (სადოქტორო დისერტაცია) (თსუ 2010).

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

1. Arnold R, *The ICC as a New Instrument for Repressing Terrorism* (BRILL 2004).
2. Banchik M, *The International Criminal Court and Terrorism* (University of Bradford).
3. Baumann SF, *Including Terrorism as a Crime Under the Rome Statute: Taking the Fight Against Terror to the ICC* (University of Pretoria 2018).
4. Becker T, *Terrorism and the State: Rethinking the Rules of State Responsibility* (Hart 2006).
5. Bowley R, *Countering Terrorism in the Maritime Domain: A Contemporary Evaluation of the International Legal Framework* (University of Wollongong 2013).
6. Cassese A, *International Criminal Law* (OUP 2003).
7. Churchill R, Lowe V, Sander A, *The Law of the Sea* (Manchester University Press 2022).
8. Crawford J, *Brownlie's Principles of Public International Law* (OUP 2012).
9. Cryer R, Friman H, Robinson D, Wilmhurst E, *An Introduction to International Criminal Law and Procedure* (Cambridge 2014).
10. Cryer R, Robinson D, Vasiliev S, *An Introduction to International Criminal Law and Procedure* (Cambridge 2019).
11. Galand AS, *UN Security Council Referrals to the International Criminal Court, Legal Nature, Effects and Limits* (Brill 2018).
12. Gruetter EK, *Piracy a Crime of Universal Jurisdiction: A Perspective into the History of United States Piracy Jurisprudence, its English Common Law Roots and Relationship with the Law of Nations* (Elon University School of Law 2019).
13. Hauwaert JV, *The Importance of the SUA Convention in the Fight Against Violence at Sea* (University of Ghent 2017-2018).
14. Kändler KT, *Violence at Sea The Legal Framework to Combat Maritime Terrorism* (The Arctic University of Norway 2016).
15. Karim S, *Maritime Terrorism and the Role of Judicial Institutions in the International Legal Order* (Brill 2016).
16. Klein N, *Maritime Security and the Law of the Sea* (OUP 2011).
17. Lehr A, *Modern History of Maritime Terrorism from the Fenian Ram to Explosive-Laden Drone Boats* (Edward Elgar Publishing 2023).

18. Logina A, *The International Law Related to Maritime Security: An Analysis of its Effectiveness in Combating Piracy and Armed Robbery Against Ships* (World Maritime University 2009).
19. Margariti S, *In Search of a Definition for International Terrorism balancing Sovereignty and Cosmopolitanism* (University of Dundee 2015).
20. Mozaheri A, *How the ISPS Code Affects Port and Port Activities* (University College of Borås 2008).
21. Musto C, *The Elements of Maritime Piracy: Plumbing the Depths for a Legal Solution to an Enduring Global Problem* (ANU College of Law 2012).
22. Mystris OD, *Reimagining Criminal Justice Through the Lens of the African Union* (Queen Mary University of London 2018).
23. O'Keefe R, *International Criminal Law* (OUP 2015).
24. Piñeiro LC, *International Maritime Labour Law* (Springer 2015).
25. Plöger SM, *The Prevention of Maritime Terrorism Is today's maritime security sufficient?* (University of Oslo 2008).
26. Prescott V, Schofield C, *The Maritime Political Boundaries of the World* (Brill 2004).
27. Roach JA, *Excessive Maritime Claims* (Brill 2021).
28. Schneider P, *Maritimer Terrorismus: Tätergruppen und Anschlagstypen* (Hamburg 2012).
29. Schneider P, *Maritime Terrorism and Piracy: The Development of Maritime Security and its Governance* (University of Hamburg 2023).
